საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№9 (635) ... ერვალი – 3 მარტი • ფასი 1,50 ლარი




რატომ არ ჩქაროზდა თეა დანელია მეორე ოჯახის შექმნას და როგორ მოხიბლა ის მომავალმა მეუღლემ „შაურკასავით“ ხელებით

გვ. 54

გვ. 14

რა პირობა შეუსრულა გიორგი ზერეკიძემ მამას გარდაცვალებამდე ციხეში და როგორ მიულოცეს მას სტუდენტობა ქსანში

გვ. 18

ვინ დაინიშნა ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალ მმართველად და რატომ არ ჰქონდა ურთიერთობა გიორგი ჟორდანიას მამასთან შვიდი წლის განმავლობაში



გვ. 35

რა ოცნება აისრულა თიკა ალავიძემ და რაში აიღო მან ტაიმაუტი ზაზა ფაჩულიასთან ერთად



გვ. 78

როგორ მოიხიბლა ბარბრა სტრეიზანდი თინათინ ჯაფარიძის მიერ პირადად მისთვის დაწერილი სიმღერით და რა სთხოვა მას თავის დროზე სელინ დიონმა



რა საერთო აქვს ქართველ ნინა დათეშიძეს „ალტერნატიულ მოდელობასთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“

გვ. 47



გვ. 42

რატომ არ ბრუნდება გურამიკო ლომიძე სამუდამოდ საქართველოში და რაში უმართლებს მას ხშირ შემთხვევაში



გვ. 50

დატოვებს თუ არა სოფო გელოვანი საქართველოს და რატომ აშიმშილებს ის მეორე, „აყვანილ“ შვილს



გვ. 51

ვინ ჩაითრია სალომე ქაჯუამ ცეკვის სამყაროში და რას არ დანებდა ის წლების წინ

# გილოცავთ დედის დღეს!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ ტიროდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის დროს ზურაბ ჟვანია კრწანისის რეზიდენციის დარბაზის ბუხართან ... 6



როგორ ავლენენ ცივილიზებულ ქვეყნებში ჯაშუშებს, რატომ არ აკავებენ მათ და როგორ იყენებენ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ ... 8

რა მეთოდებს მიმართავს ნარკომანი ახალ-ახალი ნარკოტიკული საშუალებების შესაქმნელად და რატომ არის აუცილებელი აფთიაქებში ნაყიდი მედიკამენტების კონტროლი ... 9

ვის სასარგებლოდ თქვა უარი სამეფო ტახტზე ნიდერლანდების დედოფალმა ბეატრიქსმა და რა როლი დაეკისრება სამეფო ოჯახის ცნობილ ეტლს 2013 წლის 30 აპრილს ... 12

რომელი ბრაზილიელი მილიარდერი ქალის კომპანია აკონტროლებს სამხრეთ ამერიკის ფასიან ავტომაგისტრალებს და რომელი ცნობილი ესპანური კომპანიის მფლობელია ესპანელი მილიარდერი რაფაელ დელ პინო კალვო-სოტელო .... 13

რა პირობა შეუსრულა გიორგი ზერეკიძემ მამას გარდაცვალებამდე ციხეში და როგორ მიულოცეს მას სტუდენტობა ქსანში ... 14

ადვოკატი გირჩევთ ... 16

ვინ დაინიშნა ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალ მმართველად და რატომ არ ჰქონდა ურთიერთობა მამასთან გიორგი ჟორდანიას შვიდი წლის განმავლობაში ... 18

რა ხდება ქეთათო ჩარკვიანის პირად ცხოვრებაში, როგორ ექსპერიმენტებს ატარებს ის საკუთარ თავზე და ვისთან რომანს აბრალებენ ... 19

რას ვერ ეგუებიან მამაკაცები ქორწინებაში და რა არ ესმის ზოგიერთ ცოლს ... 20

როგორ ეძებს ბიოლოგიურ დედას ქუთაისში მცხოვრები 27 წლის მამაკაცი და რისი იმედი აქვს მას ... 21

რომელი ცნობილი საავადმყოფო აჩუქა თბილისს სომეხმა მეცენატმა მიქაელ არამიანცმა და რის გამო აფენდა მის სახლთან ბალახს ქალაქის მოსახლეობა ... 23

როგორ წარმოიშობა ფიქრის შემდეგ



ცოდვები და ვნებები და რა შემთხვევაში არის ადამიანი ბოროტისგან ნაკლებად დაცული ... 24

რომელი ბრაზილიელი ტალანტები მოხვდნენ პლანეტის ყველაზე ძვირად ღირებული ახალგაზრდა ფეხბურთელების ტოპ-თხუთმეტეულში......26



ექიმის რჩევები.....29



როგორ დადიოდნენ დეზერტირების ბაზარში ირაკლი აბაშიძე და კენედი და რა გადაიტანა მან სტუმრად ჩამოსული ჰარი ბელაფონტეს გამო ... 30

როდის ხდება სურნელის ძალა ორ ადამიანს შორის სასიყვარულო უხილავი ძაფების გამბმელი.....32



რომელი ადგილი დაიკავა სექსუალური მამაკაცების რეიტინგში ინტელექტუალმა ვუდი ალენმა – მისი ფობიები და საყვარელი ქალები ... 34

რა ოცნება აისრულა თიკა ალავიძემ და რაში აიღო მან ტაიმაუტი ზაზა ფაჩულიასთან ერთად ... 35

რატომ არ ბრუნდება გურამიკო ლომიძე სამუდამოდ საქართველოში და რაში უმართლებს მას ხშირ შემთხვევაში ..... 42

დატოვებს თუ არა სოფო გელოვანი საქართველოს და რატომ აშიშმილებს ის მეორე, „აყვანილ“ შვილს ... 50

ვინ ჩაითრია სალომე ჭაჭუამ ცეკვის სამყაროში და რას არ დანებდა ის წლების წინ ... 51



ვინ არიან ქართველი ჰომერიდები და რატომ დააჯილდოეს მანანა ხომერიკი კუნძულ ქიოსზე ჰომეროსის ოქროს მედლით......52

რატომ არ ჩქარობდა თეა დანელია მეორე ოჯახის შექმნას და როგორ მოხიბლა ის მომავალმა მეუღლემ „შკურკასავით“ ხელებით......54

კოსმეტოლოგის რჩევები ... 55

როგორ გახდა მკვლელი ცნობილი ქართველი პროფესორი ... 56

როგორ აქცია თაღლითმა მამაკაცმა ყოფილი სიდედრი დამნაშავედ და როგორ გააქრო მან სახლში სისხლის კვალი ... 58

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .... 59



ვეტერინარის რჩევები.......64

მე – დაქირავებული მკვლელი.....66

მკვდარი ვერსია.........74

როგორ მოიხიბლა ბარბრა სტრეიზანდი თინათინ ჯაფარიძის მიერ პირადად მისთვის დაწერილი სიმღერის მუსიკით და რა სთხოვა მას სელინ დიონმა ... 78

მთვარის რომელ ფაზაში გროვდება ორგანიზმში ცხიმები და როდის ჯობია განტვირთვის დღეების მოწყობა ... 80

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ....... 81

რატომ არის განსაკუთრებულად საშიში და ყურადღებამისაქცევი ამ სეზონზე თავის ტკივილი, თავბრუხვევა, სისუსტე და ძილიანობა ... 82



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი

კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

| რედაქციის მისამართია: | ტელ: 233-42-24; | სარეკლამო სამსახური: | დამფუძნებელი: | ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge |
|---|---|---|---|---|
| თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14 სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის“ უკან) | 599 10-15-20<br>221-31-12 | 593 38-75-61; 221-31-34 | შპს „თბილისელები პლუსი“<br>იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“ | ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge<br>tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com |

# ძმური რჩევა

## დაგვიანებული გამოცდილება

რაკი **„მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს“,** სავსებით **ბუნებრივია, რომ პრემიერ-მინისტრისა და ბიზნესმენების აგერ უკვე მეორე შეხვედრამაც მშვიდად** და **ფრიად სიამტკბილობაში ჩაიარა** (უფრო მეტიც, ეს **სიამ-სიმტკბილე ერთგვარად მომხმარებელზეც აისახა**, მაგალითად, **„ლუკოილის“ „პრემიუმი“, რომლის ერთ ლიტრში 2,35 თეთრს ვიხდიდი**, ახლა უკვე 2,15 თეთრია, **„ვისოლმაც“ დაგვაფასა** და, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ **„აპი-სუპერი“ სულაც არ ყოფილა იტალიური „აპი-სუპერი,“** ხოლო, **თუკი აქამომდე 5 ამპულა დიკლოფენაკში 25 ლარს იხდიდით,** დღეს ეს **5-ვე უკვე 2 ლარამდე დაგიჯდებათ**).





ერთი სიტყვით, **ჯერჯერობით ყველა კმაყოფილია** (თითქმის **ისე, როგორც სიყვარულში**) და, **თუ პრემიერის დაპირებით ვიმსჯელებთ, ამ კმაყოფილებას ზრდის პერსპექტივაც აქვს**. კერძოდ, ბ-ნი ივანიშვილი ირწმუნება, რომ **მთავრობა ბიზნესში ხელის ფათურს თავს შეუქცევადად დაანებებს** და მის ამ მოსაზრებას **სრულიად საქართველოს ბიზნესმენთა არმიაც იზიარებს და მიესალმება,** მათ შორის, **„საქართველოს ბანკის“ გენდირექტორი ირაკლი გილაურიც**. სახელდობრ, ამ უკანასკნელის აზრით, **რაც შორს იქნება მთავრობა ბიზნესისგან, მით უკეთესი.**

მეტი სიზუსტისთვის მოვიშველიებ ციტატას: „მნიშვნელოვანია ამ მთავრობის ინიციატივა, რომ ბიზნესი იყოს რაც შეიძლება მეტად თავისუფალი ხელისუფლებისგან. **როცა ბაზარი აბალანსებს მოთხოვნა-მიწოდებას, კონკურენცია ჯანსაღია, ბიზნესი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე უფრო განვითარდება.“**

თუ გავისხენებთ, რომ **ირაკლი გილაური** ყოფილი პრემიერ-მინისტრის, **ნიკა გილაურის ძმაა**, იბადება ლოგიკური კითხვა: **მსგავს ძვირფას რჩევებს საკუთარ ძმას რად არ აძლევდა?!**

# უგემოვნო

ისე მოხდა, რომ **უმცირესობა-უმრავლესობას შორის საპარლამენტო ტრიბუნასთან** თუ **მის გვერდით განვითარებული მოვლენების პათოსი შემდეგნაირია**: ჩემი შენ გითხარიო, **გული მოგიკალიო.**



ჰოდა, რადგან **გულმოკლულების სიმცირეს არ ვუჩივით**, სავსებით, **ბუნებრივია, რომ უმცირესობას „დარბევა“ 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარი შეხლა-შემოხლა ჰგონია, უმრავლესობის მხარდამჭერებს – 26 მაისის** (დანარჩენების ჩამოთვლით თავს აღარ შეგაწყენთ).

ერთი სიტყვით, **უმცირესობას პოლიციის უმოქმედობა არ მოსწონს**, ამიტომაც, სახელდობრ, **უმცირესოელმა ხალხის რჩეულმა** ბ-ნმა ბეჟაშვილმა საპარალმენტო ტრიბუნიდან **განგაშის ზარები დაარისხა** (პოლიციელის მუნდირის ღირსების გადასარჩენად): **„პოლიციელის შეურაცხყოფაა, როცა სამინისტროდან ათავისუფლებენ პროფესიონალებს** და **თანამდებობებზე ნიშნავენ ნათესავებსა და ოჯახის წევრებს**“. თუ გავითვალისწინებთ, რომ **ბოლო 9 წელია, თანამდებობებზე ნათესავ-მეგობრები ინიშნებოდნენ**, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ის ტრადიცია გრძელდება, რაც ბ-ნი ბეჟაშვილის პარტიამ დიდი რუდუნებით დაამკვიდრა.**

## ანუ, მანიაკები თუ „შემოიხედე, გენაცვალე“

თუმცა, ხსენებული ბ-ნი მხოლოდ ამაზე არ ჩერდება და იქვე განაგრძობს: **„შეურაცხყოფაა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ათასობით წევრია დაკითხვაზე დაბარებული**, ხალხმა უკვე ხუმრობით **პოლიციას ლამის „შემოიხედე, გენაცვალე“ დაარქვა.“**

საბოლოოდ, ხალხის რჩეული ასკვნის, რომ **„უმრავლესობაც და უმცირესობაც პოლიციის ღირსებას უნდა უფრთხილდებოდნენ.“**

თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, **როდესაც** ბ-ნი **ბეჟაშვილი კონტროლის პალატას ხელმძღვანელობდა** (ეს კი პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე იყო), **ასევე ათასობით ადამიანს იბარებდნენ დაკითხვაზე** (ანუ, ტრადიცია აქაც გრძელდება), ზედაც, **ისე საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ, რომ ფეხსაცმელებსაც კი ხდიდნენ**, იქნებ **მუნდირის ღირსების აღსადგენად პოლიციელებს ვთხოვოთ დაკითხვაზე დაბარებულთა ტანისამოსისგან განძარცვა?!**



ხოლო, თუ ამას ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე გავრცელებულ ახალ ვიდეოფირს დავუმატებთ, რომელშიც **ერთ-ერთი პოლიციელი აზუსტებს: „მოკვდა?! ნახე, მოკვდა?!“** პირადად მე, **მანიაკ პოლიციელს „შემოიხედე, გენაცვალე“ მირჩევნია.**

# დამპატიჟე

ჯერჯერობით კვლავაც **უცნობია, როდის მიიწვევს პარლამენტი პრეზიდენტს** ყოველწლიური ანგარიშის მოსასმენად. მეორე მხრივ, თავად **პირველი პირი ისე შეწუხებულა** (ჩემს თავს არ ვჩივი, კონსტიტუცია ირღვევაო), **საკანონმდებლო ორგანოში ღია წერილი უფრენია** (პათოსით: **„დამპატიჟე“).** თუმცა, **პარლამენტის თავმჯდომარე ირწმუნება, დავპატიჟებთ,** ოღონდ, მას შემდეგ, **რაც კანონმდებლებს ჩვენს უფლებებს დაგვიბრუნებსო.**



ხოლო, **ვიდრე გადაპატიჟების ორომტრიალში ვართ, პრეზიდენტი** მაინც **გვანებივრებს თავისი მომართვებით**. სულ ბოლოს მან **სამწყსოს გასულ კვირას გაგვესაუბრა** და ბევრ სხვა რამესთან ერთად **2008 წლის აგვისტოს ომის აქამდე უცნობი მოტივები შემოგვთავაზა.**

ოთხ-ნახევარი წლის შემდეგ **მთავარსარდალი გამოგვიტყდა, რომ რფ-ის მიზანი არა ჩვენი ტერიტორიების მითვისება**, არამედ, **პრეზიდენტის ლიკვიდაცია ყოფილა.** მომყავს ციტატა გამოსვლიდან: „მინდა ყველას ერთი რამ შევახსენო, **2008 წელს ვლადიმირ პუტინმა მთელი მსოფლიოს თვალწინ საჯაროდ გამომიტანა სასიკვდილო განაჩენი, რომელიც**

## ანუ, „პრეზიდენტი მიხეილი – მესიის მახვილი“

**არ გაუუქმებია**, რადგან, როგორც წესი, ის მსგავს საკითხებზე უკან არ იხევს. ეს **განაჩენი მან გამომიტანა იმის გამო, რომ მე ჩემი ქვეყანა დავიცავი და ჩემს მეგობრებთან და ქართველ ხალხთან ერთად გადავარჩინე საქართველო.**

ნუთუ მართლა გგონიათ, რომ **რუსეთმა ამხელა ომი ატეხა და თავის თავს ზიანი მხოლოდ იმის გამო მიაყენა, რომ იგივე ტერიტორია ეკონტროლებინა, რომელსაც ისედაც აკონტროლებდა** (ცნობისთვის: რფ ვერ აკონტროლებდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს, ახალგორსა და კოდორის ხეობას)?

დიახ, **მან საჯაროდ მომისაჯა მე სიკვდილი** და **არ შემშინებია ბევრად უფრო სერიოზული სუბიექტის მიერ გამოტანილი განაჩენის**. ამის შემდეგ, ლაპარაკი იმაზე, რომ მე ადგილობრივი წვრილმანი შანტაჟისტების მეშინია, უხერხულია და სასაცილო.“

ხოლო, რაკი ასეა, ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა, სანამ გვიან არ არის, **საქართველოს მადლიერ მოსახლეობას მთავარსარდლის სიმამაცის უკვდავსაყოფად ამ ჩვენს ლარზე წაეწერა: „პრეზიდენტი მიხეილი – მესიის მახვილი“!**

# ზეწოლილი

მართალია, **„ნაციონალური“ ხელისუფლება სისხლის ბოლო წვეთამდე ეწინააღმდეგებოდა „მასთ ქერისა“ და „მასთ ოფერის“ პრინციპის შემოღებას**, თუნდაც, წინასაარჩევნოდ და **პანტაპუნტით აპატიმრებდა სატელიტურ თეფშებს**, რაც საქართველოს რეგიონების მოსახლეობას ყველა სატელევიზიო არხის მიღების საშუალებას უსპობდა, მაგრამ, **ხანი გამოხდა და, თუმცა „რუსთავი 2“ თავის „საზოგადოებრივ არხიანად“ კვლავაც მშვიდად მაუწყებლობს** (მეტიც, იოტისოდენა უხერხულობასაც არ გრძნობენ, „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდის იარაღად რომ ასოცირდებოდნენ და ასოცირდებიან), **პრეზიდენტისა და მისი თანაგუნდელების ლექსიკაში თავისუფალი მედიის დაცვის მოტივებმა იმატა.**



ასე, მაგალითად, გასულ კვირას **ტელეკომპანია „იმედის “ საქმეზე დაკითხვაზე მყოფმა გიორგი არველაძემ ეს ქმედება „თავისუფალ მედიაზე ზეწოლად“ შეაფასა.** მომყავს ციტატა: **„მე ვარ ინტერნ-**

## ხელები შორს – „თავისუფალი“ მედიისგან!

**ეტ-პოლიტიკური პორტალის – „პოლიტიკო.ჯი-ს“ მთავარი რედაქტორი.“** ხოლო, **რადგან არის, ჟურნალისტური გამოძიებაც გამოუცხვია** და ამიტომაც **მიაჩნია, რომ მისი დაკითხვაც მისთვის ჟურნალისტური გამოძიების სურვილის დაკარგვას ემსახურება** (თუმცა, გვპირდება, რომ ამ ჟინს არ ჩაიკლავს). კვლავ ციტატას მოვიშველიებ: „საინტერესოა ის ფაქტი, რომ **ჩემი დაბარება მთელი ამ დროის განმავლობაში მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ დავდეთ ჟურნალისტური გამოძიება რაფალიანცის შესახებ** და, **მიმაჩნია, რომ ჩემი დაკითხვა სწორედ თავისუფალ მედიაზე ზეწოლაა.“**

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვიცით, **რა მოტივები ამოძრავებს პროკურატურას,** თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ბ-ნი **არველაძე ეკონომიკის მინისტრიც იყო**, არ არის გამორიცხული, **მისი დაკითხვაზე დაბარება ქართულ ეკონომიკაზე ზეწოლის მცდელობად აღვიქვათ**. ერთი სიტყვით, **ენას ძვალი არ აქვს, მაგრამ**, როგორც ოკუპანტები იტყვიან: **„ნე დო ტაკოი ჟე სტეპენი“?!**

# ცხენი – საქონელში

## „როცა გშია...“

სოფლის მეურნეობის ჩვენებური მინისტრისგან ორიოდე კვირის წინათ შევიტყვეთ, რომ **საქონლისად შეფუთულ ცხენისა და ვირის ხორცს მივირთმევდით**. ბუნებრივია, ეს ყოველივე **ჩვენს განვითარებადობას დავაბრალეთ** (ღარიბთა ქვეყანაში ვირის ხორციც საქმეა), თუმცა, **აღმოჩნდა, რომ საქმე უკეთ არც ევროკავშირელებს ჰქონიათ**.

კერძოდ, ლაბორატორიული ანალიზით, საკვების მწარმოებელი უდიდესი **შვეიცარიული კომპანია „ნესტლეს“ ხორცპროდუქტებში ცხენის ხორცი აღმოჩნდა**. მართალია, **ვითარ-**



**ება არც ისე მძიმეა, როგორც ჩვენთან, რადგან,** იტალიისა და ესპანეთის მარკეტებიდან ამოღებული **საქონლის ხორცის ნახევარფაბრიკატებში ცხენის ხორცის შემცველობა მხოლოდ 1 პროცენტი ყოფილა,** მაგრამ, **ამის მიუხედავადაც, კომპანიამ პროდუქციის გაყიდვა შეაჩერა**.

უფრო მეტიც, **საქონლის გაყინულ ნახევარფაბრიკატებში ცხენის ხორცი** ევროპის რამდენიმე ქვეყანაში **აღმოაჩინეს: დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ირლანდიაში, ესპანეთში, იტალიასა და რუმინეთში.**

იმის გათვალისწინებით, რომ **თვით ევროკავშირელებისთვისაც კი უკადრებიათ ცხენის ხორცი**, ადვილი წარმოსადგენია, **რა ორომტრიალი იქნება ჩვენებურ ნახევარფაბრიკატებში**. თუმცა, სახელდობრ, **ჩვენთან მიმართებაში, ისიცაა, როცა გშია,** ზაქარია, ცივი მჭადიც (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ცხენის ხორციც) შაქარია.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
მობილურებიდან
0902 200 244

ზარი ფასიანია

# ხალვათად და ჰაერზე

## აპრილის თეზისების მოლოდინში

მართალია, **დაანონსებული ინფორმაციით, პარტიაში მატება უნდა ყოფილიყო** (გენმდივანმა ბ-ნმა მერაბიშვილმა დაგვაიმედა, რომ ახალ სახეს ელოდნენ, თანაც სხვა პარტიიდან), თუმცა, **საბოლოოდ, ყველანი 19 აპრილს რუსთაველის გამზირზე, ძველი პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქციაზე მიგვიპატიჟა**. მთლად ყველანიც არა, **მხოლოდ პატრიოტები, რომელთათვისაც მთავარი საქართველოს პროდასავლური სვლაა** და **არა პარტიულ-მერკანტილური მოტივები.**



რთული სათქმელია, **რატომ დაანონსდა საპროტესტო აქცია** თითქმის **ორი თვით ადრე,** განსაკუთრებით, **ამ მეტეორების ცვენის ეპოქაში** (რადგან 19 აპრილამდე, ამ კოსმოსის გადამკიდე, შესაძლოა, **თუ მთლად თავში არ მოგვხვდება, მეტეორის ნამსხვრევი ფეხებში მაინც გაგეჩხიროს**).

თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **„ნაცმოძრაობა“ დეცენტრალიზაციის თავგადაკლული მომხრეა** და ამის **მთავარ ატრიბუტად პარლამენტის ქუთაისში დატოვება მიაჩნია**, ვფიქრობ, უპრიანიც იქნებოდა და **პოლიტიკურად მართებულიც, თუკი საპროტესტო აქციას ქუთაისის პარლამენტის შენობის წინ გაშლიდნენ (**თან, **ჰაერზე და, ზედაც, ხალვათადაც იქნებოდნენ)!**

**ვალერი ხაბურძანიამ თანამდებობა საკმაოდ უხმაუროდ დატოვა და არც 9-წლიანი „ნაციონალური“ მმართველობის წლებში უაქტიური, თუმცა ახლახან გაირკვა, რომ შესაძლოა, დაბრუნდეს და, მეტიც, პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალაც შექმნას. დაბრუნება სავსებით ბუნებრივი სურვილი და, რა თქმა უნდა, საქართველოს ნებისმიერი მკვიდრის უფლებაა, თუმცა მაინც უჩვეულოა, როდესაც უშიშროების ყოფილი მინისტრი კონკრეტული პოლიტორიენტაციის სურვილს ამჟღავნებს. თუმცა არანაკლებ საინტერესოა, 2003 წლის რევოლუციის ვალერი ხაბურძანიასეული ხედვა და სიტუაციის ანალიზი, რასაც ექსმინისტრი თვითონ მოგვიყვება.**

# რატომ ტიროდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის დროს ზურაბ ჟვანია კრწანისის რეზიდენციის დარბაზის ბუხართან



**შევარდნაძე ისე წავიდა, ყველანი ხახამშრალი დაგვტოვა, მათ შორის, ის ხალხიც, რომლებსაც მართლაც რაღაც გარანტიები სჭირდებოდა. ნახეთ, დღევანდელი ხელისუფლება როგორ იბრძვის თითოეული თავისი წევრისთვის?!**

**– საბოლოოდ, მაინც როდის აპირებთ ჩამოსვლას?**

– რატომღაც, ფიქრობენ, რომ მე უახლოეს დღეებში უნდა ჩამოვიდე და გავშალო პარტიული საქმიანობა. ეს შეხედულება მცდარია. თუ ჩამოვალ, მხოლოდ პირად საქმეებზე და, ამავდროულად, შესაძლოა, გავმართო კონსულტაციები და შეხვედრები, მაგრამ აქტიურ პარტიულ საქმიანობას საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ თუ დავიწყებ. ისიც დამოკიდებულია იმ სიტუაციაზე, რაც იმ დროისთვის შეიქმნება. ზოგადად, ვაპირებ პრორუსულ პარტიებთან ან ასეთი შეხედულების მქონე ჯგუფებთან და ადამიანებთან ურთიერთობას, მაგრამ, თუ ამ საქმიანობის საფუძველი არ იქნა, ძალით თავს ვერ მოვახვევ ვინმეს?!

**– რას გულისხმობთ სათანადო საფუძვლებში და რატომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? რუსი ექსპერტები ამბობენ, რომ საქართველოში ჯერ არ დასრულებულა ორხელისუფლებიანობა და ამიტომ რუსეთი მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ გადადგამს რეალურ ნაბიჯებსო. თქვენც ფიქრობთ, რომ ორხელისუფლებიანობაა და ამის დასრულებას ელოდებით?**

– ნუ გავართულებთ, საქმე გაცილებით მარტივადაა. იმდენად, რამდენადაც დღეს პრორუსული ვექტორი არ არის მოდაში საქართველოში, სანამ ელექტორატი არ იქნება გულახდილი და უფრო თამამი, მანამდე პოლიტიკურ პროცესებში, მით უმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა არასერიოზულია. ასეთ პირობებში პრორუსმა კანდიდატმა რამდენი ხმა უნდა დააგროვოს?! წაგებულ ბრძოლაში შესვლას აზრი არ აქვს. ეს არის მომავლის პერსპექტივა. ახლა მიდის ნიადაგის მოსინჯვა და, თუ რეალობა მოგვცემს საშუალებას, რომ ეს ანგარიშგასაწევი ძალა იყოს, მაშინ იქნება ეს აქტივობა, თუ არადა, პარტიული აქტივობა არ იქნება. ამდენად, დავაკვირდებით, თუ პროცესები ამის საშუალებას მოგვცემს, ეს გადაიზრდება აქტიურ პარტიულ საქმიანობაში, მაგრამ ეს იქნება 2014 წლისთვის, მანამდე არანაირი აქტიურობა არ იგეგმება.

**– არის ერთი უხერხული მომენტი, თქვენ იყავით საქართველოს უშიშროების მინისტრი და ყოფილი უშიშროების მინისტრი აყალიბებს პრორომელიღაც პარტიას, არ აქვს მნიშვნელობა ეს პროამერიკულია, პროფრანგული თუ პრორუსული.**

– არანაირ უხერხულობას არ ქმნის, რადგან მე ვიყავი საქართველოს უშიშროების მინისტრი და იმისდა მიხედვით, რა სჭირდებოდა ქვეყანას, ვაკეთებდი გარკვეულ აქცენტებს. სჭირდებოდა ამერიკელებთან ურთიერთობა? ვაკეთებდი აქცენტებს ამერიკელებთან ურთიერთობაზე? გვჭირდებოდა რუსებთან ურთიერთობა? ვაკეთებდი აქცენტებს რუსეთთან ურთიერთობაზე; გვჭირდებოდა ამ ორი ურთიერთობის ერთმანეთთან შერწყმა? ვაკეთებდით ამის შერწყმას. მე ვიყავი მინისტრი, ალბათ, ერთ-ერთი პირველი, ვინც შეძლო ამერიკის სადაზვერვო სამსახურისა და „ეფესბეს“ ერთ მაგიდასთან დასხმა და ერთი საქმიანობისთვის გაერთიანება.

**– მე მახსოვს ინტერვიუში, რომელიც თქვენგან ავიღე, როდესაც უშიშროების მინისტრი იყავით, თქვით, მოვახერხე ამერიკული და რუსული ინტერესების საქართველოში ერთმანეთთან დამთხვევაო. მაშინ არ გაგიშლიათ ეს თემა. რაში გამოიხატებოდა ინტერესების დამთხვევა?**

– მაშინ იყვნენ პირები, რომლებსაც ამერიკელები ეძებდნენ და რომლებიც იმყოფებოდნენ პანკისში და იყვნენ პირები, რომლებსაც ეძებდნენ რუსები და ისინიც იმყოფებოდნენ პანკისში. ჩვენ ვაღიარეთ ფაქტი, რომელიც ორივე მხარემ იცოდა. ერთობლივად დავსხედით სამივე მხარე, შევადგინეთ გეგმა და ამ გეგმის მიხედვით გაიწმინდა პანკისის ხეობა. რის შედეგადაც ხეობა საქართველოსთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა და ორივე მხარემაც დაიკმაყოფილა თავისი ინტერესები.

**– მხოლოდ ეს ერთი მცირე ეტაპი იყო?**

**მე ვიყავი მინისტრი, ალბათ, ერთ-ერთი პირველი, ვინც შეძლო ამერიკის სადაზვერვო სამსახურისა და „ეფესბეს“ ერთ მაგიდასთან დასხმა და ერთი საქმიანობისთვის გაერთიანება**

– ეს არ ყოფილა პატარა ეტაპი, ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდით და შემდგომში ნარჩენი პროცესების გამო ეს თანამშრომლობა გრძელდებოდა. სანამ მე ვიყავი უშიშროების მინისტრი, რუსეთის, ამერიკელებისა და ჩვენი ერთობლივი საქმიანობა ანტიტერორისტული მიმართულებით მიდიოდა ძალიან აქტიურად. შემდგომ პერიოდში საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს მიმართულება შეასუსტა და რუსეთთან ურთიერთობაც გაფუჭდა.

**– საბოლოოდ, დღესაც ვერ გავარკვიეთ 2003 წლის პროცესებში რუსეთის მონაწილეობის დოზა. რა მოხდა რეალურად?**

– საქართველოში მაშინ მიმდინარე პროცესებზე 50 პროცენტი გავლენა მოახდინა მასმედიამ და, კერძოდ, „რუსთავი 2-მა“, ალბათ, 20-25 პროცენტი იყო ცალკეული პოლიტიკური ძალების აქტივობა და დანარჩენი 20 პროცენტი მოდიოდა საგარეო ძალების ზემოქმედებაზე, უპირველესად, აშშ-ზე და, მათ შორის, რუსეთზეც, მაგრამ ეს საგარეო ფაქტორი უფრო პასიური იყო. მაშინ პროცესები გადაწყდა საშინაო ფაქტორების გათვალისწინებით. ხალხი იყო გაბრაზებული, ხალხს უკვე მოსწყინდა როგორც ფინანსურად, ისე პოლიტიკურად გაკოტრებული ხელისუფლება და ამ პროცესების შედეგი იყო, რაც მოხდა. აიძულეს პრეზიდენტი გადამდგარიყო. ეს არ ყოფილა არანაირი რევოლუცია. პრეზიდენტი აიძულეს, გადამდგარიყო, ის გადადგა და მისი ადგილი დაიჭირა ახალმა ჯგუფმა, რომელმაც შემდგომში მოახდინა რევოლუცია. მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილის დროს ჩამოყალიბდა ვოლუნტარისტული ავტოკრატია.

**– თქვენ თუ გქონდათ ინფორმაცია, რომ ქვეყნის შიგნით არსებული ვითარების გამო 2003 წლის ნოემბერში პრეზიდენტს შეექმნებოდა საფრთხე? თუ გააფრთხილეთ ედუარდ შევარდნაძე?**

– არსებული ოპერატიული და პოლიტიკური ინფორმაციის ანალიზი გვაძლევდა იმის თქმის საშუალებას, რომ „მოქალაქეთა კავშირი“, მკვდარი ორგანიზაცია, რომლის რეანიმაციაც მოახდინეს დროებით, ვერ შეძლებდა არჩევნებში გამარჯვებას. ამიტომ შევარდნაძეს შევთავაზეთ ალტერნატიული ვარიანტი, თუმცა ამან შემდგომში გაგრძელება ვერ ჰპოვა.

**– კერძოდ?**

– მე ვთავაზობდი შევარდნაძეს, შეექმნა ალტერნატიული სია და პრეზიდენტი არ ჩასდგომოდა სათავეში არც ერთ პოლიტიკურ ძალას. იგი უნდა ყოფილიყო ნეიტრალური და არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალებს შეესრულებინა არბიტრის როლი. შესაბამისად, პოლიტიკურ მოღვაწეობას დაამთავრებდა თავის ვადაში და პოლიტიკური არენიდან წავიდოდა უფრო ღირსეულად, ვიდრე ეს მოხდა ნოემბრის მოვლენების შემდეგ. ეს შეთავაზება იყო, მაგრამ გაგრძელება ვერ მოჰყვა იმის გამო, რომ არც შევარდნაძემ დაიჯერა ბევრი რამ და იმ ძალებმაც იმხდალეს, რომლებსაც უნდა შეექმნათ ალტერნატიული სია. შემდეგ ითქვა, რომ პროცესებში მე მივიღე მონაწილეობა, რაც აბსურდია. გახსოვთ, ალბათ, სწორედ იმ პარლამენტმა, რომელიც 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა და გამოაბუნძულეს, ტაშისკვრით დაამტკიცა ახალი მთავრობა.

**– საკონსტიტუციო ცვლილებებიც, რომელმაც ხელი შეუწყო პრეზიდენტ სააკაშვილის უფლებამოსილების იმპერატორის რანგში აყვანას.**

– დიახ, მინისტრებსაც კოცნიდნენ და რუსული ჟარგონი რომ გამოვიყენო, „გააპრავეს“ ყველაფერი. ამდენად, გაუგებარია, მე რას მაბრალებენ. ეს ერთი და იგივე ჯგუფი იყო: „ნაციონალური მოძრაობა“ ხომ „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ფრთას წარმოადგენდა, რომელიც მას გაემიჯნა. ცოტა ხნით რომ გადაწეულიყო არჩევნები, მას სააკაშვილი წააგებდა, იმიტომ რომ გაიზრდებოდა კონფრონტაცია მასსა და ჟვანია-ბურჯანაძეს შორის და შევარდნაძე მომგებიან ვითარებაში აღმოჩნდებოდა.

**– მაგრამ ვიტალი ხაზარაძით შევარდნაძე ვერანაირ არჩევნებს ვერ მოიგებდა.**

– ვიტალი ხაზარაძე არ იქნებოდა ახალ სიაში. თუ არჩევნების შედეგები გაუქმდებოდა და ახალი არჩევნები დაინიშნებოდა, რა თქმა უნდა, უკვე გადავარწმუნებდით შევარდნაძეს, რომ სხვა, ახალი სახეებით შეედგინა სია და თვითონ არ ეხელმძღვანელა არც ერთი პოლიტიკური ძალისთვის. მაშინ „ნაციონალური მოძრაობის“ შანსი ნულის ტოლი იქნებოდა. გუშინდელი დღესავით მახსოვს, როდესაც ჟვანია-სააკაშვილი გამოემართნენ კრწანისის რეზიდენციისკენ, რომელიც ხალხით იყო გარშემორტყმული. შევარდნაძემ გადაწყვიტა მათთან გასვლა და მიმართა მხოლოდ ავთანდილ ჯორბენაძეს, შენ გამომყევიო. ისეთი სახით გავიდა, რომ მაშინვე ვუთხარი პაპაშვილსა და ნარჩემაშვილს, შევარდნაძე გადადგება-მეთქი. მათაც ეგ-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**სვეტლანა ალეგროვა-ჯაჯანიძე** *(56 წლის, დიასახლისი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ***რევმატოდული პოლიართრიტი.*** ხუთი წელია, რაც სახსრების ტკივილმა შემაწუხა. ჯერ მტკიოდა კისერი, მხრები, ხელები; თითები მისივდებოდა. მერე მუხლებიც ამტკივდა, ზოგჯერ სიარულიც კი არ შემეძლო. ვმკურნალობდი. სულ ექიმებთან დავდიოდი და წამლების სმაში ვიყავი. ჰორმონები დამინიშნეს და ამის გამო გავსუქდი, დავსივდი, სახეც შემიშუპდა. ბოლოს დავიღალე და ყველაფერს თავი დავანებე. ვიფიქრე, გინდა ავადმყოფობამ მომკლას და გინდა – წამლებმა-მეთქი... ძალიან ცუდად ვიყავი, ძალიან ნერვიულობდა ჩემი ოჯახი... მანანა ექიმის შესახებ ბევრმა მირჩია. ბოლოს ჟურნალშიც ვნახე, ინტერნეტშიც მოვძებნე და მოვედი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, ასე იყო: პირველივე პროცედურამ საუკეთესო ეფექტი მომცა, დილით ჩიტივით წამოვფრინდი, სადღა იყო ის სიმძიმე და ტკივილები, თითებიც ერთ ღამეში დამიცხრა. ორ-სამ დღეში მუხლებიც დაცხრა და ნორმალურად გავიარე. ისეთი ბედნიერი ვარ, ლაპარაკიც მიჭირს... მანანა ექიმის მადლიერი ვიქნები მთელი სიცოცხლე. ღმერთმა სიკეთე არ მოაკლოს მის ოჯახს.



**ლევან ჩანადირი** *(45 წლის, ეკონომისტი. მუხრანი).*

**დიაგნოზი**: ***ხერხემლის ოსტეოქონდროზი, იშიასი.*** დეკემბერში მაგრად გავცივდი. სიმძიმეების აწევაც მომიხდა. მაშინვე ვიგრძენი, რომ წელის არეში რაღაც ამტკივდა, მერე ეს ტკივილი გავრცელდა თეძოზე და მთელი ფეხი ჩაითრია. ტკივილი განსაკუთრებით ღამით მაწუხებდა და არ მაძინებდა. ნევროპათოლოგს ვეჩვენე. ნემსები გამომიწერა, მაგრამ, შედეგი ვერ მივიღე. მერე შემიცვალა წამლები – არც იმან მიშველა. დაზღვევით კომპიუტერი გავიკეთე. დისკის თიაქარი აღმომაჩნდა. ოპერაცია არ ამცდებოდა, ამ კლინიკაში რომ არ მოვსულიყავი. ორ დღეში ტკივილი გამინახევრდა. ათი დღეა, დავდივარ და პროცედურებს ვიტარებ. ტკივილს თითქმის აღარ ვგრძნობ. ფეხი მიბუჟდებოდა, თითქოს ძალაც მეკარგებოდა. ესეც რამდენიმე დღეში მომეხსნა. მკურნალობას ვაგრძელებ დიდი იმედით და მადლიერებით, ულრმესი მადლობა მანანა ექიმს, სოსო ექიმს და კლინიკის მთელ კოლექტივს!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**კოტე სვანიძე** *(39 წლის, მომღერალი. თბილისი).* აქ ჩემი ახლობლის რჩევით მოვედი... ოპერაცია უკვე გადაწყვეტილი და დაგეგმილი მქონდა. ანალური ნაპრალი, კოლიტი – ეს იყო ჩემი დიაგნოზი. არ მეგონა, თუ ასეთ კარგ შედეგს მივიღებდი და, თან, ასე მალე. საშინელი ტკივილით მოვედი. არაჩვეულებრივი მალამოების წყალობით, პირველივე დღეს მქონდა შვება, ორ-სამ დღეში კი ტკივილი სრულიად მომეხსნა. ასევე ორ-სამ დღეში გამომისწორდა კუჭის შეკრულობის პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში მაწუხებდა. ყველაფრისთვის დიდი მადლობა ქალბატონ მანანას და მის ვაჟს – ბატონ სოსოს!

**რუსუდან თავხელიძე** *(52 წლის).*

**დიაგნოზი**: ***ჰემოროიდული დაავადება, მესამე ხარისხი, გართულებული სისხლდენით.*** ამ კლინიკაში თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვხვდი. მაწუხებდა ტკივილები, დისბაქტერიოზი, კვანძების გამოვარდნა, ქავილი, სისხლდენა. ჰემოგლობინი შემოსვლისას 54 მქონდა. თვალები მიჭრელდებოდა, სისუსტეს ვგრძნობდი. არაერთხელ ვიმკურნალე აფთიაქის თუ შინაური წამლებით, მაგრამ...

მინდა, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან საქვეყნოდ გადავუხადო მადლობა ქალბატონ მანანას გულისხმიერებისა და პროფესიონალიზმისთვის; იმისთვის, რომ ასეთი უებარი მალამოებით საოცარ შვებას ანიჭებს ადამიანებს. პირველივე კურსმა სერიოზული შედეგი აჩვენა: კვანძები დაცხრა, კუჭის მოქმედება გამოსწორდა, სისხლდენა საერთოდ აღარ განმეორებულა. მადლობა, მანანა ექიმო, ღმერთმა ჯანმრთელობა და ენერგია მოგცეთ!

დალოცვილი ყოფილიყავით!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

ონათ, რადგან რუსეთთან რაღაც ურთიერთობები მქონდა და ივანოვიც ჩამოფრინდა, რაღაც ვიცოდი და მითხრეს, რა იცი, მოსკოვიდან გითხრესო. მოსკოვი რა შუაშია, ამ კაცს სახეზე ეტყობა, რომ გადადგება და ყველას ასე დაგვტოვებს ხახამშრალს-მეთქი. ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი. ერთ საათში თუ საათ-ნახევარში კარი იღება, გამოდის გაფითრებული მიხეილ სააკაშვილი, შემდეგ – შევარდნაძე. მივხვდი, რომ ამათგან ვერაფერს გავიგებდი. შევედი დარბაზში და ვხედავ, ჟვანია ბუხრისკენ მიბრუნებული დგას და ბეჭები უთამაშებს. ხელი დავადე მხარზე, შემოტრიალდა, ტიროდა.

**– რა ატირებდა?**

– ისეთ რაღაცეებს მელაპარაკა ბატონი ედუარდი თავის ოჯახსა და მეუღლეზე, რომ გული ამიჩუყდაო. მივხვდი, რომ ჟვანიასგანაც ვერაფერს გავიგებდი, სასწრაფოდ გამოვბრუნდი. ჩამოვრბივარ კიბეებზე და ამ დროს მესმის შევარდნაძის ცნობილი ფრაზა: მივდივარ, სახლში. აი, ასე მარტივად ხდება ყველაფერი. ხალხს უყვარს გართულება და ხან კრემლის და ხან ვაშინგტონის ხელის ძიება, არადა, ზოგჯერ ყველაფერი ძალიან მარტივად ხდება პოლიტიკაში, იმიტომ რომ ამ პოლიტიკას ხშირად მარტივი ადამიანები ქმნიან. შევარდნაძეს არც ერთი ჩვენგანისთვის არ უთქვამს, რომ გადადგებოდა და ჩვენთვის მოითხოვდა გარანტიებს.

**– ეს სწორი სვლა იყო მისი მხრიდან?**

– მე ვფიქრობ, რომ ეს უპასუხისმგებლო სვლა იყო. სხვათა შორის, ბოლომდე მენდობოდა და ბოლო წუთამდე რაღაც დავალებებს მაძლევდა, მაგრამ, საბოლოოდ, ისე წავიდა, ყველანი ხახამშრალი დაგვტოვა, მათ შორის, ის ხალხიც, რომლებსაც მართლაც რაღაც გარანტიები სჭირდებოდა. არავისთვის არანაირი გარანტია არ აუღია და აბა ნახეთ, დღევანდელი ხელისუფლება როგორ იბრძვის თითოეული თავისი წევრისთვის?!

**– ერთია, რომ შევარდნაძე ბოლო წუთამდე გაძლევდათ დავალებებს, მაგრამ მეორე მხარესთან თუ გქონდათ კონტაქტი?**

– კონტაქტები მქონდა მხოლოდ ეროსი კიწმარიშვილთან. ერთადერთი კაცი, ვინც ხვდებოდა, რა ხდებოდა და იზიარებდა ჩემს პოზიციას, იყო ზაზა შენგელია, რომ დროებით დაგვეთმო, დაგვეფიქსირებინა რეალური შედეგი პროპორციული სისტემით არჩევნებში. ლაპარაკი იყო „ნაციონალური მოძრაობისთვის“ 36 ადგილის მიცემაზე. ესენი ამბობდნენ, 30 დავუწეროთო, იმიტომ რომ ის 6 ადგილი აკლდებოდა ვაჟა ლორთქიფანიძეს პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის. სხვათა შორის, ვაჟა ლორთქიფანიძე ხვდებოდა რეალობას, მაგრამ, თუ ეს 6 ადგილი დააკლდებოდა, ისიც გადადიოდა „ქორების“ მხარეს, რომლებიც ამბობდნენ, ამათ დედას ვუტირებთ, ვერაფერსაც ვერ გაბედავენ, ალყას შემოვარტყამთ პარლამენტს და ყველას დავიჭერთო. ნახეთ ვინმე დაჭერილი და დაპატიმრებული?! მე შეუვუშალე ხელი, დაეპატიმრებინა იმ უწყებას, ვისი ფუნქციაც ეს იყო.

გაგახსენებთ, პარლამენტს სამ კორდონად ჰქონდა შემორტყმული შინაგანი ჯარი და კიდევ იდგა დაცვის სამსახურის ორი კორდონი. პირველი, ვინც მათკენ გადავიდა, იყო გულუას ბატალიონი, ანუ პირველად შინაგანი ჯარი გადავიდა „ნაციონალების“ მხარეს. მე მაშინვე ვთქვი, რომ შინაგანი ჯარი ხალხს ვერ ესროდა. შემდეგ ამის გამოც მდებდნენ ბრალს, შენ რომ თქვი, ვერ ესვიან, ამან ფსიქოლოგიურად იმოქმედაო. მადლობა მითხრან, რომ არავინ დაიღუპა, თორემ არა მარტო ჩემი გვარი და ჯილაგი ამოიშლებოდა საქართველოდან.

**– რადგან ახლა პრორუსული ძალის ჩამოყალიბება გადაწყვიტეთ, ესე იგი, აღარ გგონიათ, რომ აშშ-სა და რფ-ის ინტერესების თანხვედრა შეიძლება საქართველოში?**

– მე იმიტომაც ვლაპარაკობ პრორუსულ ვექტორზე, რომ მინდა, გაჩნდეს ძალა, რომელიც დასავლეთის მიმართულებას კონკურენტს გაუჩენს. დღეს დასავლეთის მიმართულება ხვდება, რომ საქართველოში კონკურენტი არ ჰყავს და, როგორც სეთური ალოდინებდა ხალხს, ისე ველოდებით „ნატოსა“ და ევროკავშირს. ნუთუ ძნელია ჩვენი ამ ორგანიზაციებში მიღება, თუ ეს პრინციპული გადაწყვეტილებაა?!

**– ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს ნამუსი: რა პარამეტრით ვაკმაყოფილებთ „ნატოსა“ და ევროკავშირის სტანდარტებს?**

– იღებდნენ ასეთ გადაწყვეტილებას, როდესაც სჭირდებოდათ. ალბანეთის დონე შეესაბამებოდა მათ სტანდარტებს ან ბალტიისპირეთის, როდესაც მიიღეს?! მაგრამ მიიღეს გადაწყვეტილება. ჩვენ ვამბობთ, რომ გვაქვს პროდასავლური კურსიო. სად გვაქვს ეს კურსი? ხომ უნდა ვიცოდეთ, სად მივდივართ?! უბრალოდ ხდება ჩვენი კუბიზაცია: როდესაც ამოვარდნილი ხარ რეგიონული პრობლემატიკიდან და მოკავშირეებსა და პარტნიორს ეძებ სხვა კონტინენტზე, ხდება შენი კუბიზაცია.

**– როდესაც პრორუსულ ძალაზე ვსაუბრობთ, არის გადაულახავი პრობლემა – 2008 წლის ომი და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ეს ომი სააკაშვილმა დაიწყო თუ არ დაიწყო, პროვოკაციას წამოეგო თუ თვითონ მოაწყო. ამ ომში დაიღუპნენ ჩვენი თანამემამულეები და დავკარგეთ ტერიტორიები.**

– იცით, სერბეთში 2008 წელს არჩევნებში გაიმარჯვა პარტიამ „ევროპული სერბეთისათვის“. დაახლოებით იგივეა, ჩვენთან რომ პრორუსულ პარტიას გაემარჯვა. სერბეთს წაართვეს ნამდვილი სერბეთი, დაბომბეს „ნატომ“ და ევროკავშირმა, მაგრამ ის ხალხი მიხვდა, რომ ერთია ემოცია, მეორეა რეალობა: მათ ევროკავშირთან აქვთ საზღვარი და რუსეთთან იდენტიფიცირება ვერანაირად ვერ ხდება. ამდენად, რაციო ჰკარნახობს მათ, რომ ევროკავშირთან უნდა იყვნენ.

**– მაგრამ აშკარაა, რომ ევროკავშირი რუსეთზე გაცილებით უკეთესია.**

– ჩვენ გვინდა ვითამაშოთ ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ არ გვაქვს საამისო კვალიფიკაცია. მე კარგად ვიცი ეს თემები და ჰაერიდან არ მომსვლია პრორუსული პარტიის შექმნის აზრი.

**ნინო ხაჩიძე**

**ჯაშუშების თემა „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობისასაც იყო აქტუალური და ახლაც დარჩა, თუმცა აქტუალობის მოტივები სხადასხვანაირია. როგორ უვლიან განვითარებულ ქვეყნებში ჯაშუშობის თემას, როგორ იყენებენ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, როდის ახმაურებენ ან რა შემხთვევაში არ ახმაურებენ, ეს მხოლოდ ჯაშუშის გამომვლენი ქვეყნის შიდა საქმეა თუ იმ ქვეყნისაც, ვისზეც ჯაშუშობდნენ, – ამ შეკითხვებზე პასუხის მიღებას უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკისგან, ბესო ალადაშვილისგან შევეცდებით.**

# როგორ ავლენენ ცივილიზებულ ქვეყნებში ჯაშუშებს, რატომ არ აკავებენ მათ და როგორ იყენებენ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ



**ხშირად იციან, რომ ადამიანი აგენტია, მაგრამ თვალს ხუჭავენ, რომ დეზინფორმაცია შეაჩეჩონ**

– თუ სამართლებრივად განვიხილავთ, ეს არის სახელმწიფო დანაშაული. რადგან მიმართულია არა პიროვნების, არამედ სახელმწიფო სისტემის წინააღმდეგ. ამდენად, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დანაშაულია. ისტორიკოსები და სპეციალისტები ბიბლიაშიც კი პოულობენ ამ დანაშაულის ნიშნებს და, ალბათ, რაც ადამიანი გაჩნდა და სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა დაიწყო, ეს დანაშაულიც არსებობს. ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტი. მაგრამ არის ორი მიმართულება: არის სპეცსამსახურების საქმიანობა, რომელიც მიმართულია სხვა ქვეყნის საიდუმლოების გასაგებად და მეორეა სპეცსამსახურები, რომლებიც ამ საიდუმლოების დასაცავადაა შექმნილი, ანუ კონტრდაზვერვა. მარტივად რომ ვთქვა, ერთი მუშაობს ქვეყნის გარეთ, მეორე – ქვეყნის შიგნით. მაგალითად, შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს ეკრძალება ქვეყნის შიგნით ოპერატიულ-აგენტურული მუშაობა, თუმცა „პატრიოტის აქტმა“ ცოტა გაუფართოვა არეალი და იმავე შეერთებულ შტატებში კონტრდაზვერვის ფუნქციას ასრულებს გამოძიების ფედერალური ბიურო, რომელსაც ბოლო წლებამდე არ ჰქონდა ქვეყნის გარეთ საქმიანობის უფლება. ანუ ჩვეულებრივი საქმიანობაა: ვიცავ ჩემს საიდუმლოს და ამავდროულად მაინტერესებს, სხვაგან რა ხდება.

გლობალიზაციის პირობებში აგენტურული საქმიანობა საკმაოდ გავრცელებულია. გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაცია ყველაზე ძვირად ღირებული პროდუქციაა დღეს, მასზე ნადირობენ. ბოლო ათწლეულში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა და დღე არ გავა, რომელიმე ქვეყანაში სხვა ქვეყნის ჯაშუში არ გამოავლინონ, მაგრამ ამ საქმეში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დელიკატურობას და თამაშის დაუწერელი წესების დაცვას.

**– ჩვენ გვახსოვს 2006 წელს, თუ არ ვცდები, როგორ საზეიმოდ გადასცეს რუსეთს რუსეთის ჯაშუშები.**

– ეს არ იყო პირველი შემთხვევა, იმიტომ რომ, სამწუხაროდ, ბევრი რამ, რაც ვარდების რევოლუციიდან ხდება, არ ვიცით. ამასთან, არის განსხვავება მშვიდობიან პერიოდში და ომის დროს ჯაშუშობაში.

**– მეორე უფრო მძიმე იქნება.**

– რა თქმა უნდა. ჩვენთან ჯაშუშობა 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება და რუსეთის კანონმდებლობითაც დაახლოებით იგივე სასჯელია ქონების კონფისკაციით. როგორც წესი, ქვეყნები, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ერიდებიან ჯაშუშების თემის გამჟღავნებასა და გაფიარებას, თუმცა ყველამ იცის, რომ ყველა შპიონობს ერთმანეთზე და ეს მოსულა.

**– გასაგებია, მოხერხებულობაზეა, ვინ ვის გააცურებს.**

– მოხერხებულობაზე, პროფესიონალიზმზე, მიდის ათასნაირი თამაშები, არიან ორმაგი, სამმაგი აგენტები, ხდება დეზინფორმაციის გავრცელების მიზნით თვალის დახუჭვა. ხშირად იციან, რომ ადამიანი აგენტია, მაგრამ თვალს ხუჭავენ, რომ დეზინფორმაცია შეაჩეჩონ. მაგრამ აქ მთავარი რა არის: ცოდნა, რომ შენ გარშემო ჯაშუშები არიან, შეგიძლია, გამოიყენო. ესეც ხელოვნებაა, თუმცა შეგიძლია, დააკავო ისინი, პატრულის ფორმაში ლამაზად ჩაცმულ ვაჟებს და გოგონებს გადააცემინო და მსოფლიოში თავი მოჭრა რომელიმე სახელმწიფოს, აი, დავიჭირე შენი ჯაშუშებიო, მაგრამ მეორე საქმეა, რას მიიღებ აქედან.

**– თან, როგორც მივხვდი, ვერავის გააკვირვებ ჯაშუშების დაჭერით.**

– უფრო ასეთი აფიშირებით გააკვირვებ, იმიტომ რომ ამ სფეროში ასეთი აფიშირება არ მოსულა. ეს არის ხელოვნური გაღიზიანება მეორე ქვეყნის, რომელსაც უნდა დაუტოვო შელახული პატივმოყვარეობის აღდგენის საშუალება. რაც მთავარია: ჯაშუშობის დამტკიცება ურთულესი საქმეა. შეიძლება, თვეობით და წლობით ხდებოდეს ფარული თვალთვალი, ინფორმაციის შეგროვება. ბუნებრივია, ჯაშუშის დაკავება დამაჯერებელია, როდესაც მას დააკავებ საიდუმლო დოკუმენტებით ხელში. როდესაც ქუჩაში იჭერ კაცს და ეუბნები, ჯაშუში ხარ და რაღაც „ფლეშკა“ მოგაქვსო, ჩნდება ეჭვი, რომ სამხილი ხელოვნურადაა შექმნილი.

**არის ერთი ქართველი პატრიოტი კაცი ზაზა ხერკელაძე, რომელიც აგერ უკვე 5 წელია, დაპატიმრებულია რუსეთში საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობაში და დღემდე არ ვაღიარებთ, რომ ის საქართველოს მოქალაქეა**

**– „ნაციონალური მოძრაობა“ განგაშის ზარებს არისხებს, რომ ჯაშუშები გამოუშვეს პოლიტპატიმრობის მოტივითო, არადა, ჩვენ გვახსოვს, რომ მათაც გამოუშვეს მათ მიერვე ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული სიმონ კილაძე და სამი ფოტორეპორტიორი. ისინი, თუ ჯაშუშები იყვნენ, საშიშნი აღარ არიან? როგორ ხდება ხოლმე, ჯაშუშობისთვის დაკავებულებს რა შემთხვევაში უშვებენ, სიტყვაზე ენდობიან თუ მათგან გამოსწორების პირობას იღებენ?**

– განსაკუთრებით ბატონ სიმონ კილაძის საქმე შევისწავლე დაწვრილებით. მასაც იგივე ბრალდება წაუყენეს, რაც ფოტორეპორტიორებს, რომ თითქოს იცოდა პრეზიდენტის ვიზიტის განრიგი, რაც სრული აბსურდია. შემდეგ იყო „ენვერის“ საქმე. რამდენიმე დღის წინათ შევხვდი სამ მფრინავს მათივე თხოვნით და დაწვრილებით მიამბეს ყველაფერი. ექვსი მფრინავი დაიჭირეს ჯაშუშობის ბრალდებით, სხვა ხუთი მფრინავი კი, არ დაუკავებიათ, მაგრამ გამოყარეს ჯარიდან.

**– ამდენი მფრინავი თუ ჯაშუში იყო, დავღუპულვართ და ესაა.**

– ისმის კითხვა: ვისი ინტერესი იყო, რომ საქართველო, ფაქტობრივად, მფრინავების გარეშე დარჩენილიყო?! რომელთა მომზადებას სჭირდება წლები და ათასობით დოლარი?!

**– ლოგიკურია, ვივარაუდოთ, იმის ინტერესი იკვეთება, ვინც იმ დროს აშკარა მტრად მოიაზრებოდა.**

– დასკვნა მკითხველმა გააკეთოს.

**– ერთია, რომ 11 მფრინავის გაუვნებელყოფით დასუსტდა საქართველოს მფრინავთა კორპუსი, მაგრამ მეორე პრობლემაა, თუ ისინი მართლაც ჯაშუშები იყვნენ, საერთოდ არ გვყოლია მფრინავები.**

– საინტერესო საკითხები ირკვევა: ეს მფრინავები ომის დროს ასრულებდნენ საბრძოლო გაფრენებს, იცავდნენ საქართველოს უსაფრთხოებას, 2004 წლიდან იღებდნენ სახელმწიფო ჯილდოებს და მხოლოდ 2010 წლის ოქტომბერში აღმოჩნდა, რომ ისინი არიან ჯაშუშები. თურმე მათ უთვალთვალებდნენ 2005 წლიდან. აპრიორი არასდროს ვამტკიცებ, ვინ მართალია და ვინ – მტყუანი, მაგრამ ასეთ საქმეში სიჩქარე არ გამოდგება. სანამ არ დამტკიცდება დანაშაული, ადამიანი უდანაშაულოა და ისიც ფაქტია, რომ ძალიან ბევრი ქვეყნის ჯაშუშია ჩვენთან.

**– წარმოუდგენელია, რომ არ იყოს.**

– მაგრამ ძალიან უსუსური იყო მტკიცებულებები და დოკუმენტური მასალა. მფრინავები სიმწრის სიცილით ყვებოდნენ, როგორ იღებდნენ 3-4 დუბლს ფილმ „ენვერისთვის“. ამის შემდეგ იყო ფოტოგრაფების საქმე. თუ რაღაც სცენარი იწერება, სასურველია, უფრო ნიჭიერად დაიწეროს. თან მიაქციეთ ყურადღება: ეს ხომ ფუჭი გასროლები იყო?!

**– თუმცა ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ რუსეთს ეყოლება აქ თავისი ჯაშუშები.**

– თითქოს ჯაშუშებს იჭერდნენ და ამ დროს ნამდვილი ჯაშუშები აბსოლუტურად თავისუფლად მოქმედებდნენ.

**– კოკო გამსახურდიას თემა საერთოდ ანეკდოტურია: ჯერ ჯაშუშობაში ამხილეს, შემდეგ პარლამენტში მიიპატიჟეს, დახეული მანდატი შეუწებეს და, ბოლოს, საერთაშორისო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში დანიშნეს საქართველოს წარმომადგენლად. ჯაშუშების გაცვლის მეთოდი თუ გამოუყენებია ჩვენს ქვეყანას?**

– არის ერთი ქართველი პატრიოტი კაცი ზაზა ხერკელაძე, რომელიც აგერ უკვე 5 წელია, დაპატიმრებულია რუსეთში საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობაში. ერთ-ერთი ბოლო გამოსვლისას სააკაშვილმა თქვა, გაეცვალათ მაინც ჯაშუშებიო, არადა, თავად 5 წელია, არაფერს აკეთებდნენ ამისთვის. ძალიან საინტერესო თემაა: ორი ტყუპი შვილი ჰყავს, ჩვენი ოფიცერი ვაჟკაცურად მოიქცა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება დღესაც არ აღიარებს, რომ ის საქართველოს მოქალაქეა და არ იცავენ, მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია და „კანონი სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ პირდაპირ ავალებს სახელმწიფოს, რომ უნდა გამოიხსნას თავისი მოქალაქე. რაც შეეხება გაცვლას: იმიტომაც არ უნდა იქცეს ჯაშუშების გამოვლენის პროცესი მასკარადად, რომ ეს პოლიტიკური კაპიტალია. ამიტომ ქვეყნები არ ახმაურებენ საკმაო ხანს, რადგან იციან, რომ შესაძლოა, მათ ჯაშუშში გაცვალონ. გავიხსენოთ, რა გააკეთეს ამ-

**(გაგრძელება მე-10 გვერდზე)**

**აწ უკვე უმცირესობა, მანამდე კი სახელისუფლო ძალა, ჩივის, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანაც გაიოლდა და ნარკომომხმარებელთა რაოდენობაც გაიზარდა (ყოფილი შს მინისტრი გვარწმუნებს, რომ თბილისურ სადარბაზოებში ნახმარი შპრიცების გროვებია). მეორე მხრივ, სულ ბოლო ამნისტიით ნარკომომხმარებლები გათავისუფლდნენ და მერვე მოწვევის პარლამენტი შესაბამისი ცვლილებების პაკეტსაც ამზადებს, რის მიზანიც ნარკომომხმარებლების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაა. ჩვენი საზოგადოებისთვის ამ, მართლაც, აქტუალურ თემაზე ნარკოლოგი ბელა ლეჟავა გვესაუბრება.**

# რა მეთოდებს მიმართავს ნარკომანი ახალ-ახალი ნარკოტიკული საშუალებების შესაქმნელად და რატომ არის აუცილებელი აფთიაქებში ნაყიდი მედიკამენტების კონტროლი



მარიხუანას გავლენით შესაძლოა, აღქმა შეეცვალოს. რაღაც დიდს ვერ შექმნის, მაგრამ განსხვავებული იქნება. ოღონდ ეს ეხება მხატვარსა და მუსიკოსს, რაც გამონაკლისია, დანარჩენი 99 პროცენტი ხომ ჩვეულებრივი ადამიანია?!

**– თუ გაქვთ ოფიციალური მონაცემი, რომ მართლაც გაიზარდა ნარკოტიკების შემოდინება ქვეყანაში და გაიოლდა მათი შეძენა?**

– მე ასეთი მონაცემი არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, მაგრამ ინფორმაცია მაქვს და ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ნარკოტიკული საშუალებების სია და მათი ოდენობები არასრულია და, ამდენად, ამ ტიპის ნარკოტიკების მოხმარება არ იწვევს პასუხისმგებლობას. ეს ნარკოტიკები, ეგრეთ წოდებული „სპაისები“ არ არის შეტანილი ამ სიაში და ეს არის არსებული კანონმდებლობის ერთ-ერთი ნაკლი. ამის შესახებ მე გარკვეული ინფორმაცია მივაწოდე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტს, რომ გადაიხედოს ეს საკითხი და „სპაისები“ შევიდეს ჩამონათვალში.

**– შევახსენოთ მკითხველს, რომ არ შეიძლება, დავაკისროთ პირს პასუხისმგებლობა იმ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე, რომელიც კანონმდებლობით არ არის აღიარებული ნარკოტიკულ საშუალებად.**

– საკითხი ასე დგას: ჩვენი კანონმდებლობა იცნობს ანალოგის ცნებას. ანალოგი ნიშნავს ნივთიერებას, რომლის ქიმიური ფორმულაც შეიძლება, არ ვიცოდეთ, მაგრამ ის ისევე მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, როგორც ცნობილი ნარკოტიკი. მაგალითად, ცნობილია, რომ მარიხუანა ზემოქმედებს ფსიქიკაზე და „სპაისიც“, ფაქტობრივად, არის ხელოვნურად შექმნილი, მარიხუანის მსგავსი ნივთიერებების შემცველი პრეპარატი. მარიხუანაში არის რამდენიმე მოქმედი ქიმიური ნივთიერება, ერთ-ერთი წამყვანია ტეტრაჰიდროკანაბიოლ 9, თუმცა შეიცავს სხვა ქიმიურ ნივთიერებებსაც, მაფია კი ამზადებს ტეტრაჰიდროკანაბიოლის მსგავს ნივთიერებას. რადგან მარიხუანა შესულია ნარკოტიკების გაეროს ჩამონათვალში, ნარკომაფიამ გონებამახვილობა გამოიჩინა და შექმნა, დაახლოებით, 100-მდე ნივთიერება, რომლებიც მოქმედებენ როგორც კოკაინი, ჰეროინი, მარიხუანა და ასე შემდეგ. მაგრამ ვინაიდან მათი ფორმულა განსხვავდება იმ ფორმულისგან, რომელიც შესულია გაეროს სიაში, ამიტომ პირს პასუხისმგებლობა არ ეკისრება მათ გამოყენებაზე, შექმნასა და გადატანაზე. „სპაისებიც“ ამ ჯგუფს განეკუთვნება.

**– აქვე დავაზუსტებ: როდესაც პირს ამოწმებენ, იმყოფება თუ არა ნარკოტიკული თრობის ქვეშ, თუ „სპაისი“ აქვს მიღებული, ესე იგი, მისი გამოვლენის საშუალებაც უნდა იყოს, რომ პასუხისმგებლობა დააკისრო. გვაქვს „სპაისების“ გამოვლენის საშუალებები?**

– იმის გამო, რომ ჩვენთან ეს ნივითიერებები ერთეულად გვხდებოდა და ამიტომ არ იყო შეტანილი ნარკოტიკული საშუალებების სიაში, მათთან ბრძოლის არც არანაირი საშუალება არ გვქონდა, მათ შორის, არც მათი გამოვლენის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ჩემი კოლეგებისგან, რამდენიმე დღეში შემოიტანენ მათი დადგენისთვის საჭირო ნივთიერებებს, იმიტომ რომ „სპაისების“ გავრცელების მძლავრი სტიმულია, თუკი არ არსებობს მათი აღმოჩენის საშუალება. საერთოდ, ნარკოტიკის გავრცელებას ორი მძლავრი სტიმული აქვს: ერთი, რაზეც მოგახსენეთ და, მეორე, რადგან ვერ დააკავებ პირს „სპაისის“ მოხმარების გამო, მისი ფასი უფრო იაფია. მოგეხსენებათ, ნარკოტიკს, ძირითადად, ფასი ედება იმის გამო, რომ პასუხისმგებლობაა მაღალი, თორემ მისი გადატანა-გადმოტანა კაპიკები ღირს.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიდრე კანონმდებლობაში შეიტანდნენ „სპაისებს“, შეიკრიბნენ სპეციალისტები და გადაწყვიტეს, რომ „სპაისებზეც“ გავრცელდეს იგივე პასუხისმგებლობა, რაც უკვე არის მარიხუანაზე. ჩვენთანაც შეიძლება იმავეს გაკეთება, რადგან კანონში გვაქვს ანალოგის ცნება და ევროპული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილია, რომ ესენი არის მარიხუანას ანალოგები. ამიტომ ჩვენი მოსაზრებაა, რომ შეიკრიბონ ნარკოლოგები, პროკურორები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები და გადაწყვიტონ, რომ ეს ანალოგები უნდა გაუთანაბრდეს მარიხუანას. ერთი ვარიანტია, პირდაპირ პარლამენტმა შეიტანოს ცვლილება უკვე არსებულ კანონში და, მეორე, ამ რამდენიმე უწყების ხელმძღვანელის ბრძანებით დადგინდეს, რომ პასუხისმგებლობა გავრცელდეს მარიხუანის ანალოგების გამოყენებაზეც.

**– მას შემდეგ არა, რაც გამოვლენის საშუალება იქნება?**

– ჯერ პასუხისმგებლობა უნდა გავრცელდეს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თავისთავად შეუშლის ხელს ანალოგების შემოტანას. ამის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ გამოვლენის საშუალებების შემოტანაზე.

**– თქვით, რომ კანონს ეს ხარვეზი აქვს, ნარკომაფიაც აქტიურად მუშაობს და ამიტომ ახალ-ახალი ნარკოტიკული საშუალებები ჩნდება. ესე იგი, ეს პრობლემა იყო პირველ ოქტომბრამდეც?**

– პირველ ოქტომბრამდე კანტიკუნტი ცნობები გვქონდა იმის შესახებ, რომ ეს „სპაისები“ გაჩნდა საქართველოში. იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც ექიმთან ხვდებოდა ასეთი პაციენტი, მაგრამ არა მარტო „სპაისები“, სხვა ნივთიერებებიც შემოდის. შექმნილია ასამდე ახალი ნივთიერება, რომელიც გვაქვს ჩამონათვალში, მაგრამ არ არის განსაზღვრული ოდენობები, იმიტომ რომ პროკურატურა ძალიან ჩქარობდა. არ მინდა, წიხლი დავაჭირო, მაგრამ მაშინ პროკურატურას თავისი ინტერესები ჰქონდა და არ მოგვცეს საშუალება, ბოლომდე მიგვეყვანა პროცესი. მათ უნდოდათ, რომ ახალი პარლამენტის შეკრებამდე მიეღოთ ეს კანონი და მგონი, ამის გამო არ მოგვცეს ამოსუნთქვის საშუალება. ამიტომაც ვერ დავაზუსტეთ ოდენობები, გარდა ამისა, ბევრი სხვა მომენტიც იყო შესატანი, მაგრამ დროის არქონის გამო ვერ მოვახერხეთ.

**– გარდა მარიუხანისა, ჩვენთან რომელი ნარკოტიკული საშუალებებია გავრცელებული? ვგულისხმობ შემოტანილ ნარკოტიკულ საშუალებებს და არა ადგილზე დამზადებულს.**

– შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალიან კარგად იმუშავა და ამიტომ ტრადიციული ნარკოტიკის, ჰეროინისა და სუბოტექსის, შემოტანა ძალიან შემცირდა და მათი ფასი გაიზარდა, ამიტომ ნარკოტიკების ძალიან ბევრი მომხრმარებელი გადაერთო სააფთიაქო საშუალებებზე.

**– რასაც თვითონ ამზადებენ?**

– დიახ და, სხვათა შორის, ეს მხოლოდ საქართველოს ტენდენცია არ არის. წარმოიდგინეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, სადაც უკეთესი კანონმდებლობა და კონტროლის მექანიზმია, მარიხუანის შემდეგ მეორე ადგილზეა აფთიაქებიდან გატანილი ნივთიერებების მოხმარება. ჩვენთან ხომ რეცეპტი არ არის საჭირო მედიკამენტის შესაძენად და არანაირი ბარიერი არ არსებობს? ამიტომ ყველა გადაერთო სააფთიაქო საშუალებებზე.

**– ფორმულებს, რასაკვირველია, აქ არ ვიტყვით, მაგრამ ფართოა ამ მეთოდით დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების სპექტრი?**

– ერთი გზა არის, რომ ესა თუ ის ნივთიერება პირდაპირ მიიღო დიდი რაოდენობით; მეორე, მიიღო არა იმ გზით, რა გზითაც უნდა მიიღო, მაგალითად, დასალევი აბია და ვენაში შეგყავს; მესამეა, როდესაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენ და ცვლი მის ფორმულას, მაგალითად, ასეთია, „კრაკადილი“ და ასე შემდეგ. ამდენად, ძალიან ბევრი მეთოდია, რომ მეტ-ნაკლებად უსაფრთხო სააფთიაქო საშუალება ნარკოტიკად გამოიყენო. ამის გათვალისწინებით, საჭიროა არა მარტო შესაბამისი კანონმდებლობა, არამედ სხვა ზომების მიღებაც. ბევრი ღონისძიებაა, მაგრამ ერთ-ერთი ღონისძიება უნდა იყოს კონტროლი ყველა მსგავსი ტიპის ნივთიერებაზე

**– იმ მედიკამენტების, რომლებისგანაც შესაძლებელია ნარკოტიკის დამზადება?**

– დიახ. მაგალითად, შემოვიდა რაღაც პრეპარატის 100 000 დოზა. ინტერნეტში უნდა იყოს მარაგების ბაზა, როგორც ამერიკაშია და ძალიან კარგი შედეგები მიიღეს, საიდანაც გაკონტროლდება, სად და რამდენი წავიდა ეს მედიკამენტი: რომელ ქალაქებსა და აფთიაქებში. მიყოლაა საჭირო. 16-წლამდე ბავშვებს არ უნდა მივყიდოთ ისეთი საშუალება, რომელსაც არ სჭირდება რეცეპტი, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია ნარკოტიკის დასამზადებლად. 10 ცალ ასეთ ტაბლეტს იყიდის სკოლის მოსწავლე, მიაყოლებს ლუდს და მიიღებს თრობის ეფექტს.

**– ასე მარტივად ხდება?!**

– დიახ და ეს ძალიან მოდებულია, განსაკუთრებით, გოგონებში და ეს ღუპავს ჩვენს ბავშვებს. ამიტომ მე ვამბობ, ასეთი წამლები უნდა იყიდებოდეს პირადობის მოწმობით. რადგან, როდესაც საეჭვო პრეპარატს ვყიდულობ, შემიძლია,

**(გაგრძელება მე-10 გვერდზე)**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 200 0 200
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან

ზარი ფასიანია

# რა მეთოდებს მიმართავს ნარკომანი ახალ-ახალი ნარკოტიკული საშუალებების შესაქმნელად და რატომ არის აუცილებელი აფთიაქებში ნაყიდი მედიკამენტების კონტროლი

(მეცხრე გვერდიდან)

ვიყიდო რამდენიმე აფთიაქში, მაგრამ, თუ პირადობის მოწმობის გარეშე არ მომყიდიან, სურათი შეიქმნება. ეს სისტემა ჩემი მოგონილი არ არის და ჩვენთანაც აუცილებლად უნდა დავნერგოთ.

**– სახლის პირობებში დასამზადებელი ნარკოტიკის ფორმულას ვინ ავრცელებს?**

– ის კომპანიები, რა თქმა უნდა, ანონიმურად, რომლებიც უშვებენ ამ მედიკამენტებს. მაგალითად, „კრაკადილი" რუსეთში დაიბადა და საფრანგეთშიც კი დაიწყეს ამ რუსეთიდან ნასესხები „კრაკადილის" გამოყენება, იმიტომ რომ სხვებთან შედარებით იაფი ჯდება.

**– და შეუდარებლად სწრაფადაც კლავს ადამიანს.**

– დიახ. საფრანგეთში ამას იყენებს დეკლასირებული ხალხი, ბომჟებს რომ უწოდებენ, რომლებსაც არანაირი შემოსავალი არ აქვთ. აქვე გეტყვით, რომ დღეს საფრანგეთის ნარკოლოგიურ კლინიკებში პაციენტების 40 პროცენტს აქვს დამოკიდებულება მარიხუანისადმი. ანუ ყველა დანარჩენი არის 1, 5 ან 7 პროცენტი, მარიხუნაზე დამოკიდებული კი 40 პროცენტია.

**– მარიხუანისადმი ძალიან მსუბუქი დამოკიდებულებაა: ჰგონიათ, რომ არ არის მავნე, დაბოლდები, გაიცინებ და ამით მთავრდება.**

– მარიხუანისადმი დამოკიდებულება გვიან ვლინდება, ამას რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე დრო სჭირდება, მაგრამ მარიხუანას აქვს სხვა მძიმე შედეგი, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის. იცით, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის ფორმირება 18 წლამდე მთავრდება და ადამიანს თავის ტვინში აქვს სიამოვნებისა და უსიამოვნების განმსაზღვრელი ბირთვები. როდესაც ახალგაზრდობიდან იწყებ ნარკოტიკის მიღებას, ამ ბირთვების ფორმირება სხვაგვარად ხდება. იცვლება მისი ფორმირების ხასიათი და ის, რაც ადრე სიამოვნებას გგვრიდა, აღარ გგვრის, რაღაც მეტი გჭირდება, რომ სიამოვნება მიიღო. მეორე მძიმე შედეგი ისაა, რომ მარიხუანა, განსხვავებით თითქმის ყველა სხვა ნარკოტიკისგან, მცირე დოზებშიც კი აჩენს კმაყოფილების განცდას და სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ აზიის ბევრ ქვეყანაში ღარიბი ხალხი იმიტომაც არის ბევრი, რომ მარიხუანას ეწევიან. ესე იგი, მარიხუანის მწეველს უქრება მოტივაცია, რამე სხვა აკეთოს, გარდა იმისა, რომ მარიხუანა იშოვოს. აღარ ვამბობ, რომ მამაკაცებში იწვევს იმპოტენციას, კიბოს. რაც მთავარია, დადგენილია, რომ, თუ მოზარდმა დღეს მოწია მარიხუანა, ის მეორე დღეს ველარ იღებს იმ ნიშანს, რასაც ჩვეულებისამებრ, იღებდა, ანუ მეხსიერებაზე ცუდად მოქმედებს.

**– თუმცა მე მომისმენია მომხმარებლებისგან, ტვინს ხსნისო. ასეა?**

– ვიღაც ამბობს, მე ვეწევი და ლექსებს ვწერო, მაგრამ, ალბათ, უკეთეს ლექსებს დაწერდა, რომ არ მოეწია. მარიხუანის გამოყენება აღქმას

> **საფრანგეთში „კრაკადილს" იყენებს დეკლასირებული ხალხი, ბომჟებს რომ უწოდებენ, რომლებსაც არანაირი შემოსავალი არ აქვთ**

ცვლის. დავუშვათ, მხატვარია და ხატავს სახლს, იგივე ვრცელდება მუსიკოსზეც, მარიხუანის გავლენით შესაძლოა, აღქმა შეეცვალოს. რაღაც დიდს ვერ შექმნის, მაგრამ განსხვავებული იქნება. ოღონდ ეს ეხება მხატვარსა და მუსიკოსს, რაც გამონაკლისია, დანარჩენი 99 პროცენტი ხომ ჩვეულებრივი ადამიანია?! მაგალითად, უიტნი ჰიუსტონს ყველაფერი ჰქონდა: გარეგნობა, ხმა, მდგომარეობა და ნარკოტიკმა დაღუპა. ასეთი შემთხვევა უამრავია.

**– როგორ აფასებთ ახალ საკანონმდებლო ინიციატივას ნარკომომხმარებლისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მოხსნის შესახებ და მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრებას?**

– არც ერთი ნარკოლოგის და მგონი, არც ერთი პოლიციელის ამოცანა არ არის, რომ ვიღაც ციხეში ჩასვას. ჩვენი ამოცანაა, რომ ნარკოტიკის პოტენციალურ მომხმარებელს შევუქმნათ იმის განცდა, რომ ეს მას უამრავ უსიამოვნებას მოუტანს. ეს არის ნარკომანიასთან ბრძოლის ძირითადი ფაქტორი. ჰეროინის მომხმარებელმა რომ იცოდეს, დღეს თუ ჰეროინი მოწია, ათი წლის განმავლობაში წკეპლით სცემენ, აღარ მოწევს. ეს არის ძირითადი ასპექტი. ეს უნდა იყოს დანაშაულის შესაფარდისი. მეც ვფიქრობ, შეიძლება, ციხეში არ ჩასვა, მაგრამ ადმინისტარციული ღონისძიებები უნდა გაატარო. ლაპარაკია 3 000-ლარიან ჯარიმაზე, ეს ნამეტანია, ამიტომ არსებობს დასავლეთში ღონისძიებების მთელი კომპლექსი: ყოველ მეორე დღეს უნდა გამოცხადდეს პოლიციაში შესამოწმებლად, ორ დღეში ერთხელ ჩააბაროს შარდი ქიმიურ ანალიზზე, შეიძლება, მიუსაჯო, რომ საღამოს ექვსი საათის შემდეგ არ გავიდეს სახლიდან, შეეზღუდოს მანქანის მართვის უფლება და ასე შემდეგ, მაგრამ ამას სჭირდება ფული. უნდა გავეცნოთ დასავლეთის ტრადიციას და გადმოვიტანოთ ქართულ ნიადაგზე. კანონის ერთი მუხლის შეცვლით პრობლემა არ გადაწყდება. ღონისძიებათა კომპლექსი უნდა გატარდეს. უნდა შეიქმნას ჭეშმარიტი სპეციალისტების სპეციალური ჯგუფი, განიხილავს ამ მასალას. გარდა ამისა, ფინანსების საკითხია მნიშვნელოვანი, ღონისძიებების და ფინანსების შეჯერება.

**ნინო ხაჩიძე**

# როგორ ავლენენ ცივილიზებულ ქვეყნებში ჯაშუშებს, რატომ არ აკავებენ მათ და როგორ იყენებენ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ

(მერვე გვერდიდან)

ერიკელებმა 2010 წელს: მათი კონტრდაზვერვა რამდენიმე წლის განმავლობაში უთვალთვალებდა რუს ჯაშუშებს, მაგრამ არ აკავებდნენ, იკვლევდნენ მათ კავშირებს, მათ შესაძლო გასვლებს ამერიკის მოქალაქეებზე. მხოლოდ მას შემდეგ დააკავეს, რაც ნაღები მოხადეს, მათთვის საჭირო აღარ იყვნენ და გაცვალეს შეერთებული შტატებისა და ინგლისის მოქალაქეებში. ანუ მოხდა ურთიერთსასარგებლო გაცვლა. რუსეთში მათ დახვდნენ, როგორც გმირებს, პუტინმა ჩაიც მიირთვა მათთან ერთად. უფრო შორსაც შემიძლია, წავიდე და გავიხსენო აბელის გაცვლა პაუერსზე. აბელი ცნობილი საბჭოთა ჯაშუში იყო, რომელიც ამერიკაში მოქმედებდა, პაუერსი კი საბჭოთა კავშირში ჩამოგდებული თვითმფრინავის მფრინავი. ჯაშუშებს რომ თავი დავანებოთ, გასული საუკუნის 70-იან წლებში ბუკოვსკი გაცვალეს ლუის კორვალანზე. გაცვლა საერთაშორისო პრაქტიკაა იმისთვის, რომ შენი მოქალაქე დაიცვა. ამას აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც, რადგან ადამიანი ხვდება, რომ სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქეზე.

**– ცნობილია, რომ არც ერთი ქვეყნის ჯარი არ ტოვებს ბრძოლის ველზე დაჭრილ და დაღუპულ თანამებრძოლებს, უკან ბრუნდება დატყვევებულების გამოსახსნელად, რაც სტიმული და მოტივია, რომ შენც დაგიცავს შენი ჯარი და ქვეყანა.**

– ისრაელმა ერთი ჯარისკაცის გამოსახსნელად ომი დაიწყო. ერთი სიტყვით, იმედი გვაქვს, რომ ახალი ხელისუფლება უფრო მეტი სერიოზულობით შეხედავს ამ თემას. მხედველობაში მაქვს ეროვნული უსაფრთხოების ის კუთხე, რასაც ჰქვია კონტრდაზვერვითი მუშაობა. მართალია, კუდი დაიშალა და ორად გაიყო, მაგრამ შსს-ს საიტზე არ არის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურების ფუნქცია-მოვალეობები, თუმცა არის, მაგალითად, ჯანდაცვის დეპარტამენტის, პოლიციის აკადემიის.

**– რაც შეეხება პოლიციის აკადემიას: მითითებული ყველა ტელეფონის ნომერი შეცდომითაა.**

– შეგნებულად ხომ არ აკეთებენ?

**– არ ვიცი, მაგრამ ვის ემალებიან?!**

– ზემოხსენებული ორი სააგენტოს გარდა, არსებობს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი. უკვე მეოთხე თვეა, ახალი ხელისუფლება მუშაობს, მაგრამ არ ვიცით, რა ხდება. ჩვენ იმიტომაც ვაკრიტიკებდით „ნაციონალების" სისტემას, რომ იყო სრული სიბნელე და ჩაკეტილობა, საზოგადოებრივი კონტროლი კი – ნულის ტოლი. დღესაც, ჩემი აზრით, ნაკლებია გამჭვირვალობა. უფრო მეტი აქტიურობა ჩანს თავდაცვის სამინისტროს მუშაობაში. ამ თემაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ჯერ კიდევ გაერთიანებულია სამართალდაცვითი და კონტრდაზვერვის ფუნქციები. სხვათა შორის, „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამაშიც წერია, რომ შსს დაიშლება, სამართალდამცავი ორგანო ცალკე იქნება, კონტრდაზვერვითი – ცალკე. რასაც ვაკვირდები, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს გაკეთდა ძირითადად ამერიკელების რეკომენდაციებით, მაგრამ ისინი ხომ სიღრმეში აღარ ჩადიან?! ისინი ხომ არ არიან გარკვეული ჩვენს მენტალიტეტსა და რეგიონულ პრობლემებში?!

**– და, ალბათ, გარკვეული არიან თავიანთი ინტერესების კუთხით?**

– რა თქმა უნდა და იმ არხისკენ გვიშვებენ, სადაც ძირითადად მათი ინტერესია.

**– თითქოს ითქვა, რომ ჯაშუშობაში ბრალდებულთა საქმეები უნდა გასაჯაროვებულიყო, შემდეგ, ვერ მოხერხდება, რადგან გრიფი „საიდუმლოდ" ადევსო. ასე უნდა ვენდოთ სიტყვაზე, რომ არ არიან ჯაშუშები?**

– მე მაქვს „ენვერის" საქმეზე დაკავებულთა სასამართლო დადგენილება, ანუ ეს დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, თან, როგორც ვიცი, მხოლოდ ორმა აღიარა ჯაშუშობა.

**– ძალიან მძიმე ბრალდებაა სამშობლოს მოღალატეობა, ამას შეიძლება, შეაკვდე.**

– რა თქმა უნდა, კაცის კვლა მეორე-მესამე თაობამ შეიძლება, გაპატიოს, მაგრამ ჯაშუშობა მძიმე ბრალდებაა. ერეკლეს და შაჰ-აბასის დროიდან ვიცით, ვინ იყვნენ მოღალატეები. თუ საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია, ხელისუფლებამ უნდა თქვას, რატომ ვერ ხსნიან გრიფს „საიდუმლოდ".

**– გარდა რუსეთისა, სხვა ქვეყნის ჯაშუშები თუ გამოვლენილა, რაც ვარსებობთ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო?**

– მე ისიც არ ვიცი, რამდენად იყვნენ დაკავებულები მართლაც რუსეთის აგენტები. ჩვენთან ნამდვილად ბევრი ქვეყნის ინტერესი იკვეთება, თან, არა მარტო ჩვენ მიმართ, არამედ ერთმანეთის მიმართ და საქართველო, ამ მხრივ, ერთგვარი პოლიგონია ქვეყნებისთვის ანგარიშსწორებისა და ურთიერთინფორმაციის მოპოვებისთვის. თუმცა მე ვერ ვიხსენებ, რომელიმე ქვეყნის აგენტი დაეჭიროთ.

**ნინო ხაჩიძე**



თინათინ მაჩაიძე

# როგორ დაიმკვიდრა ქალბატონმა თინათინ მაჩაიძემ უძლიერესი მკურნალის სახელი

**უცხოეთის ქვეყნებში აღიარებული, დღეს თითქმის ყველასთვის ცნობილი ექიმი – ბიოენერგოთერაპევტი, უძლიერესი პარაფსიქოლოგი, საერთაშორისო კლასის მკურნალი, ამერიკა-კანადის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, მშვენიერი ქალბატონი თინათინ მაჩაიძე კვლავ აგრძელებს პაციენტების მიღებას.**

*23 წელი ემსახურო შენს საყვარელ საქმეს – ეს უკვე მრავლის მთქმელია. საითაც წახვალ, ყველგან შენს გამოჯანმრთელებულ პაციენტებთან შეხვედრა, მათთან, ვინც მრავალ უბედურებას ხელიდან გამოგლიჯე და სიკვდილს გადაარჩინე, რომლებიც გეფერებიან და ხელებს გიკოცნიან, ალბათ, ამაზე დიდი ბედნიერება მკურნალი-ექიმისთვის არ არსებობს. ქალბატონი თინათინ მაჩაიძის უტყუარი დიაგნოზისა და მკურნალობის კომპლექსური, უნიკალური მეთოდის შესახებ ინფორმაცია დიდი ხანია, საქართველოს ფარგლებს გასცდა. თინათინ მაჩაიძე უამრავ დაავადებას კურნავს. ის სასწაულებრივი ძალა კი, რომელიც მისი მადლიანი ხელებიდან მოდის, ვიდეოკამერამაც დააფიქსირა – მისი ენერგია მზესავით ანათებდა და რა გასაკვირია, რომ ქალბატონი თინათინი ამ ენერგიით უამრავ პაციენტს უბრუნებს დაკარგულ იმედს. თინათინ მაჩაიძის შესახებ უკვე წლებია, ლეგენდები დადის და მისი კაბინეტის წინ კი – პაციენტების უწყვეტი რიგია. ეს არის ადამიანი, ვისი მკურნალობის უტყუარი მეთოდი ეჭვის საბაბი არავისთვის გამხდარა, რადგან მას უკმაყოფილო პაციენტი არ ჰყავს. აი, რას ამბობს ქალბატონი თინათინის თანაშემწე* ***ლირა მუხიგულაშვილი****, რომელიც უამრავი სენსაციური განკურნების მოწმე გამხდარა:* რაც აქ ხდება, მართლაც სასწაულია. ქალბატონ თინათინთან წლების განმავლობაში უშედეგო მკურნალობით დაღლილი, ხელჩაქნეული ადამიანები მოდიან. რამდენიმე სეანსის შემდეგ კი სრულიად განკურნებულები მიდიან. ქალბატონი თინათინი მართალია, „ნევროზების დედოფლად" აღიარეს, მაგრამ იგი არა მარტო ნევროზებს, თითქმის ყველა დაავადებას ამარცხებს. აქ მკურნალობის შემდეგ ადამიანები თითქოს თავიდან იბადებიან.

**თინათინ მაჩაიძის პაციენტები:**

**მაია ბალიაშვილი** ***(54 წლის):*** უმძიმესი მდგომარეობა მქონდა, მაწუხებდა გულის არითმია, უძილობა, მაღალი და მერყევი წნევა. დეპრესიაში ჩავვარდი, სიცოცხლე აღარ მინდოდა. მე გერმანიის მოქალაქე ვარ, საქართველოდან 15 წლის წინათ წავედი. ქალბატონი თინას შესახებ სწორედ იქ შევიტყვე ჩემი მეგობრისგან, რომელიც მისი პაციენტი ყოფილა, როდესაც ქალბატონი თინათინი გერმანიაში მოღვაწეობდა. მითხრა, ახლა თბილისშია, ჯერ აქეთ ჩამოსვლას არ აპირებს, სასწრაფოდ უნდა წახვიდე, რადგან მის გარდა ვერავინ მოგარჩენსო. და მოხდა მართლაც სასწაული, რაც გერმანიაში ექიმებმა ვერ მოახერხეს, ქალბატონმა თინამ შეძლო. არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადავუხადო. ყოველთვის ვილოცებ ამ ღვთისნიერ ქალბატონზე, მისი წყალობით ხელმეორედ დავიბადე.

**დიანა კიკვაძე** ***(37 წლის):*** ნევროზის უმძიმესი ფორმით ვიყავი დაავადებული. მაწუხებდა შიში, ჰაერის უკმარისობა, შინაგანი კანკალი, სხეულის სიმძიმე, თავის ტკივილი, გაბრუება, მუდმივად ცუდის მოლოდინში ვიყავი. ხალხმრავლობას ვერ ვიტანდი. ამ სატანჯველისგან ქალბატონი თინათინის წყალობით გავთავისუფლდი. გულით ვლოცავ ამ მართლაც და ღვთისნიერ მკურნალს და ულრმეს მადლობას ვუხდი!

**ნუგზარ მაჩიტაძე** ***(58 წლის):*** ქალბატონ თინათინთან ნაღვლის ბუშტის ანთებამ და კუჭ-ნაწლავის პრობლემებმა მიმიყვანა. მასთან მისვლა ჩემმა მეგობარმა მირჩია. ის აქებდა და ისეთი მადლიერებით იხსენებდა მას, რომ რწმენა გამიჩნდა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ სრულიად ჯანმრთელი ვარ!

**თემურ დანელია** ***(45 წლის):*** ჩემი დაავადება რადიკულიტი და ნერვის ანთება იყო. ამ დაავადებამ ახალგაზრდა კაცი თითქმის ავადმყოფად მაქცია. განკურნების იმედი დავკარგე. სხვადასხვა სახის მეთოდები მირჩიეს, მაგრამ შედეგი ვერაფერმა გამოიღო. ქალბატონ თინათინთან მეუღლემ მიმიყვანა. მართალი გითხრათ, განკურნების იმედი არ მქონდა, მაგრამ რამდენიმე სეანსის შემდეგ უკვე შვება ვიგრძენი და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდი. მადლობა ჩემს გადამრჩენელ ქალბატონს!

**ნანა ჩოგოვაძე** ***(62 წლის):*** საშინელი ალერგია მქონდა ბოლო წლებში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ალერგიის შეტევა მიძლიერდებოდა, რასაც მაღალი წნევაც დაემატა. ქალბატონ თინათინთან მკურნალობის შემდეგ მთლიანად აღმიდგა ჯანმრთელობა.

**გურამ ბაინდურაშვილი** ***(68 წლის):*** ქალბატონ თინასთან ჩემმა შვილებმა მომიყვანეს. საშინელ მდგომარეობაში ვიყავი: მაწუხებდა გულის არითმია, სისხლძარღვების შევიწროება, შაქრიანი დიაბეტი. არ მქონდა სიცოცხლის ხალისი. სამი სეანსის შემდეგ შვება ვიგრძენი. სულ 15 სეანსი დამჭირდა. გთხოვთ, ყველამ იწამოთ და დაიჯეროთ სასწაულის, რომელსაც ქალბატონი თინათინი უშურველად გასცემს.

**ნათია გოგნიაშვილი** ***(27 წლის):*** თინა ექიმთან თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვხვდი. ამიტომ თქვენს მკითხველს მინდა ვუამბო ჩემი ისტორია: ორი შვილის დედა ვარ, ბედნიერი ოჯახი მქონდა, მაგრამ ჩემმა მეუღლემ სხვასთან წასვლა არჩია, რამაც საშინელ დეპრესიაში ჩამაგდო. თავის მოკვლაც ვცადე. ამქვეყნად თინა ექიმმა დამაბრუნა. სიცოცხლის ხალისიც მაქვს და რწმენაც გამიჩნდა. მე და თინა ექიმი დავმეგობრდით და ახლა ჩემი ვაჟი დამყავს მასთან ნაღვლის ბუშტის პრობლემების გამო. ულრმესი მადლობა თინა ექიმს და თქვენს ჟურნალს!

**მანანა სისაური** ***(40 წლის):*** ნაღვლის ბუშტი ბავშვობიდან მაწუხებდა, შემდგომში კი ამას კუჭის პრობლემებიც დაერთო. იმდენ ექიმთან ვიმკურნალე და იმდენი წამალი დავლიე, იმუნიტეტი სრულიად დამიქვეითდა, დამემართა ალერგია და საშინელ დღეში ჩავვარდი. რომ არა ქალბატონი თინათინის მადლიანი ხელი, მართლა არ ვიცი, რას ვიზამდი. მან შეუძლებელი შეძლო და მკურნალობის პირველივე კურსის დასრულების შემდეგ თავს სრულფასოვან ადამიანად ვგრძნობ. მადლობის მეტი რა მეთქმის!

**ალექსანდრე სანებლიძე** ***(53 წლის):*** არ მინდა, საკუთარ თავზე საუბრით თავი შეგაწყინოთ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ქალბატონ თინათინთან თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვხვდი და საოცრად გამიმართლა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, სულ მოძრაობაში ვიყავი. აქტიური ცხოვრების წესი მქონდა. თუმცა, ეს მანამდე, სანამ ნერვის ანთება არ დამემართა, რასაც რადიკულიტიც დაემატა. საშინელი ტკივილებით ვიტანჯებოდი. ვის არ მივაკითხე, რა მალამო და წამალი არ მასწავლეს, მაგრამ – ამაოდ. ყველაფრის ხალისი დავკარგე, ლამის ბიზნესიც ჩამივარდა. თინა ექიმმა თავისი ჯადოსნური ხელებით სასწაული მოახდინა და თითქოს ხელახლა დავიბადე, ულრმესი მადლობა მას!

**ქეთევან მაყაშვილი** ***(35 წლის):*** მე რომ რამდენიმე თვის წინ გენახეთ, მოხუცი გეგონებოდით, ისეთ დღეში ვიყავი, თავი როგორ მომეკლა, იმასღა ვფიქრობდი. ჩემი პრობლემა იყო მწვავე ნევროზი, რასაც დაემატა აკვიატებული აზრები, შიშები, უძილობა, თავის ტკივილები და დეპრესია. არავის დანახვა არ მინდოდა, ყველასთვის ტვირთად ვიქეცი, მაგრამ თავს ვერ ვერეოდი. თინათინ მაჩაიძესთან მისვლა დედაჩემის მეგობარმა მირჩია – ისიც თინა ექიმის პაციენტი იყო. გულზე პრობლემები ჰქონდა და მან განკურნა. თავიდან ბევრი ვიუარე, მაგრამ დედა აღარ მომეშვა და კიდევ კარგი, დავუჯერე. თინათინ ექიმმა ამ ცხოვრებისკენ მომაბრუნა. ჩემს თავს ველარ ვცნობ, უფრო სწორად, ძლივს ისევ იმ ადამიანად ვიქეცი, რაც ვიყავი ავადმყოფობამდე. რა კარგი ყოფილა ცხოვრება, როდესაც ჯანმრთელი ხარ!

***P. S. აქ, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ დაავადებას, რასაც ქალბატონი თინათინ მაჩაიძე მკურნალობს, აჯობებს, თავად გამოსცადოთ მისი მადლიანი ხელების ძალა, ვისაც ეს გჭირდებათ.***

**თამუნა ახობაძე**

**მისამართი: წერეთლის გამზირი, №71-ის მოპირდაპირედ. გზის მეორე მხარეს. „ბანკ რესპუბლიკის" კორპუსი, მე-2 სადარბაზო, I სართული.**

**ტელეფონები: 599-58-69-47, 555-12-78-30, 555-96-44-21, 235-18-68 (ოფისი).**

**პაციენტთა მიღება ხდება წინასწარ ჩაწერით!**

# ვის სასარგებლოდ თქვა უარი სამეფო ტახტზე ნიდერლანდების დედოფალმა ბეატრიქსმა და რა როლი დაეკისრება სამეფო ოჯახის ცნობილ ეტლს 2013 წლის 30 აპრილს

*2013 წლის 28 იანვარს, თავის 75 წლის იუბილემდე სამი დღით ადრე, ნიდერლანდების დედოფალმა ბეატრიქსმა გააკეთა განცხადება, რომ 30 აპრილს, დედოფლის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, ოფიციალურად გადადგება ტახტიდან და სამეფო გვირგვინს თავის უფროს შვილს, ორანიეს პრინც ვილემ-ალექსანდერს დაუთმობს და, ნიდერლანდების სამეფოში პირველად 1890 წლიდან, სამეფო ტახტზე მამრობითი სქესის მონარქი ავა. ამგვარად, ტახტზე ასვლიდან 33 წლის თავზე, ბეატრიქსი ოფიციალურად დაემშვიდობება დედოფლის წოდებას, ხოლო პრინცი ვილემ-ალექსანდერი უკანასკნელი 123 წლის განმავლობაში პირველი მეფე გახდება ნიდერლანდებში...*

* ბეატრიქს ვილჰელმინა არმგარდი, ნიდერლანდების დედოფალი, ორანიე-ნასაუს პრინცესა და ფონ ლიპე-ბისტერფელდის პრინცესა, დაიბადა 1938 წლის 31 იანვარს, 09:27 საათზე სუსტდეიკის სასახლეში ბარნში (ჰოლანდია). 1940 წლის მაისში სამეფო ოჯახი დიდ ბრიტანეთში გადავიდა, იქიდან კი მალევე კანადაში, ოტავაში გაემგზავრნენ, სადაც სტორნოუესი ვილაში ცხოვრობდნენ, სანამ მათი სამშობლო ნაცისტური გერმანიის მიერ იყო ოკუპირებული. ომის პერიოდში მამამისი, პრინცი ბერნარდი და ბებია, დედოფალი ვილჰელმინა, ლონდონში ცხოვრობდნენ. ნიდერლანდების ტერიტორიაზე სამეფო ოჯახი სრული შემადგენლობით 1945 წლის 2 აგვისტოს დაბრუნდა.

* ჰოლანდიელი მონარქები და, კერძოდ, დედოფალი ბეატრიქსი ნათესაურ კავშირში იმყოფება რუსეთის სამეფო ოჯახთან. 1980 წელს ჰოლანდიის ტახტზე ასული მისი უდიდებულესობა ბეატრიქს ვილჰელმინა არმგარდ ფონ ორანიე-ნასაუ, რუსეთის იმპერატორის, პავლე პირველის ქალიშვილის, ანა პავლოვნას შვილთაშვილია. აღსანიშნავია, რომ დედოფალ ბეატრიქსს ნათესავებად ეკუთვნიან ცნობილი რუსი პოეტის, ალექსანდრ პუშკინის შთამომავლები. ცნობილი ფაქტია, რომ 1868 წელს პუშკინის ქალიშვილი ნატალია ცოლად გაჰყვა ნიკოლაუსს, ვილჰელმ მე-4 ორანიელის შვილს, რომელიც ლუქსემბურგის ჰერცოგის – ადოლფისა და მისი მეუღლის, იმპერატორ პავლე პირველის შვილიშვილის, ელიზავეტა მიხაილოვნას ახლო ნათესავი იყო.

* დედოფალ ბეატრიქსის მეუღლე, გერმანელი დიპლომატი კლაუს ფონ ამზსბერგი, 11 წლით უფროსი იყო ბეატრიქსზე. მეორე მსოფლიო ომის დროს კლაუს ფონ ამზსბერგი „ჰიტლერ-იუგენდის" ერთ-ერთი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი იყო, ხოლო ომის შემდეგ ბუნდესვერში ოფიცერ-ტანკისტად მსახურობდა. ბეატრიქსმა და კლაუსმა ერთმანეთი კრონბერგში, პრინც მორიც ჰესენელის მიერ მოწყობილ წვეულებაზე გაიცნეს. ცნობილია, რომ ბეატრიქსის მშობლები ეწინააღმდეგებოდნენ შვილის დაქორწინებას ყოფილ ფაშისტზე. კლაუსი 2002 წელს გარდაიცვალა, სიცოცხლის ბოლო წლებში იგი პარკინსონის მძიმე დაავადებას ებრძოდა.

* დედოფალი ბეატრიქსი ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მონარქად ითვლება მსოფლიოში. ოფიციალური მონაცემებით, სამეფო ოჯახის ქონება 300 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო არაოფიციალურით – 4,5 მილიარდ ევროს. ყოველწლიურად ნიდერლანდების მთავრობისგან დედოფალი 4 მილიონი ევროს დახმარებას იღებს. აღსანიშნავია, რომ დედოფალი და მისი შვილები არ იხდიან არანაირ გადასახადს. სამაგიეროდ, ბეატრიქსის დები, პრინცესები ირენა და ქრისტინა, იხდიან ყველა გადასახადს, არ იღებენ არანაირ დახმარებას სახელმწიფოსგან და საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენის მიზნით, ისინი ჩვეულებრივი მოკვდავებივით მუშაობენ. გაცილებით რთულ მდგომარეობაშია ბეატრიქსის დეიდა, პრინცესა მარგრეტი, რომელსაც ხშირად უწევს დედოფალთან ერთად გამოჩენა მაღალი დონის შეხვედრებზე, ამასთან, თავის გარდერობზე მან თვითონ უნდა იზრუნოს და საკუთარი ხარჯებით იყიდოს ისეთი



ხელთათმანები, ხელჩანთა და კაბა, რომ სამეფო კრიტერიუმებს შეესაბამებოდეს. დედოფლისა და მისი ოჯახის შენახვა ჰოლანდიელებს წელიწადში 4,5 მილიონი ევრო უჯდებათ.

* ნიდერლანდების სამეფო ოჯახი ცნობილია ოქროს ეტლით, რომელიც სამეფო ოჯახის საკუთრებას წარმოადგენს. ეტლი, რომელიც ძმებ სპაიკერების მიერ არის დაპროექტებული და აგებული, ამსტერდამის მოსახლეობამ პირველად 1898 წელს იხილა, როდესაც დედოფალი ვილჰელმინა სამეფო ტახტზე ავიდა. გავრცელებულია ვერსია, რომ ეტლი ბაჯაღლო ოქროსგან არის დამზადებული, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. სინამდვილეში ეტლი მოოქრული ტექტონის ხისგან არის დამზადებული, მისი ზოგიერთი ნაწილი მხატვრობით არის დეკორირებული. მთლიანად ეტლი ჰოლანდიური რენესანსის სტილშია დაპროექტებული და მის სამართავად რვა ცხენია საჭირო. სავარაუდოდ, 2013 წლის 30 აპრილს ამ ეტლით გაისეირნებს ნიდერლანდების ახალი მეფე ვილემ-ალექსანდერი.

* რამდენიმე წლის წინ ჰააგაში, დედოფლის სასახლესთან ახლოს, ქუჩის ნაგვის ყუთში, სასახლის მომსახურე პერსონალმა სამეფო ოჯახის კონფიდენციალური დოკუმენტაცია აღმოაჩინა, სადაც ეწერა: დედოფლის საგარეო ვიზიტების გრაფიკი 2010 წლის ბოლომდე, საიდუმლო ინფორმაცია სამეფო ოჯახის წევრებზე; ქიმიური იარაღის შესახებ მიღებული საიდუმლო განკარგულებები და სხვა. დოკუმენტაციაში, ასევე, აღნიშნული იყო, რომ 2010 წელს დედოფალი, სავარაუდოდ, უარს იტყოდა სამეფო ტახტზე და ნიდერლანდების სამეფოს მეთაური მისი ვაჟიშვილი, პრინცი ვილემ-ალექსანდერი გახდებოდა, ხოლო, თუკი ისიც უარს იტყოდა მეფობაზე, მაშინ ნარინჯისფერ ქვეყანას ისევ ქალი უხელმძღვანელებდა – ვილემ-ალექსანდერის მეუღლე. აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს რომ არ შეესაბამებოდა, ბოლო დროის მოვლენებმა ცხადყო, თუმცა, იმ დროს კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის ფაქტმა სამეფო ოჯახის ცხოვრებაზე ნეგატიური გავლენა იქონია.

* სამეფო ოჯახის წარმომადგენლის საჯარო შეურაცხყოფა ჰოლანდიაში კანონით ისჯება. მაგალითად, შვიდდღიანი პატიმრობა და ჯარიმის გადახდა 400 ევროს ოდენობით, დააკისრეს 47 წლის მამაკაცს, რომელმაც დედოფალ ბეატრიქსს სახალხოდ უწოდა „მეძავი": ამსტერდამის მცხოვრებმა პოლიციელებთან კამათის დროს დედოფალს „მეძავი" უწოდა და დეტალურად აღწერა, თუ როგორ მოიქცეოდა მასთან, თუკი მიეცემოდა შანსი დედოფალთან სექსუალური კავშირის დამყარებისა.

* პრინცი ვილემ-ალექსანდერ კლაუს გეორგ ფერდინანდი დაიბადა 1967 წლის 27 აპრილს უტრეხტში. იგი პრინცესა ბეატრიქსისა და პრინც კლაუსის პირველი შვილია. 1980 წლის 30 აპრილს, მას შემდეგ, რაც დედოფალმა იულიანამ ოფიციალურად განაცხადა უარი გვირგვინზე და დედოფლად ბეატრიქსი აკურთხეს, პრინც ვილემ-ალექსანდერს პრინც ორანიეს ტიტული მიეკუთვნა. თავის ძმებთან, პრინც იოჰან ფრიზოსთან და პრინც კონსტანტინთან ერთად, ვილემ-ალექსანდერი დრაკენშტეინის სასახლეში იზრდებოდა. იგი განათლებით ისტორიკოსია, ლეიდენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. 2013 წლის 30 აპრილს პრინცი ვილემ-ალექსანდერი ოფიციალურად გახდება მეფე ვილემ-ალექსანდერი, თუმცა, მანამდე ვრცელდებოდა ცნობა, რომ ახალი მეფე სამეფო სახელად ვილემ მეოთხეს აირჩევდა. ვილემ-ალექსანდერის მეუღლე, პრინცესა მაქსიმა, ნიდერლანდების დედოფალი გახდება, ხოლო მათი უფროსი ქალიშვილი, პრინცესა კატარინა-ამალია – ტახტის მემკვიდრე და ორანიეს პრინცესა.

* ნიდერლანდების მომავალი დედოფალი მაქსიმა დაიბადა 1971 წელს ბუენოს-აირესში. მამამისი, ხორხე სორეგიეტა, სოფლის მეურნეობის მინისტრი გახლდათ 1970-იანი წლების არგენტინაში, დიქტატორ ვიდელის მმართველობის პერიოდში. მაქსიმამ და ვილემ-ალექსანდერმა ერთმანეთი 1999 წელს ესპანეთში, ერთ-ერთ კერძო წვეულებაზე გაიცნეს, ხოლო 2002 წელს ოფიციალურად დაქორწინდნენ. სამეფო წყვილს სამი ქალიშვილი ჰყავს: უკვე ნახსენები პრინცესა კატარინა-ამალია, პრინცესა ალექსია იულიანა მარსელა ლაურენტინი და უმცროსი, პრინცესა არიანა ვილჰელმინა მაქსიმა ინესი.

* დედოფალი ბეატრიქსის მეორე შვილი და პრინც ვილემ-ალექსანდერის უმცროსი ძმა, პრინცი იოჰან ფრიზო, 2012 წლის თებერვლიდან კომაშია და, ექიმების თქმით, მისი გადარჩენის არანაირი შანსი არ არსებობს. პრინცი ავსტრიაში, სამთო-სათხილამურო კურორტზე ყოფნის დროს ზვავში მოყვა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალე იპოვეს, მას ტვინი დაუზიანდა, მას შემდეგ ის ჰააგის ერთ-ერთ საავადმყოფოში იმყოფება, სადაც მის სანახავად თვეში რამდენჯერმე მიდის დედოფალი ბეატრიქსი.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რომელი ბრაზილიელი მილიარდერი ქალის კომპანია აკონტროლებს სამხრეთ ამერიკის ფასიან ავტომაგისტრალებს და რომელი ცნობილი ესპანური კომპანიის მფლობელია ესპანელი მილიარდერი რაფაელ დელ პინო კალვო-სოტელო

*ამერიკულმა საინფორმაციო პორტალმა „ბლუმბერგმა" იმ რვა მილიარდერის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომელთა შესახებ საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი. ეს ადამიანები ფლობენ მსხვილ ბიზნესაქტივებს მექსიკაში, ჩილეში, ბრაზილიასა და ესპანეთში. მათი გარეგნობა და ვინაობა ფართო მასებისთვის უცნობია, პირადი ინფორმაცია გასაიდუმლოებულია უსაფრთხოების მიზნით.*

## ხუან გალიარდო ტურლოუ (მექსიკა) – 1,4 მილიარდი დოლარი

1948 წელს დაბადებული მექსიკელი ბიზნესმენი ხუან გალიარდო ტურლოუ რამდენიმე მსხვილი საწარმოსა და კომპანიის მფლობელია, ის ჩართულია საცალო ვაჭრობაში, შაქრის, სამთო მომპოვებელ და სამშენებლო ბიზნესებში და ფლობს აქტივებს ცნობილ მექსიკურ კომპანიებში: „ჰოუმ მარტ მექსიკო", „კატერპილარი" და „გრუპო მექსიკა". ტურლოუ მექსიკელი მილიარდერების ტოპ-ათეულის წევრია და მისი კაპიტალი, „ბლუმბერგის" ცნობით, 1,4 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს.



## ლუის ენრიკე იარური (ჩილე) – 2 მილიარდი დოლარი

იარურის ოჯახი წარმოშობით თანამედროვე პალესტინის ტერიტორიიდან, ბეთლემთან ახლოს მდებარე სოფლიდან არის. მათი გვარის წარმომადგენლები ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრობდნენ და ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას. ლუის ენრიკე იაურირის წინაპრები 1914 წელს გადასახლდნენ სამხრეთ ამერიკაში, სადაც ჯერ ბოლივიაში დასახლდნენ, შემდგომ კი – ჩილეში. იარურების ბიზნესიმპერიის მშენებლობა მცირე ზომის სამკერვალო ფაბრიკით დაიწყო. მოგვიანებით ისინი სალვადორ ალიენდეს კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლი გახდნენ, როდესაც საწარმოები ჩამოერთვათ, თუმცა მთავრობაში მოსულმა აუგუსტო პინოჩეტმა მათ ყველაფერი დაუბრუნა. იარურების ოჯახი 1937 წლიდან ფლობს ჩილეს ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკს – „ბანკო დე კრედიტოს". ამჟამად ოჯახურ ბიზნესს ლუის ენრიკე იარური უძღვება, რომლის შესახებ ცნობები ინტერნეტ-სივრცეში პრაქტიკულად არ მოიძებნება.

## პატრისია ანჯელინი როსი (ჩილე) – 1 მილიარდი დოლარი

პატრისია ანჯელინი როსი იტალიელი ემიგრანტების შთამომავალი და კომპანია „ანტარჩილეს" თავმჯდომარეა. კომპანია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ერთ-ერთ უდიდეს კონგლომერატად ითვლება, რომელიც აერთიანებს ბიზნესის რამდენიმე სფეროს, მათ შორის ენერგეტიკის, ხე-ტყის, თევზეულისა და სამშენებლო აქტივებს. „ანტარჩილე" 1950-იან წლებში ჩილეში ჩასულმა იტალიელმა ძმებმა – ჯინო და ანაკლეტო ანჯელინებმა დააფუძნეს და პატრისია მათი შთამომავალია. მასთან ერთად ბიზნესში ჩართულია მისი ძმა, რობერტო ანჯელინი როსი, რომელიც ასევე მილიარდერია და დამატებით კიდევ რამდენიმე კომპანიას ფლობს.

## ანა მარია მარკონდეს პენიდო სანტანა (ბრაზილია) – 2,1 მილიარდი დოლარი

ანა მარია 1945 წელს ბრაზილიურ სან-პაულოში დაფუძნებული კომპანია „კომპანიოს დე კონსესოს როდოვარიოს" თავმჯდომარეა. ჰოლდინგური კომპანია ბრაზილიის შტატებს შორის დამაკავშირებელი ფასიანი ავტომაგისტრალების კერძო კონცესიებით არის დაკავებული. კომპანია აკონტროლებს ბრაზილიის გზების დაახლოებით 2 400 კილომეტრ ფასიან მაგისტრალებს და ის უმსხვილესი საგაზო ოპერატორი კომპანიაა ლათინურ ამერიკაში. გარდა მაგისტრალებისა, კომპანია აკონტროლებს სან-პაულოს მეტროპოლიტენს. კომპანიაში დაახლოებით 7 ათასი ადამიანია დასაქმებული და წლიური მოგება 481 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. თავად ანა მარია მარკონდეს პენიდო სანტანას შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი.

## როზა ევანჯელინა (ბრაზილია) – 1 მილიარდი დოლარი

როზა ევანჯელინა ანა მარია მარკონდეს პენიდო სანტანას კომპანიის – „კომპანიოს დე კონსესოს როდოვარიოსის" ერთ-ერთი მოწილეა და ფასიანი ავტომაგისტრალების ბიზნესშია ჩართული. ანა მარიას მსგავსად როზა ევანჯელინას შესახებაც დაწვრილებითი ინფორმაცია ან რაიმე სახის ინტერვიუ არ მოიპოვება. ამ ორი ბრაზილიელი ქალბატონის ფოტოებიც კი არ არსებობს ინტერნეტში.

## რაფაელ დელ პინო კალვო-სოტელო (ესპანეთი) – 2,2 მილიარდი დოლარი

რაფაელ დელ პინო კომპანია „ფეროვიალის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. კომპანიის შტაბ-ბინა მადრიდშია განთავსებული და სპეციალიზდება დაპროექტებაზე, მშენებლობასა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაზე. კომპანია 1952 წელს დაარსდა და მას შემდეგ მას დელ პინოს ოჯახი აკონტროლებს. კომპანია ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკისა და ავსტრალიის ბაზრებზე მუშაობს და მის დაქვემდებარებაშია, მაგალითად, ლონდონის „ჰითროუს" აეროპორტი. რაფაელ დელ პინო დაიბადა 1958 წელს მადრიდში და განათლება მადრიდის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და სლოუნის მენეჯმენტის სკოლაში აქვს მიღებული. რაფაელის მშობლები იყვნენ: მამა – რაფაელ დე პინო უფროსი და დედა – ანა მარია კალვა-სოტელო. მისი დედა, ცნობისთვის, ანა მარია ესპანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ლეოპოლდო კალვო-სოტელოს და იყო. რაფაელი აქტიურად არის ჩართული ესპანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ზომიერად აკრიტიკებს ხელისუფლების რიგ ნაბიჯებს, განსაკუთრებით ეკონომიკური კუთხით.



## ლეოპოლდო კალვო-კოსტელო (ესპანეთი) – 1 მილიარდი დოლარი

ლეოპოლდო ესპანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის – ლეოპოლდო კალვო-სოტელოს უფროსი ვაჟია. ის 1957 წელს დაიბადა და „ფეროვიალ გრუპის" ერთ-ერთი მესაკუთრეა. ლეოპოლდო 1997 წელს შეუერთდა „ფეროვიალს" და მის დაქვემდებარებაშია ესპანეთის ფასიანი ავტომაგისტრალების მაკონტროლებელი, „ფეროვიალის" შვილობილი კომპანია – „აუტოპისტა მადრიდ ესპანიოლი". განათლებით ლეოპოლდო ინჟინერ-მშენებელია – ამის გარდა მისი პირადი ცხოვრების შესახებ არაფერია ცნობილი.

## მარია დელ პინო კალვა-სოტელო (ესპანეთი) – 1 მილიარდი დოლარი

მარია რაფაელ დელ პინოს უფროსი ქალიშვილია. ის 1956 წელს დაიბადა მადრიდში და „ფეროვიალის" კიდევ ერთი წარმომადგენელია. ბიზნესთან ერთად, მარია აქტიურად არის ჩართული ქველმოქმედებაში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს უწევს დახმარებებს ფონდის საშუალებით.

**უშანგი რუხაძე**


## სასწავლო ცენტრში „პროფესიონალი – 2010" აბიტურიენტებისთვის, მეთერთმეტე კლასელებისა და მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის სიურპრიზები კვლავ გრძელდება

სასწავლო ცენტრში **„პროფესიონალი – 2010"** დაიწყო აბიტურიენტთა მიღება ინტენსიური ტესტირების 4-თვიან კურსებზე – საგამოცდო პროგრამის გამეორებას პლუს ინტენსიური ტესტირება ეროვნული გამოცდების საგამოცდო ფორმატის მიხედვით. **ერთი საგანი მხოლოდ 50 ლარი. იჩქარეთ, ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. ჩაწერა 28 თებერვლამდე, სწავლა დაიწყება 1 მარტს.**

სასწავლო ცენტრში **„პროფესიონალი – 2010"** ასევე, დაიწყო მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთა მიღება უნარ-ჩვევების 4-თვიან კურსებზე. ჩაწერა 28 თებერვლამდე, ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა, კვირაში 4 გაკვეთილი. **ჩვენთან მიღებული ცოდნით შედეგი გარანტირებულია!**

სასწავლო ცენტრი **„პროფესიონალი – 2010"** აცხადებს მე-11 კლასელების მიღებას საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებლად 5-თვიან კურსებზე, პლუს ერთი თვე (სექტემბერში) – გამეორება უფასოდ. **ჯგუფში იქნება მხოლოდ 4–5 მოსწავლე. ერთი საგნის ღირებულება – 25 ლარი**. ჩაწერა 28 თებერვლამდე, ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. იჩქარეთ, ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი აუცილებლად დაგეხმარებათ. ეს კი თქვენი წარმატების საწინდარია!

**მისამართი: ჭოველიძის №5; (ყოფილი ბელინსკი, რუსთაველის მეტროსთან). ტელეფონი: 230–71–13; 790–30-71–13; 555–63–48–01; 595–20–62–62**

**გიორგი ზერეკიძე თავისუფალია – ციხეში გატარებული წლების შემდეგ მან საპატიმრო საქართველოში ყველაზე პატარა ასაკის პოლიტპატიმრის სტატუსით დატოვა. გიორგიმ ცხოვრების ახალი ეტაპი დიდი სიახლით დაიწყო – მომავალი იმ გოგონას დაუკავშირა, ვინც მას წლების განმავლობაში ელოდა. წარსულს ხშირად უბრუნდება ფიქრებით, ყველაზე მეტად კი მაინც იმ ემოციების გახსენება უჭირს, რაც მამის გარდაცვალებას ახლდა – მამის, რომელმაც გიორგის თავისუფლებას თავისი თავისუფლება, შემდეგ კი საკუთარი სიცოცხლე შესწირა.**

# რა პირობა შეუსრულა გიორგი ზერეკიძემ მამას გარდაცვალებამდე ციხეში და როგორ მიულოცეს მას სტუდენტობა ქსანში

**გიორგი ზერეკიძე:** 14 წლის ვიყავი, როცა დამიჭირეს. მაშინ ვერც კი ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა ჩემს თავს, ვერ წარმომედგინა, რა კვალიფიკაცია შეიძლებოდა მიენიჭებინათ ჩემი ქმედებისთვის. ალბათ, იცით, რომ პოლიციაში მამამ მიმიყვანა – ეგონა, განყოფილებაში შენიშვნას მომცემდნენ, გამკიცხავდნენ და გამომიშვებდნენ. თვითონაც ფიქრობდა, რომ ისეთი არაფერი მქონდა დაშავებული, რის გამოც შეიძლებოდა დავეპატიმრებინე, მით უმეტეს, რას წარმოიდგენდა, იმ სასჯელს თუ მომისჯიდნენ. ახლა, ამ გადასახედიდან, ცოტა ძნელია, სხვა ადამიანს გაუზიარო, თუ რას ვგრძნობდი, როდესაც მივხვდი, რომ პატიმარი ვიყავი. იმ ასაკში ვიწყებდი სამყაროს აღქმას. ერთადერთი შეკითხვა, რომელზეც პასუხს ვეძებდი და ყველა ჩემიანისგან ვითხოვდი, იყო: „რა დავაშავე, რატომ ვარ აქ?“ ამ შეკითხვაზე პასუხი არავის არ ჰქონდა. თავიდან ძალიან გამიჭირდა იმ გარემოსთან შეგუება – წარმოდგენა არ მქონდა ციხის წესებზე. პირველად რომ დაიძახეს – „დაჩკაო”, რაც, თურმე „ამანათს“ ნიშნავდა, მე მეგონა, მიშვებდნენ და, აბა, კარგად იყავით-მეთქი, ხელს ვუქნევდი ხალხს *(იცინის)* სულ მქონდა იმის განცდა, რომ გამომიშვებდნენ. როცა მითხრეს, რომ, მუხლი, რომელიც მე მომიყენეს, ათი წლიდან იწყებოდა და სამუდამო პატიმრობასაც კი ითვალისწინებდა, ეს ცარიელი ციფრები მეგონა – ვერ მივხვდი, რატომ უნდა ვყოფილიყავი ციხეში ათი წელი. საბოლოოდ, მართლაც ათი წელი მომისაჯეს.



19 წლის ვიყავი და 18 წელი მქონდა მოსჯილი. ხუთი უკვე ვიჯექი-მეთქი, რომ ვეუბნებოდი პატიმრებს, ეგონათ, ვატყუებდი

**– შენ დაპატიმრებისთანავე იმ პერიოდის ერთ-ერთი რეზონანსული და სკანდალური პატიმარი გახდი. შენზე ლაპარაკობდა საქართველოს პრეზიდენტი, შენს გათავისუფლებას ითხოვდნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები. ამის გამო, შენ მიმართ განსაკუთრებულად მკაცრი აღმოჩნდა სასამართლო.**

– თავიდან არ მსიამოვნებდა ის ხმაური, რაც ჩემ გამო იყო და უფრო ჩავიკეტე საკუთარ თავში. მერე მშობლებმა მითხრეს, რომ ეს იყო საზოგადოების თანადგომა ჩემ მიმართ, რაც ძალიან დიდი სტიმული გახდა ჩემთვის. არჩევანი, თუ საით უნდა წახვიდე, ცხოვრებაში თითოეული ჩვენგანის გასაკეთებელია, მით უფრო – ციხეში. იქ ბეწვის ხიდზე გიწევს გავლა: შესაძლოა, იმ გარემოში ისეთი თვისებები მიიღო, რომლებსაც ველარასოდეს მოიშორებ, ან, პირიქით – ის დაკარგო, რასაც მერე ველარ დაიბრუნებ. ასაკით პატიმრებს შორის ყველაზე პატარა ვიყავი. იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტი ხშირად მახსენებდა ხოლმე თავის გამოსვლებში, რომ, თურმე, მე თბილისის რამდენიმე უბნის „მაყურებელი” ვიყავი, ციხეში არ მომირგია არანაირი სტერეოტიპი – როგორი ჩვეულებრივი ბიჭიც ვიყავი გარეთ, ისეთი ვიყავი ციხეშიც. ის სამყარო ჩემთვის აბსოლუტურად უცხო იყო, ჩვენს ოჯახს არანაირი შეხება არ ჰქონია კანონდარღვევებთან, ერთი ნაცნობიც კი არ გვყოლია დაკავებული, მაგრამ, თავის დამკვიდრება და საკუთარი პიროვნების შენარჩუნება არ გამჭირვებია. 2010 წლის დეკემბერში გამათავისუფლეს, მაგრამ, ორ თვეში შემითითხნეს ხულიგნობის ბრალდება და ისევ უკან შემაბრუნეს. ამჯერად უკვე გამოცდილი პატიმარი ვიყავი. მეორეჯერ რვა წელი მომისაჯეს, 19 წლის ვიყავი და 18 წელი მისჯილი მქონდა. ხუთი უკვე ვიჯექი-მეთქი, რომ ვეუბნებოდი პატიმრებს, ეგონათ, ვატყუებდი. მერე გვარს რომ გაიგებდნენ, – აა, შენ ის ხარო? – მეუბნებოდნენ *(იცინის)*.

**– შენს თავისუფლებას შეეწირა მამის თავისუფლება, შემდეგ კი მისი სიცოცხლე. როგორ გადაიტანე ის დღეები, როცა მამის გარდაცვალება გაიგე?**

– ეს ჩემთვის ძალიან მძიმე თემაა – მამა ჩემს ამბავს შეეწირა. არ გვაპატიეს ოჯახს, ბოლომდე გაგვისწორდნენ, მე კი მომიკლეს ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი. პირველი დარტყმა მაშინ მივიღე, როცა გავიგე, რომ მამა და დედა დააკავეს – მე ხომ ვიცოდი, რომ მათ ნარკოტიკთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ, ეს იყო აბსურდული ბრალდება. მამას პატარა ბიზნესი ჰქონდა და თავისთვის მშვიდად ცხოვრობდა, მაგრამ, ჩემი დაკავების მერე მამაც და დედაც ავტომატურად ჩაერთნენ იმ პოლიტიკურ პროცესებში, რაც მიშა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩემი მშობლები ერთ აქციას არ აცდენდნენ და მათ ესეც არ აპატიეს. როცა ჩემმა მოძღვარმა მამაჩემის გარდაცვალების ამბავი შემატყობინა, აგონიაში ჩავვარდი – ის ორი-სამი დღე კარგად არც კი მახსოვს. მამის დასაფლავებაზე „პატივი გვცეს“ და ოთხი საათით გამომიყვანეს ციხიდან, საფლავზე წასვლის ნებაც კი დამრთეს.

**– იმ პერიოდში ციხეში ბევრ ცნობილ, გახმაურებულ საქმეზე იხდიდნენ პატიმრები სასჯელს. მათთან ურთიერთობა გქონდა?**

– როდესაც ათი წელი მომისაჯეს, ფსიქოლოგიურად ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და ოთხი თვე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მომათავსეს. იმ დროს იქ იხდიდნენ სასჯელს სულხან მოლაშვილი და დათო მირცხულავა. ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. რადგან პატარა ვიყავი, სულ მეფერებოდნენ, მანუგეშებდნენ, მამხნევებდნენ. ისინი ხომ არ იყვნენ ჩვეულებრივი პატიმრები, ამიტომ მათთან ურთიერთობა იყო ძალიან საინტერესო. ჩვენ ვსაუბრობდით ბევრ თემაზე და ისინი თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებით მაძლევდნენ კარგ რჩევებს. ციხეში ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ახალგაზრდისთვის ბევრს ნიშნავს. ბოლოს სასჯელს ვიხდიდი ვახო მაისაიასთან, ლევან გოგიჩაიშვილთან, მელორ ვაჩნაძესთან ერთად. ჩვენ სულ ერთად ვიყავით. როცა პოლიტპატიმრის სტატუსი განგვისაზღვრეს, მერე უკვე სხვა პატიმრების უფლებებს ვიცავდით.

**მამის დასაფლავებაზე „პატივი გვცეს“ და ოთხი საათით გამომიყვანეს ციხიდან, საფლავზე წასვლის ნებაც კი დამრთეს**

**– ციხეში ყოფნისას შენ გახდი სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი.**

– როცა მამა დააკავეს, მან მთხოვა, რომ ჩამებარებინა ეროვნული გამოცდები, სტრასბურგში წასვლამდე დამარეგისტრირა კიდეც, მაგრამ, ისე მოხდა, რომ მეც ციხეში დავრჩი და მამაც. ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიყავი, მეცადინეობის თავი არ მქონდა. ლექტორები შემოდიოდნენ ციხეში და ამზადებდნენ ბავშვებს გამოცდებისთვის. მე არ ვესწრებოდი ამ მეცადინეობებს, მაგრამ, საღამოობით ჩემით რაღაცეებს მაინც ვკითხულობდი. იქ წიგნი ძალიან გეხმარება – საკუთარ თავს ფილმის პერსონაჟად წარმოვიდგენდი ხოლმე და რაღაც დროით ვწყდებოდი რეალობას. გამოცდებამდე ერთი კვირით ადრე განვაცხადე, მეც უნდა ჩავაბარო-მეთქი, რაც ყველას ძალიან გაუკვირდა. მაინც გამიყვანეს გამოცდაზე. თურმე, ამბობდნენ: მაინც ვერ ჩააბარებს და დავრთოოთ გამოცდებზე გასვლის ნება, მერე დედამისის თავი სად გვაქვსო. დიმიტრი შაშკინი დაპირებული იყო, რომ, ყველა პატიმარს, ვინც გამოცდას ჩააბარებდა, გაათავისუფლებდა. ოთხივე გამოცდაზე გავედი, ბარიერიც გადავლახე და ჩავირიცხე შავი ზღვის უნივერსიტეტში. როგორც ვიცი, სამინისტროში დიდი ჩოჩქოლი ამტყდარა – როგორ გადაეგზავნათ პრეზიდენტისთვის ჩემი საბუთები და როგორ ეთქვათ, ზერეკიძემ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩააბარა და, თანაც, დედამისის უნივერსიტეტში მოხვდაო. ამის გამგონეს, შეიძლება, ვინმესთვის თავზე დაეხია ჩემი საბუთები. ის ბავშვები, ვინც სტუდენტები გახდნენ, გაათავისუფლეს, მე კი ადგილი შემიცვალეს – ქსანში დიდების ციხეში გადამიყვანეს. რომ გაიგეს, ზერეკიძე ვიყავი, მანქანის უკან, მოფარებულში გამიყვანეს და „ასობად” მცემეს. ასე მომილოცეს სტუდენტობა. დედაჩემი ქსანში რომ ჩამოვიდა და ხილი შემომიტანა, ვუთხარი: რად მინდა ეს ხილი, ადვოკატი მომიყვანე, ნაცემი ვარ-მეთქი *(იცინის)*.

**– რამდენიმე თვის წინ გახმაურდა ციხის ძალიან მძიმე კადრები. შენ რა ინფორმაცია გქონდა ამ ფაქტების შესახებ, როცა პატიმარი იყავი?**

– ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მე მცემეს და მხოლოდ ორი კოპი დამრჩა – მეტი დაზიანება არ მიმიღია. მაგრამ, ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მე ცემა მინახავს. როცა დამაკავეს გლდანის ციხეში, ვუყურებდი როგორ სცემდნენ 120 კაცს. ეს იყო ფსიქოლოგიური წნეხი. მე პატარა ვიყავი და ვერ მცემდნენ – იცოდნენ, რომ დედაჩემი დიდ ამბავს ატეხდა და ამას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა. ის მძიმე კადრები, რაც საზოგადოებამ ნახა, ჩვენ თვალწინ არ მომხდარა, თუმცა, ვიცოდით, რომ ასეთი ტიპის ინციდენტები ხდებოდა. როდესაც ჩვენ, პატიმრებმა, ციხეში ამ კადრებს ვუყურეთ, ძალიან მძიმედ გადავიტანეთ, საშინლად დათრგუნულები ვიყავით.

**– ახლა როგორ მიდის შენი ცხოვრება, რეაბილიტაცია რთულია?**

– ფიქრებით ძალიან ხშირად ვარ იქ, წარსულში, მაგრამ, აქტიურად ვმუშაობ საკუთარ თავზე. ცოტა ხანი მართლაც მჭირდება რეაბილიტაციისთვის, თუმცა, ჩემი რეაბილიტაცია დაიწყო გათავისუფლებამდე ორი თვით ადრე – არჩევნების

(გაგრძელება მე-16 გვერდზე)

**„ქალანის" მეთოდი! ალბათ, გახსოვთ, ჩვენი ჟურნალის საშუალებით საკმაოდ ბევრი ცნობილი ადამიანი წარმოგიდგინეთ, რომლებიც პროფესიულ განვითარებას ინგლისურის საფუძვლიანად შესწავლით განაგრძობდნენ და ამისთვის „ბრიტანულ ცენტრს" – „ქალანის" მეთოდის ერთადერთ აკრედიტებულ ცენტრს ირჩევდნენ. დღეს ნუკი კოშკელიშვილი გესაუბრებათ ყველა იმ მიზეზზე, თუ რატომ აირჩია „ბრიტანული ცენტრი", მიზეზები კი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა: ინგლისურის შესწავლა მეოთხედ დროში საშინაო დავალებების გარეშე, მოქნილი გრაფიკი, ეფექტური სწავლება, თავისუფალი გარემო...**

# რატომ აირჩია ნუკი კოშკელიშვილმა ბრიტანული ცენტრი

**ნუკი კოშკელიშვილი**: ინგლისურ ენას საკმაოდ კარგად ვფლობ, უნივერსიტეტიც კი ინგლისურ ენაზე მაქვს დამთავრებული. გაქცეულს დავაბრუნებ და გაუქცეველსაც ერთ-ორ წინადადებას გავაგებინებ. მეც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ენა ფანტასტიკურად ვიცოდი და, უბრალოდ, არ მჭირდებოდა მისი გამოყენება ხშირად, მაგრამ, მოულოდნელად აღმოვჩნდი საკმაოდ უსიამოვნო რეალობის წინაშე – ენა დამვიწყებია. დედაჩემის მეგობარი იყო ჩამოსული თბილისში და მასთან საუბარში დავიძაბე, სიტყვებს ვეძებდი, ბევრი რაღაც გონებამ იცოდა, მაგრამ, ვერ ვიხსენებდი. მშობლიურმა ენამაც კი იცის დავიწყება, უცხო ენას რომ თავი დავანებოთ. როდესაც მიაღწევ რაღაცას, იქ არ უნდა გაჩერდე, ახლის შესწავლა აუცილებელია. ჩვენ ხომ ასე ვიქცევით: ვისწავლეთ სკოლაში ინგლისური, გვაქვს აღებული რაღაც სერტიფიკატი და – მორჩა, მეტი აღარც არის საჭირო. საერთოდაც, მხოლოდ სერტიფიკატების გამო ბევრ რაღაცას ვაკეთებთ...

**– თუმცა, ბევრს ამის დრო არ აქვს.**

– ისევე როგორც მე. თავიდან ჩემს ყოფილ ინგლისურის მასწავლებელთან მივედი, რომელმაც, ასობით სავარჯიშო რომ მომცა სახლში გასაკეთებლად, მივხვდი, ამის არც დრო მაქვს და, სიმართლე გითხრათ, აღარც ნერვები. მერე აღმოვაჩინე, რომ არსებობს ასეთი ფანტასტიკური ცენტრი, სადაც მოდიხარ, ჯდები ჯგუფში, რაც ბევრად სასიამოვნოა, ვიდრე მასწავლებელთან ინდივიდუალურად მეცადინეობა, შენი ცოდნის დონის მიხედვით სხვადასხვა საფეხურზე განაწილებენ და იწყებ ინგლისურად საუბარს. ამ მეთოდით ძალიან მალე იხსენებ იმას, რაც დავიწყებული გაქვს. მაშინაც კი, თუ საერთოდ არ იცი ენა, ისე იწყებ ინგლისურად ლაპარაკსა და აზროვნებას, თვითონაც ვერ ხვდები, რადგან, ეს ხდება ძალიან ბუნებრივად. ამ ყველაფერს ხელს უწყობს „ბრიტანულ ცენტრში" მომუშავე არაჩვეულებრივი პროფესიონალი მასწავლებლების გუნდი. ყველაზე დიდი კომფორტი კი ის არის, რომ სახლში სამეცადინო არ გაქვს, გაკვეთილზევე აკეთებ ყველა დავალებას. ბავშვებისთვისაც ძალიან მაგარია. ჩემი და იმდენ წრეზე დადის, იმდენ რაღაცას სწავლობს, მგონი ჩემზე მოუცლელია, ამას მერე სახლში დავალებებიც ხომ ემატება... უკვე გადავწყვიტე მისი აქ მოყვანა. „ბრიტანულ ცენტრს" თბილისის თითქმის ყველა უბანში აქვს ფილიალი და ამითაც ძალიან მოსახერხებელია. მე დი-





ღომში დავდივარ – ახალ ფილიალში, ძალიან ლამაზ და კომფორტულ შენობაში, ორ ნაბიჯზეა ტელეკომპანია „იმედიდან" და ამ მხრივაც ძალიან გამიმართლა. ამ შენობაშივეა აუზი, გაკვეთილის შემდეგ ვცურავ, ვისვენებ და ფანტასტიკურ ხასიათზე ვბრუნდები სამსახურში.

**– რის ხარჯზე ხდება ასე სწრაფად ალაპარაკება?**

– აი, როგორც ბავშვი იწყებს ლაპარაკს ისე, რომ არავინ არც გრამატიკას უხსნის, არ ასწავლის, სიტყვა წარსულ ან მომავალ დროში როგორ ჩასვას, ისე ხდება აქაც. ბავშვობაში თავს ვაკლავდით გრამატიკას, ვაკეთებდით ასობით საშინაო დავალებას, მაგრამ როდესაც აღმოვაჩინე ეს ცენტრი, მივხვდი რომ ბევრად სწრაფად და ხალისით არის შესაძლებელი ინგლისური ენის შესწავლა თუ დავიწყებულის გახსენება და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უმოკლეს დროში ინგლისურად ალაპარაკება.

**– რამდენ ხანში აღიდგინე ენა და ალაპარაკდი?**

– იმისთვის, ვინც იცის ინგლისური, მაგრამ, დავიწყებული აქვს, 1 თვეც საკმარისია, რომ სრულყოფილად აღიდგინოს ყველაფერი და თავიდან ალაპარაკდეს; თუ ნულიდან იწყებ შესწავლას, 3 თვეში იწყებ ელემენტარულ თემებზე ინგლისურად საუბარს; 1 წელიწადში აღწევ მსოფლიოში აღიარებულ კემბრიჯის მოსამზადებელი ინგლისური ტესტის დონეს (PET), ხოლო, წელიწადსა და ცხრა თვეში – კემბრიჯის პირველი სერტიფიკატის დონეს (FCE).

**– უამრავ პროექტში ხარ და, წარმომიდგენია, როგორი დატვირთული დღის რეჟიმი გაქვს. ცენტრში ინდივიდუალური გრაფიკი შეგიდგინეს, ანუ, შენ მოგარგეს გაკვეთილების ჩატარების დრო?**

– დილის 9 საათიდან საღამოს 9-მდე მუშაობენ, რაც ძალიან კომფორტულია. „შუა ქალაქში" შესვენება საკმარისია იმისთვის, რომ ლანჩი მივირთვა, ორ წუთში აქ მოვიდე, ვიმეცადინო და წავიდე. როცა უფრო დიდი შესვენება მაქვს, ვცურავ კიდეც. ძალიან ბევრი ენერგია და დროც რომ დახარჯო პროფესიულ განვითარებაზე, პიროვნულად ვერ განვითარდები, თუ ტვინი კიდევ სხვა რაღაცეებში არ ავარჯიშე. ინგლისური ენის გარეშე ოცდამეერთე საუკუნეში ცხოვრება წარმოუდგენელია და „ბრიტანული ცენტრი" მართლა ოცდამეერთე საუკუნის ცენტრია, მისწრებაა ყველასთვის, ვისაც გადატვირთული გრაფიკი აქვს, დღეს კი თითქმის ყველა ასეა, ბავშვიც და ასაკოვანიც. წმიდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაც არაჩვეულებრივი აქვთ. ძალიან მომინდა, ისევ პატარა ვიყო და ასეთ სკოლაში ვისწავლო, ადრე მხოლოდ ჰოლივუდის ფილმებში რომ იყო – თავისი კარადებითა და ამბებით *(იცინის).*

**– როგორ მოაგენი „ბრიტანულ ცენტრს"?**

– „ყოფილი ცოლების კლუბის" დროს აღმოვაჩინე: როდესაც ერთ-ერთი გმირი ინგლისური ენის ცენტრში უნდა მიგვეყვანა, გავიკითხეთ, თბილისში რომელი იყო ყველაზე კარგი და ჩემმა კოლეგებმა, რომლებიც აქ დადიოდნენ, „ბრიტანული ცენტრი" გვირჩიეს და აქ მოვიყვანეთ. ისეთი გოგო იყო, სკოლაც რომ არ ჰქონდა დამთავრებული და არც არაფრის სწავლის სურვილი ჰქონია ცხოვრებაში. ვიფიქრე, სიმბოლურად, გადაცემისთვის ერთი-ორჯერ მივა გაკვეთილზე და მორჩა-მეთქი. ჩვენი გადაცემის გმირებს უფრო ტანსაცმელი და ასეთი საჩუქრები უხაროდათ. აღმოჩნდა, რომ ცენტრმა უფასოდ სწავლა გააგრძელებინა, ამ გოგოსაც არ დაეზარა, იარა და, რეალურად, ალაპარაკდა ინგლისურად. იმ გოგოს თუ რამე ეშველებოდა, ნამდვილად არ მეგონა, ქართულშიც კი დროებს ურევდა. როდესაც ინგლისურზე სიარული გადავწყვიტე, რა თქმა უნდა, მაშინვე ეს ცენტრი გამახსენდა. იქიდან გამომდინარე, რომ ინგლისურს მეოთხედ დროში სწავლობ, ერთი საფეხურის დასახურად მხოლოდ თვე-ნახევარი გჭირდება, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ იაფიც არის, ვინაიდან, სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, ოთხჯერ სწრაფად სწავლობ ინგლისურს და, შესაბამისად ამით ზოგავ თანხასაც. სკოლის სლოგანია: „დაზოგე დრო, ენერგია და ბიუჯეტი" და ეს მხოლოდ სლოგანი არ არის, საკუთარ თავზე გამოცდილი რეალობაა.

**– მსმენელების სურვილების გათვალისწინება თუ ხდება, ვთქვათ, მათთვის კონკრეტული ტექსტის დაწერაში მიხმარება ან რაიმე მსგავსი?**

– არა, სწავლა ხდება მათემატიკური სიზუსტით „ქალანის" მეთოდით. მეთოდიდან გადახვევა გამოიწვევს ენის შესწავლის დროში გაჭიანურებას. ენას იმდენად კარგად სწავლობ, საკუთარ ტექსტებს თვითონაც გადასარევად მიხედავ. მგონია, რომ ჩემთვის გააკეთეს ეს ყველაფერი. გაკვეთილების მერე სამოთხეში ხარ, ჩახვალ აუზზე, ისიამოვნებ, სასარგებლოს სასიამოვნოს შეუთავსებ და ბედნიერი უბრუნდები საქმეს.

*თბილისი. რუსთაველის 36; ტელ.: 298-99-99, 293-38-73. info@britishcentre.ge; აღმაშენებლის 189. ტელ.: 294-11-11, 295-22-22. ფალიაშვილის 60; ტელ.: 222-19-15. პეკინის 7/9; ტელ.: 233-25-57, 251-41-43. ლუბლიანას 21; ტელ.: 247-71-17.*

*რეგიონები: ბათუმი, იმნაძის 2 (ბლაგოევგრადი); ტელ.: 27-31-22. ქუთაისი, ტაბიძის 1; ტელ.: 24-30-17. kutaisi@britishcentre.ge რუსთავი, ტაშკენტის 5; ტელ.: 28-70-40. ზუგდიდი, აღმაშენებლის 18; ტელ.: 25-25-99.*

*www.britishcentre.ge*

**სალომე გველესიანი**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: რა არის შემაკავებელი ორდერი და იმ შემთხვევაში თუ სასამართლომ მოახდინა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რა დროის მონაკვეთს არ უნდა აღემატებოდეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა?**

**პასუხი:** მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შემაკავებელი ორდერი პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტია, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში, ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. სასამართლო ამტკიცებს შემაკავებელ ორდერს და განსაზღვრავს შემაკავებელი ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

**კითხვა: პოლიციის თანამშრომლის მიერ გამოცემულ იქნა შემაკავებელი ორდერი, რომელიც დაამტკიცა სასამართლომ. შემაკავებელი ორდერი შეეხებოდა არასრულწლოვანს. სად იგზავნება სასამართლოს მიერ გამოცემული ასეთი სახის გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, თუ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემულია აქტი, რომლითაც განისაზღვრა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის, კერძოდ კი, არასრულწლ-



ოვნის დაცვის დროებითი ღონისძიება და აღნიშნული შემაკავებელი ორდერი დაამტკიცა სასამართლომ, გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა გადაიგზავნოს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოში.

**კითხვა: რა კატეგორიის საქმეებზე გამოიცემა შემაკავებელი და დამცავი ორდერი, რა იგულისხმება ოჯახში ძალადობის ცნების ქვეშ?**

**პასუხი:** მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ეს არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიება. ასეთი აქტი გამოიცემა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

**კითხვა: ეკისრება თუ არა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი ქმედებისთვის, როდესაც თვითონ არ იცოდა, რომ ჩადენილი ქმედება დასჯადი იყო?**

**პასუხი:** სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი – 36-ე მუხლი ეხება პირის შეცდომას, ვინც მუხლის მიხედვით არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც ჩადის, აკრძალულია. არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატევებელია. ამავე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ შეცდომა მისატევებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას. ანუ, კანონმდებელი გულისხმობს, რომ თუ ობიექტური გარემოებების გამო, პირს არ შეეძლო გაეცნობიერებინა ჩადენილი ქმედების დასჯადობა, ამ შემთხვევაში, მისი ქმედება შეფასდება შეცდომად და მისი ბრალეულობა გამოირიცხება.

**კითხვა: ჩემი შვილი სასჯელს იხდის ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის. პროკურატურამ და სასამარლომ უარი თქვეს საპროცესო შეთანხმებაზე. ჰქონდათ თუ არა მათ ამის უფლება?**

**პასუხი:** საპროცესო შეთანხმების არსი და შემადგენელი პირობები განხილულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე თავში, რის მიხედვითაც საპროცესო შეთანხმება დგება მხარეების – ბრალდებულისა და პროკურორის თანხმობის საფუძველზე. საპროცესო შეთანხმების ვალდებულებისგან ორივე მხარე თავისუფალია. რაც შეეხება სასამართლოს, ის ამოწმებს საპროცესო შეთანხმების კანონიერებას. სხვა სახის ზემოქმედების საშუალება საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე სასამართლოს არ გააჩნია. შესაბამისად, თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ პროკურორი არ არის ვალდებული, გააფორმოს საპროცესო შეთანხმება დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად.

**კითხვა: როდესაც პირს მისჯილი აქვს პირობითი სასჯელი გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისას, ემატება თუ არა პირობითი სასჯელის წლები ახლად ჩადენილი დანაშაულის სასჯელს?**

**პასუხი:** სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მიხედვით, თუ პირობითმა მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, პირობითი მსჯავრის ძალაში დატოვების ან გაუქმების საკითხს წყვეტს სასამართლო. ანუ, ამ შემთხვევაში, პირობითი მსჯავრის გაუქმება ან ძალაში დატოვება, რიგ გარემოებებთან ერთად, დამოკიდებულია როგორც ბრალდებულის პიროვნულ ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მახასიათებლებზე, რის მიხედვითაც, გადაწყვეტილება გამოაქვს საქმის განმხილველ სასამართლოს.

**კითხვა: მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენებამ, შეიძლება თუ არა, რაიმე გავლენა იქონიოს ჩემს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე? ასევე მაინტერესებს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, უნდა დაველოდო თუ არა დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს გადაწყვეტილებას?**

**პასუხი:** საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება, შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით.“ დისციპლინური საქმის წარმოების შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი დგება მხოლოდ მოსამართლის მიმართ. შესაბამისად, თქვენ მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა სცილდება დისციპლინური საქმეების განმხილველი ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებს. მოსამართლის მიმართ განხორციელებული დისციპლინური საქმის წარმოების შედეგებმა არ შეიძლება, რაიმე გავლენა იქონიოს სასამართლო გადაწყვეტილებაზე. გასაჩივრების უფლება უნდა გამოიყენოთ თქვენთვის სასამართლო გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.

# რა პირობა შეუსრულა გიორგი ზერეკიძემ მამას გარდაცვალებამდე ციხეში და როგორ მიულოცეს მას სტუდენტობა ქსანში

(მეთოთხმეტე გვერდიდან)

შემდეგ ციხეში ვიყავი, მაგრამ, თავს მაინც თავისუფლად ვგრძნობდი. ახლა ხშირად მაქვს ურთიერთობა იმ ადამიანებთან, ვინც პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდნენ ციხიდან. მინდა, დავაფუძნო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაზე და არასრულწლოვანი პატიმრების უფლებებსა და რეაბილიტაციაზე. მე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რა მდგომარეობაში ვარდება არასრულწლოვანი, როცა ის გისოსებს მიღმა ხვდება.

**– როგორც ვიცი, შენს ცხოვრებაში დიდი სიახლეა – ახლახან დაქორწინდი კიდეც. ვინ არის შენი რჩეული და სად გაიცანი – რაც გაიზარდე, მას მერე ხომ სულ ციხეში ხარ?**

– ამიტომაც გავიცანი ბავშვობაში *(იცინის).* მე და მარიკა ვასაძე თანაკლასელები ვართ, მეორე კლასიდან ერთად მოვდივართ. პირველი გოგოა, ვინც შემიყვარდა და ეს სიყვარული დღემდე მომყვება. თუმცა, ეს მარტო სიყვარულიც არ არის, ჩვენ კარგი მეგობრებიც ვართ და მარიკას გვერდით თავს ბედნიერად ვგრძნობ. როცა ციხეში ვიყავი, მარიკა წერილებს მიგზავნიდა, მეც ვწერდი იქიდან. მარიკას წერილები რომ არ დაკარგულიყო, იმასაც უკანვე ვგზავნიდი. ძალიან რომანტიკული წერილები იყო. მარიკა ინახავდა ამ წერილებს და, ახლა ერთად რომ ვართ, ვკითხულობთ ხოლმე. მარიკა წლების განმავლობაში მელოდა. ცხოვრებამ დაგვაშორა, მაგრამ, ჩვენ მაინც არ დავშორდით, პირიქით, იმ წლებმა ეს სიყვარული უფრო განამტკიცა. ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, რომ არა ეს ინციდენტი, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება-მეთქი და, ვერ ვხვდები, რა იქნებოდა სხვანაირად... ეს ჩემი წარსულია, რომლისაც არ მრცხვენია. ახლა ახალ გზას უნდა გავყვე – მჯერა, რომ წინ ყველაფერი კარგად იქნება.

**თამუნა ნიჟარაძე**

GMP

# „ჯი ემ პი“ 13 წლისაა!

*„ჯი ემ პი“ არის ერთადერთი ფარმაცევტული საწარმო მთელ კავკასიაში, რომელშიც თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიებისა და სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს სრული საწარმოო ციკლი, დაწყებული ნედლეულის მოძიებით, საბოლოო პროდუქტის დამზადების სტადიის ჩათვლით. უკვე 13 წელია, კომპანია საზოგადოებას სთავაზობს თანამედროვე, უახლესი თაობის მედიკამენტებს და ზრუნავს ადამიანების ჯანმრთელობაზე. ქართული ფარმაცევტული ქარხანა უკვე 13 წელია, მედიკამენტებით ამარაგებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას და ყოველდღიურად ამტკიცებს, რომ ის გარანტირებული ხარისხისა და სანდოობის სიმბოლოა. მხოლოდ 2012 წელს „ჯი ემ პის“ მიერ წარმოებული 4 მილიონ კოლოფზე მეტი პრეპარატი გამოიყენა საქართველოს მოსახლეობამ, რაც ხალხის აღიარებისა და ნდობის უდავო მაჩვენებელია. „ჯი ემ პის“ პოპულარობა საქართველოს ფარგლებსაც გასცდა – სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, მოლდოვა, უკრაინა, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ლიბია, სიერალეონე, ვიეტნამი... – ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, სადაც „ჯი ემ პი“ უკვე პოპულარულია. ამ ქვეყნებში „ჯი ემ პის“ ლოგო ევროპული სტანდარტებით წარმოებულ, გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებთან ასოცირდება.*

*„ჯი ემ პი“ მდებარეობს თბილისში, ქვემო ფონიჭალაში. საწარმო აღჭურვილია უახლესი მანქანა-დანადგარებით. საწარმო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უშვებს მყარი ფორმის მედიკამენტებს – ტაბლეტებს, გარსით დაფარულ ტაბლეტებს, ფხვნილებსა და ჟელატინის კაფსულებს. ქარხნის წარმადობაა 500 მილიონი ტაბლეტი და 200 მილიონი კაფსულა წელიწადში.*

*საწარმოს სათავეში უდგას საერთაშორისო ხარისხის კონსალტინგის (International Quality Consulting Inc. (Germani) წარმომადგენელი საქართველოში, დასავლეთგერმანული ხარისხის მართვის სისტემების მასერტიფიცირებელი ორგანოს (TUV Cert (Germani) სერტიფიცირებული ხარისხის ოფიცერი, ევროპის PGMP-თან შესაბამისობის აკადემიის (ECA) წევრი, ევროპის ქიმიური საბჭოს მიერ სერტიფიცირებული GMP-ის აუდიტორი, ფარმაცევტული საწარმოს ხარისხის კონტროლის სისტემაში ევროპაში აკრედიტებული უფლებამოსილი პირი (Qualified Person (QP) in Europe) – გიორგი ანთაძე.*



**– ბატონო გიორგი, ვულოცავ ფარმაცევტულ ქარხანა „ჯი ემ პის“ ამ საიუბილეო თარიღს. როგორ შეაფასებთ თქვენს მუშაობას ამ პერიოდში?**

– გმადლობთ მოლოცვისთვის. თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ წამალი არის განსაკუთრებული პროდუქტი, რომელიც ეხმარება ადამიანს, იყოს ჯანმრთელი. თითოეული პრეპარატი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და სწორედ ამას უზრუნველყოფს ჩვენი ქარხანა. „ჯი ემ პის“ ქარხნის მიერ წარმოებული წამლების მიმართ ნდობა განაპირობებს მომხმარებლების გაზრდილ რაოდენობას გადატვირთულ ფარმაცევტულ ბაზარზე. ქართველი მომხმარებელი გვენდობა, რადგან აფასებს ხარისხს. სწორედ მომხმარებელია ხარისხის ყველაზე დიდი შემფასებელი. „ჯი ემ პი“ აწარმოებს 150 დასახელების პრეპარატს და მედიცინის თითქმის ყველა პოპულარულ სფეროს მოიცავს. რაც შეეხება საექსპორტო ქვეყნების რიცხვს, ის ყოველწლიურად იზრდება. სამომავლო განვითარების სტრატეგიულ გეგმებში შედის ევროპის ბაზარიც, რისთვისაც უკვე დაწყებულია სამუშაოები. არაერთი წარმატებული აუდიტი ჩატარდა საწარმოში „ევროკავშირის“ რეგისტრაციის მოსაპოვებლად. „ჯი ემ პიში“ მიმდინარეობს წამლის წარმოების სრული ციკლი, რომელიც იწყება ნედლეულის მოძიებით და გადის მრავალ საფეხურს საბოლოო პროდუქტის მიღებამდე. აქტიური ნივთიერებებისა და შემავსებლების შერევა, გაშრობა, დატაბლეტება, დაკაფსულება, შეფუთვა, საბოლოო პროდუქტის მიღება... მარტივად რომ ვთქვათ, ეს ის ეტაპებია, რასაც ნედლეული გადის, სანამ საბოლოო პროდუქტის სახეს მიიღებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა საწარმოში კონტროლის მექანიზმებს ეთმობა. კონტროლდება ყველა ეტაპი და საბოლოო პროდუქტი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს დარდება. ადამიანური შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, საწარმოში მაღალტექნოლოგიური პროცესები ისეა აწყობილი, რომ შეცდომის დაშვებას თავად სისტემა გამორიცხავს. საწარმოში, ასევე, ფუნქციონირებს საქართველოში ერთადერთი საერთაშორისო სტანდარტების ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს წამლის ლაბორატორიული კონტროლი. „ჯი ემ პი“ 13 წელია, ემსახურება მოსახლეობას და მისი მთავარი მისია – ხელმისაწვდომი გავხადოთ მოსახლეობისთვის ჯანმრთელობაზე ზრუნვის საუკეთესო საშუალებები – შესრულებულია. „ჯი ემ პი“ საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ საქართველოში შეიძლება არსებობდეს საერთაშორისო სტანდარტების წარმოება, აღიარება მოიპოვოს სხვა ბაზრებზე და ქართული პრეპარატი სანდოობისა და გარანტირებული ხარისხის სიმბოლოდ აქციოს.

**– როგორ გახვედით იმ ქვეყნებზე, სადაც თქვენი პროდუქტი იყიდება?**

– 65-ზე მეტი დასახელების პრეპარატი გვაქვს რეგისტრირებული სხვადასხვა ქვეყანაში. რეგისტრაცია ნიშნავს, რომ იქაური მარეგულირებელი ორგანოები და ექსპერტი ეცნობა როგორც წარმოების პროცესს, ასევე, მიღებულ პროდუქტს და მხოლოდ ამის შემდეგ უშვებენ საკუთარ ბაზარზე ამა თუ იმ პრეპარატს. ეს ხანგრძლივი პროცესია, რასაც ჩვენ წარმეტებით გავართვით თავი. მთელ მსოფლიოში წამლის ხარისხისადმი განსაკუთრებული მიდგომაა და ეს მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ ხარისხი უნდა იყოს 100 პროცენტით გარანტირებული და გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი შეცდომა. ჩვენ შეცდომის უფლება არ გვაქვს.

**„ჯი ემ პის“ ქარხნის მიერ წარმოებული წამლების მიმართ ნდობა განაპირობებს მომხმარებლების გაზრდილ რაოდენობას გადატვირთულ ფარმაცევტულ ბაზარზე**

ხოლო იმისთვის, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ ეს წარმოების პროცესში, არსებობს საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც სათანადო წარმოების პრაქტიკა ეწოდება. ჩვენს მაგალითზე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „ქართველებსაც შეგვიძლია“. „ჯი ემ პი“ სამომავლოდაც ეცდება, თავისი ხარისხიანი და წარმატებული საქმიანობით შეინარჩუნოს საზოგადოებაში პოპულარობა, ნდობა და სიყვარული...

**ჩვენს მაგალითზე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „ქართველებსაც შეგვიძლია“. „ჯი ემ პი“ სამომავლოდაც ეცდება, თავისი ხარისხიანი და წარმატებული საქმიანობით შეინარჩუნოს საზოგადოებაში პოპულარობა, ნდობა და სიყვარული...**

**სოფი ლორია**

**სულ ცოტა ხნის წინ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველად გიორგი ჟორდანია დაინიშნა. იგი ძალიან საინტერესო და წარმატებული პიროვნება გახლავთ. „თბილისელები" შეეცადა, რაც შეიძლება მეტი შეეტყო მის შესახებ. ჩვენი ინტერვიუ ბატონი გიორგის სამუშაო ოთახში შედგა.**

# ვინ დაინიშნა ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალ მმართველად და რატომ არ ჰქონდა ურთიერთობა მამასთან გიორგი ჟორდანიას შვიდი წლის განმავლობაში

**– ბატონო გიორგი, გილოცავთ! თუ ელოდით ამგვარ სიახლეს თქვენს კარიერაში?**

– გმადლობთ. ველოდი-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმედი მქონდა, ეს დრო დადგებოდა, რადგან მიმაჩნია, რომ მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ვემზადებოდი ამისთვის...

**– რა გეგმები გაქვთ?**

– გეგმა ბევრია. მოგეხსენებათ, გასული საუკუნის 30-იან წლებში ოპერის თეატრი უმთავრესი კულტურული, მუსიკალური ცენტრი იყო სრულიად საქართველოში. ჩვენ გვაქვს მოკრძალებული პრეტენზია, რომ იმავე მიმართულებით ვიაროთ. ამისთვის კი თეატრის ყოველი სეგმენტი უნდა გაძლიერდეს ახალი მაღალპროფესიული კადრებით. გასატარებელია სტრუქტურული ცვლილებები, რათა ამ ბაზისზე დაშენდეს და განვითარდეს ახალი შემოქმედებითი იდეები. შემოქმედებითი გეგმაც ძალიან ბევრია. მაგრამ, ერთია, რომ, შეიძლება, ადამიანს დიდი გეგმები ჰქონდეს და, მეორე, – ამ ეტაპზე ამისთვის მზად არ იყოს. მიმაჩნია, რომ გონიერმა მმართველმა ნაბიჯ-ნაბიჯ, სწორი რეპერტუარით, სწორი სტრატეგიით უნდა მოახდინოს სასურველ სიმაღლეზე ასვლა. ეს ნაბიჯები უნდა იყოს ძალიან მყარი და თანმიმდევრული. პროექტი, რომელიც მე წარვადგინე, არაა ერთ და ორფურცლიანი, არც ერთ და ორ წელზეა გათვლილი. თანმიმდევრული მუშაობის შედეგად, ჩვენ დავინახავთ, რომ თეატრი ნამდვილად გადაინაცვლებს სხვა ხარისხობრივ საფეხურზე. თეატრის განვითარება მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ეს ერთგვარი ანარეკლია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა. ჩემი აზრით, 2014 წლამდე, ანუ თეატრში შესვლამდე, მინიმუმ 2 სეზონი უკვე დაგეგმილი უნდა გვქონდეს. ეს შემოქმედებითი გრაფიკი უნდა იცოდეს არამარტო ქართულმა, არამედ, საერთაშორისო საზოგადოებამაც. უამრავი ავტორიტეტული ხელოვანი, მუსიკოსი გვყავს გაბნეული მსოფლიოში და თითოეული მათგანის კალენდარში უნდა იყოს ჩვენი თეატრი; არა მარტო არტისტების კალენდარში, არამედ, მთელი ტურისტული ინფრასტრუქტურაც უნდა მოვიცვათ. ამას ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება.



**ჩემი მშობლების მეგობრები სულ ხუმრობდნენ: თეატრში არ დაბადებულხარ, თორემ, რაც გაჩნდი, მას შემდეგ თეატრში ხარო**

**– როგორც ვიცი, თქვენს მუსიკოსად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ოჯახს.**

– ჩემი მშობლების მეგობრები სულ ხუმრობდნენ: თეატრში არ დაბადებულხარ, თორემ, რაც გაჩნდი, მას შემდეგ თეატრში ხარო. ეს მართლაც ასე იყო. ბაბუაჩემი (დედის მამა), ივანე ასკურავა, წლების განმავლობაში იყო ოპერის თეატრის მთავარი მხატვარი. მე და ბაბუა მუდამ ერთად ვიყავით ყველგან, მათ შორის თეატრშიც და მთელი მისი რეკვიზიტები ჩემი სათამაშოები იყო ***(იცინის).*** მახსოვს, პირველად რომ ვიდირიჟორე ოპერის თეატრში ბაბუაჩემი უბედნიერეს ადამიანად გრძნობდა თავს, რადგან მან ჩემში ერთგვარი გამგრძელებელი დაინახა.

მუსიკალურ ტრადიციებს რაც შეეხება, მამაჩემი, ვახტანგ ჟორდანია, იყო ძალიან ცნობილი დირიჟორი. სამწუხაროდ, მან საქართველოში სათანადოდ ვერ ილვაწა რიგი მიზეზების გამო, მსოფლიოს სხვადასხვა ორკესტრებთან კი 70-მდე კომპაქტდისკი აქვს ჩაწერილი. მეეჭვება, იყოს ისეთი ქართველი მუსიკოსი, რომელსაც ამდენი ჩანაწერი ჰქონდეს გამოშვებული. მამა 1983 წელს, ანდროპოვის მმართველობის პერიოდში, საბჭოთა კავშირს გაექცა და ამერიკაში გადაიხვეწა. თუმცა, საქართველოსთან არ გაუწყვეტია სულიერი კავშირი. ჯერ ერთი, აქ ვიყავით მე და ჩემი და; გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ ამერიკაში დაბადებულ მის შვილებს, ჩემს დას და ძმას, ქართული სახელები ჰქვიათ – მარიამი და დიმიტრი. ისინი ქართულ სკოლაში სწავლობდნენ, როდესაც მამას ოჯახი აქ 6 თვით ჰყავდა ჩამოყვანილი. ისინი დღესაც შესანიშნავად საუბრობენ ქართულად; ჩემს დისშვილსაც საბა ჰქვია და დედამისი მას ქართულს ასწავლის. ვახტანგ ჟორდანია 2005 წელს გარდაიცვალა.

**– რამდენი წელი იცხოვრეთ ისე, რომ უფლება არ გქონდათ, კავშირი გქონოდათ მამასთან?**

– შვიდი წელი. თუმცა, წერილებით და ტელეფონით მაინც ვახერხებდით ურთიერთობას.

**– ალბათ, მუდმივი დაზვერვის ქვეშ იმყოფებოდით, რადგან, მოღალატის შვილად ითვლებოდით...**

– თავიდან კი იყო – აი, მოღალატის შვილიო... იმ დროისთვის უკვე 18 წლის ვიყავი. ერთადერთი, რაშიც გამოიხატა დევნა, ის იყო, რომ სახელობითი სტიპენდია არ მომცეს, თუმცა, გასაგები იყო, რატომაც. სხვა მხრივ, მცირედი დისკომფორტი მაინც მქონდა, რამდენიმე ადამიანთან შეხლა-შემოხლაც მომიწია, თუმცა, ეს გამონაკლისი იყო. მაგრამ, საქართველო მაშინაც სხვა ქვეყანა იყო და მე ძირითადად, გულისხმიერად მეპყრობოდნენ, ზოგიერთები კი მამასავით მექცეოდნენ, მაგალითად, ჩემი პედაგოგი შალვა მოსიძე.

**– იმ პერიოდში, მოგწონდათ თუ არა გულის სიღრმეში მამის საქციელი?**

– მე ცოტა გული მეტკინა იმ მხრივ, რომ, მეგონა, ველარასოდეს ვნახავდი მამას. იმ დროს საბჭოთა კავშირის დანგრევა წარმოუდგენელი ამბავი იყო. თუმცა, ბაბუაჩემმა, მამაჩემის მამამ,

**თავიდან კი იყო... აი, მოღალატის შვილიო... იმ დროისთვის უკვე 18 წლის ვიყავი**

ცნობილმა ისტორიკოსმა გივი ჟორდანიამ, რომელსაც ფანტასტიკური ანალიზის უნარი ჰქონდა, მითხრა: შენ ნახავ, რომ სულ მალე ეს ყველაფერი დამთავრდებაო.

**– თქვენ მიხვდით, რასაც გულისხმობდა?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ, 1983 წელს ადამიანი ამას რომ იტყოდა, ვფიქრობდი, ან სიბერე ათქმევინებდა, ან გულს მიკეთებდა. თუმცა, ბაბუა საბედნიეროდ, არასოდეს შემცდარა თავის პროგნოზებში. ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი... 1989 წელს მე მას ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი: ძალიან მაგარი ყოფილხარ-მეთქი.

**– როდის შეხვედით მამას პირისპირ?**

– 1989 წელს, როცა მომეცა საშუალება, წავსულიყავი მასთან, ასპირანტურაში სასწავლებლად. ყველამ იცოდა, რომ მე მამასთან მივდიოდი, ოფიციალურად კი მივემგზავრებოდი ტენესის უნივერსიტეტში, რექტორის მიწვევით. რეალურად შესაბამისმა ორგანოებმაც და მთელმა ქვეყნამ იცოდა სიმართლე. იქ მამას ასისტენტადაც მომიწია მუშაობა.

**– დედაზეც მიამბეთ ორიოდ სიტყვით.**

– დედაჩემი, ნანა ასკურავა, ასევე მუსიკოსია, პიანისტი. მამაჩემი და დედაჩემი თანაკურსელები იყვნენ. საკმაოდ წარმატებული პიანისტი იყო, მერე კონცერტმაისტერობა არჩია. დედა მუშაობდა პროფესორ დიზი ხელაშვილთან, რომლის ერთ-ერთი სტუდენტი პაატა ბურჭულაძე იყო, დედა მას კონცერტმაისტერობას უწევდა. ასე რომ, „ვოკალური სამზარეულო" ჩემთვის უცხო არ არის – ესეც ჩემი კიდევ ერთი კავშირი ოპერასთან.

**– ოჯახზეც მიამბობთ?**

– აქაც ყველა მუსიკოსია. ერთადერთი, ჩემმა ბიჭმა, თედომ, გადაწყვიტა, სწავლა უნივერსიტეტში ბიზნესისა და მართვის ფაკულკტეტზე გაეგრძელებინა. ქალიშვილი – სალომე, თავისი ასაკისთვის საკმაოდ წარმატებული პიანისტია – ის 16 წლისაა და უკვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაიმარჯვა კონკურსებზე, დადის გასტროლებზე... საინტერესო გზით მიდის. მეუღლე – ნინო ქაჯაიაც მუსიკოსია, ჩემი თანაკურსელი იყო, საგუნდოსადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა. ამჟამად ასწავლის ილიას უნივერსიტეტში თეატრალურ ფაკულტეტზე, ასევე სკოლაში – მუსიკის პედაგოგია.

**– ძალიან ბევრ საკონცერტო დარბაზში ცნობილ ადამიანებთან ერთად მდგარხართ სცენაზე.**

– საერთოდ, დირიჟორის პროფესია ისეთია, ხანდახან, შესაძლოა, არ გამოვიდეს განსაკუთრებულ ვარსკვლავთან ერთად, მაგრამ ისე აღიბეჭდოს სულსა და გონებაში, რომ მთელი ცხოვრება ახსოვდეს. მაგალითად, ყაზანში ვიყავი გასტროლებზე. იქაური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, ძალიან ცნობილი მუსიკოსი და კარგი ადამიანი, ნათან რახლინი, სიკვდილის პირას იყო. ეს რუსეთისთვის საკმაოდ მძიმე პერიოდში ხდებოდა, როცა ყაზანში საკვები პროდუქტების სერიოზულ დეფიციტს განიცდიდა ხალხი. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც სცენაზე 120 ადამიანია – სიმფონიური ორკესტრი, დარბაზში კი – 11. სოლისტი იყო ლექსო თორაძე. ორკეტრის მუსიკოსებმა იცოდნენ, რომ მათი საყვარელი დირიჟორი, პრაქტიკულად, უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, შესაბამისად, ძალიან დანაღვლიანებულები იყვნენ და მთელი მწუხარება თავიანთი შესრულებით გამოხატეს, მთელი გულისთქმა და ემოცია გადმოსცეს. ასეთი ამაღელვებელი კონცერტი არც მახსენდება. ჩემი აზრით, ასეთი დღეები სულ რამდენიმეა ცხოვრებაში. რაც უნდა უზარმაზარ ვარსკვლავთან ერთად გქონდეს, დიდი, საოცარი, საზეიმო კონცერტი, ცხადია, ეს ძალიან კარგია, ამას თავისი ემოცია აქვს, მაგრამ, ისეთი განწყობა, რაც მაშინ იყო, ჩემთვის უმნიშვნელოვანესია.

**– და, ამას ამბობს პიროვნება, რომლის დებიუტიც შედგა ოცდაათიათასკაციან დარბაზში...**

– ეს მოხდა 1990 წელს. საოცარი დღე იყო, მართლა ძალიან ღირსშესანიშნავი, ამერიკის ეროვნული დღესასწაული – 4 ივლისი. ეს მათთვის ყველაზე წმინდა დღეა, როგორც ჩვენთვის – 26 მაისი. სწორედ მაშინ შედგა ჩემი დებიუტი...

**– მაშინაც მამის თანადგომას გრძნობდით კულისებიდან?**

– მამამ, სიმბოლურად, სადირიჟორო ჯოხი გადმომცა და ეს იყო ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და პასუხისმგებლობა.

**ეკა სალაღაია**

**ქეთათო ჩარკვიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ეტაპია. დაიწყო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის გადაღება, რომელიც ეხება ირაკლი ჩარკვიანის და იმ ადამიანთა შემოქმედებას, 90-იანი წლებში რომ მოღვაწეობდნენ. ამ და სხვა, მის ცხოვრებაში მომხდარ სიახლეებზე ქეთათო თავად გვესაუბრება.**

# რა ხდება ქეთათო ჩარკვიანის პირად ცხოვრებაში, როგორ ექსპერიმენტებს ატარებს ის საკუთარ თავზე და ვისთან რომანს აბრალებენ

**– რა ხდება შენს ცხოვრებაში ამ ეტაპზე?**

– ამ ეტაპზე დაწყებულია ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი – ერთ-ერთი იმ საქმეთაგან, რაც აუცილებლად ჩემი გასაკეთებელია. დაიწყო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის გადაღება, რომელიც ეხება არა მხოლოდ ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებას, იქნება ეს მწერლობა თუ მუსიკა, არამედ მთლიანად იმ ეპოქას, რომელშიც ის ცხოვრობდა. ფილმი ასევე ასახავს იმ ადამიანების შემოქმედებას, 90-იანი წლების კულტურულ ცხოვრებაში რომ მონაწილეობენ. ეს, გარკვეულწილად, მეოცე საუკუნის ანალიზია. ეს არ იქნება მხოლოდ დაფიქსირება იმ ყველაფრის, რაც მაშინ იქმნებოდა და კეთდებოდა, არამედ სრული ანალიზი.

**– ვინ არის ამ ფილმის რეჟისორი და იდეის ავტორი?**

– რეჟისორი არის დათო კვაჭაძე, ხოლო იდეა ჩემი და დათოსია ერთობლივად. ამას გარდა, ჩართულია უამრავი ადამიანი და იმედი გვაქვს, კინოცენტრის კონკურსში გავიმარჯვებთ და დაფინანსებას მოვიპოვებთ. აქამდე ყოველთვის ხდებოდა ფაქტების კონსტანტაცია, ანალიზი კი არავის გაუკეთებია. სწორედ ამ ფილმით მოხდება, ზოგადად, იმ ეპოქის ანალიზი. სათაური ჯერ შერჩეული არ გვაქვს, უმნიშვნელოვანესია, თუ რას დავარქმევთ, უამრავი იდეა გვაქვს.

**– ესე იგი, აქტიურად ხარ დაკავებული შემოქმედებითი საქმიანობით და თავისუფალი დრო ნაკლებად გაქვს?**

– იცი რაშია საქმე, ადამიანების უმეტესობა ტრაბახობს იმით, რომ დრო არაფრისთვის რჩება და სულ დაკავებულია. რასაკვირველია, მთავარ საქმიანობაზე ვარ განსაკუთრებით კონცენტრირებული, მაგრამ ყოველთვის ვახერხებ სხვა რამისთვისაც მქონდეს დრო. ვინც გპასუხობს, რომ სულ დაკავებულია და არასდროს სცალია, უბრალოდ, მოდასაა აყოლილი. თუ რობოტივით ხარ ჩართული საქმეში, იქ კრეატიული არაფერი მოხდება.

**– ხშირად ამბობ უარს სხვადასხვა შემოთავაზებაზე, იმის გამო, რომ მეტი თავისუფალი დრო გქონდეს?**

– გააჩნია შემოთავაზებას. ყველაფერზე კის ნამდვილად ვერ ვიტყვი. თუ საქმე საინტერესო არ არის, ძნელია მისი კეთება. ყოველთვის ვცდილობ, ისე გადავანაწილო დრო, დასვენებაც მოვასწრო და მუშაობაც. მაგალითად დრო, რომელსაც შვილს ვუთმობ, ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. დრო, რომელსაც საკუთარ თავს და მეგობრებთან ურთიერთობას ვუთმობ, გარკვეულწილად, მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ძალიან ბევრი იდეა ჩნდება. ასე რომ, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და არ შეიძლება, გადაბმულად, 24 საათი რობოტივით მუშაობდე.

**– ზოგადად, ძალიან ბევრი ადამიანის სენია მოუცლელობა.**

– ვინც ამბობს, რომ არასდროს სცალია, იტყუება, ცრუპენტელობს და ამით ჰგონია, რომ უფრო სერიოზული იმიჯი შეექმნება, მაგრამ, მე ვერ მომატყუებენ *(იცინის)*.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– მე და ჩემი შვილი მთელი კვირის განმავლობაში ერთად ვართ. დამყავს სკოლაში და მერე ერთად ვართ სახლში. ამაზე დიდი საქმე რა უნდა იყოს, როდესაც ხედავ როგორ იზრდება და ყალიბდება ძალიან საინტერესო ადამიანი. ამ ასაკში ბავშვს ძალიან ბევრი რამ სჭირდება და ეს ყველაფერი ვინ უნდა მისცეს, თუ არა დედამ. მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ მას მამა არ ჰყავს.

**– მუსიკალური ნიჭი ხომ არ გამოჰყვა მშობლებისგან?**

– მუსიკალური ნიჭი, გარკვეულწილად, აქვს ნანას. ძალიან კარგად ცეკვავს და სამომავლოდ შეიძლება, მივხედოთ მის მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ მონაცემებს. სხვათა შორის, ამას წინათ გამოვიდა მიუზიკლი, რომელშიც ნანა ჩარკვიანი ერთ-ერთ როლშია. შეიძლება ითქვას, შედგა მისი კინოდებიუტი.

**– რაც შეეხება მუსიკალურ კარიერას, თუ გაქვს ახალი სიმღერები, კლიპები?**



ვცდილობ, ყოველთვის გავაკონტროლო თავი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყოველთვის გამომდის

– სხვათა შორის, ის პერიოდი, როცა სახლში ვაკეთებდი მუსიკას, ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო. ამჯერად სახლში აღარ ვმუშაობ. მით უმეტეს, ახლა, როცა მთლიანად ფილმზე ვარ გადართული. შეუძლებელია ერთდროულად რამდენიმე საქმე აკეთო, თუ ერთ საქმეში ასი პროცენტით არ ვარ ჩართული, ხარისხი მაღალი ნამდვილად ვერ ექნება. მე იმ მომღერლების რიცხვს არ მივეკუთვნები, სიმღერებს იმისთვის რომ წერენ, ალბომი გამოსცენ, რადგან, ეს სჭირდებათ მუსიკალურ კარიერაში. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს რიგით მერამდენე ალბომი მაქვს ან მექნება. მეცინება ამ ყველაფერზე. სხვისთვის არაფერს ვაკეთებ ცხოვრებაში. პირველ ყოვლისა, ამას ვაკეთებ ჩემთვის.

**– ხშირად იცვლი იმიჯს. ჩაცმის სტილს, ვარცხნილობებს. როგორც ჩანს ექსპერიმენტები გიყვარს?**

ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის ადამიანთან ურთიერთობა, რადგან, რა კითხვებიც საკუთარ თავთან მიჩნდება, პასუხებს მათზე ხშირად სხვებისგან ვიგებ

– მე, საერთოდ, ძალიან მიყვარს სხვადასხვა სტილის ერთმანეთთან შეხამება. მაგალითად, კლასიკური და თინეიჯერული სტილი ერთად. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წონას. ხან ვიმატებ, ხან ვიკლებ. სწორედ ამის მიხედვით ვარჩევ ჩაცმულობას, ვარცხნილობას და ყველაფერს. განწყობა განაპირობებს იმას, თუ რა ფერები ჩავიცვა. ერთი სტილი ნამდვილად არ მაქვს. დღეს გადავწყვიტე „დრაგუნა" ფეხსაცმელები ჩამეცვა. ხვალ შეიძლება მნახო მაღალქუსლიანით, კლასიკური თმის ვარცხნილობით და „შუბით" *(იცინის)*.

**– ყოველდღიურად გეცვლება აზრი?**

– კი, ყოველდღე *(იცინის)*. გუშინ სულ სხვანაირი ვიყავი, დღეს სულ სხვანაირი ვარ. ეს ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს და არანაირად არ მღლის. პირიქით, უფრო დამღლელია, როცა ერთ სტილში არიან გაჩხერილები. მე ამას სულ სხვა კუთხით ვუყურებ. საინტერესო უნდა იყოს ეს ყველაფერი. შეიძლება, ვიღაცას ეცვას ძვირფასი ბრენდი, მაგრამ საერთოდ ვერ მიხვდე, რა აცვია. მე მართლა ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, როდის რას ვიცვამ. შეიძლება, უბრალო ჟაკეტი ჩავიცვა, მაგრამ ისეთ რაღაცას შევუხამებ, უკვე საინტერესო გახდება. ჩაცმის კულტურა ძალიან მნიშვნელოვანია.

**– ვიზუალურად და საუბრის დროს საკმაოდ ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებ. ალბათ, გექნება ქალური სისუსტეებიც?**

– ალბათ, მექნება სისუსტეები, მაგრამ ამაზე ლაპარაკი მიჭირს. ძნელია საკუთარ სისუსტეებზე ილაპარაკო. ის მომენტი კი არ არის, რომ მე ვინმე მოვატყუო, უბრალოდ, ხშირად საკუთარ თავთანაც არ აღიარებ რაღაც-რაღაცეებს. გამოდის, რომ საკუთარ თავს ატყუებ. არავინაა დაზღვეული ასეთი რაღაცისგან, თუმცა ის პრობლემაც გაქრება შენი ცხოვრებიდან. ერთი თვისება მაქვს, რომელიც შეიძლება, ბევრისგან განმანსხვავებს. არასდროს მაღიზიანებს სხვისი კარგად ყოფნა, წარმატებები და ასე შემდეგ. პირიქით, ეს ყოველთვის სტიმულია. მაშინაც კი, როდესაც ცუდად ვარ და მძიმე პერიოდი მაქვს, ვახერხებ თავის გაკონტროლებას. ეს არის თვისება, რომელიც საკუთარ თავში ძალიან მომწონს.

**– ყოველთვის ახერხებ თავის გაკონტროლებას?**

– ვცდილობ, ყოველთვის გავაკონტროლო თავი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყოველთვის გამომდის. ყველა ერთნაირად არ აღიქვამს ყველაფერს. ყოველთვის არის სხვადასხვანაირი აზრი. არასდროს არ უნდა გქონდეს იმის ილუზია, რომ ვინმეს აზრს შეუცვლი და შენს ჭკუაზე გადმოიყვან. ვინც გმტრობს, იმას მოყვარედ ვერ აქცევ. ამაზე დროს არასდროს ვკარგავ. ვცდილობ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შევინარჩუნო.

**– უამრავი ჭორ-მართალი იწერებოდა შენზე. როგორ რეაგირებდი ამაზე?**

– ზოგჯერ ძალიან სასაცილო რაღაცეები მესმის ხოლმე ჩემზე. ხანდახან ეს ყველაფერი იმდენად აბსურდულია, არც არავინ იჯერებს. სისულელეა ინერვიულო და აჰყვე მათ, ვინც ამას იგონებს. ვინც აბსოლუტურად არ მიცნობს, ისინი შეიძლება, არჩევდნენ ამა თუ იმ საკითხს. უმეტესად, ვხალისობ და ვერთობი ამით. ამ ბოლო დროს ერთი უცნაური ჭორი მესმის. თითქოს რომანი მაქვს ადამიანთან, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობ. ახლობლები მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ, იყო თუ არა ეს ნამდვილი. გულთან არასდროს მიმაქვს მსგავსი ჭორები. რა აზრი აქვს ამაზე ნერვიულობას. არანაირ ძალისხმევას არ ვხარჯავ ამ ყველაფერზე.

**– არასდროს გიფიქრია უცხოეთში წასვლასა და კარიერის აწყობაზე?**

– ძალიან კარგი იქნება, რატომაც არა. თუნდაც დიდი ბრიტანეთი, ამერიკა და სხვა მსგავს განვითარებულ ქვეყანაში წასვლა და კარიერის აწყობა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია ყველა ადამიანის ცხოვრებაში. ყველაფერს უნდა დაგეგმვა, ფიქრი, იმ რისკებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება შემდეგ მოხდეს. ეს კი მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჩემი ბედნიერების წყარო არის სიახლე. ვგიჟდები სიახლეებზე. თუმცა, ყოველთვის ისე არ გამოდის, როგორც ჩვენ გვინდა. არ მიყვარს ერთფეროვნება. ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის ადამიანთან ურთიერთობა, რადგან, რა კითხვებიც საკუთარ თავთან მიჩნდება, ხშირად პასუხებს სხვებთან ვპოულობ. ძალიან მსიამოვნებს განსხვავებული ტიპაჟისა და ასაკის ადამიანებთან ურთიერთობა. მე ეს ყველაფერი მამდიდრებს.

**ხატია კარანაძე**

# რას ვერ ეგუებიან მამაკაცები ქორწინებაში და რა არ ესმის ზოგიერთ ცოლს

**ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ, ერთი შეხედვით თამამ და ძლიერ მამაკაცებს სერიოზული პრობლემები აქვთ პირად საკითხებთან დაკავშირებით. უფრო ზუსტად – მათ ძალიან უჭირთ გახსნილად ისაუბრონ გრძნობებზე. იმაზე, თუ რა პრობლემები ექმნებათ იმ ქალებთან, რომლებიც უყვართ. მამაკაცები სუსტი სქესის წარმომადგენლებზე გაცილებით დაკომპლექსებულები არიან. თუკი „ძლიერი სქესის“ რომელიმე ინდივიდი დიდხანს რჩება თავისუფალი, ანუ, არ ჩქარობს ქორწინების უღელში თავის გაყოფას, მას მერე სულ უფრო მეტად უჭირს ქალის ენის სწავლა და მისი გაგება. მაგრამ, ურთიერთობის პრობლემების თავი და თავი მაინც კომუნიკაციის დეფიციტი და არასაკმარისი გახსნილობაა.**



**ბექა** *(37 წლის):* ძალიან დიდხანს არ მინდოდა დაოჯახება. მკითხავთ – რატომო... ვუყურებდი ჩემს ცოლიან ძმაკაცებს და სურვილი მიქრებოდა. ორი მეგობარი გოგონა მყავდა და ორივეს ურთიერთობის დასაწყისშივე წავუყენე პირობა – არავითარი ქორწინება!

**– და, ისინიც კმაყოფილები იყვნენ ამ ურთიერთობით?**

– რაღაც ეტაპზე იყვნენ კმაყოფილები, მაგრამ, საბოლოოდ, ყველა ქალი ერთნაირია: ცოტა მეტ სითბოსა და ყურადღებას გამოიჩენ, რაც, ბუნებრივია, როცა ადამიანთან ახლო ურთიერთობა გაქვს და – მაშინვე იწყება ოცნება ქორწილზე, თეთრ კაბაზე... მერე შენ ეუბნები, რომ არანაირი შორს მიმავალი გეგმები არ გაქვს და – ეგრევე ნაძირალა ხდები.

**– ძალიან მკაცრი ხართ ქალებთან მიმართებაში. არ აქვთ მათ ოცნების უფლება? როცა გიყვარს, ხომ ბუნებრივია, მის გვერდით ცხოვრება გინდოდეს?**

– გეთანხმებით, ბუნებრივია, მაგრამ, თუ ადამიანი გიყვარს, იმისი აზრიც ხომ უნდა გაითვალისწინო?! სხვანაირად, საკუთარი თავის სიყვარული გამოდის. ზოგადად, კაცები ძალიან დაჩაგრულები ვართ. ყველას ქალი ეცოდება, ყველა მათი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავს, ყველა საზიზღარ, მოძალადე მამაკაცებს კიცხავს. ვინმეს მოსვლია თავში აზრად, მამაკაცები რას გრძნობენ და რას განიცდიან?! როგორ შეიძლება, ერთი მხარე სულ მართალი იყოს, მეორე – სულ დამნაშავე?! მე საკმაოდ დიდხანს ვიყავი დამკვირვებლის როლში.

**– რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ ძალიან ხშირად ვიყავი ოჯახური სკანდალების მოწმე. ვხედავდი, ერთ დროს უზომოდ შეყვარებული ადამიანები როგორ არ იხევდნენ უკან არც ერთი ნაბიჯით და რა შეურაცხმყოფელი სიტყვებით ლანძღავდნენ ერთმანეთს.

**– ამან შეგაშინათ?**

– „შემაშინა“ რა სიტყვაა? მშიშარაა, თქვენი აზრით კაცი, რომელსაც არ უნდა, პრობლემები შეიქმნას? კი არ შემეშინდა, აღარ მომინდა, მომავალში სიძულვილის ენაზე მელაპარაკა ადამიანთან, რომლის მიმართაც თავიდან თბილი გრძნობები მექნებოდა. ხვდებით, რაზე ვლაპარაკობ? საწყენად არ მიიღოთ, მაგრამ, სულ უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ქალებმა მოსმენა არ იციან.

**– ახლა იტყვით, რომ ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ?**

– ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ერთმანეთს არ ვუსმენთ. უფრო ხშირად, ქალებს არ უნდათ, გაგვიგონ. მათთვის მთავარია, თვითონ ილაპარაკონ და ილაპარაკონ. ჩემი ცოლიც ასეა, რომელიც მართლაც ძალიან მიყვარს, მაგრამ, ურთიერთობაში პრობლემები მაინც გვაქვს.

**– ანუ, ცოლი მაინც მოიყვანეთ. გამოდის, რომ პრინციპებს უღალატეთ?**

– ასე გამოვიდა, თუმცა, ამას არავინ ელოდა. ნახევარი წელია, დავოჯახდი. ძალიან კარგი მეუღლე მყავს. როცა გავიცანი, ორ კვირაში ვთხოვე ხელი – უცებ მომინდა ამის გაკეთება. რა დამემართა, არ ვიცი.

**– შეგიყვარდათ.**

– დიახ, სიყვარულიც იყო – ამის გარეშე არაფერი მოხდებოდა, მაგრამ, კიდევ იყო რაღაც – თითქოს ვიგრძენი, რომ ჩემიანი იყო, ძალიან ჩემიანი.

**– გონებით მიიღეთ გადაწყვეტილება?**

– პრინციპში, კი. ვიფიქრე, რომ ასეთ ექსტრავაგანტურ, საინტერესო, მრავალფეროვან, მხიარულ ადამიანთან ცხოვრება არ გამიჭირდებოდა. თითქოს პირველივე სიტყვიდან გამიგო, მაგრამ, შევცდი. ენერგიის წყარო დღესაც არის და ეს თვისებები მის ხასიათში მართლა დევს, მაგრამ, პრობლემები თავზე საყრელად გვაქვს და ნელნელა იმუნიტეტს ვიმუშავებ მათ წინააღმდეგ.

**– ეს რას ნიშნავს?**

– გეტყვით. მე გამიმართლა იმაში, რომ ბუნებით ვარ ძალიან თავშეკავებული და მშვიდი ადამიანი, აბსოლუტურად საპირისპირო ჩემი ცოლისა, თორემ, ძალიან გამიჭირდებოდა.

**– კონკრეტულად ვერ ამიხსნით, რა ნაკლი აქვს ისეთი, რომ თქვენ დისკომფორტი გექმნებათ?**

– მბრძანებელია – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ შეუძლია ამის გარეშე. ზოგჯერ თავს ისე ვგრძნობ, როგორც დასჯილი ბავშვი. ეს ისეთი ცუდი განცდაა, რომ, გეუბნებით, ხასიათი მშველის, თორემ, გავგიჟდებოდი. თვითონ მეუბნება, მაგალითს მეგობრების ცუდი საქციელიდან იღებო. არაფრის გაგება არ უნდა და ეს მაგიჟებს. რა ხდება, არ მესმის. ხომ ასეთი გაგებულია სხვებთან, ჩემთან მთლიანად იცვლება და, იძულებული ვარ, თითქმის ყველაფერში დავეთანხმო და არ ვეკამათო. აზრიც არა აქვს, ერთ ნაბიჯზე ვერ დააxევინებ უკან. გამაგიჟა. რომ ავყვე, ძალიან მაგრად უნდა ვიჩხუბოთ. თუმცა, ესეც მომხდარა.

**მე რომ ჩემი ცოლის გადაკეთებას შევეცადო, კატასტროფა მოხდება. არადა, ზოგჯერ სრულიად აუტანელი ხასიათი აქვს**

**– და, ამიტომ, თქვენს ცხოვრებაში სხვა ქალი გამოჩნდა?**

– არა, არავინ გამოჩენილა. თქვენ ვერ გამიგეთ. სხვა ქალის კი არა, ხშირად ამის დანახვაც არ მინდა, ისე გამოვყავარ წონასწორობიდან. იცით, როგორ მინდა, გამიგოს?! ნუთუ არ შეიძლება, ერთხელ მაინც მომისმინოს და მიხვდეს, რა მჭირდება ბედნიერებისთვის?!

**– ანუ, ბედნიერი არ ხართ.**

– არა, არ ვარ. ჩემი ცოლი მაშინ არის მშობლიური, საყვარელი და მოსაფერებელი, როცა სძინავს. არ ვხუმრობ. ბევრად უფრო მომწონს ჩაძინებული, ვიდრე მღვიძარი. როცა სძინავს, მაშინ არის ის, რაც რეალურად არის – ჩემი საყვარელი არსება. გაიღვიძებს და იწყება ომი. სულ მებრძვის, სულ „პროტივზე“ მოდის. რისი მოგება უნდა, რა უნდა, რომ დამათმობინოს – ვერ ვხვდები. ყველას უგებს გარშემო, ყველა საზოგადოების სული და გულია. შესანიშნავი ორგანიზატორია – ანუ, აქვს კომუნიკაციის უნარი, სრულიად უცხო ადამიანებთან ურთიერთობა გამოსდის და ჩემთან, იმ კაცთან, რომელიც უყვარს, მშვიდობა ვერ დაუმყარებია.

**– ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ უყვარხართ?**

– არ ვიცი. არა მგონია, ეს ეჭვიანობის პრობლემა იყოს. ძალიან ხშირად მეუბნება, რომ ვუყვარვარ... გიჟურად მეხუტება და კოცნისას აჟრჟოლებს. ბოდიშიც ხშირად მოუხდია, მაგრამ, არაფერი იცვლება. ორი-სამი საათი თუ ჰყოფნის თავისი დაპირება. იცით, რას ვერ ეგუებიან კაცები ქორწინებაში?

**– ალბათ, პირადი სივრცის შეზღუდვას და „თავისუფლების“ დაკარგვას.**

– თქვენ ეს თქვენებურად გესმით. მე ჩემებურად აგიხსნით: „თავისუფლების დაკარგვა“ ცოტა სხვანაირად ჟღერს. საქმე ის კი არ არის, რომ დაქორწინებული მამაკაცი თამამად ვეღარ ფლირტაობს ქალებთან, პრობლემა სხვა რამეა – ოჯახში რომ ცდილობენ ჩვენს გადაკეთებას ცოლები, ეს არის საშინელება. ისეთი შემაწუხებელია, რომ, მიკვირს, თავად ქალები რატომ ვერ ხვდებიან, რას აშავებენ. რატომ არ უნდათ იმის გაგება, რომ ზრდასრული ადამიანის გადაკეთება ცუდი შედეგით მთავრდება?!

**– ანუ, თქვენ გინდათ, რომ ისეთები მიგიღოთ ქალებმა, როგორებიც ხართ?**

– რა თქმა უნდა. ეს ხომ ბუნებრივია?! ქალებსაც ხომ ეს უნდათ? მე რომ ჩემი ცოლის გადაკეთებას შევეცადო, კატასტროფა მოხდება, დაგვენგრევა ოჯახი. არადა, ზოგჯერ სრულიად აუტანელი ხასიათი აქვს.

**– ცოლთან კონფლიქტები გაქვთ?**

– თუ ავყევი მის ხუშტურებს, კონფლიქტი გვაქვს ისეთი, შეიძლება, ერთმანეთი დავხოცოთ. გეუბნებით, სულ „პროტივზე“ მოდის. თან, ყოველდღე მეუბნება, მიყვარხარო. თუ ვუყვარვარ, რატომ მებრძვის, ეს არის სიყვარული?! რატომ არ შეუძლია, ყველა წვრილმანზე შენიშვნა არ მომცეს და საკუთარ სახლში ისე მოქცევის საშუალება მომცეს, როგორც მე მინდა?! სახლი ხომ იმიტომ გაქვს ადამიანს, იქ თავი მყუდროდ და კომფორტულად იგრძნო! ვერ მოვეშვი, სულ დაძაბული ვარ. მძაბავს ისიც, რომ, უნდა, ისევ ისეთი, ყურებამდე შეყვარებული, მასზე გადაყოლილი ვიყო. არც ის ესმის, რომ ოჯახს სხვა მოთხოვნები, სხვა ნიუანსები აქვს და მარტო იმაზე ვერ ვიფიქრებ, რითი ვასიამოვნო მეუღლეს.

**– თქვენ ხომ გინდათ, მეუღლე ფიქრობდეს ამაზე?**

– არაფერი არ მინდა, მშვიდი ცხოვრების

# როგორ ეძებს ბიოლოგიურ დედას ქუთაისში მცხოვრები 27 წლის მამაკაცი და რისი იმედი აქვს მას

*27 წლის იაკობ ხუნწარია ეძებს ბიოლოგიურ დედას ქალაქ ორიოლში (სახელი და გვარი უცნობია).*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ბიოლოგიურ დედას. როგორც ვიცი, მე დავიბადე 1986 წლის 20 აგვისტოს, რუსეთში, ქალაქ ორიოლში. მაქვს დაბადებიდან თანდაყოლილი ნიშანი – მარჯვენა ხელზე, მაჯასთან, დიდი ხალი. როგორც გავიგე, ორიოლიდან 1987 წლის 11 ივნისს წამომიყვანეს. მაშინ 9-10 თვის ვიქნებოდი. სამწუხაროდ, დედის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, მაგრამ, მისი პოვნის იმედს არ ვკარგავ. სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რომ ნაშვილები ვარ და მას შემდეგ მოსვენება დავკარგე. თავად მე ქუთაისში ვცხოვრობ, ჩემი ბიოლოგიური დედა კი, თუ არ ვცდები, რუსეთში, ქალაქ ორიოლში უნდა იყოს. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ მის მოძებნაში. უკვე 13 წელია, რაც დედას უშედეგოდ ვეძებ.

**– როგორ გაიგე, რომ ნაშვილები ხარ?**

– დაახლოებით მეშვიდე კლასში ვიქნებოდი, ანუ, 13 წლის ვიყავი მაშინ, როცა ჩემმა მეზობელმა ბავშვმა, დიანამ წამომაძახა, რომ ნაშვილები ვარ. მახსოვს, გავოგნდი და მას შემდეგ ერთი დღეც არ გასულა, ამ თემაზე რომ არ მეფიქრა. ერთხელ ჩემმა აღმზრდელმა დედამაც მითხრა გაბრაზებულმა – თამარასგან არ უნდა გვეშვილეო. ასე დავრწმუნდი, რომ მართლაც ნაშვილები ვყოფილვარ. აღმზრდელი მშობლებისგან ვერაფერი გავიგე ჩემი ბიოლოგიური დედის შესახებ. ისე კი, იციან, რომ მისი პოვნა მინდა, მაგრამ, არაფერს მეუბნებიან მასზე, შეიძლება, მათაც არ იციან და იმიტომ. გავიგე, რომ ჩემი დაბადების აქტი №288-ით არის რეგისტრირებული ქალაქ ორიოლის რესპუბლიკურ არქივში. ამ დოკუმენტში ეწერება დედაჩემის შესახებ რამე, ანუ, მისი ვინაობა მაინც, მაგრამ, მე, რასაკვირველია, არ შემიძლია ამ დოკუმენტის ნახვა.

**– შენს აღმზრდელ მშობლებს რა რეაქცია აქვთ იმაზე, რომ დედას ეძებ?**

– იციან, რომ მინდა დედის პოვნა და წინააღმდეგი არ არიან. უბრალოდ, შეიძლება, მათ ეს ფაქტი არ სიამოვნებდეთ, მაგრამ, მე ხომ უკვე სრულწლოვანი ვარ და, ვფიქრობ, მაქვს იმის უფლება, გავიგო, ვინ არის ჩემი ბიოლოგიური დედა. ეს ნებისმიერ ადამიანს დააინტერესებდა. ძალიან მინდა, რომ გამიგონ...



**– დედის შესახებ რამე თუ იცი?**

– მის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ის გავიგე (ეს ინფორმაციაც არაა შემოწმებული), რომ, დედაჩემი ეროვნებით რუსია და ქალაქ ორიოლიდანაა. როგორც გითხარით, იქიდან მიშვილეს. ვიცი, რომ ჩემს შვილად აყვანაში ჩარეულია ქალბატონი თამარა, რომელიც ამჟამად საქართველოში ცხოვრობს. შეიძლება, მან იცოდეს რამე დედაჩემის შესახებ.

**– იაკობ, შენ არასდროს გინახავს დედა. მაინც, რით ახსნი მისადმი ასეთ ინტერესს, რაც თითქმის ყველა ნაშვილებ ადამიანს ახასიათებს?**

– უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებს, როგორია, რა იყო მისი მხრიდან ჩემი გაშვილების მიზეზი და, საერთოდ, უამრავი კითხვა მაქვს მისთვის დასასმელი. ვიცი, რომ მისი პოვნა ძალიან რთულია. ჩემს აღმზრდელ მშობლებს კი არ უნდათ, ამ საკითხში ჩემ გვერდში დგომა. დიდი იმედი მაქვს, იქნებ თქვენ მაინც დამეხმაროთ.

მინდა ასევე გითხრათ, რომ მე მაქვს ექსტრასენსული ნიჭი – შემიძლია ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების დანახვა, მაგრამ, პირადად ჩემს ცხოვრებას ვერ ვხედავ. ამიტომ, არც დედაჩემის შესახებ შემიძლია რაიმეს გარკვევა, ყველაფერი, რაც ვიცი მის შესახებ, სავარაუდოა.

**– ანუ, არც ის არის გამორიცხული, რომ შენი ბიოლოგიური დედა ქართველი იყოს და საქართველოში ცხოვრობდეს?**

– ეს არა მგონია, თუმცა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შესაძლოა, მე სპეციალურადაც ამიბნიეს გზა-კვალი, რომ არ ვიპოვო დედაჩემი, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ვიპოვი მას თუ ვერა, მე მაინც დიდი მადლობელი ვიქნები ჩემი აღმზრდელი მშობლების, რომლებმაც გამზარდეს როგორც საკუთარი შვილი – მინდა, რომ მათ ეს იცოდნენ. უბრალოდ, ჩემს ბიოლოგიურ დედაზე ფიქრს ვერ ვანებებ თავს. ერთხელ სიზმარშიც კი ვნახე, თითქოს მას შავი ფერის თმა ჰქონდა და ძალიან ლამაზი იყო...

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

გარდა, დედას გეფიცებით. სახლში ფეხს შევდგამ თუ არა, უკვე ვიძაბები, რადგან, ვიცი, რომ ჩემი ცოლისგან შენიშვნების კორიანტელში აღმოვჩნდები. თავისი გეგმები აქვს და, მტრისას, თუ იმ გეგმას ვერ მივყვები – ისტერიკაში ვარდება. არ ვიცი, რა მოვახერხო. როცა სადმე ვართ ერთად, პრობლემა მოხსნილია – ეგრევე სხვანაირი ხდება: ყურადღებიანი, ალერსიანი, დამთმობი, თბილი და რბილი. ყველას გულს ინადირებს და ყველა აღფრთოვანებულია მისით. ვეღარ გავიგე, როდის არის ნამდვილი. გულწრფელად ვამბობ, სახლში ფეხს შევდგამთ თუ არა, იცვლება – საყვედურებით მიკლებს, ჯაჯღანებს, ჩხუბობს, მბრძანებლობს... გაიგონ ცოლებმა, რომ სწორედ ეს არ მოგვწონს მამაკაცებს, სწორედ ეს „გვგრუზავს“. ქორწინებაში კაცის მთავარი პრობლემა არის ქალის სურვილი – გადააკეთოს ის და პროტესტი აუცილებლად ჩნდება. გამოსავალს კი ზოგი კაცი ახალ ურთიერთობაში ეძებს.

**სხვა ქალის კი არა, ხშირად ცოლის დანახვაც აღარ მინდა, ისე გამოვფავარ წონასწორობიდან**

**– თქვენ ფიქრობთ, კაცების ღალატის მიზეზი ეს არის? მგონი, გეშლებათ.**

– ღალატს სხვა მიზეზებიც აქვს, მაგრამ, ერთ-ერთი ფაქტორი ესეც არის. თავისუფალი ამოსუნთქვა და „გალაღება“ გინდება. არ არის ლოგიკური?

**– პირადად ჩემთვის – არა... თქვენს ადგილას, ცოლს დაველაპარაკებოდი.**

– ვცდილობ, მაგრამ, არაფერი გამომდის – არ მისმენს. თუ მისმენს, იქით გადმოდის შეტევაზე: შენი თავი ანგელოზი გგონია? მადლობა მითხარი, რომ ასეთს გიტანო. ვერ გავიგე, სიყვარული ატანაზეა?!

**– ანუ, გაქვთ სურვილი, სხვა ქალთან დაიწყოთ ახალი ურთიერთობა?**

– არა, არ მაქვს ამისი სურვილი. არ ვიქმნი იმის ილუზიას, რომ ის „სხვა“ სხვანაირი იქნება.

**– ესე იგი, ყველა ქალი ერთნაირია?**

– დაახლოვებით. ქალებსაც ხომ გიყვართ ფრაზა: „ყველა კაცი ერთნაირია?!“ ჰოდა, ასეა საქმე. ცოლები რომ ხვდებოდნენ, რა ადვილია ქმრების გულის მოგება... მოგვცენ საშუალება, მშვიდად ვიყოთ ჩვენს სახლებში. ზოგჯერ საკუთარ თავთან განვმარტოვდეთ, ვიქექებოდეთ კომპიუტერში, წავიოცნებოთ, ვუყუროთ ფეხბურთს ან საინფორმაციო გამოშვებას და ამ დროს არავინ დაგვისვას შეკითხვები, არ გვიბურღოს ტვინი...

**– ავტონომია გდომებიათ.**

– რა არის ამაში ცუდი? სულ ცოტა ავტონომია მაინცდამაინც „გამოყოფას“ და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას არ გულისხმობს. ვერ ვეგუებით კაცები ბორკილებს და რა ვქნათ?! ექსპერიმენტი უნდა ჩავატარო და რაღაც პერიოდის განმავლობაში მეც ჩემი ცოლივით უნდა მოვიქცე. ჯანდაბას, გავუძლებ სკანდალებს, ოღონდ, ზუსტად ვიცი, როგორი სერიოზული სკანდალები მელოდება – მიწისძვრა არაფერია ამასთან შედარებით. უმნიშვნელო შეზღუდვასაც კი ვერ აიტანს, გაგიჟდება.

**– ანუ, როგორც მივხვდი, კაცებს უნდათ, ცოლებმა ენას კბილი დააჭირონ, პირში წყალი ჩაიგუბონ და ქმრის ყველანაირ საქციელს ჩუმად შეხვდნენ...**

– ასე ტრაგიკულად ნუ შეფუთეთ, ასე ნამდვილად არ არის საქმე. უბრალოდ, შეეცადონ, გაგვიგონ. რა არის იმაში რთული, რომ, ადამიანს, რომელიც გიყვარს, ხელოვნური პრობლემები არ შეუქმნა?! ჭკვიანი ქალი მიხვდება ამას, მიხვდება და ქმარიც კუბოს ფიცრამდე მოჯადოებული ეყოლება.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**საკმაოდ მშვიდი ადამიანი ვარ და ვცდილობ, ჩემი ქმარი არ შევზღუდო. არ დავდევ უკან, არ ვუმოწმებ ყოველ ნაბიჯს, არ ვიქექები მის ტელეფონში, მაგრამ, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ასეთი მეტისმეტი ნდობა ცუდ შედეგამდე მიმიყვანს. შევამჩნიე, რომ მისი კოლეგა ჩემი მეუღლის მიმართ ყურადღებას იჩენს. თუ ეს გაგრძელდება, კაცია, ბოლოს და ბოლოს და, რაღაც მომენტში მივა იმ ეტაპამდე, რომ მიღალატებს. სხვათა შორის, ქმარმა თვითონ მომიყვა ამის შესახებ და მას მერე მოსვენება დავკარგე. ძალიან ვნერვიულობ. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** აუცილებლად უნდა დაელაპარაკოთ ქმარს – პირველ ეტაპზე ეს აუცილებელია, ოღონდ, გააკეთეთ ეს მშვიდად, ღიმილით და საყვედურების გარეშე. მან ხომ თვითონ მოგიყვათ, რაც ხდება. ესე იგი, მისთვის ის ქალი მნიშვნელოვანი არ არის. მაგრამ, ნურც ყურადღებას მოადუნებთ. ერთი სიტყვით, განსაკუთრებული მობილიზება გმართებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

ქართული პრეპარატის – „კამელინის“ სამკურნალო თვისებებითა და მკურნალობის შედეგებით დაინტერესებულ მკითხველს არაერთხელ მივაწოდეთ მის შესახებ საინტერესო ინფორმაცია, დღეს კი, მინდა, ვისაუბროთ, თუ რა ეფექტურია მისი გამოყენება გრიპის დროს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი თითქმის მიილია, მაინც აქტიურად გვიტევს და ქვეყანაში ამ მხრივ პანიკაც არის დათესილი.

# როგორ დავიცვათ „კამელინის“ დახმარებით თავი ვირუსებისგან, გრიპისგან და რა განაპირობებს მძიმე დაავადებების დროს მის ეფექტურობას

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის” აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** გრიპი მძიმე ვირუსული დაავადებაა და, ყოველ წელიწადს, განსაკუთრებით კი ზამთრის პერიოდში, ასნებოვნებს დედამიწის მოსახლეობის თითქმის 15 პროცენტს. გრიპოზული ინფექციის დროს ზიანდება ორგანიზმის პრაქტიკულად ყველა სისტემა, განსაკუთრებით კი – იმუნური. მაგალითად, ბავშვები და მოხუცები, რომლებმაც გადაიტანეს ეს დაავადება და სისუსტეს გრძნობენ, ძალზე მგრძნობიარენი არიან სხვა ვირუსული თუ ბაქტერიული დაავადებების მიმართ. კვებეკის, მონრეალის, ბერნის, ილინოისის, ბრაზილიის სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში დადგინდა, რომ „კამელინი“ შესანიშნავი ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და იმუნური სისტემის გამაძლიერებელი, ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატია და მისი გამოყენება გრიპოზული დაავადებისა და მისი პროფილაქტიკის მიზნით იდეალური საშუალებაა.

**– ყველა ტიპის ვირუსი ერთნაირად საშიშია?**

– გრიპის A ტიპის ვირუსი იწვევს საშუალო და ძალზე მძიმე დაავადებას. ასნებოვნებს როგორც ადამიანს, ასევე, ზოგიერთ ცხოველს (ცხენი, ღორი, ფრინველები). სწორედ ეს ვირუსია უმძიმესი დაავადების გამომწვევი. ზოგ შემთხვევაში ის პანდემიის სახით გვევლინება. უკანასკნელ ხანს არის შემთხვევები, როცა ფრინველისა და „ღორის გრიპის“ ვირუსმა განიცადა მუტაცია და ადამიანის მძიმე დაავადება გამოიწვია, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ლეტალური შედეგით მთავრდება. გრიპის B ტიპის ვირუსი არ იწვევს პანდემიას, მაგრამ, მათი მიზეზით ხდება ლოკალური აფეთქებები ან ეპიდემია.



**– რა მექანიზმით ხდება პრეპარატ „კამელინით” გრიპის ვირუსის განადგურება?**

– მონრეალის ლედი დევისის შიდსისა და ვირუსული დაავადებების ცენტრის კვლევებით დადგინდა, რომ პრეპარატ „კამელინის” ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი მთლიანად აჩერებს ზემოთ აღნიშნული ფერმენტის – ნეირამინიდაზას აქტივობას, რაც ვირუსის ჯანმრთელ უჯრედში შეღწევის უნარის დაკარგვას იწვევს. იმ შემთხვევაში კი, როცა ვირუსი უკვე უჯრედშია, ხელს უშლის მის გამოსვლას ინფიცირებული კერიდან და სხვა უჯრედებზე გავრცელებას. ამავე დროს, ორგანიზმის იმუნიტეტს საშუალებას აძლევს, გაანადგუროს უჯრედში ლოკალურად შეჭრილი ვირუსები. რაც ყველაზე მთავარია, „კამელინის“ საშუალებით ვირუსს ხელი ეშლება, თავისი დამანგრეველი გენეტიკური მონაცემები ჩანერგოს ორგანიზმის ჯანმრთელ უჯრედში.

**– დღეს ხშირად საუბრობენ „ღორის გრიპზე”. შეიძლება თუ არა მის სამკურნალოდ „კამელინის” გამოყენება?**

– რა თქმა უნდა, შეიძლება, პრეპარატს არ აქვს გვერდითი მოვლენები და აძლიერებს ადამიანის იმუნიტეტს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის დაავადების სამკურნალოდ.

**– უკვე რამდენიმე ხანია, გასაყიდად გამოვიდა „კამელინ ფლუ”, რომელიც გამოიყენება ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიც არის გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებები, ანთებითი პროცესები. შესაბამისად, თუ არის ეფექტური მათი გამოყენება დღეს ძალიან გავრცელებული გრიპოზული დაავადების სამკურნალოდ?**

– პრეპარატში არის ის კომპონენტები, რომლებიც ლორწოვან გარსზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჩერებს პრეპარატის აქტიურ ნივთიერებებს და, შესაბამისად, ეს უფრო მეტ ეფექტურობას იწვევს. როდესაც პირის ღრუში არის ბაქტერიული, სოკოვანი კერები, „კამელინ ფლუ” ძალიან მალე აქრობს პროცესს. ასე რომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, სპრეიში ჩაგვედო და გაგვევითარებინა ის თვისებები, რაც „კამელინის” აქტიურ მოლეკულებს ახასიათებს: ანტიბაქტერიული, ანტისოკოვანი, ანთების საწინააღმდეგო და რეგენერაციული პროცესები. რაც მთავარია, როგორც „კამელინის” სხვა ფორმებს, ასევე სპრეისაც, სხვა წამლებთან მიმართებაში უკუჩვენება არ აქვს და მისი გამოყენება შეიძლება თითქმის ყველა მედიკამენტთან ერთად. თუ კლასიკური თერაპია ამ დაავადებებს კურნავდა გარკვეულ პერიოდში, „კამელინთან” კომბინაციაში შედეგი უფრო ეფექტური იყო, გართულებები პრაქტიკულად არ ყოფილა და გამოჯანმრთელებაც უფრო მალე ხდებოდა. რაც მთავარია, ამ პრეპარატს არ გააჩნია გვერდითი მოვლენები.

როდესაც „კამელინზე” ვსაუბრობთ არ შემიძლია არ შევეხო მის გამოყენებას ისეთი მძიმე დაავადების სამკურნალოდ, როგორიც არის სიმსივნე. დღეს ეს ერთ-ერთი ძალიან გავრცელებული, შეიძლება ითქვას, ვერაგი დაავადებაა და მისი სახელის გაგონებაც ადამიანებს დიდ პრობლემას უქმნის. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ საინიექციო ფორმის „კამელინი მ-1-ის” გამოყენება შესაძლებელია ყველა სტადიის კიბოს დაავადების დროს სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში „კამელინი მ-4” – სანთლების და „კამელინი მ-2” – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. რაც მთავარია, „კამელინის“ ბაზაზე დამზადებული პრეპარატები: „კამელინი მ-1” – ამპულები, „კამელინი მ-2” – კაფსულები, „კამელინი მ-3” – მალამო და „კამელინი მ-4” – სანთლები არ იწვევს არავითარ გვერდით მოვლენებს, მათი დიდი დოზით გამოყენების შემთხვევაშიც კი, არ არის ალერგიის გამომწვევი და გამოირჩევა უნივერსალური მოქმედების მექანიზმით როგორც ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი, ონკოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა დაავადებების მიმართებაში და ასევე, არის იმუნური სისტემის შესანიშნავი (როგორც ადგილობრივი, ისე საერთო) გამაძლიერებლები და მათი ფართო გამოყენება კიბოს პროფილაქტიკის მიზნითაც მეტად მნიშვნელოვანია. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, უცხოეთშიც, ძალიან ბევრმა ადამიანმა საკუთარ თავზე გამოსცადა ამ პრეპარატის თვისებები. თუ როგორი იყო შედეგი, ამის შესახებ უკვე ქვემოთ მოგახსენებთ.

**ნათია** ***(32 წლის):*** ჩემს დეიდას, რომელიც უკვე დიდი ხანია, უცხოეთში ცხოვრობს, ცოტა ხნის წინ დაუსვეს კუჭის სიმსივნის დიაგნოზი. მაშინვე დაიწყო მედიკამენტებით მკურნალობა, მაგრამ, არცთუ კარგი შედეგი ჰქონდა. დიდი ხანია, თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ, „კამელინის” შესახებაც არაერთი სტატია მქონდა წაკითხული. ამიტომ, როგორც კი შევიტყვე დეიდას მდგომარეობა, მაშინვე „კამელინი” გამახსენდა, მის მწარმოებელთან გავიარე კონსულტაცია, დეიდასაც ვკითხე და მისი თანხმობის შემდეგ გავუგზავნე პრეპარატი. მაშინვე დაიწყო მკურნალობა და შედეგი უკვე აქვს: აღარ აწუხებს ტკივილები, ენერგიულიც გახდა, ძალაც დაუბრუნდა. „კამელინით” მკურნალობის შეწყვეტას არ აპირებს. ცოტა ხანს შეისვენა და ახლა უკვე მკურნალობის მესამე კურსს იტარებს. რაც მთავარია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესად არის, არანაირი გართულება არ ჰქონია, პირიქით, წინ და წინ წამოვიდა. რაც მთავარია, ჩვეულებრივად მუშაობს, შრომისუნარიანობაც აუმაღლდა და ტკივილებიც აღარ აწუხებს. კიბო ისეთი დაავადებაა, ერთი ხელის მოსმით მას ვერ მოერევი. ამიტომ, ის კიდევ განაგრძობს მკურნალობას და იმედი აქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. იმ შედეგით, რაც „კამელინით” მკურნალობის შემდეგ მიიღო, უკვე კმაყოფილები ვართ.

**მარინა** ***(30 წლის):*** დედაჩემი უცხოეთში ცხოვრობს და მუშაობს. მოგეხსენებათ, ვინც უცხოეთში საქმიანობს, მათ უმეტესობას ფიზიკური შრომა უწევთ. შესაბამისად, დედაც ხშირად ძალიან გადაღლილია, ენერგიის ნაკლებობას განიცდის, იმუნიტეტიც დაქვეითებული ჰქონდა. თან, დაახლოებით ათი წლის წინ ფიბრომის ოპერაცია გაიკეთა, სამი წლის წინ კი დაუსვეს საშვილოსნოს სიმსივნის დიაგნოზი, პირველი სტადია. მაშინვე გავუგზავნე „კამელინის” ინიექცია. მანამდე პირადად მე, ბუასილის გამო, „კამელინის” სანთლები ვიხმარე, მიშველა და საოპერაციო არ გავხდი. ამიტომ, ექიმთან კონსულტაციების გავლის შემდეგ გადავწყვიტე, დედასთვისაც გამეგზავნა „კამელინის” ნემსები. მაშინვე დაიწყო მკურნალობა და მალევე იგრძნო ენერგიის მომატება. სამი კურსი ჩაიტარა და თავს აშკარად უკეთ გრძნობს, იმუნიტეტიც მოუძლიერდა, მადაც მოემატა. გამოკვლევების ჩატარება უნდა, მაგრამ, მაინც ეშინია, რადგან როდესაც პირველად შეიტყო დიაგნოზის შესახებ, ძალიან ინერვიულა. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან” დაკავშირებული კითხვები, გსურთ კონსულტაცია ან დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 298-57-78; 271-04-80; 222-26-68; 293-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

# რომელი ცნობილი საავადმყოფო აჩუქა თბილისს სომეხმა მეცენატმა მიქაელ არამიანცმა და რის გამო აფენდა მის სახლთან ბალახს ქალაქის მოსახლეობა

*თბილისის ისტორიაში უდიდესი კვალი აქვთ დატოვებული ცნობილ სომეხ მეცენატებს. მათი ფინანსებითა და სურვილით არაერთი ლამაზი შენობა აიგო, რომელთა უმეტესობამ დღემდე მოაღწია და თანამედროვე თბილისის სახედ ითვლება. მელიქ-აზარიანცის, თამამშევის, მანთაშევისა და სხვათა გვერდით ღირსეული ადგილი უკავია კიდევ ერთ სომეხ მეცენატს, მიქაელ არამიანცს – ადამიანს, რომელმაც საყვარელ ქალაქს საავადმყოფო აჩუქა და რომლის ფინანსებით სასტუმრო „თბილისი მარიოტის" ნაგებობა აშენდა.*



მიქაელ არამიანცი ოჯახთან და მეგობრებთან ერთად

## მიქაელ არამიანცი

თბილისისადმი სიყვარულით განთქმული მიქაელ ოვსეპის ძე არამიანცი მთიან ყარაბაღში დიაბადა 1843 წელს. მიქაელი ბავშვობიდან ოცნებობდა თბილისის გიმნაზიაში სწავლაზე, თუმცა თავრიზში მოხვდა, სადაც ალექსანდრე მანთაშევს დაუმეგობრდა და მათ ერთად დაიწყეს კომერციული საქმიანობა. 1871 წელს არამიანცი პირველად ჩამოვიდა თბილისში და ვაჭრობა დაიწყო – ის ნატურალური აბრეშუმითა და მატყლით ვაჭრობდა; ასევე, თეირანში, თავრიზსა და მარსელში შაქრის ბიზნესში იყო ჩართული. იმ დროისთვის არამიანცის კაპიტალი ერთ მილიონ რუბლს შეადგენდა. 1877 წელს, რუსეთთურქეთის ომის დროს, არამიანცმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა – ვაჭრობა ჩავარდა და ის გაკოტრების პირას იდგა. 1884 წელს მისი კაპიტალი მხოლოდ 40 ათას რუბლს შეადგენდა. მან გადაწყვიტა, სანავთობო ბიზნესში ჩართულიყო, 1898 წლისათვის კი მისმა კაპიტალმა ცხრა მილიონ რუბლს გადააჭარბა, რამაც მას ქველმოქმედების საშუალება მისცა. მიქაელ არამიანცის მეუღლე იყო თბილისელი კომერსანტის ქალიშვილი – ეხისაპეტ შოლკოიანცი, რომელთანაც არამიანცს ხუთი შვილი ჰყავდა. მილიონერის ცოლის სტატუსმა ეხისაპეტზე ცუდად იმოქმედა – ქალი მუდამ გართობაზე ფიქრობდა და, ასევე, უამრავი საყვარელი ჰყავდა, რის გამოც არამიანცის ოჯახში ხშირი იყო სკანდალები. ეხისაპეტს რომანი ჰქონდა ცნობილ თბილისელ სომეხ ალფონსთან, გევორგ შალამიანთან. ამის შესახებ ინფორმირებული იყო არამიანცი და, საბოლოოდ, ის დაშორდა მეუღლეს. არამიანცს რომანი ჰქონდა თბილისელ ლამაზმანთან, ევგენია შხიანცთან, რომელსაც ოლგას (ამჟამინდელ კოსტავას) ქუჩაზე სამსართულიანი სახლი აუშენა. ევგენიასთვის არამიანცმა პარიზში შეუკვეთა ბრინჯაოს ქანდაკება – „ირმები", რომელიც ხანგრძლივი დ რ ო ი ს განმავლობაში ითვლებოდა თბილისის სიმბოლოდ. სამწუხაროდ ადამიანი, რომელიც არამიანცს უზომოდ უყვარდა, თავის ერთ-ერთ საყვარელთან ერთად გაიქცა და წლების შემდეგ ავადმყოფი დაუბრუნდა მიქაელ არამიანცს, რომლის ხელზე დალია კიდეც სული. 1907 წელს არამიანცს შვილი – სოგომონი მოსტაცეს, როცა ის სკოლიდან სახლისკენ მოდიოდა და მხოლოდ ასობით ათასი რუბლის გადახდის შემდეგ დაუბრუნეს უვნებლად.



მიქაელ არამიანცის მიერ აშენებული სახლი კოსტავას ქუჩაზე (თანამედროვე ხედი)

ამის შემდეგ არამიანცმა კიდევ ერთი დარტყმა მიიღო: მისი უფროსი ვაჟი, ოვანესი, 1908 წელს მძიმედ დაავადდა და, მიუხედავად იმისა, რომ მიქაელმა საუკეთესო ექიმები ჩამოუყვანა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. არამიანცი დიდად პატივცემული ადამიანი იყო თბილისში. ამბობენ, რომ, როდესაც იგი ავადმყოფობდა მადლიერი თბილისელები მაჩაბლის ქუჩაზე, მის სახლთან, ბალახს აფენდნენ, რათა ფაეტონებს და დროშკებს უხმაუროდ ჩაევლოთ. როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რომელმაც არამიანცს ჩამოართვა მისი დიდძალი ქონება. სიცოცხლის ბოლო წლებში მიქაელ არამიანცი, თურმე, თავის მიერვე აშენებულ სასტუმრო „მაჯესტიკთან" („თბილისი მარიოტი") მიდიოდა, ჯდებოდა ქუჩის პირას და თავისთვის გაიძახოდა: „რა დრო იყო"?! მიქაელ არამიანცი 1924 წელს გარდაიცვალა, იგი ხოჯივანქის სასაფლაოზე დაკრძალეს. სამწუხაროდ, სასაფლაოს აღების შემდეგ არამიანცის საფლავი დაიკარგა.



„არამიანცის საავადმყოფო" (1910-იანი წლები)

## „არამიანცის საავადმყოფო"

საავადმყოფოს აშენების იდეა მიქაელ არამიანცს 1902 წელს გაუჩნდა. მან შესაბამისი წერილით მიმართა ქალაქის თავს, კნიაზ არღუტინსკის და თანხმობა მიიღო. 1904 წელს ავლაბარში, თბილისელი არქიტექტორის, ზურაბიანის პროექტით დაიწყო საავადმყოფოს მშენებლობა. პროექტი ისე იყო შედგენილი, რომ საჭიროების შემთხვევაში, შენობის ოთხ მცირე ზომის საავადმყოფოდ დაყოფა შეიძლებოდა, ეს მაშინ გახდებოდა საჭირო, თუკი ქალაქში ეპიდემია გაჩნდებოდა და ავადმყოფების იზოლირება იქნებოდა აუცილებელი. საავადმყოფოს ჰქონდა სამეურნეო კორპუსი, ცენტრალური გათბობა, საკუთარი ელექტროსადგური, უახლესი სავენტილაციო სისტემა, პროზექტურა, სამზარეულო და სამრეცხაო. საავადმყოფო აღჭურვილი იყო იმ დროისთვის უახლესი აპარატურით, მათ შორის – რენტგენის აპარატით, რომელიც არამიანცმა პირადად ჩამოიტანა ევროპიდან. „არამიანცის საავადმყოფო" იყო ერთ-ერთი პირველი საავადმყოფო მთელ ევროპაში, სადაც უფასოდ მიმდინარეობდა მკურნალობა და ოპერირება.

სასტუმრო „მაჯესტიკი" და ხედი გოლოვინის გამზირზე (1920-იანი წლები)



სამედიცინო პერსონალს ხელფასს პირადად არამიანცი უხდიდა. 120 საწოლზე გათვლილ საავადმყოფოში იმ პერიოდის საუკეთესო ექიმები

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი კანონია, ვებრძოლოთ ბოროტის მხრიდან წამოსულ აზრებს. მათდამი აზრობრივი ბრძოლა ხშირად სხვადასხვა სახის უარყოფითი, დამთრგუნველი აზრების, წარმოდგენების, განცდების გაჩენაში გამოიხატება, რასაც მეტად კარგად შლის სინანულის საიდუმლო. მამა იოსებ ათონელი წერს: „გინდა, შემუსრო გველის თავი? თქვი შენი ფიქრების შესახებ აღსარების დროს. ეშმაკის ძალა ცბიერ აზრებშია; თუ შენთან აკავებ – ის იმალება, სინათლეზე გამოგაქვს და – ქრება. ხარობს მაშინ მაცხოვარი, გულისხმიერი ლოცვაც ძლიერდება და ნათელი მადლის კურნავს, ამშვიდებს შენს გულსა და გონებას“.**

# როგორ წარმოიშობა ფიქრის შემდეგ ცოდვები და ვნებები და რა შემთხვევაში არის ადამიანი ბოროტისგან ნაკლებად დაცული



ჯვარი ყველამ უნდა ატაროს დაფარულად, სამოსის ქვეშ

**მამა გიორგი (თევდორაშვილი)** ***(ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი):*** ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველთვის ადგეს ადრე და განსაზღვრულ დროს. როგორც კი ადგება, მაშინვე მოწიწებით უნდა გამოისახოს პირჯვარი, მადლობა გადაუხადოს ღმერთს, რომ მშვიდობით აღადგინა: „გმადლობ, შენ, ღმერთო ჩემო, მშვიდობით რომ აღმადგინე. მაკურთხე დღესაც, მომეცი შემწეობა, ეს დღეც ლოცვაში გავატარო, სიკეთე ვაკეთო და დამიფარე უხილავი და ხილული მტრებისგან", – მერე კი წარმოთქვას იესოს ლოცვა. ამის შემდეგ ყოველი ქრისტიანი დაუყოვნებლად უნდა წამოდგეს და შეიმოსოს. სარეცელზე დიდხანს ნებივრობის უფლება არ უნდა მისცეთ საკუთარ თავს. ამის შემდეგ უნდა მოწესრიგდეთ და შეუდგეთ დილის ლოცვის კითხვას; მუხლმოდრეკილებმა, ყურადღებით, მოწიწებით და ღრმა სინანულის განცდით უნდა ილოცოთ და არა უყურადღებოდ და მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. ჩვენი ყოველი დილა უფალთან ურთიერთობით უნდა იწყებოდეს. ლოცვის კითხვის დროს წესიერად უნდა ვიყოთ შემოსილი: ქალებმა აუცილებლად უნდა დაიფარონ მანდილი და სიყვარულით, სიმშვიდით აღავლინონ ლოცვა. „ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში? თუ ვინმე აზიანებს ღვთის ტაძარს, ღმერთი დააზიანებს მას, რადგან წმიდაა ღვთის ტაძარი და ეს თქვენ ხართ“, – ასე აფრთხილებს პავლე მოციქული კორინთელებს თავის ეპისტოლეში. ნებისმიერი ქრისტიანის მოვალეობაა საკუთარ სულზე, სხეულზე ზრუნვა და ამისთვის სულაც არ არის საჭირო გარეგნული ბრწყინვალება, სამკაულებით მორთვა, ფერ-უმარილის წასმა. ნებისმიერ ადამიანს, განსაკუთრებით კი მორწმუნე ქრისტიანს, ამშვენებს არა სამკაული, არამედ, საკუთარი შინაგანი სილამაზე. ჩვენი წინაპრების სილამაზე იყო გარეგნობა, შესამოსელი, სიტყვა-პასუხი და კდემამოსილება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ყოველთვის დაგვამშვენებს ჩვენი შინაგანი მდგომარეობა, საქციელი და ის ლამაზი გარეგნობა, რომელიც იქნება ღვთისგან კურთხეული და, ამავდროულად, ჩვენი შინაგანი სილამაზით დამშვენებული და შევსებული.

**– დღეს ადამიანები ჯვრებს ხშირად ისე ატარებენ, როგორც სამკაულს. ზოგს რამდენიმე ჯვარი ერთად უკეთია. ეს მიზანშეწონილია?**

– ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში ატარებდნენ ქრისტიანები გულსაკიდ ჯვრებს. გულსაკიდი ჯვარი კი გვახსენებს მაცხოვარს, რომელმაც ადამიანთა ხსნისთვის ჯვარი იტვირთა, ჯვარცმის ტანჯვა დაითმინა და შეგვახსენებს, რომ უნდა ვიცხოვროთ ჯვარცმული ქრისტეს მცნებებით. ამასთანავე, ჯვარი არის იარაღი ბოროტი ძალის წინააღმდეგ საბრძოლველად, ის გვიცავს და დაგვიფარავს ბოროტი ძალის ზემოქმედებისგან – მისი ხილვა ყველაზე მეტად აფრთხობს ბოროტს. ის, ვინც არ ატარებს ჯვარს, არ იწერს პირჯვარს, ნაკლებად არის ბოროტისგან დაცული. ადამიანს ჯვრის ტარების უფლება ნათლობის შემდეგ ეძლევა და მას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება. ჯვარი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ძვირფასი ლითონისგან მზადდება, არ უნდა ვატაროთ ისე, როგორც რაიმე ძვირფასი სამკაული, ანუ, სამოსის ზემოდან და თვალისთვის დასანახავად. ჯვარი ყველამ უნდა ატაროს დაფარულად, სამოსის ქვეშ, რაც სიმბოლოა იმისა, რომ ქრისტიანობა, ქრისტეს მცნებები, უფლის, მოყვასის სიყვარული, გულში გვაქვს დამარხული და მისით ვსასოობთ. ჯვრის სამკაულად, თუნდაც, გულზე, ასევე, საყურედ ტარება, ქრისტიანისთვის შეუფერებელი საქციელია. ჯვარი ყოველთვის და ყველგან უნდა გვეკეთოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოროტი ძალა ადამიანს ყოველთვის თან სდევს და ცდილობს, მას რამე ავნოს, ჯვარი კი მისგან ყოველთვის და ყველგან დაგვიცავს.

**ამ დროს ყველაზე ადვილია საცდურის დაძლევა. თუ ნდომა უარყოფილი და დაძლეული არ იქნება, ის გადადის გაურკვეველ მისწრაფებაში, შემდეგ კი – ცოდვის ჩადენის მკაფიო სურვილში**

**– როგორ უნდა იმოსებოდეს ადამიანი ლოცვის დროს და, საერთოდ, როგორ უნდა მოიქცეს მაშინ, როდესაც ლოცვის დროს ცუდი, მაცდური ფიქრები მოსდის?**

– „ყოველი მამაკაცი, რომელიც თავდაბურულად ლოცულობს, ანდა წინასწარმეტყველებს და, ყოველი ქალი, რომელიც თავდაუბურავად ლოცულობს ანდა წინასწარმეტყველებს, თავს ირცხვენს, ვინაიდან, ეს იგივეა, რომ თავგადაპარსული იყოს“. ლოცვის კითხვის დროს ადამიანი წესიერად უნდა იყოს შემოსილი: ქალებმა აუცილებლად უნდა დაიფარონ მანდილი და სიყვარულით, სიმშვიდით აღავლინონ ლოცვა; მამაკაცმა არ უნდა დაიფაროს ლოცვის დროს თავზე, ვინაიდან, ის ღვთის ხატება და დიდებაა. ხოლო, რადგან დედაკაცია მამაკაცისგან შექმნილი, ამიტომ მას თავზე უნდა ჰქონდეს ხელმწიფების ნიშანი ანგელოზებისა და უფლის გულისთვის, ანუ მანდილი, რომელიც მორჩილების სიმბოლოა. ქრისტიანმა უნდა მიიღოს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ის ყველაფერს ღვთის სათნოდ აღასრულებს, მზად არის, აკეთოს სიკეთე და შეეწიოს მოყვასს. ყოველდღე თითოეულმა ადამიანმა მეოთხედი საათი მაინც უნდა დაუთმოს სარწმუნოების ჭეშმარიტებაზე ფიქრს, განსაკუთრებით კი – გონებისთვის მიუწვდომელ საიდუმლოებაზე: ძე ღმერთის განკაცებაზე, მის მეორედ მოსვლაზე, ჯოჯოხეთსა და სამოთხეზე ფიქრს. უნდა იფიქროთ იმაზე, რომ, შეიძლება, ეს დღე თქვენთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს, ამიტომ, ყველაფერი ისე უნდა გააკეთოთ, როგორც ისურვებდით, გაგეკეთებინათ მაშინ, დაუყოვნებლივ რომ წარმდგარიყავით ღვთის საშინელი სამსჯავროს წინაშე. ყოველ დილას მადლობა უნდა შესწიროთ უფალს, რომ მან დაგიფარათ განვლილ ღამეს, რომ ჯერ ისევ ცოცხალი ხართ და არ მომწყდარხართ საკუთარ ცოდვებში. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი წარდგა იმ ღამეს ღვთის სამსჯავროს წინაშე და თქვენთვის ეს დღე ჯერ არ დამდგარა. ყოველდღე უნდა ფიქრობდეთ იმაზე, რომ ცხოვრება მხოლოდ ახლა იწყება და გსურს, რომ იყო ქრისტიანი და რომ წარსული დრო ტყუილად დაკარგე... ცოდვა ხშირად სწორედ ფიქრის დროს იბადება, ეს კი განსაკუთრებით ლოცვის დროს ხდება. ხშირად ადამიანს სწორედ ასეთ დროს მოსდის მაცდური ფიქრები, რომელთაგან გაშორებაც ძალიან უჭირს და შემდეგ მათ ხშირად ქმედებაში ახორციელებს. პირველი მომენტი ცოდვისა არის ნდომა, როცა ადამიანის ცნობიერებაში მხოლოდ გამოისახება ესა თუ ის საცდური. თუკი ადამიანი პირველ მომენტშივე მტკიცედ და დაუყოვნებლად უარყოფს ცოდვას, ის კი არ შესცოდავს, არამედ დაამარცხებს ცოდვას და ამ დროს ყველაზე ადვილია საცდურის დაძლევა. თუ ნდომა უარყოფილი და დაძლეული არ იქნება, ის გადადის გაურკვეველ მისწრაფებაში, შემდეგ კი – ცოდვის ჩადენის მკაფიო სურვილში. ამ დროს ადამიანი ცოდვისკენ მიდრეკას იწყებს, თუმცა, ამ შემთხვევაში, მას განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეუძლია, არ აჰყვეს ცოდვის საცდურს და არ შესცოდოს, რაშიც მას საკუთარი სინდისი და ღმერთი დაეხმარება, თუკი მას მიმართავს. გაცილებით ძნელია ცოდვასთან ბრძოლა მაშინ, როცა ის, ხშირი გარემოების გამო, ადამიანს ჩვევად გადაექცევა. საერთოდ, ადამიანი ნებისმიერი ჩვევის შეძენის შემდეგ, ჩვევად გადაქცეულ ქმედებას ძალზე იოლად სჩადის, თითქოს შეუმჩნევლად, თავისთავად. ამიტომაცაა, რომ ჩვევად ქცეული ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლა უჭირს, რადგან, მისთვის უკვე ძნელია არა მხოლოდ საკუთარი თავის დაძლევა, არამედ, მოახლოებული ცოდვის შემჩნევაც. უმაღლესი ხარისხის ცოდვაა, როცა ის უკვე სრულებით იმონებს ადამიანს. არის ვნება ამა თუ იმ ცოდვისმიერი ტიპისა, ამ მდგომარეობაში ადამიანს უკვე აღარ შეუძლია, ეზიზღებოდეს საკუთარი თავი როგორც მანკიერება და მთლიანად ემორჩილება მას თავის განცდაში, მოქმედებასა თუ განწყობაში.

**ნათია ხუციშვილი**

# „ახალი მონასტრის“ სასწაულები

## ჯორის ზურგზე დაუზიანებელი ტვირთი იხილეს

მოგზაურთა აღწერების თანახმად, მეჩვიდმეტე საუკუნეში „ახალ მონასტერში“ 100-დან 150-მდე ბერი იყო და ის ჰგავდა პატარა ქალაქს. აქ, აგრეთვე, იყო უამრავი ცხოველი, რომლებიც გამოიყენებოდნენ სხვადასხვა ტვირთის გადასაზიდად.

ერთხელ ერთმა მლოცველმა მიტილინის კუნძულიდან მონასტრისთვის ჩამოიტანა ზეთი და გადასცა ის პირუტყვის გამრეკის ხელით. მეხრემ დატვირთა ჯორი და გაუდგა გზას. როდესაც მათ მიაღწიეს წმიდა ფანურის ტაძარს, გზის ძნელად გასასვლელ უბანზე ცხოველმა წაიბორძიკა და ხრამში გადაიჩეხა მეხრესთან ერთად.

ცოტა ხანი გავიდა. ერთხელ გაისმა კაკუნი მონასტრის ჭიშკართან. შიგნით მყოფთ მოესმათ ჭიხვინი. მეკარემ გააღო ჭიშკარი და დაინახა... უფსკრულში გადაჩეხილი ჯორი. მაგრამ ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ ზურგზე მას ჰქონდა სრულიად დაუზიანებელი ტიკები ზეთით სავსე, მეკარემ ეზოში შემოიყვანა ცხოველი და ჩამოხსნა ტვირთი. ჯორი კი მიწაზე უგრძნობლად დაეცა და სულიც განუტევა. მან თავისი მისია აღასრულა.

## როდესაც ქალმა გაიღვიძა, იგრძნო, რომ განკურნებული იყო

ჰიოსის კუნძულზე, სოფელ კალმასიას მკვიდრმა ღვთისმოსავმა ქალმა „ახალ მონასტერს“ შესწირა მთელი თავისი ქონება. ერთხელ ის ავად გახდა და აღმოჩნდა ძალზე მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. მისმა ნათესავებმა იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდნენ მას, მიატოვეს უბედური და საყვედურობდნენ მას მწარე სიტყვებით:

– დაგეხმაროს შენი „ახალი მონასტერი“, შენ ხომ მას გადაეცი მთელი შენი ქონება!

ის კი განუწყვეტლივ და მხურვალედ ევედრებოდა ღვთისმშობელს დახმარებოდა მას.

და აი, ერთხელ, საღამო ხანს მას მოევლინა უცნობი ქალი. მიუახლოვდა მას, ანუგეშა და უთხრა:

– ნუ გეშინია, შენ სენისგან განკურნებული ხარ. აიღე ეს დუკატი. ახლა შენზე მე ვიზრუნებ.

– ვინ ხარ შენ? – ეკითხებოდა მას ავადმყოფი.

– მე „ახალი მონასტერი“ ვარ.

როდესაც ქალმა გაიღვიძა, იგრძნო, რომ განკურნებული იყო, მარჯვენა ხელში კი ეჭირა ოქროს დუკატი. დილით ის წავიდა მონასტერში, მოუყვა თავისი სიზმარი იღუმენ ანთიმოზს და მისცა მას მისთვის ღვთისმშობლის, უწმიდესი ქალწულის მიერ ნაჩუქარი დუკატი.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: სრულდება თუ არა წყევლა და რა ძალა აქვს მას?**

**პასუხი:** წყევლა ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვაა. ის მრისხანების ცოდვას მიეწერება და როცა ვიღაცას სწყევლის ადამიანი, ამით ბოროტი ძალის ნებას ასრულებს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ამქვეყნად, სადაც მუდმივი ჭიდილია სიკეთისა და ბოროტების, ზოგჯერ სიკეთეც მარცხდება. თუკი ჩვენს კეთილ სურვილებს უფალი შეისმენს და ახორციელებს, ბოროტს – დემონიც უსმენს და ასრულებს. ხოლო, როცა ვცოდავთ, ჩვენივე ნებით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში ბოროტი ძალა. წყევლისას ადამიანის ნება მის ნებას ემთხვევა. ამიტომ, ყოველი ადამიანი უნდა დაფიქრდეს, სანამ საკუთარ თავს და მოყვასს ბოროტის ზეობისთვის გაიმეტებს. აჯობებს, უფალს სთხოვოთ, რომ იმ ადამიანს, ვინც ტკივილი მოგაყენათ, გონება გაუნათოს.



**კითხვა: როგორ მოვიქცეთ, თუ ტაძარში მღვდელმსახურების დროს სივიწროვის გამო, იძულებულნი ვართ, უახლოეს ხატთან ზურგით ვიდგეთ?**

**პასუხი:** როდესაც გამოუვალი მდგომარეობაა, ტაძარში მიმდინარეობს წირვა-ლოცვა და ხალხმრავლობის გამო სივიწროვეა, ხატთან ზურგშექცევით დგომა ცოდვაში არ ჩაგეთვლებათ. იდექით მშვიდად და უსმინეთ მღვდელმსახურებას.

**კითხვა: რამდენჯერ უნდა ვაკურთხებინოთ მოძღვარს ხატები და როდის?**

**პასუხი:** ხატები მღვდელმსახურის მიერ ერთხელ იკურთხება: მათი შექმნისა თუ ეკლესიის გარეთ შეძენის შემდეგ. ხოლო, ხატი უნდა იკურთხოს ხელმეორედ მისი რესტავრაციის შემდეგ, თუ მისი იერსახე დაკარგულია.

**კითხვა: შეიძლება თუ არა გულის გადასაყოლებელი წიგნების კითხვა, რომელთაც არანაირი სულიერი ღირებულება არ გააჩნიათ და მხოლოდ ართობენ ადამიანს? ეს ცოდვაში ხომ არ ჩაგვეთვლება?**

**პასუხი:** მხოლოდ გულის გადასაყოლებლად მდარე შინაარსის წიგნების წაკითხვა საკუთარი თავის მოწამვლას ნიშნავს. უქმადმოსიტყვე წიგნების კითხვას მოჰყვება სულის გამოფიტვა, სიცარიელე და ადამიანის დაშორება ღმერთისგან. გირჩევთ, იკითხოთ წმიდანთა ცხოვრება, რაც ჩვენი ცხონებისთვის ყოველივე აუცილებელს მოიცავს. წმიდანთა ცხოვრება გვასწავლის, როგორ დავიცვათ უფლის მცნებები და ჩავუღრმავდეთ საკუთარ თავს.

# მამათა შეგონებანი

**გაბრიელ ეპისკოპოსი:** მწუხარება ორნაირია: ერთი ღმრთისმიერი, მეორე – სოფლიური. ღმრთისმიერი მწუხარებისას კაცი თავის უღირსებასა და ცოდვაზე სწუხს, რომ ღმერთს განეშორა, მისი მცნება დაარღვია, ნაცვლად კეთილი საქმისა, ბოროტი ქმნა და ამით ზეციური მამა გაამწარა. ასეთი სულიერი მწუხარება კეთილია და პატიოსანი. იგი კაცის გულში გააჩენს სინანულსა ცხოვრებისასა, როგორც იტყვის წმიდა მოციქული პავლე. ამით კაცის მოქცევა და ცხონება იწყება. სოფლიური მწუხარება ისაა, როდესაც კაცი, რომელიმე სოფლიური ნუგეშის მოკლებაზე სწუხს. ზოგიერთი რაიმე უბედურების დროს ტირის და დარდობს, მაგრამ ღმერთზე აღარ ფიქრობს და ავიწყდება, რომ მწუხარებაცა და სიხარულიც, ბედნიერებაც და უბედურებაც, ყველაფერი ღმრთისგანაა. ნაცვლად იმისა, რომ ღმერთს მადლობა შესწიროს და სასოება არ დაკარგოს, იგი მხოლოდ სოფლიური ნუგეშის მოკლებას ნაღვლობს. ნაცვლად იმისა, რომ დაფიქრდეს და გამოიკვლიოს, თუ რის გამო დაემართა ეს უბედურება და ის ცოდვები მოინანიოს, რომელნიც მისი უბედურების მიზეზნი შეიქნენ, იგი თავის მდგომარეობას ხან ღმერთს აბრალებს, ხან ეშმაკს და ხან სხვა კაცს. ასეთი სოფლიური, ხორციელი მწუხარება სიკვდილს აჩენს და კაცს კლავს.

**თეოფანე დაყუდებული:** აუცილებლად უნდა ვიცოდეთ უფლის ნება და, აგრეთვე ის, თუ რომელი საქმეა, თვისი არსით კეთილზნეობრივი, უფლისთვის სათნო და რომელი – ცოდვა. ვინც ამის შეცნობას არ შეეცდება, სცოდავს უფლის წინაშე. გამოდის, რომ ვინც თავის თავს სიბნელესა და უმეცრებაში ამყოფებს, ორმაგად სცოდავს: იმით, რომ არ იცის უფლის ნება და იმითაც, რომ ყოველ ღონეს არ ხმარობს მის გასაგებად, ანუ, განგებ იმყოფებს თავს სიბნელეში.

**ეპისკოპოსი პეტრე:** მწუხარებით გამოცდას, რომელსაც ღმერთი უშვებს ადამიანისთვის, მიზნად აქვს მართალთა აღზრდა მიწაზე და მათი დაჯილდოება იმქვეყნიურ ცხოვრებაში. ცხადია, ამქვეყნიური მწუხარება სამზადისია ადამიანისთვის. მწუხარება არის ის, რაც ათვინიერებს ადამიანს, განარიდებს მას წუთისოფელს, განამტკიცებს მის ხასიათს, ასუფთავებს მის არხებს და ამაღლებს, რამდენადაც ის მწუხარებაშია.

**იოსებ ათონელი:** რადგან ღმერთი, როგორც თვითგანდიდებული არსება, არ საჭიროებს ადამიანურ შრომას, არამედ ხარობს და უყვარს, როცა მისი სიყვარულისთვის ვეწამებით და ვივნებთ. ამიტომაც გვაჯილდოვებს, როგორც მიღწევებს და უხვად გვიწყალობებს თავის მადლს.

**ეფრემ ასური:** ზღვაში ჩაგდებული ქვა უმალ გაუჩინარდება და ველარავინ დაინახავს მას. ასევე, ჩვენი ცოდვებიც ჩაიძირება ღმერთის უსაზღვრო მოწყალების უფსკრულში და სრულიად განქარდება ზეციური მართმსაჯულების თვალისთვის, ოღონდ კი გულწრფელად მოვინანიოთ ისინი.

# რომელი ბრაზილიელი ტალანტები მოხვდნენ პლანეტის ყველაზე ძვირად ღირებული ახალგაზრდა ფეხბურთელების ტოპ-თხუთმეტეულში

*ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ამ ფეხბურთელებმა უკვე დაიმკვიდრეს ადგილი თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის რუკაზე და დღეს ისინი ყველაზე პერსპექტიულ ვარსკვლავებად მოიაზრებიან, რომელთა ნიჭის სანაცვლოდ, სუპერგრანდები მილიონობით ევროს ხარჯავენ. გთავაზობთ მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული, 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელების ჩამონათვალს, რომელიც ავტორიტეტული გერმანული ვებ-გვერდის – „ტრანსფერმარკეტის" მიხედვით შედგა.*



### მარიო გიოტცე (გერმანია) – დორტმუნდის „ბორუსია" 42 მილიონი ევრო

გერმანიის ნაკრებისა და „ბორუსიის" 20 წლის ნახევარმცველი ტიპური 10 ნომერია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ გერმანიაში. გიოტცე ყველაზე ძვირად ღირებული 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელია ევროპაში და მასზე უკვე დიდი ხანია ნადირობენ წამყვანი ევროპული სუპერკლუბები. გიოტცე, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, სამაგალითო სპორტსმენად ითვლება სამშობლოში: ის არ ეკარება ალკოჰოლსა და თამბაქოს და მისთვის უცხოა ვარსკვლავური სენი, რამაც მის ბევრ კოლეგას კარიერა დაუნგრია.

### ნეიმარი (ბრაზილია) – „სანტოსი", 40 მილიონი ევრო



ბრაზილიელი ტალანტი ნეიმარი 21 წლის რამდენიმე დღის წინ გახდა და უკვე ცნობილია, რომ მომავალ სეზონს ის ერთ-ერთ ევროპულ სუპერკლუბში დაიწყებს. ნეიმარზე დიდ იმედებს ამყარებს სრულიად ბრაზილია 2014 წლის მუნდიალზე და, ექსპერტების გათვლით, სწორედ ის უნდა გახდეს მსოფლიო ჩემპიონატის აღმოჩენა.

### ლუკას მოურა (ბრაზილია) – „პსჟ", 35 მილიონი ევრო

2013 წლის იანვრიდან ლუკას მოურა პარიზული კლუბის ფეხბურთელია და მისი ტრანსფერი კლუბს 35-40 მილიონი ევრო დაუჯდა. მოურა ბრაზილიელი ფეხბურთელების ახალი თაობის წარმომადგენელია და, ნეიმარის მსგავსად, ის უნდა გახდეს 2014 წელს მუნდიალზე წამსვლელი ნაკრების ლიდერი. ცნობისთვის, მოურას თანაგუნდელი „პარი სენჟერმენში," 38 წლის დევიდ ბექჰემი, ზუსტად 17 წლით უფროსია მასზე და პროფესიული კარიერა მაშინ დაიწყო, როდესაც ლუკასი მსოფლიოს მოევლინა – 1992 წელს.

### სტეფან ელ-შაარავი (იტალია) – „მილანი", 23 მილიონი ევრო

„მილანელი ფარაონის" სატრანსფერო ფასი სეზონის ბოლოს საგრძნობლად მოიმატებს, რადგან, ეგვიპტური ფესვების მქონე იტალიელი ფორვარდი მიმდინარე სეზონში შედეგიანად ასპარეზობს და კლუბის ერთ-ერთი ლიდერის ფუნქციას ასრულებს. ელ-შაარავს, რომელსაც წინაპრებისა და ვარცხნილობის გამო „ფარაონს" უწოდებენ, „სკუადრა აძურას" მომავლად მოიხსენიებენ და იტალიელები მასზე და მარიო ბალოტელიზე ყველაზე დიდ იმედებს ამყარებენ.



### ერიკ ლამელა (არგენტინა) – „რომა", 22 მილიონი ევრო

„რივერ პლეიტის" სკოლაში აღზრდილი ერიკ ლამელა ამჟამად რომაული კლუბის ღირსებას იცავს და 2011 წლიდან არგენტინის ნაკრების ფეხბურთელად ითვლება. საგულისხმოა, რომ 2004 წელს ლამელას შანსი ჰქონდა, რომ „ბარსელონას" ფეხბურთელი გამხდარიყო და თავისი მეგობრის, ლიონელ მესის თანაგუნდელი ყოფილიყო, თუმცა, მაშინ მხარეები თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

### დავიდ ალაბა (ავსტრია) – „ბაიერნი", 22 მილიონი ევრო

დავიდ ოლატუკუმბო ალაბა ავსტრიის მოქალაქეა, თუმცა, მისი დედა ფილიპინელია, ხოლო მამა – ნიგერიელი. დავიდი 16 წლის ასაკიდან მიუნჰენის „ბაიერნის" ფეხბურთელია და, ყველა ასაკობრივი გუნდის გავლით, იგი ბუნდესლიგის საუკეთესო კლუბის სრულუფლებიან წევრად იქცა. მისი დებიუტი ავსტრიის ნაკრებში 2009 წელს შედგა, როდესაც ის სულ რაღაც 17 წლის იყო.

### ისკო (ესპანეთი) – „მალაგა", 20 მილიონი ევრო

20 წლის ისკოს დებიუტი ესპანეთის ნაკრებში 2013 წლის თებერვალში შედგა. ვისენტე დელ ბოსკემ დაუფასა ახალგაზრდა ფეხბურთელს გარჯა – წლევანდელი სეზონი ხომ ისკოსთვის საუკეთესოა და უკვე ბევრს საუბრობენ, რომ ახლო მომავალში ის აუცილებლად დატოვებს მოკრძალებულ „მალაგას" და „რეალის" ან „ბარსელონის" წევრი გახდება.

### იკერ მუნიანი (ესპანეთი) – ბილბაოს „ატლეტიკი", 20 მილიონი ევრო

ბასკი ფეხბურთელი, რომელიც უკანასკნელი ორი სეზონია, ევროპული სუპერკლუბების თვალთახედვის არეში მოხვდა. მუნიანი ესპანეთის 21 წლამდე ნაკრების ლიდერია და ახლოსაა ის დრო, როდესაც იგი „ფურია როხას" შემადგენლობაში ჩაანაცვლებს ჩავის.

### რომელუ ლუკაკუ (ბელგია) – „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი", 19 მილიონი ევრო

კონგოლეზური წარმოშობის ბელგიელი ფეხბურთელი 17 წლის ასაკიდან ლონდონის „ჩელსის" საკუთრებაა, თუმცა, „არისტოკრატების" რიგებში მას სრულფასოვანი სეზონის გატარება ჯერ არ უწევს, რადგან, მუდმივად განათხოვრებულია. ლუკაკუ იმედოვნებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის „ჩელსის" მთავარი ფორვარდი გახდება, მანამდე კი მას მოკრძალებული „ვესტ ბრომვიჩით" დაკმაყოფილება უწევს.

### კირიაკოს პაპადოპულოსი (საბერძნეთი) – „შალკე 04", 18 მილიონი ევრო

კირიაკოსი ყველაზე ნიჭიერ ბერძენ ფეხბურთელად მიაჩნიათ, იგი ბერძნული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. მას მყარად აქვს მოკიდებული ფეხი ბერძენთა ნაკრებში და, ასევე, გერმანული „შალკეს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელადაც ითვლება. მის მსურველ კლუბებს კი საკმაოდ დიდი თანხის გადახდა მოუწევთ გელზენკირჰენული კლუბისთვის.

### მატია ნასტასიჩი (სერბეთი) – „მანჩესტერ სიტი," 19 მილიონი ევრო

19 წლის სერბმა მატია ნასტასიჩმა „სიტის" ძირითადიდან კლუბის ერთ-ერთი სიმბოლოს – ჯოლეონ ლესკოტის ამოგდება მოახერხა. ნასტასიჩი ჯერ მხოლოდ პირველ სეზონს ატარებს „სიტის" შემადგენლობაში და უკვე მოახერხა იქაური ფანებისთვის თავის შეყვარება.

### ფილ ჯონსი (ინგლისი) – „მანჩესტერ სიტი," 17 მილიონი ევრო

ფილ ჯონსი, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ალექს ფერგიუსონის ფავორიტად ითვლება და მომავალში სწორედ ის უნდა გახდეს „მანკუნიანელთა" დაცვის ლიდერი. ჯონსი ინგლისის ნაკრების მწვრთნელის, როი ჰოჯსონის თვალთახედვის არეშიც მოხვდა და ნაკრების უახლოესი რეზერვის წევრია.

### კრისტიან ერიკსენი (დანია) – „აიაქსი", 16 მილიონი ევრო

„აიაქსის" დანიელი ნახევარმცველი, კრისტიან ერიკსენი, 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო და 2012 წელს ევროპის ჩემპიონატზე მასზე გაცილებით დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმცა, ახალგაზრდა ასაკის გამო, მან სათანადოდ ვერ მოახერხა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და ჯერჯერობით სხვათა ჩრდილში იმყოფება, კრისტიანი ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და მას დიდი კარიერა ელის.

### ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი (ინგლისი) – „არსენალი," 15 მილიონი ევრო

არსენ ვენგერის გუნდის ახალი თაობის წარმომადგენელი, რომელიც ჯეკ უილშერთან და თეო უოლკოტთან „არსენალის" მომავლად მიიჩნევა, გასულ სეზონზე გამოჩნდა და მალევე მიიპყრო ყურადღება როგორც გულშემატკივართა, ისე ეროვნული ნაკრების მხრიდანაც და როი ჰოჯსონმა ის ევროპის ჩემპიონატზე იახლა პოლონეთ-უკრაინაში.

### ტიბო კურტუა (ბელგია) – მადრიდის „ატლეტიკო," 15 მილიონი ევრო



20 წლის ბელგიელი გოლკიპერი ტიბო კურტუა, რომლის სიმაღლე 199 სმ-ია ამჟამად „ატლეტიკო" მადრიდის ღირსებას იცავს, თუმცა 2011 წლიდან „ჩელსის" საკუთრებაშია და იმის გამო, რომ პეტრ ჩეხთან კონკურენციის გაწევა ჯერჯერობით არარეალურია იგი განათხოვრების წესით ასპარეზობს ესპანურ კლუბში. ტიბო მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ მეკარედ ითვლება.

## მვილას უცნაური მეგობარი

მას შემდგომ, რაც საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი იან მვილა, მთელი მსოფლიოსთვის მოულოდნელად, რუსეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ყაზანის „რუბინის” ფეხბურთელი გახდა, ფრანგულ პრესაში ახალი სკანდალი აგორდა. ფეხბურთელს არასრულწლოვან მეძავთან სქესობრივი კავშირის დამყარებაში დაედო ბრალი და რუსეთიდან მისი შესაძლო გამოწვევის საკითხი მანამ იდგა, სანამ თავად 16 წლის მეძავმა დაკითხვის დროს არ განაცხადა, რომ მართლაც იცნობს იან მვილას, მაგრამ, თავის მეგობრად მიაჩნია და სწორედ ამ ფაქტით ახსნა, რომ მის მობილურში მვილას ტელეფონის ნომერი აღმოჩნდა. თავად ფეხბურთელი წაყენებულ ბრალდებას სრულ აბსურდს უწოდებდა და აცხადებდა, რომ უდანაშაულოა.

## უსეინ ბოლტი და NBA-ს ვარსკვლავები

ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერმა, იამაიკელმა უსეინ ბოლტმა მონაწილეობა მიიღო ეგრეთ წოდებულ NBA-ს უიკ-ენდის ფარგლებში გამართულ ვარსკვლავთა მატჩში. საგამოფენო მატჩში ბოლტთან ერთად საკალათბურთო მოედანზე გამოვიდნენ წარსულში ლეგენდარული კალათბურთელები: დიკემბე მუტომბო და კლაიდ დრექსლერი; ქალთა საკალათბურთო ასოციაციის წარმომადგენლები, მუსიკოსები, ჟურნალისტები, მსახიობები და, ასევე, ამერიკის განათლების მინისტრი არნე დუნკანი. ვარსკვლავთა გუნდების მთავარი მწვრთნელები იყვნენ ამერიკის „ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის“ 2013 წლის ყველა ვარსკვლავის მატჩის მონაწილეები: ჯეიმს ჰარდენი და რასელ უესტბრუკი.



## კეიტ აპტონის მორიგი კრუიზი

20 წლის ლამაზმანმა კეიტ აპტონმა კვლავ დაამშვენა ცნობილი ჟურნალის – „სპორტს ილუსტრეიდის” პირველი გვერდი. იუნიორებს შორის მსოფლიოს ექსჩემპიონმა ცხენოსნობაში სპორტს ადრეულ ეტაპზევე დაანება თავი და ამჟამად ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ და პოპულარულ მოდელად ითვლება, რომელსაც ძირითადად სექსუალური თეთრეულის ან საცურაო კოსტიუმების რეკლამაში იღებენ. ახალ ფოტოსესიაში აპტონმა ანტარქტიდაზე, საკრუიზო ლაინერზე, მინუს ტემპერატურაზე პრაქტიკულად შიშველმა იპოზიორა და თავისი თაყვანისმცემლების რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა. ცნობისთვის, პირველად ყოფილი ცხენოსანი აპტონი ჟურნალის გარეკანზე 2011 წელს გამოჩნდა.

## ეტოოს მეუღლის სკანდალური ფოტოები

მახაჩკალის „ანჟისა” და კამერუნის ნაკრების ვარსკვლავი, სამუელ ეტოო თავს ბედნიერად გრძნობს რუსეთში და მილიარდერ სულეიმან ქერიმოვის ფავორიტ ფეხბურთელად ითვლება. ეტოო დაღესტნის ნაცვლად, ძირითადად მოსკოვში, ფეშენებელურ ბინაში ცხოვრობს ოჯახთან ერთად და არ გამორიცხავს, რომ კარიერას იქ დაასრულებს. ამჟამად რუსეთის ჩემპიონატში შესვენებაა და სამუელი ოჯახთან ერთად დასასვენებლად იმყოფებოდა, სადაც მის მეუღლეს, ჟორჟეტას, საკმაოდ სკანდალური ფოტოები გადაუღეს პაპარაცებმა. ეტოო 2007 წლიდან ცხოვრობს ჟორჟეტასთან ერთად და ეს პირველი შემთხვევაა, როცა პაპარაცებმა მის მეუღლეს შიშველ



მდგომარეობაში გადაუღეს რამდენიმე ფოტო. აღნიშნულ ფაქტზე ოჯახის რეაქცია ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ცნობილია, რომ მოსკოვში ფეხბურთელი და მისი ოჯახი დაცვით გადაადგილდებიან.

## მორბენალი ინვალიდის საბედისწერო გასროლა

სამხრეთაფრიკელი მორბენალი ოსკარ პისტორიუსი, რომელიც იმით არის ცნობილი, რომ ორივე ფეხის ამპუტაციის შემდეგ დიდ სპორტში დაბრუნდა და პროთეზებით იღებდა მონაწილეობას შეჯიბრებებში, დიდ შარში გაეხვია: ვალენტინობის დღეს მან თავისი მეგობარი გოგონა, მოდელი რევა სტენკამპფი, სიცოცხლეს გამოასალმა. რევას ოსკარისთვის სიურპრიზის გაკეთება უნდოდა და მალულად შეიპარა ოსკარის ბინაში, ოსკარს კი ის მძარცველი ეგონა და ცეცხლი გაუხსნა პისტოლეტიდან. მოდელი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ოსკარმა მაშინვე გამოიძახა პოლიცია. ამჟამად სასამართლო სხდომა მიმდინარეობს და პისტორიუსის მომავალი ჯერჯერობით ბუნდოვანია.

## მარადონა მამა გახდა

ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი, 52 წლის დიეგო მარადონა, მეხუთედ გახდა მამა. „ბარსელონის”, „ნაპოლისა” და არგენტინის ნაკრების ვარსკვლავს ვაჟი ვერონიკა ოჯედამ გაუჩინა, რომელსაც დიეგო რამდენიმე თვის წინ დაშორდა. პატარა დიეგო ფერნანდო ბუენოს-აირესის ერთ-ერთ სამშობიაროში ვალენტინობის დღეს გაჩნდა. „დედა და ჩვილი თავს მშვენივრად გრძნობენ”, – განუცხადა ჟურნალისტებს ვერონიკას წარმომადგენელმა. დიეგო ფერნანდოს გარდა, დიეგო მარადონას კიდევ ოთხი შვილი ჰყავს: ორი ქალიშვილი კლაუდია ვილაფესგან და ორიც ქორწინების გარეშე – ბიჭი და გოგონა.



## ბექჰემის 17-ათასიანი სასტუმრო

38 წლის ინგლისელი ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი აქტიური სპორტული კარიერის მიტოვებას არ აპირებს და სულ ახლახან ხუთთვიანი კონტრაქტი გააფორმა პარიზულ კლუბ „პარი სენ ჟერმენთან”. ცნობილია, რომ ბექჰემი პარიზში ოჯახის გარეშე იცხოვრებს და მთელ ხელფასს ბავშვთა დახმარების ფონდში რიცხავს. ბინას კი ვარსკვლავური პერსონა პარიზის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ და ძვირად ღირებულ სასტუმრო „ბრისტოლში” დაიდებს, 320 კვადრატული მეტრი ფართობის აპარტამენტებში, რომლის ფასი ერთ დღე-ღამეში 17 ათასი ევროა. ჯერჯერობით უცნობია, როდის შედგება ფეხბურთელის დებიუტი ახალი კლუბის შემადგენლობაში. მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის თქმით, ბექჰემი პსჟ-ს მაისურს პირველად თებერვლის ბოლოს მოირგებს.

## ჰემილტონის ახალი ქომაგი

ბრიტანელმა მრბოლელმა ლუის ჰემილტონმა „ფორმულა 1-ის” ახალი ეტაპის დაწყებამდე რბოლის მესვეურებს უჩვეულო წინადადებით მიმართა: ჰემილტონმა თავისი ძაღლისთვის, ბულდოგ როსკოსთვის, რბოლის ყველა ეტაპზე დასწრების აბონემენტის გაცემა ითხოვა. ჰემილტონის ოთხფეხა მეგობარს ბერნი ეკლსტოუნის უწყებამ სპეციალური საშვი გაუკეთა და ამიერიდან მსოფლიოს ჩემპიონ ჰემილტონს გრანპრის გათამაშებების დროს, ტრიბუნიდან მეგობარ გოგონასთან ერთად ბულდოგიც უქომაგებს.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ენერგიის ხარჯვა მოხმარებული საკვების შეჯამებულ კალორიებს უნდა შეესაბამებოდეს

დღეს სრულფასოვანი და ჯანსაღი საკვების პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან კვების ხასიათი ბევრად განსაზღვრავს ადამიანის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას. ამავე დროს, მთავარია, საკვების არა რაოდენობა და გემო, არამედ მისი ბიოლოგიური ღირებულება. რაციონში ამ მაჩვენებლის გაზრდა, ეგრეთ წოდებული, ფუნქციური კვების პროდუქტების ჩართვით შეიძლება. მთავარია, ორგანიზმში მოხდეს ენერგიის ბალანსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენერგიის ხარჯვა მოხმარებული საკვების შეჯამებულ კალორიებს უნდა შეესაბამებოდეს. აუცილებელია კვების რეჟიმის დაცვა, რასაც ფუნქციური კვება უზრუნველყოფს.

ადამიანის ორგანიზმისთვის საკვები არა მხოლოდ პლასტიკური და ენერგეტიკული მასალის წყაროა, არამედ მისი ფიზიოლოგიური ფუნქციებისა და ბიოქიმიური რეაქციების რეგულირებაც შეუძლია. ფუნქციური კვების კონცეფციის თანახმად, საკვებ ორგანიზმზე თავის მარეგულირებელ ზემოქმედებას ნაწლავების მიკრობული ეკოლოგიის ნორმალიზაციის გზით ახდენს.

დაავადებებისგან თავის არიდება და მათგან განკურნება შეიძლება განსაზღვრული სახის ბაქტერიების შემცველი პროდუქტების მეშვეობით, ან ბაქტერიების ზრდის ხელშეწყობით.

ადამიანის ნორმალური მიკროფლორის მრავალრიცხოვან წარმომადგენელს შორის, დაახლოებით 70-80 პროცენტი ბიფიდობაქტერიებია. სწორედ ისინი ასრულებენ ძირითად როლს ნაწლავების მიკრობიოლოგიური სისტემების შენარჩუნებაში.

ნაწლავების აშლილობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ბიფიდობაქტერიების დეფიციტი მიიჩნევა. ეს კი მინერალების, ცხიმებისა და ცილების ცვლის დარღვევას იწვევს. დადგენილია, რომ ბიფიდობაქტერიები მონაწილეობენ შეუცვლელი ამინომჟავების სინთეზში, დაბლა სწევენ სისხლში ქოლესტერინის დონეს და ავლენენ სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას.

ადამიანის ორგანიზმში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლექტობაცილები. ისინი ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ათვისებას აუმჯობესებენ, ფერმენტულ აქტივობას ავლენენ, ნაწლავებში მჟავე-ტუტის თანაფარდობას არეგულირებენ და პათოგენურ მიკრობებს ანეიტრალებენ. ადამიანის ნაწლავებში დაახლოებით ხუთასამდე სახის სასარგებლო მიკროორგანიზმი ბინადრობს.

ბიფიდობაქტერიებს შეიცავს ყველი, ნაყინი, წვენები, რძე, საკონდიტრო ნაწარმი. მათი მოხვედრა ნაწლავებში სტიმულს აძლევს ბიფიდობაქტერიების ზრდას ორგანიზმში და მეტად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ასევე, კარგია მაწონი, კეფირი, იოგურტი და სხვა. ფუნქციური კვების პროდუქტები სასარგებლოა ყველასთვის. ის აუცილებელია იმუნოდეფიციტისა და სტრესის დროსაც.

## ადამიანის ჯანმრთელობასა და სექსუალურობაზე ლიმფურ სისტემას უდიდესი როლი აკისრია

სისხლის მიმოქცევის სისტემას ორგანიზმის აუცილებელი ნივთიერებებით მომარაგება აკისრია. არტერიების საშუალებით ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები ყველა ორგანოსა და ქსოვილს მიეწოდება, ვენების საშუალებით კი მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტები გამოიდევნება. თუმცა, სისხლს ყველა არასასურველი ნივთიერება როდი გამოაქვს. შედარებით მავნე ნივთიერებების უვნებელყოფა და ორგანიზმის მათგან გათავისუფლება ლიმფური სისტემის წყალობით ხდება. სწორედ ამ სისტემაში იყრის თავს ყველა ტოქსინი, ვირუსი, მიკრობი, უჯრედთა დაშლის პროდუქტები და ასე შემდეგ.

ლიმფური სისტემის ფუნქციის შეფერხების გამო ორგანიზმში უსიამოვნო ძვრები იწყება, კერძოდ, ფერხდება ნივთიერებათა ცვლა, მცირდება ენერგიის ხარჯვა, მკაცრი დიეტის დროსაც კი, ადამიანი თითქმის არ იკლებს წონაში. ლიმფური სისტემის ფუნქციის მოშლა მხოლოდ ინტოქსიკაციითა და შეშუპებით როდი ვლინდება. ამ სისტემას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია იმუნიტეტის წინაშე – ორგანიზმში მოხვედრილი მიკრობები ლიმფურ კვანძებში გადაიტანება, სადაც მათი უვნებელყოფა ხდება. ამიტომ, ლიმფური სისტემის ფუნქციის მოშლისას, უმნიშვნელო ინფიცირებაც კი დაავადების განვითარებით მთავრდება.

იმუნიტეტის გაძლიერება ლიმფური სისტემის მწყობრში მოყვანის გარეშე წარმოუდგენელია. თუ მისი ფუნქციის ნორმალიზებაზე იზრუნებთ, ხელოვნური იმუნოსტიმულატორების გამოყენება აღარ დაგჭირდებათ. თქვენი გარეგნული ხიბლი, შრომისუნარიანობა, წონა, სექსუალურობა და გუნება-განწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიედინება ორგანიზმში ლიმფა.

ძარღვებში სისხლი წნევით გადაადგილდება. მის მოძრაობას გულის ტუმბოსებრი მუშაობა უზრუნველყოფს. ლიმფურ სისტემას, სისხლძარღვთა სისტემისგან განსხვავებით, ასეთი ტუმბო არ გააჩნია. ლიმფა ლიმფურ ძარღვებში ამ უკანასკნელთა კედლის სუსტი შეკუმშვისა და ადამიანის კუნთების ზოგადი აქტივობის წყალობით მოძრაობს. ასაკთან ერთად, კუნთების აქტივობა თანდათან მცირდება, ძარღვების ტონუსიც იკლებს და ლიმფას კაპილარებში გადაადგილება უფრო და უფრო უჭირს. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ სისხლის დაბალი წნევის გამო უმცირესი ლიმფოკაპილარები იოლად იჭყლიტება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი ვერ გრძნობს კუნთებში, ქსოვილებსა და მყესებში განვითარებულ მიკროსპაზმებს, რომლებიც ლიმფის მოძრაობას აუარესებს. ამ მიკროსპაზმის განვითარებას ხელს უწყობს ფსიქოემოციური დაძაბულობა.

იმისთვის, რომ ლიმფამ ორგანიზმში თავისუფლად იმოძრაოს, აუცილებელია ფიზიკური აქტივობა, ყოველდღიურად კონტრასტული შხაპის მიღება, რადგან ეს ყოველივე აკაჟებს ძარღვებს და აადვილებს შეკუმშვა-მოდუნებას, ანუ რელაქსაციას. ყველაზე კარგი და სასარგებლო კი ცურვაა, რადგან ის სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და კუნთებს ტონუსს ჰმატებს. ეს კი ააქტიურებს ლიმფური სისტემის ფუნქციას, არ აძლევს წიდებს დაგროვების საშუალებას და ადამიანიც თავს გაცილებით მხნედ და ჯანმრთელად გრძნობს.

## რა იწვევს თიაქარს და როგორ ამოვიცნოთ მისი არსებობა

თიაქარი ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში გვხვდება. არსებობს თანდაყოლილი და შეძენილი თიაქარი, მაგალითად, მუცლის, შინაგანი ორგანოების, მუცლის კედლის, მენჯის, დიაფრაგმისა და ასე შემდეგ. ამ დაავადებას იწვევს ასაკი, მემკვიდრეობა, სიმსუქნე, მუცლის კედლის ტრავმა, პოსტოპერაციული ნაწიბურები და სხვა. ასევე, დაავადების გამომწვევია ყველა ის ფაქტორი, რაც განაპირობებს მუცლის შიდა წნევის მომატებას. ამას მიეკუთვნება მძიმე ფიზიკური შრომა, მძიმე მშობიარობა, შეკრულობა, შარდვის გაძნელება, ხანგრძლივი ხველა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორსულობა, რადგან ამ დროს, მუცლის ღრუში წნევის მკვეთრ გაძლიერებასთან ერთად, მუცლის პრესი დუნდება და თხელდება. რაც შეეხება ბავშვებს, მათ ასაკში ზოგიერთი დაავადება, მაგალითად, ფაღარათი, შეკრულობა, ყივანახველა, თიაქრის განვითარების ხელსაყრელ პირობას ქმნის. გარდა ამისა, შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს თანდაყოლილი მანკი. გვხვდება მუცლის შიგნითა და გარეთა, ასევე, თანდაყოლილი და შეძენილი თიაქარი. ძირითადად, მამაკაცებში ჭარბობს საზარდულის, ხოლო ქალებში კი ჭიპის და ბარძაყის თიაქარი. ამ დაავადების მქონე ადამიანს აწუხებს სიმძიმის შეგრძნება, ხშირი შარდვა. უჩივის შრომისუნარიანობის დაქვეითებას. აგრეთვე, თიაქარს ახასიათებს გამობერვა და ტკივილი თიაქრის მიდამოებში. სხვათა შორის, თიაქარი ადვილად ამოსაცნობი დაავადებაა. მისი გართულებებიდან აღსანიშნავია ანთება და ჩაჭედვა. ჩაჭედვის შემთხვევაში, მუცლის ღრუში წნევის უეცარი აწევის გამო თიაქრის პარკში ჩვეულებრივზე მეტი ორგანო ჩამოდის. ამ დროს თიაქრის ფარის კუნთები სალტისებურად შემოეჭირება პარკში მდებარე ორგანოებს და უკან დაბრუნების საშუალებას არ აძლევს, ახშობს მათ სისხლძარღვებს. თიაქრის ჩაჭედვის დროს სასწრაფო, გადაუდებელი ოპერაციაა საჭირო. ამ დროს დაუშვებელია, მუცლის ღრუში მისი შესწორება. ამ მძიმე დაავადებისგან რომ დაიზღვიოთ თავი, აუცილებელია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ზედმიწევნით დაცვა. თიაქრის განვითარების თავიდან

აცილების საუკეთესო საშუალებაა ვარჯიში, რომელიც მუცლის კედლის კუნთებს ამაგრებს. ასევე, აუცილებელია შრომის სწორად გადანაწილება, ორსულობის დროს კი მნიშვნელოვანია რეჟიმის დაცვა, მშობიარობის შემდეგ მუცლის მასაჟი და ვარჯიში. ბავშვებისთვის აუცილებელია რაციონალური კვება და კუჭ-ნაწლავის მოქმედების რეგულირება. მათ არ უნდა ჰქონდეთ ჭინთვები. გაითვალისწინეთ ეს ყოველივე და ამ საშიში დაავადებისგან დროულად დაიცავით თავი.

## როგორ ვუშველოთ თავს დაბალი წნევის დროს

ჰიპოტონია წნევის დაქვეითებას ნიშნავს. მას ახასიათებს აპათია, მოდუნება, საერთო სისუსტე, შრომის უნარისა და მეხსიერების დაქვეითება. ამ დროს ადამიანი დაბნეულია. ჰიპოტონიკი გამხდარი და ფერმკრთალია. მცირე ფიზიკური დატვირთვის დროს აღენიშნება ქოშინი. უჩივის თავის ტკივილს, ადვილად ღიზიანდება, დამოკიდებულია ამინდზე, დილით გამოუძინებლობის გრძნობა აქვს.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომი სუბიექტურია. როდესაც წნევა საგრძნობლად ეცემა, ადამიანი კარგავს ფერს, ხელისა და ფეხისგულები უოფლიანდება, დარღვეულია ორგანიზმის საერთო თერმორეგულაცია. ამ სიმპტომებს შეიძლება, დაერთოს კუჭში სიმძიმის შეგრძნება, უმადობა, გულძმარვა, მეტეორიზმი, შეკრულობა და სხვა. სხვათა შორის, მამაკაცებს ჰიპოტონიის ფონზე შესაძლოა, პოტენცია მკვეთრად დაუქვეითდეთ. ჰიპოტონიკებს მოსვენების დროს სახსრებისა და კუნთების ტკივილი აწუხებთ, რომელიც ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ქრება. ეს იმის ბრალია, რომ დაბალი არტერიული წნევის გამო კუნთების სისხლით მომარაგება მცირდება. ფიზიკური დატვირთვის დროს კი, როცა სისხლის წნევა იმატებს, ხელახლა უმჯობესდება.

თუ დაბალი წნევა რომელიმე დაავადების სიმპტომია, უნდა ებრძოლოთ არა ჰიპოტონიას, არამედ მის გამომწვევ მთავარ მიზეზს. ეს კი შეიძლება იყოს გულის უკმარისობა, ინტოქსიკაცია, ალერგია, ასთმა, მუცლის ღრუს ორგანოთა პათოლოგიები, ნერვულ-ფსიქიკური გადაძაბვა, არარაციონალური კვება და ზოგიერთი მედიკამენტის გადაჭარბებული მიღება.

არტერიული ჰიპოტონია ხშირად ართულებს ისეთი დაავადებების მიმდინარეობას, როგორებიცაა გულის მანკი, მიოკარდიტი, ლეიკოზი, ავიტამინოზი და ასე შემდეგ.

ჰიპოტონიის მკურნალობა გულისხმობს სასიცოცხლო ტონუსის მომატებას. ამისთვის კი აუცილებელია ჯანსაღი ძილი. კერძოდ, გამოიძინეთ 10 საათი მაინც. ძილის დროს სისხლი ძირითადად მუცლის ღრუს ორგანოებში გროვდება, ხოლო თავის ტვინის მომარაგება სისხლით შედარებით სუსტდება.

კარგია ფეხით სეირნობა, ცურვა, სპორტული ვარჯიშები.

ყველი და კარაქი, ყავა და შოკოლადი წნევის მომატებას უწყობს ხელს. ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ ყავას ბუტერბროდიც მიაყოლოთ.

# ექიმის რჩევები

კითხვა: **ვარ 26 წლის. 5 თვეა, ასე მგონია რაღაც მახრჩობს. ფარისებრი გამოვიკვლიე, ყველაფერი ნორმაშია. რომელ სპეციალისტს მივმართო, როგორ ვიმკურნალო?**

**პასუხი:** უნდა მიმართოთ ყელ-ყურის ექიმს და თერაპევტს. თუ ყვლაფერი ნორმაშია, ფსიქოთერაპევტს – შეიძლება ასე ვეგეტატიური დისფუნქციის სინდრომი ვლინდებოდეს.

კითხვა: **რისგან შეიძლება იყოს განავალი მუქი წითელი ფერის?**

**პასუხი:** შესაძლოა მიღებული საკვების შედეგად (ჭარხალი), ან ხანგრძლივი შეკრულობის შემდეგ (შეიძლება ბუასილი გაქვთ). არ არის გამორიცხული, სხვა მიზეზებიც. დიაგნოზის დასაზუსტებლად მიმართეთ პროქტოლოგს ან გასტროენტეროლოგს.

კითხვა: **ვარ 37 წლის ქალი, 4 დღეა, მაქვს ძალიან დაბალი წნევა (80/40). საშიშია, როგორ მოვიქცე? ვსვამ მაგარ ტკბილ ჩაის + კონიაკი ჩაიში. წნევა ცოტა ზემოთ იწევს (100/60), მაგრამ სისუსტე და დაღლილობა რჩება.**

**პასუხი:** ხანგრძლივი ჰიპოტენზიის (დაბალი წნევის) დროს, რომელსაც სისუსტე, დაღლილობა ახლავს თან, გირჩევთ, შემდეგ გამოკვლევას: სისხლის საერთო ანალიზი; თირკმელებისა და თირკმელზედა ჯირკვლების ექოსკოპია; კორტიზოლი სისხლში; სისხლის ბიოქიმიური ანალიზი (შაქარი, კალიუმი საერთო ცილა, რკინა); ელექტროკარდიოგრამა და გულის ექოსკოპია; თერაპევტის კონსულტაცია.

კითხვა: **მაწუხებს შარდის ბუშტი, სულ მცივა შარდის ბუშტის ადგილას. მაქვს ხშირი შარდვა, თითქმის ყოველ 2 საათში. რას მირჩევთ, ვის მივმართო?**

**პასუხი:** დროული და ეფექტური მკურნალობის მიზნით უროლოგს უნდა მიმართოთ.

კითხვა: **შეიძლება თუ არა პროსტატა უშვილობის მიზეზი იყოს?**

**პასუხი:** პროსტატა წინამდებარე ჯირკვალია, მისი პათოლოგია, მაგალითად, ინფექციური პროსტატიტი, შეიძლება, იყოს უშვილობის მიზეზი. მიმართეთ უროლოგს.

კითხვა: **მკურნალობამდე ჯობია, პაპ-ტესტისა და კოლპოსკოპიის გაკეთება, თუ მკურნალობის შემდეგ (ნაცხის საერთო ანალიზის მიხედვით მაქვს ანთებითი პროცესი)?**

**პასუხი:** მკურნალობამდე გესაჭიროებათ ნაცხის ბაქტერიოლოგიური ანალიზიც. რაც შეეხება პაპ-ტესტსა და კოლპოსკოპიას, ჩაიტარეთ მკურნალობის შემდეგ. მკურნალობის სპეციფიკას საზღვრავს გინეკოლოგი.

კითხვა: **ჩემს ქმარს მეტეორიზმი აქვს. უჩივის შებერილობის შეგრძნებას კუჭისა და ნაწლავების მიდამოებში. შეწუხებულია თვითონაც და ოჯახის წევრებიც. როგორ მიიღოს ესპუმიზანი?**

**პასუხი:** ყველა პრეპარატს გააჩნია მიღების სტანდარტული დოზირება. ესპუმიზანისთვის – 1-2 კაფსულა ყოველი ჭამის შემდეგ და კიდევ ერთხელ ძილის წინ. ამის მიუხედავად, ამ პრეპარატის დანიშვნა ინდივიდუალური დოზირებითაც შეიძლება. არ იქნებოდა ასევე ურიგო, გამოკვლევის ჩატარება და ასეთი მეტეორიზმის მიზეზის დადგენა.

კითხვა: **შეიძლება თუ არა სოლარიუმში გარუჯვა მენსტრუაციის დროს?**

**პასუხი:** შეიძლება, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ პროცედურის შემდეგ მენსტრუაცია მოჭარბებული იქნება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



# როგორ დადიოდნენ დეზერტირების ბაზარში ირაკლი აბაშიძე და კენედი და რა გადაიტანა მან სტუმრად ჩამოსული ჰარი ბელაფონტეს გამო

*„ვერაფერს ქვეყნად ვერ შევცვლიე, ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე, გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს, მსურდა, წამელო ყველა სიამე, ყველა სიმწიფის მენახა გემო... სიგრძე და განი... ზემო და ქვემო...” პოეტი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსთაველის საზოგადოების პირველი თავმჯდომარე, ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე... დიდია მისი ღვაწლი, ამიტომ, დღეს უბრალო ირაკლი აბაშიძეს გაგაცნობთ, ისეთს, როგორიც უყვარდათ ნაცობ-ახლობლებს, მეგობრებს, თბილისს. ამ არაჩვეულებრივი კაცის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე მისი შვილები – ბატონი ზურაბი და ქალბატონი ირინე გვიამბობენ.*



მშობლები – ლიზა მოდებაძე და ბესარიონ აბაშიძე

**ირინე აბაშიძე**: ბაბუა, მამაჩემის მამა, ბესარიონ აბაშიძე, ხონელი ხელმოკლე იმერელი აზნაური გახლდათ; ბებია, ელისაბედ მოდებაძე, კაცხიდან იყო. 14 შვილი ჰყავდათ და გაჭირვებით ზრდიდნენ. ბაბუაჩემი დაბრმავებულა და, თურმე, ოჯახზე მზრუნველობა მთლიანად ბებიაჩემს აუღია თავის თავზე. უმძიმესი წლები გამოუვლიათ. ერთ დღეს ბაბუას ბებიასთვის უთქვამს, ამა და ამ რიცხვისთვის მოემზადეო და სწორედ იმ რიცხვში გარდაცვლილა, რომელიც დაასახელა. მიმხვდარან, რომ ბაბუას ამის მიმანიშნებელი სიზმარი ჰქონდა ნანახი, რადგან, ხშირად უხდებოდა ესა თუ ის სიზმარი. უსინათლო მამის თემა თითქოს სულ გასდევს ირაკლის პოეზიას. სხვათა შორის, მასაც მამამისივით სჯეროდა სიზმრების. თვითონ მამა თავის მოგონებებში წერს: „მე დავიბადე 1909 წელს, კეთილი კაცის ოჯახში. მშობლები განათლებული ადამიანები მყავდნენ, საშუალოდ მაინც. მამას, პროვინციის პირობაზე, კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა, თუმცა სიცოცხლის ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში თავად ვერაფერს კითხულობდა უსინათლობის გამო. ხუთი წლისას პირველმა მსოფლიო ომმა მომისწრო, რვა წლისას – რუსეთის იმპერიის დაცემამ და ოქტომბრის რევოლუციამ, თორმეტისას საქართველოს გასაბჭოებამ, შემდეგ – სამამულო ომმა, მერე კიდევ – არა ნაკლებად რთულმა ომმა მშვიდობისთვის. საშუალო განათლება პროვინციაში მივიღე, უმაღლესი – თბილისში. ცხოვრებაში ადრე შევდგი ფეხი და, მას შემდეგ, რაც ღონე გამაჩნია, ერთგულად ვემსახურები ჩემს სამშობლოს როგორც პოეტი და მოქალაქე“...



შვილთან – ზურაბთან და შვილიშვილთან – თამართან ერთად

მამა გვიან, 37 წლის ასაკში დაოჯახდა. დროდადრო სიამოვნებით იხსენებდა თავისი სიყვარულის ისტორიას, გატაცებების შესახებ და ჩვენც ვხალისობდით. ერთხელ (მაშინ პირველ კურსზე იყო უნივერსიტეტში) ქუჩაში ულამაზესი გოგო შეუმჩნევია, უკან გაჰყოლია და ასე აღმოჩნდა ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციაზე. ბატონ ვახტანგს მამაც თავის სტუდენტად ჩაუთვლია და იმ გოგოსთან ერთად პრაქტიკული სამუშაო დავალება მიუცია. ამ სამუშაომ გოგონასთან ძალიან დაამეგობრა, თუმცა, სიყვარულის ახსნა ვერ გაუბედავს: თბილისში ლამაზი და ცნობილი გოგო იყო, მე კიდევ – პირველკურსელი, მძიმე, ომისდროინდელ ცხოვრებაგამოვლილი ბიჭი ვიყავი, ლამაზი სიტყვების გარდა ვერაფერს შევთავაზებდი. ამიტომ, გაჩუმება ვამჯობინეო. რაც შეეხება დედას და მამას, როდესაც ერთმანეთი გაუცნიათ, მამა უკვე პოპულარული ყოფილა თავისი პოეზიით. დედა და მისი ტყუპისცალი და, ძალიან ლამაზი, ვერელი გოგონები იყვნენ. ერთხელ ქუჩაში მეგობარ გოგოსთან ერთად მიდიოდნენ, ირაკლი რომ შეხვედრიათ. რატომღაც, დედას მიახლოებია და უთქვამს: ამა და ამ რიცხვში პოეზიის საღამო მაქვს და თუ მობრძანდებით ძალიან გამიხარდებაო. დედა და დეიდა საღამოზე წასულან, მერე საერთო ახლობელიც აღმოაჩნდათ, ჰქონდათ გადაპატიჟება, გადმოპატიჟება, ერთად ბევრ დროს ატარებდნენ. მოკლედ, დაქორწინდნენ. ძალიან მოკრძალებული ქორწილი ჰქონიათ სახლში, ჭავჭავაძეზე. მოწვეულ სტუმრებს შორის ყოფილან დები იშხნელებიც.



მეუღლესთან ერთად

**ზურაბ აბაშიძე**: ომის შემდგომ პერიოდში საზოგადოებაში ძალიან მიღებული იყვნენ გენერლები. მამას რამდენიმე გენერალი მეგობარი ჰყოლია. ერთ დღესაც, მეგობარ გენერლებთან ერთად დედაჩემის მამას, დავით ჟორდანიას მისდგომია ქალიშვილის ხელის სათხოვნელად. სუფრასთან კარგად რომ მოულხენიათ, მამას მერე უთხოვია შეპარვით ქალიშვილის ხელი. ბაბუას გასცინებია:



ჯონ სტაინბეკთან ერთად



ნოდარ დუმბაძესთან ერთად



ედვარდ კენედი თბილისში (1974 წელი)

ირაკლი, მეგონა, პორტ-არტურის ასაღებად მოხვედი, ეს გენერლები რომ დამაყენე თავ-


სერგეი მიხალკოვთან და გალაკტიონთან ერთად

ზე. ნელი თუ გინდოდა, გეთქვა, შე კაცოო.

**ირინე აბაშიძე**: ჩვენი უმცროსი ძმა, ვატო, ერთი წლისაც არ იყო, თბილისში ჰარი ბელაფონტე ოჯახით რომ ჩამოვიდა. იმ დროს ბელაფონტე ისეთივე პოპულარული იყო, რო-


ვახტანგური ჰამლეტ გონაშვილთან

გორც დღეს მაიკლ ჯექსონია. მამამ შინ მოიპატიჟა. ამ კაცს ცოლი მულატი ჰყავდა, შვილი – შავკანიანი. იმ დღეს კიდევ ბევრი ცნობილი სტუმარი გვყავდა სახლში: ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი... ვატო თეთრი და ფუმფულა, ძალიან საყვარელი ბავშვი იყო. თავის საბავშვო საწოლში იწვა. უცბად, გვესმის ბავშვის საშინელი წივილი. ყველა მისცვივდა, მაგრამ, ვერავინ გაიგო მიზეზი, ვერაფრით დააწყნარეს ბავშვი. ბოლოს ბელაფონტეს ცოლმა თქვა, მაგას ჩემი ბიჭი უკბენდაო.

**ზურაბ აბაშიძე**: მამას მოქეიფეთა შემადგენლობაში იყვნენ: ტუპია იაშვილი (პაოლო იაშვილის ძმა), კაი კოწია (გურამ ლორთქიფანიძის, ლორთქიას მამა), ვანიჩკა კახიძე (ჯანო კახიძის მამა). ამ ადამიანების ყურება მთელი სიამოვნება იყო. მათთან მოისმენდით არაჩვეულებრივ სიმღერებს, საინტერესო ისტორიებს, ლექსებს. მამას კიდევ ერთი შემადგენლობა მეგობრებისა – ალექსანდრე ქუთათელი და სერგო კლდიაშვილი გამოუვლიდნენ და ეტყოდნენ: წავიდეთ, ერეკლე ვიგინოთო – და მიდიოდნენ სადღაც საქეიფოდ. მამას ხშირად ნახავდით, აგრეთვე, ნოდარ დუმბაძესთან და ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად. ძალიან მსიამოვნებდა მათთან ერთად ყოფნა. საერთოდ, იმჟამინდელი წვეულებები იმითაც იყო საინტერესო, რომ სუფრასთან არ ხდებოდა ღრეობები და უსასრულო სადღეგრძელოები. სათქმელს მოკლედ და ლამაზად იტყოდნენ და შემდეგ სიმღერას და საუბარს გააგრძ-


შოლოხოვთან ერთად


შვილთან – ვახტანგთან და შვილიშვილებთან – ირაკლისთან, ლევანთან და ანდროსთან ერთად

ელებდნენ. ერთხელ დედას ლექსი დაუწერა – „შენ დაგიტოვებ". ლექსში იყო ასეთი სიტყვები: „უძილო ღამეს", „დაღლილ ღიმილს", „უხმარ ცრემლებს", „უთქმელ სიზმრებს"... დედამ უსმინა, უსმინა და მერე ღიმილით უთხრა: ცოტა ფულიც დამიტოვე, ირაკლიო.

**ირინე აბაშიძე**: თბილისში ედვარდ კენედი იყო ჩამოსული. მამა მასპინძლობდა. კენედის უთხოვია, ბაზრის ნახვა მაინტერესებს და იქნებ წამიყვანოთო. პროტოკოლით ეს არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ, მამას უარი ვერ უთქვამს და სტუმარი დეზერტირების ბაზარში წაუყვანია. თურმე, კენედის ფასები აინტერესებდა. მისდგომიან ერთ ვაშლის გამყიდველს. კენედი ფასს ეკითხება. მამა ეუბნება გამყიდველს – ხომ იცნობთ ამ კაცსო და ჩუმად ანიშნა, დაუკელიო. გამყიდველს ჩუმად უპასუხია: ბატონო ირაკლი, თქვენ კი გიცნობთ, მაგრამ, ამ კაცს პირველად ვხედავო. ბოლოს დაუკლია და კენედიც ძალიან კმაყოფილი დაბრუნებულა ქართული ბაზრიდან. მამას ძალიან მოსწონდა, რომ ცნობდნენ. ერთხელ, ისევ ბაზარში, მამას უკითხავს გამყიდველისთვის – მიცანიო? კი, გიცანით, ჭაბუა ამირეჯიბი ხართო, – უპასუხია გამყიდველს – აშკარად ხმამ შეიყვანა შეცდომაში.

**ეკა პატარაია**

(ოცდამესამე გვერდიდან)

# რომელი ცნობილი საავადმყოფო აჩუქა თბილისს სომეხმა მეცენატმა მიქაელ არამიანცმა და რის გამო აფენდა მის სახლთან ბალახს ქალაქის მოსახლეობა

მუშაობდნენ. საერთო ჯამში, საავადმყოფოს მშენებლობასა და მის მოწყობაზე მიქაელ არამიანცს ერთ მილიონამდე რუბლი ჰქონდა დახარჯული. ამჟამად საავადმყოფო ქალაქის პირველი საავადმყოფოს სახელს ატარებს, თუმცა, ხალხი მას მაინც „არამიანცის საავადმყოფოს" სახელით მოიხსენიებს. ცნობისთვის, საავადმყოფო მიქაელ არამიანცმა ქალაქს აჩუქა და ამისთვის


სასტუმრო „თბილისი მარიოტი" (თანამედროვე ხედი)

სამადლობელი წერილი მიიღო პირადად რუსეთის იმპერატორისგან, ნიკოლოზ მეორისგან.

## არამიანცის სხვა პროექტები

საავადმყოფოს აშენებიდან რამდენიმე წელიწადში მიქაელ არამიანცმა თბილისს კიდევ ერთი ცნობილი შენობა აჩუქა – არქიტექტორ გაბრიელ ტერ-მიქელოვის პროექტით აშენებული სასტუმრო „მაჯესტიკი", რომელიც ამჟამად „თბილისი მარიოტის" სახელით არის ცნობილი. ტერ-მიქელოვმა არამიანცის დაფინანსებით, პროექტის შედგენამდე ევროპაში იმოგზაურა და სასტუმროს გეგმის შედგენისას იქ ნანახი არქიტექტურული ელემენტები გამოიყენა. 1915 წელს პარიზში ახლად გახსნილ „მაჯესტიკს" გრან-პრი და ოქროს მედალი მიაკუთვნეს, როგორც ევროპის საუკეთესო სასტუმროს. არამიანცის საკუთრებაში იყო ამჟამინდელი თეატრალური უნივერსიტეტის შენობა, სადაც ადრე სასტუმრო „პალას ოტელი" და კინოთეატრი „არფასტო" იყო განთავსებული; ასევე, შემო-


„პალას ოტელი" გოლოვინის გამზირზე (1920-იანი წლები)

სავლიანი სახლი ოლგას (კოსტავას) ქუჩის №23-ში, რომელიც საბჭოთა პერიოდში მფლობელს ჩამოერთვა და მის ეზოში „ვერის ბაზრის" სახელით ცნობილი ბაზარი ფუნქციონირებდა.

**უშანგი რუხაძე**



**სწორად შერჩეული სურნელი მხოლოდ ამძაფრებს სიყვარულის გრძნობას და ქმნის შესაფერის განწყობას – რომანტიკულს, ეროტიკულსა და ვნებიანს. ერთი სიტყვით, სუნი ამძაფრებს, აღაგზნებს და აძლიერებს ჩვენს გრძნობებს. ღამით, მშვიდად ძილის დროს კი, შესაძლოა, ისე შეიცვალოს თქვენი ბედი, რომ თავადაც გაოგნებული დარჩეთ. ამ თემებთან დაკავშირებით ბევრს გვიჩნდება კითხვები, რომელზეც პასუხს ვერსად ვპოულობთ. ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, ბატონი დავითი, უკვე წლებია, ამ საკითხებით დაინტერესდა, არაერთი კვლევა ჩაატარა და დასკვნებიც გამოიტანა.**

# როდის ხდება სურნელის ძალა ორ ადამიანს შორის სასიყვარულო უხილავი ძაფების გამბმელი

**დავითი**: ბევრი ისეთი კითხვა უჩნდება ადამიანს, რაზეც ხშირად პასუხს ვერ იგებს. უფრო სწორად, პასუხი ისეთმა ადამიანმა უნდა გასცეს, რომელიც მსგავს თემებში კომპეტენტურია. ჩემ გარშემო ბევრია დაბნეული და ცხოვრებისგან გზაკვალარეული. მათ ბევრ საკითხში უჭირთ გარკვევა. ამიტომ, მინდა, ჩემი გამოცდილებისა და კვლევების საფუძველზე შექმნილი ის ფაქტები და დასკვნები გაგაცნოთ, რომელიც აუცილებლად ყველას დაეხმარება.

**– ბატონო დავით, დავიწყოთ ამა თუ იმ სურნელის ძალის შესახებ. ამბობენ, სუნს აქვს უნიკალური თვისება – გამოიწვიოს ადამიანში სხვადასხვა ასოციაცია და გააღვიძოს მოგონებები; ასევე, არომატის ძალით, ორ ადამიანს შორის, შესაძლოა, უხილავი სასიყვარულო ძაფები გაიბას. ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენ უკვე წლებია, მუშაობთ. იქნებ, ჩვენც გაგვანდოთ სუნისა და არომატის საიდუმლო?**

– აუცილებლად გაგანდობთ, რადგან, დარწმუნებული ვარ, პირადი ცხოვრების მოწყობაში ჩემი რჩევები ნამდვილად წაგადგებათ. დღეს უამრავი სუნამო იყიდება, შესაბამისი რეკლამაც უკეთდება და ბევრი იმის გამოც ყიდულობს და ისხამს, რომ, უბრალოდ, მოდაშია, სიახლეა ან ნაჩუქარია. ეს არასწორი მიდგომაა და, ამით, შესაძლოა, პირად ცხოვრებაში პრობლემები შეიქმნათ. მოკლედ, სწორად შერჩეული სურნელი, მხოლოდ ამძაფრებს სიყვარულს და რომანტიკულ, ეროტიკულ და ვნებიან გარემოს ქმნის. სუნი აღაგზნებს და აძლიერებს ჩვენს გრძნობებს. მაგალითად, თუ გრძნობთ, რომ შეყვარებულის ლტოლვა თქვენდამი ისეთი აღარ არის, როგორიც ურთიერთობის დასაწყისში იყო, ანუ, დროთა განმავლობაში შენელდა, სასწრაფოდ იზრუნეთ სუნამოს ან შხაპის გელის შეცვლაზე. გაიხსენეთ და გამოიყენეთ ის სურნელი, რომელსაც მასთან პაემანზე, პირველი შეხვედრების დროს იყენებდით. უკვე დამტკიცებულია და პარაფსიქოლოგთა მიერ აღიარებულია, რომ სუნს აქვს უნიკალური უნარი – ადამიანებში სხვადასხვა ასოციაცია გამოიწვიოს და გააღვიძოს მიძინებული მოგონებები. სხვათა შორის, სუნი სერიოზულ გავლენას ახდენს თავის ტვინზე, კერძოდ, ააქტიურებს რეფლექსებს და პარტნიორებიც თითქოს მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს.

**– მართალია, რომ ნივთიერება აფროდიზიაკი, რომელიც ბოლო წლებში ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში, ამძაფრებს ადამიანში სექსუალურ აქტივობას?**

– აფროდიზიაკი არის ნივთიერება, რომელიც აძლიერებს სექსუალურ აქტივობას. ის საკმაოდ დიდი ხნის წინათ გამოიყენებოდა პარფიუმერიაში, განსაკუთრებით კი რენესანსის ხანაში, საფრანგეთის მეფის კარზე. ვინც ისტორიით ინტერესდება, მოეხსენება, რა ხდებოდა იმ პერიოდში საფრანგეთში, მეფის სასახლეში და ამაზე არაერთი სასიყვარულო ფილმიცაა გადაღებული. ერთი სიტყვით, ფრანგი კურტიზანი ქალები ჭკუიდან შლიდნენ მამაკაცებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ სუნამოებს სულაც არ ჰქონდა ნაზი, რბილი და სასიამოვნო სურნელი. ადამიანის სხეულის ბუნებრივი სუნი საპირისპირო სქესს იზიდავს – ესეც სრული სიმართლეა და, ვინც არომათერაპია-პარაფსიქოლოგიის კუთხით მუშაობს, კარგად იცის. სექსუალური სუნი ძირითადად, ორ ჯგუფად იყოფა: ნატურალური, ანუ, სხეულის ბუნებრივი სურნელი და ხელოვნური, ანუ, ეგრეთ წოდებული ხელოვნურ-სასიგნალო. სექსუალურ პარტნიორებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სწორედ ბუნებრივი სუნი ახდენს, მაგრამ, თუ სხეულის სურნელი ვნებას აღვიძებს, შესაფერ-

**ფრანგი კურტიზანი ქალები ჭკუიდან შლიდნენ მამაკაცებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ სუნამოებს სულაც არ ჰქონდა ნაზი, რბილი და სასიამოვნო სურნელი**

ის ინტიმურ ატმოსფეროს სწორედ ხელოვნურ-სასიგნალო სურნელი ქმნის. მარტივი ენით რომ აგიხსნათ, თუ ადამიანზე შთაბეჭდილების მოხდენა, მისი გაგიჟება, დამონება და გადარევა გსურთ, მასთან ინტიმურ შეხვედრაზე მიდით თქვენი ბუნებრივი სურნელით, ოთახში კი დაანთეთ ვარდის ან ჟასმინის სურნელის მქონე ჩხირები ან სანთლები. ეს არომატი მასზე ისე იმოქმედებს, რომ, შესაძლოა, თქვენი ალერსის გარეშე ცხოვრება ველარ შეძლოს. დამეთანხმეთ, საკმაოდ მარტივი „სატყუარაა“ კაცის გულის დასაპყრობად.

**– გეთანხმებით. მაგრამ, მგონი, ამ დროს ადამიანის ბედისწერა უფრო მეტად აქტიურობს, ვიდრე სურნელოვანი ჩხირების ან სანთლების არომატი.**

– ყოველთვის ვამბობ, რომ ყველა ქალი ურწმუნოა, მაგრამ, შანსს ხელიდან მაინც არ უშვებენ-მეთქი *(იცინის).* არ მეგულება ქალი, ამაში დამეთანხმოს, მაგრამ არც ისეთი ქალი მეგულება, რომ ეს ერთხელ მაინც არ სცადოს. ვინც გამოსცადა სურნელოვანი ჩხირებისა თუ სანთლების არომატების ძალა საძინებელში, მან ადვილად დაიპყრო სასურველი მამაკაცი და მისი ვნება და სიყვარულიც მალევე მოიპოვა. მერწმუნეთ, ასეა და, ეს მე კი არ მოვიგონე, არამედ, კვლევების საფუძველი მაძლევს ამის თქმის უფლებას. აკი გითხარით კიდეც, რომ სურნელს უძველესი დროიდან იყენებდნენ ქალები მამაკაცის გულის დასაპყრობად და ეს წარმატებით გამოსდიოდათ კიდეც. ადრე, ქორწილის პირველ ღამეს, აუცილებლად ანთებდნენ ნეფე-პატარძლის საძინებელ ოთახში ვარდისსურნელიან სანთლებს და დგამდნენ წყლიან ჭურჭელს, სადაც ვარდის ფურცლები იყო ჩაყრილი. თქვენი აზრით, ეს რაში სჭირდებოდათ? იმისთვის, რომ მათი ქორწინების პირველი ღამე უფრო ვნებიანი ყოფილიყო და მათი ცხოვრება მომავალშიც ვარდის ფურცლებით მოფენილიყო. ეს ძველი ტრადიციაა და ზოგ ქვეყანაში დღემდეა შემორჩენილი.

**– პირად საუბარში მითხარით, რომ, არ არის გამორიცხული, ადამიანის ბედი ერთ ღამეში შეიცვალოსო. იქნებ, დააკონკრეტოთ, რას გულისხმობდით ამაში?**

– ძილი არის ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც ადამიანს უხილავ ენერგეტიკულ სამყაროსთან აახლოებს და აკავშირებს. ამ ყველაფერს კი რეალურ, ფიზიკურ ცხოვრებასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქვს. ბედის შეცვლა სიზმარში მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანს ფხიზელი ცნობიერების შენარჩუნება შეუძლია, რაც ყველას როდი ძალუძს. შემიძლია, რამდენიმე რჩევა მოგცეთ, რომელიც ამაში დაგეხმარებათ: სანამ დაძინებას გადაწყვეტთ, დადექით ონკანთან და გამდინარე წყალს დააკვირდით, შემდეგ ფანჯარასთან მიდით და ცას უყურეთ რამდენიმე წუთი. მოტრიალდით და ისევ ონკანთან დაბრუნდით, მშვიდი ძილი და ბედის უკეთესობისკენ შეცვლა შესთხოვეთ გამდინარ წყალს და უხმოდ დაწექით დასაძინებლად. დამიჯერეთ, რამდენჯერმე გააკეთეთ ასე და, თავად დარწმუნდებით, რომ თქვენს ბედში სასიკეთო ძვრები მოხდება, სასიამოვნო სიზმრებიც გარანტირებული გექნებათ და დილით კარგ განწყობაზეც გაიღვიძებთ. საერთოდ, როცა ადამიანს კეთილი ზრახვები ამოძრავებს და ბოლმა და სამაგიეროს გადახდის სურვილი არ აქვს ქვეცნობიერში ჩადებული, მას კოშმარული სიზმრები არ ესიზმრება. ასე რომ, თუ მშვიდი ძილი და ნათელი მომავალი გსურთ, აუცილებლად უნდა შეასრულოთ ის რიტუალი, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ.

**ნონა დათეშიძე**

## სიბრძნე მოთმინებისა...

არსებობენ ბრძენი ცოლები. ისინი, ერთი შეხედვით, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებენ, მაგრამ ქმრები „კუბოს ფიცრამდე“ მოჯადოებული ჰყავთ. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ამ ქალებმა კაცების ხასიათის გასაღებს მიაგნეს და მისი ოსტატური გამოყენებაც ისწავლეს. სცადეთ, იქნებ თქვენც გამოგივიდეთ.

* ნუ შეადარებთ თქვენს მეორე ნახევარს მეგობრების ქმრებს. ჯერ ერთი, რაც ბრჭყვიალებს, ყველაფერი ოქრო არ არის და მეორეც – ქმარი ამას იმახსოვრებს და თითქმის არასდროს ივიწყებს.

* მამაკაცის დამცირება, მისი ირონიული მეტსახელებით შემკობა და დაცინვა, საკმაოდ მძიმე შედეგებით მთავრდება. მამაკაცის თავმოყვარეობაზე თამაში ძალიან სახიფათოა. ის ამას არ გაპატიებთ.

* ნუ შეეკამათებით მწვავედ და ნუ შეეცდებით, თავზე ძალით მოახვიოთ თქვენი აზრი. უმჯობესია, ისე განაწყოთ, თქვენი აზრი თავისად მიიჩნიოს. მაშინ, ადვილად დაჰყვება ნებას. თანაც ისე, რომ თავმოყვარეობა არ შეელახება.

* მამაკაცებს განსაკუთრებულად უყვართ, როცა აქებენ. ნუ დაიზარებთ და ხშირად შეაქეთ. თუნდაც ზოგჯერ არც იმსახურებდეს. ეს ის დივიდენდია, რომელიც თქვენთვის სასურველ „პროცენტებს“ მოგიტანთ.

* შეეცადეთ, არ მოუწყოთ ეჭვიანობის მძაფრი სცენები. ცრემლები... ისტერიკები... თვალთვალი – ეს ყველაფერი უპირველესად თქვენ დაგამცირებთ, ქმარს კი გადარევს. აჯობებს, მეტი იფიქროთ დასვენებაზე, გარეგნობასა და გართობაზე, რათა ხშირად იყოთ კარგ გუნებაზე. ამით ქმარს „აიძულებთ,“ „გამაფრთხილებელი სიგნალი“ ჩართოს და მეტი ყურადღება დაგითმოთ.

* ნუ გამოიყენებთ ჩხუბის დროს ფრაზებს: „გეყრები დაუყოვნებლად!“, „მე შენ მძულხარ!“ „წაიღე შენი ნივთები და წადი, არაფერში მჭირდები!“ – მართლა რომ გაიხუროს კარი, მერე რას აპირებთ? მზად ხართ ამისთვის?!

* და ბოლოს... თუ გიყვართ, აჩვენეთ ეს სიყვარული დაუნანებლად და სანაცვლოდ, ნურაფერს მოითხოვთ. მით უფრო, კაპრიზული ტონითა და საყვედურებით...

## განსხვავებული ქალები...

ფსიქოლოგიურად განსხვავებული ტიპაჟები ქალბატონებშიც არსებობენ და ეს ბუნებრივია. როგორები არიან ისინი – სანგვინიკები, ფლეგმატიკები, მელანქოლიკები და ქოლერიკები?! განვიხილოთ სათითაოდ და ეს საშუალებას მოგცემთ, რომელიმე მათგანში საკუთარი თავი იპოვოთ.

***სანგვინიკი***: ძირითადად, ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანია. ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი შეუძლია, იპოვოს პოზიტიური ელემენტები. დინამიკა მისთვის მთავარია და ერთ წუთსაც არ ისვენებს. თუმცა, მიუხედავად პოზიტიური მხიარული ხასიათისა, ახასიათებს ღრმა ფიქრისა და ანალიზის უნარი.

***ქოლერიკი*** პირდაპირია. მიზანდასახული და შეუდრეკელი. მუდმივად სადღაც ეჩქარება. მისი მთავარი პრობლემა დისტანციის დაცვაა. მეტისმეტად ახლოს მიდის ადამიანებთან, რომლებიც არცთუ იშვიათად, გულს სტკენენ ხოლმე. ემოციებშიც უჭირს დროულად დამუხრუჭება.

***ფლეგმატიკი*** მშვიდია და საკუთარ თავში დარწმუნებული. მაგრამ, უჭირს აზრების კონცენტრირება. უყვარს უსაფრთხოება. იშვიათად რისკავს, მაგრამ ზოგჯერ რისკავს სიამოვნებისთვის, რაც ძალიან ცუდია.

***მელანქოლიკი*** – მისი მთავარი პრობლემა ჩამოუყალიბებელი აზრი და დაურწმუნებელი ქმედებებია. პედანტია. ადვილად ვარდება დეპრესიაში. გამოირჩევა მაღალი ნერვული აღგზნებადობით, რაც ყველაფერში ავნებს. მასთან ურთიერთობა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

## უბრალოდ, აკოცე...

უბრალოდ, აკოცე... ან, ლოყით ლოყაზე შეეხე იმ ადამიანს, რომელიც შენთვის ძალიან ძვირფასია, მაგრამ, იმდენად შეეჩვიე, რომ თითქმის ვეღარც ამჩნევ. მეუღლეების უმრავლესობას, რატომღაც, ჰგონია, რომ დილით ან საღამოს უბრალო ალერსი ზედმეტი ფორმალობაა. არადა, ისინი ცდებიან. არაფერი ისე არ ამხნევებს და პოზიტიურად არ განაწყობს ადამიანს, როგორც ჩახუტება, სითბოს გამოვლენა და კოცნა. ფსიქოლოგებიც გვირჩევენ, რომ ალერსში „ხელმომჭირნეობით“, უპირველესად, საკუთარ თავს ვაზიანებთ – თუ არ გავცემთ, შესაბამისად, ვერც ვერაფერს ვიღებთ. ბუმერანგის პრინციპი ყველაფერში „მუშაობს“: ცუდად მოიქცევი?! – ცუდად მოგექცევიან... სიკეთესა და სითბოს გასცემ?! – აუცილებლად დაგიბრუნდება... შეიძლება, მაშინვე არა, მაგრამ, ეს პროცესი შეუქცევადია.

დადასტურებული ფაქტია: რაც უფრო ხშირად ეხება ცოლ-ქმარი ერთმანეთს ფიზიკურად დღის განმავლობაში, მით უფრო აქტიურდება ვნება და უჩნდებათ ლტოლვა ერთმანეთისადმი. უბრალოდ, აკოცე, გააკეთე ეს დღესვე და ნუ მოსთხოვ მას იმავეს – ეს უკვე უაზრობაა. მხოლოდ იმაზე იფიქრე, რომ ამას საკუთარი სიამოვნებისთვის აკეთებ – პრინციპში, ეს ასეც არის.

## „ოპიუმი“ შეყვარებულთათვის

იმისთვის, რომ შეყვარებულებმა ერთმანეთის გვერდით თავი კომფორტულად და კარგად იგრძნონ, თურმე, მარტო სიყვარული საკმარისი არ ყოფილა. ფიზიოლოგიის გარეშე არანაირი საქმე არ გამოდის და, თუკი ენდორფინები არ გამოიყო, ყველაფერი ამაოდ ჩაივლის. ამ ბუნებრივ, შინაგან ნარკოტიკს სასწაულების მოხდენა შეუძლია. ის მთლიანად ცვლის ადამიანის აზროვნებას, ქცევის მანერას; აძლევს მის ქმედებებს აბსოლუტურად სხვა მიმართულებას. რატომ ხდება, რომ ერთი და იგივე მამაკაცი შეყვარებული საოცრებებს სჩადის, მაგრამ, გახდება თუ არა ქმარი, რადიკალურად სხვანაირად იქცევა. აღარც სიურპრიზებს უკეთებს ცოლს, რომლისთვისაც, არცთუ შორეულ წარსულში გმირობაზეც კი იყო წამსვლელი და აღარც იმაზე ფიქრობს, რა გააკეთოს ისეთი რამ, რითაც სულ ცოტა ხნის წინათ საოცნებო ქალის გულს სამუდამოდ დაისაკუთრებს. ნუ გეგონებათ, რომ მას სიყვარული აღარ აქვს. პრობლემა ისევ ენდორფინებშია: მორჩა, რადგან საყვარელი ქალი უკვე მისია, უკვე გვერდით ჰყავს, აზარტიც გამქრალია და, მართალია, ენდორფინები ისევ გამომუშავდება, მაგრამ, გაცილებით ნაკლები რაოდენობით და ტვინიც ისე აქტიურად აღარ არის დამოკიდებული გრძნობაზე. რა ხდება? რა და, სიამოვნების ჰორმონები იმ რაოდენობით აღარ არის, რა რაოდენობითაც შეყვარებულობის პერიოდში იყო – სულ ეს არის. ანუ, გამოცანის გასაღები ნაპოვნია – ის არ შეცვლილა, ისევ ის მამაკაცია, რომელიც თავზრუს გახვევდათ თავისი ზრუნვითა და ყურადღებით, უბრალოდ, ახლა „ოპიუმი“ – ენდორფინები შემოაკლდა. ამიტომ, სასწრაფოდ იზრუნეთ დეფიციტის შევსებაზე. როგორ?! ამას თქვენი ქალური ალღო გიკარნახებთ.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# რომელი ადგილი დაიკავა სექსუალური მამაკაცების რეიტინგში ინტელექტუალმა ვუდი ალენმა - მისი ფობიები და საყვარელი ქალები

*ინტელექტუალი, ლიტერატურისმცოდნე, კინორეჟისორი, მსახიობი, სცენარისტი, მწერალი, ჯაზის მუსიკოსი და მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ნიუიორკელი – საუბარია „ოსკარის" ოთხგზის მფლობელზე, მსოფლიო კინემატოგრაფიაში ახალი ჟანრის – „ინტელექტუალური კომედიის" შემქმნელ ვუდი ალენზე, ადამიანზე, რომელიც 77 წლის ასაკში აქტიურად მუშაობს და წელიწადში ერთხელ ახალი შედევრით ახარებს საზოგადოებას.*



* ვუდი ალენი დაიბადა 1935 წლის 1 დეკემბერს ნიუიორკში, ბრუკლინში, ებრაულ ოჯახში. დაბადების მოწმობაში ალენის ნამდვილი სახელი და გვარია: ჰეივუდ ალენ სტიუარტ კენიგსბერგი. ვუდის ბებია და ბაბუა ემიგრანტები იყვნენ, რომელთა მშობლიური ენა გერმანული და იდიში გახლდათ. დედა – ნეტი, ბუღალტრად მუშაობდა საკონდიტრო მაღაზიაში, მამა – მარტინ კენიგსბერგი, პროფესიით გრავიორ-იუველირი იყო, თუმცა, ოფიციანტად მუშაობდა. ვუდის მშობლები მანჰეტენზე, ქვედა ისთ-საიდის კვარტალში იყვნენ დაბადებულები.

* ალენი ბავშვობიდან იდიშზე ლაპარაკობდა და პირველი რვა წელი ებრაელთა სკოლაში სწავლობდა, რის შემდეგაც მიდვუდის უფროს სკოლაში გადავიდა. სკოლაში ალენის მეტსახელი იყო „წითური". მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ალენი სუსტი და უმეგობრო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ის შესანიშნავად თამაშობდა ბეისბოლს და კალათბურთს და ჰყავდა დიდი სამეგობრო, რომელსაც ხშირად უჩვენებდა ფოკუსებს.

* ფულის შოვნის მიზნით, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში, ვუდიმ იუმორისტული ნაწარმოებების წერა დაიწყო საგაზეთო სვეტებისთვის. ამ პერიოდში მან პირველად გამოიყენა ფსევდონიმად „ვუდი ალენი". 16 წლის ასაკში ვუდის იუმორისტული ნიჭი ცნობილმა კომიკოსმა მილტ კამენმა აღმოაჩინა და ის სამუშაოდ წაიყვანა პოპულარულ ტელეშოუში სიდ სიზერთან.

* ვუდი ალენი კლასიკური და ჯაზური მუსიკის დიდი მოყვარულია, რაც მის ფილმებშიც შეიმჩნევა. ამ ჟანრის მუსიკით გატაცებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ თავისი ფსევდონიმი ვუდიმ ამერიკელი ჯაზური კლარნეტისტის – ვუდი ჰერმანის პატივსაცემად აირჩია.

* ვუდი ალენი არასდროს უყურებს თავის ფილმებს, თუმცა, საუკეთესოდ მიაჩნია „კაიროს მეწამული ვარდი.

* ვუდის ძალიან უყვარს ვენეცია და ერთხელ დამწვარი თეატრის – „ლა ფენიცეს" აღდგენისთვის გაიღო თანხები.

* გასაოცრად ჟღერს, მაგრამ, ვუდი ალენი ჟურნალმა „ემპაირმა" 1995 წელს კინოისტორიაში ყველაზე სექსუალური მამაკაცების რეიტინგში 89-ე ადგილზე გაიყვანა.

* ვუდი ალენის კერპები არიან: ინგმარ ბერგმანი, გრუჩო მარქსი, ფედერიკო ფელინი, კოულ პორტერი და ანტონ ჩეხოვი.

* ვუდი ალენი 136-ჯერ იყო ნომინირებული სხვადასხვა კინოჯილდოზე, ეს მეტია, ვიდრე ჩარლი ჩაპლინის, ბასტერ კიტონისა და ჰაროლდ ლოიდის ნომინაციები რომ გააერთიანო.

* ვუდის სცენარის დაწერა ხელით უყვარს და მხოლოდ დასრულების შემდეგ ბეჭდავს საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტერზე.

* ალენი პროფესიონალურად უკრავს კლარნეტზე და ხშირად გამოდის თავის ბენდთან ერთად ახალ ორლეანში მდებარე კაფე „კარლაილში". ალენის საყვარელი მუსიკოსია ურუგვაელი ალფრედო ზიტაროსა.

* თავისუფალ დროს ვუდის უყვარს ლუდის დალევა და ტელევიზორში ბეისბოლის ყურება.

* ესპანურ ქალაქ ოვიედოს ცენტრში ვუდი ალენის ბრინჯაოს ქანდაკება დგას.

* მია ფეროუსთან 12-წლიანი რომანის დასრულების მიზეზი გახდა ვუდი ალენისა და მიას აყვანილი შვილის – სუნის რომანი. ფეროუმ ღიად დაადანაშაულა ვუდი პედოფილიაში, თუმცა მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. 1997 წელს ვუდი ალენი სუნიზე დაქორწინდა.

* ვუდი ალენი ვეგეტარიანელია.

* როგორც მია ფეროუს ბიოგრაფიაში წერია, ფრენკ სინატრა ვუდი ალენს დაჰპირდა, რომ ფეხებს დაუმტვრევდა სუნისთან რომანის გამო. სინატრამ დაპირების ასრულება ვერ მოასწრო.



* ვუდი ალენისა და მია ფეროუს საერთო შვილი, რონან შიმუს ფეროუ, 2011 წელს ჟურნალმა „ფორბსმა" 30 წლამდე ასაკის წარმატებულ ამერიკელებს შორის დაასახელა. რონანი ჰილარი კლინტონის თანაშემწე გახლდათ სახელმწიფო დეპარტამენტში.

* სუნიმდე ვუდი ალენს ორი ოფიციალური ცოლი ჰყავდა, თუ არ ჩავთვლით ხანგრძლივ რომანს მია ფეროუსთან. პირველი ცოლი – ჰარლინ როზენი მუსიკოსი იყო, ფორტეპიანოზე უკრავდა. მათი ქორწინება ხუთი წელი გაგრძელდა; მეორე ცოლთან, მსახიობ ლუიზა ლასერთან, ვუდიმ სამი წელი იცხოვრა. ამას გარდა, ვუდის რომანი ჰქონდა მსახიობ დაიან კიტონთან, რომელთან ერთადაც მან შექმნა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილმი – „ენ ჰოლი".

* ვუდი ალენს არ უყვარს „ოსკარის" ცერემონიალებზე დასწრება. ის მხოლოდ ერთხელ, 2002 წელს ესტუმრა კინოდაჯილდოებას და კინოს მესვეურებს სცენიდან მოუწოდა, 11 სექტემბრის შემდეგ ნიუ-იორკში ფილმები გადაეღოთ. „ოსკარის" იგნორირების მიუხედავად, ალენი კინოაკადემიის ფავორიტია: იგი 14-ჯერ იყო დასახელებული ნომინანტად საუკეთესო სცენარის ნომინაციაში, რაც დღემდე რეკორდად ითვლება.

* გავრცელებული ვერსიის თანახმად, კინოთი ვუდი ალენი 3 წლის ასაკში დაინტერესდა, როდესაც დედამ კინოთეატრში წაიყვანა, სადაც მან „ფიფქია და შვიდი ჯუჯა" ნახა.

* ვუდი ალენის თქმით, მან გაცილებით მეტი ფული გამოიმუშავა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით, ვიდრე თავისი ფილმების კინოგაქირავებიდან.

* მეხუთე ავენიუზე მდებარე თავისი პენტჰაუსი ალენმა 600 ათას დოლარად იყიდა და რამდენიმე წლის შემდეგ 17 მილიონად გაყიდა.

* ვუდი ალენს რამდენიმე ფობია აქვს: არახნოფობია (ობობების შიში), ენტომოფობია (მწერების შიში), ჰელიოფობია (მზის შუქის შიში), ცინოფობია (ძაღლების შიში), ალტოფობია (სიმაღლის შიში), დემოფობია (ბრბოს შიში), კარცინოფობია (კიბოს შიში), ტანატოფობია (სიკვდილის შიში), მიზოფობია (ბაქტერიების შიში). გარდა ამისა, ვუდი ალენს სასტუმროების საპირფარეშოებისა და აბაზანების შიშიც აქვს.

* ვუდი ალენი ყველაზე ასაკოვანია მათ შორის, ვისაც მიუღია „ოსკარი" საუკეთესო ორიგინალური სცენარის ნომინაციაში – 2012 წელს ვუდიმ ფილმისთვის „შუაღამე პარიზში," 76 წლის ასაკში მიიღო ჯილდო.

* ვუდი ალენის აზრით, კინემატოგრაფის ისტორიაში საუკეთესო ათი ფილმია: „დიდი ილუზია", „მოქალაქე კეინი", „ველოსიპედების გამტაცებლები", „რასემონი", „მეშვიდე ნიშანი", „სიდიადის გზა", „400 დარტყმა", „რვა-ნახევარი", „ბურჟუაზიის ფრთხილი მომხიბვლელობა" და „ამარკორდი".

* სტენლი კუბრიკი ვუდი ალენის კანდიდატურას განიხილავდა ფილმში „ფართოდ დახუჭული თვალები", თუმცა, მოგვიანებით როლი სიდნი პოლაკს გადასცა.

* 1960-იან წლებში ვუდი ალენი წამყვან ამერიკელ კომედიოგრაფად ითვლებოდა და ის იმდენად პოპულარული იყო, რომ 1969 წელს მისი ფოტო ამშვენებდა ჟურნალ „ლაიფის" გარეკანს.

* ვუდი ალენის ყველაზე ძვირად ღირებულ ფილმად 2002 წლის „ნეფრიტის მორიელის წყევლა" ითვლება, ხოლო, ყველაზე ხანგრძლივ ფილმად – „მატჩ-პოინტი" (ხანგრძლივობა 124 წუთი).

**უშანგი რუხაძე**

**ყველა ქართველის საამაყო კალათბურთელი, ზაზა ფაჩულია, ოჯახთან ერთად უკვე წლებია, ატლანტაში ცხოვრობს. საქართველოში წელიწადში ერთხელ, ზაფხულობით ახერხებს ჩამოსვლას და ნაკრების კაპიტნის სტატუსსაც ღირსეულად ირგებს. ინტერვიუსთვის მის მეუღლეს, თიკა ალავიძეს დავუკავშირდით. თიკა, ქალიშვილთან, 7 თვის მარიამთან ერთად იყო, თუმცა ინტერვიუს დასასრულს, ოჯახმა უკვე სრული შემადგენლობით მოიყარა თავი და საკმაოდ მხიარულ გარემოცვაში წარიმართა საუბარი. ზაზაც შემოგვიერთდა და რამდენიმე კითხვასაც უპასუხა.**

# რა ოცნება აისრულა თიკა ალავიძემ და რაში აიღო მან ტაიმაუტი ზაზა ფაჩულიასთან ერთად

**– თიკა, უკვე 3 შვილის დედა ხარ და ამ სტატუსით არ ყოფილხარ ჩვენი რესპონდენტი. როგორია 3 შვილის დედობა?**

**თიკა:** ერთი მხრივ ძალიან მაგარია, თუმცა მართლა ძალიან დატვირთული ვარ და თავისუფალი დრო აღარ მაქვს. დღე ისე გადის, ვერ ვიგებ, როგორ იწყება და როგორ მთავრდება. მიუხედავად დატვირთული რეჟიმისა, ვარჯიშს მაინც ვახერხებ.

**– მარიამის გაჩენის შემდეგ, საკმაოდ სწრაფად ჩადექი ფორმაში.**

– მესამე ბავშვის შემდეგ ძალიან გამიჭირდა ფორმაში ჩადგომა, ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად ვეცადე. დიეტის დაცვა არ შემიძლია და ვერც წარმომიდგენია ხალხი როგორ იცავს. პირადად მე, როგორც კი ვიტყვი, დიეტაზე უნდა გადავიდე-მეთქი, მაშინვე დეპრესიაში ვვარდები და ყველაფრის ჭამა ერთად მინდება. ამიტომაც მივხვდი, რომ დიეტას ვარჯიში ჯობია. ძირითადად, ცხელ იოგაში ვვარჯიშობ. ოთახში, სადაც პლუს 40 გრადუსია, ეს იოგა უფრო აჩ-



ქარებულ ტემპშია და შესაბამისად, გაცილებით ადვილად ხდები. რა თქმა უნდა, ხელიც უნდა შეუწყო და ბევრი დესერტი არ მიირთვა.

**– მარიამი რომ დაიბადა, ზაზამ ძალიან ლამაზი საჩუქარი გაგიკეთა. სახლის წინ „ბეემვე-X6" დაგახვედრა.**

– კი, მართლა ძალიან მაგარი საჩუქარი მივიღე ზაზასგან. ეს მანქანა ძალიან მინდოდა, რაც ზაზამაც იცოდა. თუმცა, მიყიდე-მეთქი, არასდროს მითხოვია. მყავდა სხვა მანქანა და იმითაც ძალიან კმაყოფილი ვიყავი. სამშობიაროდან რომ დავბრუნდი, სახლის წინ „X6" დამხვდა დიდი „ბანტით". ისე გამიხარდა, უბედნიერესი ვიყავი.

**– სამ შვილს უვლი, დიდ ყურადღებას უთმობ მათ, ამით ზაზას ხომ არ მოაკლდა შენი მზრუნველობა?**

– სხვათა შორის, ყველაფერს ვახერხებ. განსაკუთრებით ბოლო დროს დამეწყო სხვადასხვა კერძის მომზადების მოთხოვნილება. ვსწავლობ და მერე ვაკეთებ. სულ ვცდილობ, ზაზამ თამაშის წინ სახლში ჭამოს. თამაშამდე მაკარონს ჭამს, მსუბუქად რომ იყოს. საუზმესაც სახლში ვუმზადებ. ვიცი, რომ ზაზას ჩემი ყურადღება არ უნდა მოაკლდეს, რადგან უყვარს, როცა ყურადღებას აქცევ. ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩრდილში ყოფნა არ უყვარს. მაქსიმალურად ვცდილობ და ვახერხებ, რომ ყურადღება არავის მოვაკლო და ყველა ბედნიერი იყოს. ყველაფერს თანაბრად ვანაწილებ.

**– შენი სტუდია თუ ფუნქციონირებს, რომელიც ატლანტაში გახსენი და ბავშვებს ცეკვის გაკვეთილებს უტარებდი?**

– კი, მოქმედებს, კვირაში ერთხელ გვაქვს რეპეტიცია. „ფეის ტოპ ჯორჯია" გაიმართა ახლახან და ჩემმა ბავშვებმა აჭარული ძალიან კარგად იცეკვეს. დარბაზს რომ გადავხედე, ყველა ტიროდა. ემიგრანტი ბავშვების ცეკვამ ძალიან დადებითად იმოქმედა მაყურებელზე.

**– საქართველოში თითქმის ორი წელი არ ყოფილხარ. როდის გეგმავთ ჩამოსვლას?**

– ზაფხულში აუცილებლად ჩამოვალთ, ყველა ძალიან მენატრება. თან, ევროპის ჩემპიონატიც ზაფხულში გაიმართება, ზაზა თამაშობს და ჩვენც აუცილებლად წავალთ სლოვენიაში.

**– ამ ეტაპზე თუ ახერხებ ზაზას თამაშებზე დასწრებას?**

– ზაზას ყველა თამაშს ვესწრები, ახლა უკვე ბიჭებთან ერთად. ისინი მამის ძალიან აქტიური გულშემატკივრები გახდნენ. ზაზას „მაიკას" ჩაიცვამენ და ჭკუაზე არ არიან, ისე უხარიათ. მარიამს ამ დროს სახლში ვტოვებთ.

**– დათი და საბა კარატეზეც დადიან არა?**

– კარატეზე ორივე დაგვყავს. ისეთი ცელქები არიან, ვცდილობთ, მაქსიმალურად დავტვირთოთ, რომ თავისუფალი დრო არ ჰქონდეთ. მიუხედავად იმისა, რომ სახლში ძალიან დაღლილები მოდიან, მაინც კედლებზე გადიან. დათუჩა კალათბურთზეც დადიოდა, სადაც ზაზას გუნდელის ბავშვებიც ვარჯიშობენ. ძალიან სასაცილოდ თამაშობდნენ. თუ არ დაუყვირებდი, დათუ-

**თიკა: „ბოლო დროს დათი და საბა, ძირითადად, მარიამს ერჩიან. რამე რომ არ დაუშაონ, მარიამზე ვარ გადაფარებული“**

ჩა გაიქეცი, ჩააგდეო, ისე არ გარბოდა. მოკლედ, კალათბურთის თამაშიც დავიწყეთ. ისე საბას უფრო აქვს მიდრეკილება.

**– მკაცრი დედა ხარ?**

– მკაცრი ვარ, რადგან სხვანაირად არ გამოდის ბიჭებთან. ყოველთვის მკაცრი არ ვარ, მაგრამ როცა რაღაცას აშავებენ, იციან, რომ ძალიან მწვავედ ვრეაგირებ ამაზე. მათი მაქსიმალური დასჯა ის არის, რომ ოთახიდან მანამდე არ გამოვიდნენ, სანამ ამის ნებას არ მივცემთ. ეს მათთვის ძალიან დიდი ტრაგედიაა. ბოლო დროს ძირითადად, მარიამს ერჩიან. რამე რომ არ დაუშაონ, მარიამზე ვარ გადაფარებული. პირველად რომ მოვიყვანე სახლში მარიამი, საბამ იტირა, წაიყვანეთ ეს წითელი გოგო აქედანო. თან, ძალიან უყვართ და მგონია, რომ მაინც სიყვარულით მოსდით ეს ყველაფერი. მარიამი რომ ხედავს დათის და საბას, სულ იცინის და თვალები უბრწყინავს. ხომ იცი, მელას თავისი მახრჩობელა უყვარდაო. მოკლედ, ძალიან მხიარულად ვართ ერთად.

**– ზაზას არა მხოლოდ საქართველოში ჰყავს უამრავი გულშემატკივარი, ატლანტაშიც დიდ პატივს სცემენ და ძალიან უყვართ.**

– მართლა ძალიან უყვართ აქაც. ყველა აჩერებს, ფოტოებს იღებენ მასთან ერთად, ავტოგრაფს ართმევენ. ეს სასიამოვნო მომენტია და ვერ გეტყვი, რომ აწუხებს მათი ყურადღება. პირიქით. გულშემატკივარს ზაზა იმიტომ უყვარს, რომ ის ძალიან უშუალოა და არასდროს ამბობს, რომ დაიღალა და ფოტოს არ გადაიღებს მათთ-



**თიკა: „მესამე შვილის გაჩენის ერთ-ერთ მიზეზი ისიც იყო, რომ პატრიარქს მოენათლა“**

ან ერთად, ან ავტოგრაფს არ მისცემს. ასე რომ, ზაზა ფანებთან ძალიან კარგად არის.

**– დარწმუნებული ვარ, ზაზას ოჯახიც ძალიან უყვართ მის ფანებს.**

– კი, თამაშზე რომ მივდივართ, მათ ყურადღებას, პატივისცემასა და სიყვარულს სულ ვგრძნობ. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა.

***ინტერვიუს მსვლელობის პროცესში, ზაზაც შემოგვიერთდა და რამდენიმე შეკითხვას მანაც უპასუხა.***

**– ზაზა, ორი ბიჭის შემდეგ, როგორი ყოფილა გოგონას მამობა?**

**თიკა**: სხვათა შორის, ძალიან კარგი და ყურადღებიანი მამაა. როცა სახლშია, მეხმარება, სულ ცდილობს, თავისთან ჰყავდეს მარიამი.

**ზაზა**: ძალიან მაგარია გოგოს მამობა. რაც უფრო იზრდება და აზრზე მოდის, მის მიმართ სულ სხვა დამოკიდებულებას ვგრძნობ, ვიდრე ამ ვაჟკაცებთან მაქვს. დათის და საბას უფრო სხვანაირი მოპყრობა უნდათ, მარიამს სხვანაირი. სხვაობას უკვე ვგრძნობ. ბიჭებს შემიძლია, კაცურად ველაპარაკო, კალათბურთი ვეთამაშო, ან ვეჭიდაო, რაც ძალიან უყვართ. გოგოსთან ასე ვერ მოიქცევი. მას უფრო ნაზი მოპყრობა სჭირდება. გოგოს მამობა აშკარად უფრო სხვანაირია.

**– თქვენი გულშემატკივარი უკვე შეჩვეულია, ოჯახში შვილების მატებას. ამ ეტაპზე რა ხდება, ველოდოთ მეოთხეს თუ ჯერ არა?**

– ჯერჯერობით არა. პირველი ტაიმი მორჩა და ცოტა დიდი შესვენება გვექნება.

**– მარიამი თუ დადის მამიკოს თამაშებზე?**

– ერთხელ იყო და ისიც გაცივდა.

**თიკა**: ყველას უნდოდა მოფერებოდა, ხელიდან ხელში გადადიოდა. უცხო ხალხს ხომ ვერ ვეტყოდი, ხელი დაიბანეთ და ისე აიყვანეთ ბავშვი-მეთქი. ამიტომ, გაგვიცივდა ჩვენი მარიამი. იმის მერე აღარც გვყოლია თამაშზე.

**– თიკა, ზაზასთვის გოგოს მამობა განსხვავებული გრძნობაა, შენთვის?**

(გაგრძელება 53-ე გვერდზე)

# ინტიმური საუბრები

## მეზობელო კარისაო...

ერთი შორეული ნათესავი გვყავდა. არაჩვეულებრივი გოგონა იყო: ლამაზი, ზრდილი, განათლებული, კარგი ხასიათის, ხელმარჯვე, მაგრამ ისე მოხდა, რომ საკმაოდ გვიან გათხოვდა, თან, ბევრით უფროს კაცზე. თუმცა, შესანიშნავად შეეწყვნენ ერთმანეთს და ძალიან ბედნიერებიც იყვნენ. ყველას უხაროდა და სიამოვნებდა მათთან ურთიერთობა, მათი სახლი სულ სტუმრებით იყო სავსე. მათ ბედნიერებას ერთადერთი რამ ჩრდილავდა – შვილი არ უჩნდებოდათ, არადა, გიჟდებოდნენ ბავშვებზე. ბოლოს, როგორც იქნა, ისმინა ღმერთმა მათი ლოცვა-ვედრება და დაქორწინებიდან ხუთი წლის შემდეგ გოგონა გაუჩნდათ. მაშინ ცოლი 42 წლის იყო, ქმარი – 53-ის. საზღვარი არ ჰქონდა მათ სიხარულს. თან ჰყვებოდნენ ბავშვს, ისე ზრდიდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ. მაგრამ, თათული 10 წლის რომ გახდა, მოულოდნელად მამა გარდაეცვალა, 15 წლისას კი უკვე დედაც აღარ ჰყავდა და დარჩა ბავშვი მარტო. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, არც ერთ ნათესავსა და მეგობარს არ გახსენებია, რომ უმწეოდ დარჩენილი მოზარდისთვის მიეხედა. ერთადერთი, დედის გაუთხოვარი ბიძაშვილი აკითხავდა ხოლმე პერიოდულად ან ხანდახან თავისთან მიჰყავდა თათული. ამასობაში გოგონამ სკოლა დაამთავრა და სტუდენტი გახდა. მისი ერთადერთი შემოსავალი სტიპენდია იყო, რაც, ცხადია, არაფერში ჰყოფნიდა. ამიტომ, იძულებული გახდა (დედის ბიძაშვილმაც ასე ურჩია), თავისი ბინის ერთი ოთახი მოსაზღვრე მეზობლისთვის მიეყიდა (თათული ეგრეთ წოდებულ „იტალიურ ეზოში“ ცხოვრობდა, მაგრამ, კარგი ბინა ჰქონდა – სამოთახიანი და კარგად მოწყობილი). მაგრამ, გამოუცდელი ბავშვი მეზობელმა მოატყუა და მოლაპარაკებული თანხის მხოლოდ ნახევარი მისცა. ის თანხაც მალე დაიხარჯა და უსახსროდ დარჩენილ გოგოს ჭოლყვავებივით შეესივნენ უსინდისო მეზობლები. ისარგებლეს ბავშვის უმწეობითა და უპატრონობით და ნელ-ნელა გამოსტყუეს (ზოგი კაპიკებში, ზოგიც – ისე, უფულოდ) ყველაფერი, რასაც კი რაიმე ღირებულება ჰქონდა – ავეჯით დაწყებული, ჭურჭლით დამთავრებული. თავს აღარ შეგაწყენთ და მოკლედ გეტყვით, რომ, საბოლოოდ, ორმა მეზობელმა (სხვათა შორის, რომელთა ოჯახებზეც თათულის დედას დიდი ამაგი ჰქონდა) ერთმანეთთან „თანამშრომლობით“ იმდენი მოახერხა, რომ ბავშვს ბინა წაართვა და ქუჩაში დატოვა (ცხადია, შესაბამის ორგანოებში და დაწესებულებებში მსუყე ქრთამებიც გადაიხადეს), თათულის კი, ვითომდა კომპენსაციის მიზნით, რაღაც ორი კაპიკი მიუგდეს.

საწყალმა გოგონამ დარჩენილი ავეჯი და ნივთები ერთ-ერთ მეზობელს დაუტოვა შესანახად, თვითონ კი, მეგობრის დედის დახმარებით, ერთი პატარა ოთახი იქირავა, დაუსწრებელზე გადაიტანა საბუთები და მუშაობა დაიწყო, რომ თავი ერჩინა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ იმ მეზობელს მიაკითხა ავეჯისა და ნივთების წამოსაღებად, მაგრამ, იმან უთხრა, შენ ჩემთვის არაფერი მოგიბარებია და რას მთხოვო, მერე კი გაოგნებული გოგო უკანასკნელი სიტყვებით გალანძღა და მილიციის გამოძახებით დაემუქრა (მაშინ მილიცია იყო). ამ უსინდისო ქალს ის ორი მეზობელიც წამოეშველა, რომლებმაც თათულის ბინა წაართვეს და ბავშვი ისეთ დღეში ჩააგდეს, საცოდავმა გონება დაკარგა და გულწასული დაეცა. მერე რომელიღაცას შეშინებია და სასწრაფო დახმარება გამოუძახია, ექიმებს კი უთხრეს, ვითომ გოგონა სრულ ჭკუაზე ვერ იყო, თავის მიერვე გაყიდული ბინის სანახავად ხშირად მოდიოდა და მერე ემოციებისგან გული მისდიოდა ხოლმე. სხვათა შორის, მეზობლების „დიაგნოზის“ დაჯერება ექიმებს არ გასჭირვებიათ, რადგან, როგორც ჩანს, ამდენი სტრესისა და ნერვიულობის შემდეგ თათულის ფსიქიკა მართლაც შეერყა. მართალია, ქვებს არ ისროდა, მაგრამ, მკურნალობა (ექიმების დასკვნით) საჭირო იყო და, ამიტომ, ის ფსიქიატრიულ კლინიკაში დააწვინეს. მართალია, რამდენიმე თვეში გამოვიდა და თავის ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ყველამ გაიგო, სადაც იწვა, ხალხში გამოჩენის რცხვენოდა და მთლად ჩაიკეტა საკუთარ თავში. ერთი ეგ იყო, რომ სამსახურს არ აცდენდა (იქ შეეცოდათ და უფროსმა ადგილი შეუნახა, სანამ ეს მკურნალობდა) და უმაღლესიც დაამთავრა. მაგრამ, რადგან მკურნალობის შემდეგ უამრავი წამალი სჭირდებოდა, მხოლოდ ხელფასი არ ჰყოფნიდა და იძულებული გახდა, ბინების დალაგება დაეწყო და დღემდე ასე ირჩენს თავს. მისი მშობლების ბინაში კი დღესაც ის მეზობლები ცხოვრობენ თავიანთი შვილებიან-შვილიშვილებიანად და არც კაცის რცხვენიათ და არც ღმერთის ეშინიათ. სხვათა შორის, იმ ერთ-ერთი მეზობლის შვილი, საკმაოდ ცნობილი ადამიანია და მთელ საქართველოს მორალს უკითხავს ტელევიზიით, სიკეთესა და სათნოებას უქადაგებს ყველას, არადა, მშვენივრად იცის, ვის და როგორ წაართვეს მისმა მშობლებმა ბინა (მერე ამბობდნენ, თვითონაც ეხმარებოდა თავის დედ-მამას ამ ძალადობის წარმატებით დასრულებაში თავისი გავლენიანი ნაცნობ-მეგობრების ჩარევითო).

ალბათ, მკითხველი იფიქრებს, სხვის ცუდზე რომ ლაპარაკობს, თვითონ სად იყო, რატომ არ დაეხმარა ობლად დარჩენილ ნათესავსო. საქმე ისაა, რომ მამაჩემი სამხედრო პირი იყო და, შესაბამისად, ხან სად გვიწევდა ცხოვრება და ხან – სად. ამ პერიოდში, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ვცხოვრობდით საქართველოს გარეთ და, ამიტომ, ბევრი რამ არც კი ვიცოდით, რაც აქ ხდებოდა (მაშინ კომუნიკაციებიც არ იყო ისე, როგორც ახლაა). ეს ისტორია კი თავად თათულიმ მიამბო ამას წინათ – შემთხვევით შემხვდა ქუჩაში და თვითონ მიცნო. მერე სკვერში დავსხედით და დიდხანს ვისაუბრეთ. ვკითხე, სად ცხოვრობ, გამოგივლი ხოლმე-მეთქი, მაგრამ, მისამართი არ მითხრა, მობილური კი, როგორც მივხვდი, საერთოდ არ ჰქონდა. მე მაინც დავუტოვე ჩემი კოორდინატები და გულდამძიმებული დავშორდი. დაახლოებით ვიცი, რომელ უბანში ცხოვრობს და აუცილებლად მოვძებნი.

ასე რომ, ქართული ანდაზა – „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“ – თურმე, ყოველთვის არ მართლდება.

**ნატო, 42 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## 16 წლის ქერათმიანი გოგონა აინშტაინზე ჭკვიანი აღმოჩნდა

ბრიტანელმა ლორენ მარაბემ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში გამორჩეული იყო, მაინც ძალიან გააოცა თავისი პედაგოგები: აღმოჩნდა, რომ მისი ინტელექტის კოეფიციენტი IQ იმდენად მაღალია, რომ ბევრ ცნობილ მეცნიერს აჯობა. ლორენს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ჯერჯერობით კი მან ერთი წლით ადრე ბრწყინვალედ ჩააბარა სკოლის გამოსაშვები გამოცდები რამდენიმე საგანში. ლორენს სურს, დაანგრიოს მითი ქერათმიანთა შეურაცხმყოფელ სტერეოტიპზე – წარჩინებით დაამთავროს სკოლა და არქიტექტურა კემბრიჯის უნივერსიტეტში შეისწავლოს.



გოგონა მარტო მეცნიერებებით არ არის გატაცებული, მას შესანიშნავი ვოკალური მონაცემები აქვს და კარგად უკრავს ფორტეპიანოზე.

შავკანიანი ტაქსისტისა და უესტ-ენდის მომღერლის შვილი საერთაშორისო გენიოსების საზოგადოება Mensa-ს სიის კიდევ ერთი წევრია, მისი IQ 161-ის ტოლია, თუმცა, როგორც ცოტა ხნის წინ ვწერდით, ბრიტანელმა შერვინ შარაბმა, რომელსაც ჯერ 3 წელიც არ შესრულებია, 162 ქულა დააგროვა.

ახლა კი გაგაცნობთ ზოგიერთი ცნობილის IQ-ს:

ჩარლზ დიკენსი – 180, დევიდ ლივინგსტონი – 170, ჩარლზ დარვინი – 165, ალბერტ აინშტაინი – 160, სტივენ ჰოკინგი – 160, კვენტინ ტარანტინო – 160, ბილ გეითსი – 160, ზიგმუნდ ფროიდი – 156, შერონ სტოუნი – 154, ბილ კლინტონი – 145, ნაპოლეონ ბონაპარტე – 145, შაკირა – 140, ჯონ კენედი – 119.

## ერთჯერადი პენისი რეგენერაციის უნარით

მეცნიერებმა აღმოაჩინეს ფაუნის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც მაშინვე იშორებს განაყოფიერებისთვის უკვე გამოყენებულ სასქესო ორგანოს, 24 საათში კი ახალი ეზრდება და... ასე, ყოველ ჯერზე ახალ-ახალით მოევლინება პარტნიორს. ეს არის ზღვის ლოქორა – Chromodoris reticulate, რომელიც იაპონიის წყნარი ოკეანის სანაპიროებთან ბინადრობს. ის, როგორც თითქმის ყველა შიშველლაყუჩიანი მოლუსკი, ორსქესიანად, ანუ, ჰერმაფროდიტად ითვლება. ეს ნიშნავს, რომ მას აქვს როგორც მამრის, ასევე მდედრის სასქესო ორგანო და ზოგჯერ ორივეს ერთდროულად იყენებენ: განაყოფიერების დროს ორი ლოქორა ერთმანეთს შებრუნებით, ანუ ისე უდგებიან, რომ პენისებს პარტნიორის მდედრულ სასქესო ორგანოში ათავსებენ და სპერმებს ცვლიან. აქტი რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე გრძელდება, შემდეგ კი ისინი პენისებს იშორებენ. აღმოჩნდა, რომ ლოქორას პენისის დიდი ნაწილი სპირალივითაა დახვეული მის ორგანიზმში და სქესობრივი აქტის შემდეგ მას მხოლოდ გარეთა ფრაგმენტი შორდება.

ზღვის ლოქორების გარდა, განაყოფიერების შემდეგ პენისებს იშორებენ: ობობა-თითისტარა, სანაპიროს ლოკოკინები და ხმელეთის ლოქორა – Ariolimax, თუმცა, მათ რეგენერაციის უნარი არ აქვთ.

## რეკორდული კოლექტიური ქორწილი

ერთდროულად 412-მა წყვილმა დაუკავშირა ერთმანეთს ცხოვრება მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში. კოლექტიური ქორწინების ცერემონიას ცოცხალი ბენდი ახალისებდა. ყველამ შესვა წითელი ღვინო, იყო უამრავი საქორწილო საჩუქარი: საგზურები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ტკბილეული... ახალდაქორწინებულებს გაბედნიერება მიულოცა და ზოგ მათგანს ქორწინების მოწმობები გადასცა მეხიკოს მერმა მიგელ ანხელ მანსერმა. დაიჭრა უზარმაზარი ტორტი.



მექსიკის დედაქალაქმა გააუმჯობესა ერთდროული ქორწინების წყვილთა რაოდენობის რეკორდი, რომელიც ადრე მასვე ეკუთვნოდა. ბედნიერ წყვილთა შორის იყვნენ ერთსქესიანი „ნეფე-პატარძალიც,“ რომელთა ქორწინება მეხიკოში 2009 წლიდანაა დაშვებული. მექსიკის დედაქალაქი პირველია ლათინურ ამერიკაში, სადაც გეებსა და ლესბოსელებს ქორწინების ოფიციალური რეგისტრირება შეუძლიათ.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# გახდომისა და სხეულის კორექციის საუკეთესო მეთოდი

**– ქალბატონო მარი, რა ვუყოთ აკრეფილ კილოგრამებს, როცა გვინდა, რომ კარგად გამოვიყურებოდეთ?**

– ადამიანი ცხოვრების რაღაც მონაკვეთში წონაში იმატებს და თუკი ადრე ამ მომატებას მალევე და ადვილად იკლებდა, ახლა უკვე დიდი ძალისხმევითაც ვერ ახერხებს ამას. ზოგიერთი ეგუება ამ ფაქტს, ხელს ჩაიქნევს და განაგრძობს მატებას. ზოგიერთი კი ტანჯვა-წამებით დაკლებულ 2-3 კილოგრამს მალევე ორმაგად იბრუნებს. ისინი, ვინც თვეში ნახევარი კილოგრამის მომატებას არაფრად არ აგდებენ, ერთი წლის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ თურმე ექვსი კილოთი მეტს იწონიან. ვაკუუმ-თერაპია ყველაზე ეფექტური მეთოდია ჭარბ წონასთან და ცელულიტთან ბრძოლაში. სხეულზე პროცედურები კეთდება დიდი და საშუალო ზომის ქილებით. ისინი ქმნიან ძლიერ ვაკუუმს, რის შედეგადაც ცელულიტი ჯერ რბილდება და შემდეგ მცირდება. წარმოიდგინეთ, ერთდროულად დასმული ათი ნახევარლიტრიანი ქილების დიამეტრის ვაკუუმი. ეს ძალიან დიდი ძალაა, გარდა ამისა, თერმულ-მექანიკური ზემოქმედებაც ხდება და კანი, რაც არ უნდა მოიკლოთ, არ დაკარგავს ელასტიკურობას და არ „ჩამოეკიდება“.

**– რამდენი კილოგრამის დაკლებაა შესაძლებელი საშუალოდ და რა ღირს ერთი პროცედურა?**

– 8-10 კილოგრამის დასაკლებად 15-20 პროცედურაა რეკომენდებული, სეანსი ერთი საათი გრძელდება და 35 ლარი ღირს. ერთდროულად პაციენტს ენიშნება სწორი კვება (სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის მიხედვით), თუ არ არის წონის პრობლემა, მაგრამ საჭიროა სხეულის ცალკეული ნაწილების (გალიფე, თეძოები, დუნდულები, წვივები, მხრები) კორექცია, ამ შემთხვევაში იგივე პროცედურები უტარდებათ, ოღონდ დიეტის გარეშე. ზოგიერთი მეკითხება: „თუ დიეტა დავიცავი, ხომ ისედაც დავიკლებ, რაღა საჭიროა მასაჟი?“ გარწმუნებთ, მარტო დიეტის დაცვით ამ ადგილობრივ პრობლემებს ვერ მოიგვარებთ, მოიკლებთ ყველგან, გარდა იმ ადგილებისა. თანაც მიიღებთ ნატანჯ-ნაწამებ სახის გამომეტყველებას. უფრო მეტად გაღიზიანებულები, კონფლიქტურები და დეპრესიულები გახდებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, რა თქმა უნდა, წონის დაკლებისას დანიშნული სწორი კვების რეჟიმის მკაცრი დაცვა აუცილებელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, „დიეტიდან“ გამოსვლა, ანუ, მიღებული შედეგის შენარჩუნება. იმიტომ რომ, ამ დროს ორგანიზმი არასწორად იღებს საკვებს ცხიმების სახით, აი, საიდან მოდის დიეტის შემდეგ კვლავ წონის მომატება. აუცილებელია, მიეცეს პაციენტს სწორი რჩევა-დარიგებები, თუ როგორ მოიქცეს შემდგომში იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს „რიკოშეტის“ რეაქცია. პროცედურების დროს ჩვენ პარალელურად ვიყენებთ თაფლს, შავ შოკოლადსა და ყავას. მათ გააჩნიათ ანტიცელულიტური მოქმედება. ქილებით დამუშავებულ და გახსნილ ფორებში, კანქვეშა ცხიმიდან ქსოვილებში აღწევენ და შლიან მათ. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ პაციენტები, რომ რამდენიმე კილოგრამის დაკლებითაც კი უფრო გამხდრად გამოიყურებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან დაკლებულები, რადგან ვიზუალური კლება სანტიმეტრების ხარჯზე ხდება.

**– ამავე მეთოდით ხდება სახეზე ნაოჭების გასწორება. გამიგია, რომ ამ მასაჟის შემდგომ შეიძლება, ლაქები გაჩნდეს, ტანზე კიდევ არა უშავს, მაგრამ სახეზე?**

– მეთოდი იგივეა – ვაკუუმთერაპია, მაგრამ სახეზე, სხეულისგან განსხვავებით, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიყენებთ მცირე და საშუალო ზომის პარამეტრებს და შესაბამისად არანაირი ლაქები არ რჩება.

ამ პროცედურების გაკეთება ექიმისგან დიდ სიფრთხილეს, ყურადღების კონცენტრირებას, პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას მოითხოვს. ეს მეთოდი აძლიერებს სისხლის მიკროცირკულაციას კანქვეშ და ნაოჭები ქვევიდან, სიღრმიდან სწორდება. კრემები (რაც უნდა ხარისხიანი და ძვირად ღირებულიც არ უნდა იყოს), კი ზედაპირზე მოქმედებს და მათი ეფექტი მოკლევადიანია. დოზირებული ვაკუუმით სახის კანზე ჩვენ ვახდენთ ღრმა ზემოქმედებას ნაწიბურებზე, ნაოჭებზე. ამ დროს 4-5-ჯერ ძლიერდება მიკროცირკულაცია. „ცოცხლდებიან“ დისტროფიული უჯრედები და „გაზარმაცებულ“ კაპილარებში სისხლის დიდი ნაკადი მიედინება. აი, რაშია ამ მეთოდის უნიკალურობა და შეუდარებელი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი!

**– ამ შემთხვევაში რამდენი პროცედურაა ჩასატარებელი და რა ღირს ერთი მასაჟი?**

– სახის მასაჟი 40-50 წუთი გრძელდება და 25 ლარი ღირს, თავიდან დღეგამოშვებით კეთდება, სანამ სისხლის და ლიმფის მიმოქცევა აღდგება, შემდეგ კი, მიყოლებითაც შეიძლება. პროცედურები არ ტარდება ჩირქოვანი გამონაყარის, ჰერპესისა და სოკოვანი დაავადებების დროს.

აღსანიშნავია, რომ პაციენტთა უმეტესობა პირველივე სეანსების შემდეგ აღნიშნავს, რომ კანს უბრუნდება ჯანმრთელი ელფერი (ამას განსაკუთრებით მწეველები ამბობენ), წვრილი, მიმიკური ნაოჭების რაოდენობა მცირდება, ხოლო ღრმა, ფუნქციური ნაკეცები ნაკლებად გამომხატველი და თვალში საცემი ხდება (დერმატოლიფტინგის ეფექტი). მომდევნო სეანსების შემდეგ კანის სტრუქტურა მკვეთრად უმჯობესდება. მცირდება შეშუპებები და ლაქები თვალების გარშემო, მყარდება სახის კუნთოვანი კარკასი და პაციენტი 5-8 წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ვაკუუმთერაპია ებრძვის ძველ, უკვე არსებულ და ახალ მიმიკურ ნაოჭებს. გარდა ამისა, კურსის დამთავრების შემდეგ აბსოლუტურად ყველა პაციენტი აღნიშნავს, რომ არსებული პრობლემების მოგვარების გარდა, მკვეთრად გაუმჯობესდა მათი ზოგადი მდგომარეობა. აღნიშნავენ ენერგიის მოზღვავებას, ძალის მოწესრიგებას, უმიზეზო თავის ტკივილებისა და დეპრესიული მოვლენების ალაგებას, უმჯობესდება ადამიანის გუნება-განწყობა და პაციენტი აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება.

**ექიმი მარინა ლომიძე 593-30-00-08.**

**არიან ადამიანები, რომლებიც უხმოდ ცხოვრობენ, შრომობენ კოლოსალურად ბევრს, მაგრამ თავის გამოჩენა არ უყვართ, პირიქით, ზედმეტ ქებასა და საკუთარი თავის წარმატების შესახებ საუბარს გაურბიან, არადა, უსაზღვროდ მნიშვნელოვანია მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც შერწყმულია მაღალზნეობრივ თვისებებთან: სიკეთესთან, უანგარო სიყვარულთან, ამაგის დაფასებასთან, სამშობლოს ტკივილის გათავისებასთან... დღეს ჩვენს რუბრიკაში „საქმიანი ქალი" წარმოგიდგენთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, საქართველოში პირველი ინგლისური კერძო სკოლის დამფუძნებელსა და დირექტორს, ქალბატონ ლამარა ქოქიაურს, ქალბატონს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მარცვალ-მარცვალ აგროვებს, ქმნის და არიგებს ყველაფერს საუკეთესოს, რაც უფალს მისთვის დაუნათლავს. ალბათ, გენებითაც გამოჰყვა მას ხასიათის სიმტკიცე, მიზანსწრაფულობა, გონიერება, კეთილშობილება, სულგრძელობა და სათნოება.**

# ურთიერთსიყვარულით განვლილი 20 წელიწადი



**– ქალბატონო ლამარა, ხომ არ დადგა დრო, თქვენს წარმატებებზეც ვისაუბროთ? აქვე გვითხარით თქვენი წარმატების რეცეპტიც.**

– რთული კითხვაა. ალბათ, შრომა, სრულყოფილებისადმი სწრაფვა, სიყვარული, სიკეთე... წარმატებაზე რა მოგახსენოთ, თითქოს ყველაფერი თავისთავად მოდის. ადამიანებმა უნდა იშრომონ და შედეგი ექნებათ; უნდა გიყვარდეს და შეგიყვარებენ; უნდა, აკეთო სიკეთე და ათმაგად დაგიბრუნდება; პატივი უნდა სცე ნებისმიერი ადამიანის ღირსებას, კონკრეტულ პიროვნებას და სამაგიეროს მიიღებ; უნდა გქონდეს ღვთის რიდი და შიში და უფალი არს შენთან... – რომელი ერთი ჩამოვთვალო. მე ასე მიმაჩნია და, ვცდილობ, ასე ვიცხოვრო.

**– ალბათ, დამეთანხმებით, რომ ქალს ბიზნესი, საქმიანი ქალის იმიჯი ძალიან უხდება. მოდით, გვითხარით, როგორ აქციეთ იდეა და სურვილი რეალობად?**

– ძალიან უბრალოდ. კერძო სკოლის შექმნის მეტად საპატიო და ქართველი ადამიანისთვის შეუვალი მიზეზი მქონდა – ჩემი შვილისთვის, ნინო ქოქიაურისთვის – ქართული კლასიკური, პლუს, წამყვან ევროპასა და ამერიკაში კარგად აპრობირებული, თანამედროვე განათლება უნდა მიმეცა; სკოლის შენობიდან გაუსვლელად, სავალდებულო საგნებთან ერთად, მას ყოველდღე უნდა ესწავლა ინგლისური ენა და ლიტერატურა, დიპლომატებისთვის აუცილებელი ფრანგული ენა; საშინაო დავალებად უნდა ჰქონოდა მსოფლიო კლასიკოსების კითხვა, დაუფლებოდა გონების სავარჯიშოს – ჭადრაკს; ჩატარებოდა კლასიკური მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილები; ჰქონოდა დახვეწილი მანერები; ჰყოლოდა სკოლის მოძღვარი, რათა აღზრდილიყო ჭეშმარიტი ქრისტიანული სულისკვეთებით და ასე შემდეგ. მიზანი მტკიცე იყო, მონდომება – არნახული, საქმე – გონივრული, რომ იტყვიან, „ჩავიცვი რკინის ქალამნები" (არ გაგიკვირდეთ, 1992 წელია!) და იმავე წლის 1 სექტემბერს მომცეს ლიცენზია პირველი კერძო სკოლის გახსნის. გამოსავალი ნაპოვნი იყო – ზემოთ ჩამოთვლილი ჩემი ყველა მკაცრი მოთხოვნა, არა მხოლოდ საკუთარი შვილისთვის, არამედ, სხვისი შვილებისთვისაც, უნდა განმეხორციელებინა საკუთარ კერძო სკოლაში.

ათიოდე წლის წინ ბიზნესზე საუბარი მიღებულიც კი არ იყო. ახლაც მეუხერხულება ინგლისური სკოლის საქმიანობა ბიზნესში გავაერთიანო. ბიზნესი საქმეა, წარმატებისთვის კი საქმე უნდა გიყვარდეს!

**– ვის უმადლით თქვენს წარმატებას?**

– ჩემი ცხოვრების გზა, შეიძლება ითქვას, რომ დედაჩემმა – ანა ქურხულმა განსაზღვრა. მან „დაგეგმა" ჩემი მომავალი. როგორ უჩვეულოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ ჩემი სიტყვები, უფალმა დაბადებისთანავე განსაზღვრა ჩემი ბედი და სხვა არჩევანი არც დამიტოვა: მე უნდა მესწავლა, ამიტომ, ფანატიკურად მიყვარდა სწავლა; მე უნდა მეშრომა, ამიტომ, კოლოსალურად ბევრს ვმუშაობდი ბავშვობიდან; მე უნდა მომეპოვებინა პური ჩემი არსობისა; მე უნდა მეცხოვრა ლამაზად, რათა საკუთარი თავის სიყვარული და რწმენა არ დამეკარგა... ამიტომ, მე შევქმენი ჩემი სამყარო, სადაც ყველაფერს მე თვითონ განვაგებ და არავისზე ვარ დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, სიხარულის „გაჩუქების" ყველაზე იდეალურ ხერხს მივაგენი. მე მხოლოდ მაშინ ვგრძნობ თავს ბედნიერად, როცა ჩემი ქმედებით ადამიანების თვალებში სიხარულს ვხედავ, ყველაზე მთავარი კი, ალბათ, არის ჩემი ცხოვრების კრედოდ ქცეული, უბრალო, ძალიან მარტივი რამ – მე უნდა მიყვარდეს, მე უნდა ვზრუნავდე, მე უნდა მტკიოდეს სხვისი ტკივილი, უნდა მიხაროდეს სხვისი სიხარული, სხვანაირად ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნება.

კიდევ ერთი: გარშემო ყოველთვის იყვნენ და არიან საოცარი, მოამაგე, მოსიყვარულე, უაღრესად კეთილშობილი, მზრუნველი ადამიანები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ჩემი პიროვნული და პროფესიული თვისებების ჩამოყალიბებაში. არ შემიძლია, არ გავიხსენო ჩემი დიდი მასწავლებლები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი ფინანსისტი, ბატონი ვასილ ჩანტლაძე; ბუმბერაზი მეცნიერი, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი; შესანიშნავი ფინანსისტები, ბატონები: ვლადიმერ ლებანიძე, ნიკოლოზ გამრეკელი, ჩემი დიდი მოამაგე, ჩემი ცხოვრების გზამკვლევი და უფროსი მეგობარი გივი გამსახურდია. ვისურვებდი, იმდენი სიკეთე და დახმარება გამეწიოს ჩემი მოწაფეებისთვის, რაც მათ უანგაროდ გაიღეს ჩემთვის, ჩემი დღევანდელი ყოფის შექმნისათვის. თუკი რამე შევქმენი და თუ საზოგადოება ჩემი საქმიანობის გამო მომიხსენიებს, ამ პიროვნებების დამსახურებაა და ვამაყობ, რომ ასეთი ადამიანების მოწაფე ვიყავი.

**– მიმდინარე სასწავლო წელი თქვენი სკოლის საიუბილეო თარიღია, როგორ შეაფასებდით განვლილ ოც წელიწადს?**

– ეს, ჩვენს სკოლაში სწავლაგავლილი ასეულობით ბავშვის, მათი მშობლების, მასწავლებლების, ჩემი ცხოვრების მთელი 20 გრძელი წელიწადია! გთხოვთ, ზემოთქმულს მაღალფარდოვან სიტყვებად ნუ ჩამომართმევთ, რადგან, ეს უდიდესი შრომით, სიხარულით, სიკეთით, ბედნიერებით, ზოგჯერ – დიდი ტკივილითა და იმედგაცრუებითაც, საქმისა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით სავსე ჩვენი განვლილი წლებია.

**– ახლა კი თავად სკოლის შესახებ.**

– შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა „ნინო" არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დებულებაში განსაზღვრული მიზნები და ამოცანები შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს" და ითვალისწინებს ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო და ქრისტიანული ღირებულებების მქონე, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის საჭირო პირობების შექმნას; მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას; აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას; მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას; კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას; მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობას; მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში არსებული გამოწვევების გათვალისწინე-

ბით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინგლისური და რუსული ენების გაძლიერებულ სწავლებას.

სკოლა მთლიანად არის ჩართული საქართველოში განათლების რეფორმის განხორციელების პროცესში, იზიარებს საქართველოს განათლების სისტემის სრულყოფის კონცეფციას, მაგრამ, გააჩნია სხვა პრიორიტეტებიც, კერძოდ, უცხო ენების შესწავლის ინდივიდუალური პროგრამები – სრულყოფილად შეისწავლება სამი უცხო ენა: ინგლისური, რუსული და გერმანული; წელს შემუშავდა ტექნიკური საგნების – ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების საკუთარი კონცეფცია: ჩვენი სკოლა დამატებით სთავაზობს მოსწავლეებს: საღვთო სჯულის, ჭადრაკის, კომპიუტერული მეცნიერებების შესწავლას, ფსიქოლოგისა და ექიმის მომსახურებას.

გარდა ამისა, მაღალ კლასში წარმოებს ბიზნესინგლისურის შესწავლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტის მიერ. სკოლა ამზადებს მოსწავლეებს TOEFL-ისა და SAT-ის ტესტების ჩასაბარებლად; ინგლისურში მაღალი დონის მოსწავლეები ფლობენ B2, Upper – Intermediate და Advanced Level-ს.

სამსახურით დაკავებული მშობლებისთვის სკოლაში დიდი პოპულარობით სარგებლობს გახანგრძლივებული ჯგუფები საღამოს 6 საათამდე, სათანადო კვებით. გვყავს მოძღვარი – მამა პანტელეიმონ წულაძე, რომელიც სკოლის ყველაზე დიდ სიმდიდრედ მიმაჩნია. ჯერ რელიგიის ისტორიის, 2000 წლიდან კი საღვთო სჯულის შესწავლა მისი მოწადინებაა. იგი სკოლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, თითქმის ყველა ბავშვისა და პედაგოგის სულიერი მამაა.

**– სამომავლო გეგმების შესახებ რას გვეტყვით?**

– ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ. ჩვენი პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს: უცხოეთის ანალოგიურ სკოლებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას; ყველა მოსწავლის ლეპტოპებით უზრუნველყოფას; „მომავლის კლასის" საიუბილეოდ გახსნას; საიუბილეო წელს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას; ტაო-კლარჯეთის მონახულებას; საიუბილეოდ, ბოლო 20 წლის წარმატებული კურსდამთავრებულების „ეტალონში" მონაწილეობის მიღებას; სკოლის ელექტრონული ჟურნალის გამართულად ფუნქციონირებას... ზოგიერთ ღონისძიებას სიურპრიზად შევინახავთ.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და განმტკიცებაში, ადამიანური რესურსებისა და სასწავლო გეგმების მოწესრიგებაში და თანამედროვე სტანდარტულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა სკოლების ავტორიზაციის პროცესმა. ჩვენმა სკოლამ წარმატებით გაიარა ავტორიზაციის საკმაოდ საპასუხისმგებლო პროცესი. ბრენდირებული სკოლა „ნინო" აქტიურად მონაწილეობს საყოველთაოდ პოპულარულ პროგრამებში: „ეტალონის", სპორტული ღონისძიებების, სამეცნიერო კონფერენციების, ოლიმპიადების და სხვა. დღეს ჩვენს სკოლას აქვს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, მდიდარი ბიბლიოთეკა, საკუთარი საინტერესო ვებ-გვერდი, თანამედროვე ინტერიერით კარგად მოწყობილი სასადილო-ბუფეტი, საკუთარი ტრანსპორტი, სამედიცინო მომსახურება, სპორტული დარბაზი და ასე შემდეგ და, რაც მთავარია, ყველა მოსწავლისა და პედაგოგის, მთლიანად სკოლის უსაფრთხოების გარანტიაა მანდატურების სამსახური.

**– რას უსურვებდა ქალბატონი ლამარა ქოქიაური საკუთარ თავს?**

– მშვიდობით და წარმატებულად გვეცხოვროს, ჩემს სკოლას კი კვლავ აღეზარდოს საოცარი ბავშვები.

ნიშანდობლივია და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ სკოლის 20 წლის იუბილე გამოსაშვებ გამოცდებზე 20 ათიანით და 7 ოქროს და ვერცხლის მედლით აღნიშნეს ჩვენმა უმშვენიერესმა და უნიჭიერესმა მეთორმეტეკლასელებმა.

სკოლაში არნახული პედაგოგიური კოლექტივია. მე არ მეგულება ისეთი შესანიშნავი ადამიანები და პროფესიონალები, როგორებიც დღეს ჩემ გარშემო შეიკრიბნენ. თქვენი ჟურნალის მეშვეობით კიდევ ერთხელ ვუხდი მათ მადლობას!

***P.S.*** *გაზაფხულის მშვენიერ და ლამაზ დღეებს ვულოცავთ საქართველოში პირველ ფინანსისტ პროფესორ ქალს, დიდი ნიჭის, სიკეთისა და სიყვარულის მატარებელ ქალბატონს, ლამარა (მარიამ) ქოქიაურს!*

*სკოლის მისამართი: ვარკეთილი, ზემო პლატო მე-2 მ/რ, 11ა.*

*ტელ: 276-05-95; 599 90-60-11.*

*www.ninoskola.ge*

**ეკა პატარაია**


# კონტროლ ფორტე

## გრიპთან ბრძოლის მასალები

### მიიღეთ დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენისას

* ხელსაყრელი;
* ეფექტური;
* სწრაფი.




**ჩვენება:**
* გაციებისა და გრიპის სიმპტომური მკურნალობა;
* ცხელება;
* ცხვირის „დაცობა", ცემინება, გამონადენი ცხვირიდან, ცრემლდენა;
* თავის ტკივილი და სხვა ლოკალიზაციის უმნიშვნელო ტკივილი.

**ერთი ტაბლეტი შეიცავს:**
* პარაცეტამოლი – 500 მგ;
* ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი – 5 გ;
* კოფეინი – 30 მგ;
* ქლორფენირამინის მალეატი – 2 მგ.

**დოზირება:**
* პრეპარატის მიღება ბავშვებში 6 წლამდე რეკომენდებული არ არის;
* 6-დან 12 წლამდე მიიღება თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში;
* მოზრდილებსა და ბავშვებში 12 წლის ასაკიდან ინიშნება თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

* გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მწარმოებელი LARK LABORATORIES ინდოეთი. ექსკლუზიური დისტრიბუტორი შპს ჯი აი იმპექსი. იკითხეთ აფთიაქებში.

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

26 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„შეშლილი სამყარო"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი: ნინო ლიპარტიანი. მონაწილეობენ: ნანუკა ხუსკივაძე, თათული დოლიძე, მანანა აზრამიშვილი, დარეჯან ხარშილაძე, რუსუდან მაყაშვილი, ზურა ინგოროყვა. ტრაგიკული ფარსი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

27 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენიერების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. მონოსპექტაკლი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

28 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„სულიერი არსებები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

1 მარტი, **პარასკევი** 19.45 - **„ნადირობის სეზონი"** „ფანტასმაგორია" - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 მარტი, **შაბათი** 19.45 - **„ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ზაზა პაპუაშვილი, ნინო კასრაძე, ბესო ზანგური, დავით დარჩია, დავით გოცირიძე, ია სუხიტაშვილი. კომედია ერთ მოქმედებად მორალის გარეშე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

3 მარტი, **კვირა** 19.45 - **„დარისპანის გასაჭირი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორები: რობერტ სტურუა, ზაზა პაპუაშვილი. მონაწილეობენ: ზაზა ბარათაშვილი, დათო გოცირიძე, პაატა გულიაშვილი, ნინო კასრაძე, მამუკა ლორია, ეკა მინდიაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ზაზა პაპუაშვილი. ექსცენტრიკული ტრაგიკომედია ერთ მოქმედებად. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

### კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

26 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„ნაფტალინი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ნინაკა გელაშვილი, თემურ კილაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, იოსებ გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე გეწაძე, მაია ტატიშვილი, ბექა გოდერძიშვილი, ზაზა გოგუაძე, ვაჟა კვიტაიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი: ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

27 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი: თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 4სთ. 20 წუთი;***

27 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ერთმოქმედებიანი პიესა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„დეკამერონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარლენ ეგუტია, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 15 წუთი;***

1 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„კოტე მარჯანიშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორები: ლევან წულაძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ეკა ჩხეიძე, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, ლილე ფილფანი, ლიკა ქობულაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა. თეატრის შექმნის ამბავი. ***ხანგრძლივობა: 3სთ.***

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

26 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

27 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„საძაღლე"** - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10 ლარი), რეჟისორი: ვანო ხუციშვილი. მონაწილეობს: სლავა ნათენაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

1 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ხვალ შობაა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, გიორგი შანიძე, გუგა კახიანი, ანა ნიკოლაშვილი, კახა შარტავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

3 მარტი, **კვირა** 19.00 - **„მშვენიერი ქართველი ქალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, თამუნა ნიკოლაძე, სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ჯოლოგუა, მამუკა მუმლაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.***

### მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

26-27 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„რომეო და ჯულიეტა - ბედისწერა დაბნეულია - მესამე მეხსიერება"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ მარმარინოსი. მონაწილეობენ: მაია გელოვანი, ეკა დემეტრაძე, პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, გიორგი ნაკაშიძე, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

28 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვეფხვი და მოყმე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: გუგა კახიანი, ნათია მეტრეველი, მზია არაბული, ანა ნიკოლაიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წუთი;***

2 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ჰარალეთი, ჰარალეთი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, გია აბესალაშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, მალხაზ აბულაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

3 მარტი, **კვირა** 19.00 - **„7 პ.პ. (შვიდი პატარა პიესა)"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: გიორგი ყიფშიძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნანუკა ლითანიშვილი, ნათია ფარჯანაძე, ეკა ჩხეიძე, ნანა შონია, ნიკა წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

### ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

1 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

2 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

3 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

### ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

28 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„გაყრა"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ვოდევილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

1 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„გაყრა"** (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ვოდევილი, ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2-3 მარტი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ..***

### სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71.**

25 თებერვალი, **ორშაბათი** 20.00 - **„ფრეკენ ჟული"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე, იაკო ჭილაია, ანა წერეთელი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

### გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

1 მარტი, **პარასკევი** 18.00 - **„ჭექა-ქუხილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, არჩილ ბარათაშვილი, ირინა მეღვინეთუხუცესი, ვანო ქურასბედიანი, სოფია ლომჯარია, ანა არუთუნიანი, ოლეგ მჭედლიშვილი, დიმიტრი სპორიშევი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

2 მარტი, **შაბათი** 18.00 - **„დონ ჟუანი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: მიხეილ ამბროსოვი, ირინა მეღვინეთუხუცესი, ვასო მჭედლიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

3 მარტი, **კვირა** 12.00 - **„ემელიას ბედნიერება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: დიმიტრი სპორიშევი, სოფო ლომჯარია, მიხეილ ამბროსოვი, მიხეილ არჯევანიძე, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი, დენის დაშკოვი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 25 თებერვალი

**06.30** დ/ფ "სლავას თოვლის შოუ" **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ადამიანი — პლანეტა" **17.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** **21.00** ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ " ტეხასური ჟლეტა ხერხით: დასაწყისი" (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** 6 სერ. **13.00** სერ. **"გაქცევა – 4"** **14.40** სერ. **"24 – 5"** **15.40** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ/სერ **"ცხელი ძაღლი"** 3 სერ. **23.00** მხ/ფ **"ლარი ქრაუნი"** (ჯ.რობერტსი) **01.00** სერ. **"ღვინის გზა"** **01.35** მხ/ფ **"შიშის აჩრდილი"** (მ.დევისი) (ტიტ.) **03.00** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ. ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა (დილის პროგრამა) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15,** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0,30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30,1.15** თოქ-შოუ "არგუმენეტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** ყოველდღიური აბები **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** დოკ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" **07.00** მხ/ფ **"მაისის თოვლი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"იყო შაშვი მგალობელი"** **13.30** კონცერტი -ანდრე რიე **14.50, 18.35, 23.50** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი **"ალალე"** **17.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.35** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** საქართველოს ისტორია **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" **23.30** მოკ/ფ **"ქოლგა"** **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

## სამშაბათი 26 თებერვალი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **17.00** "საფარი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** **21.00** ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** **22.00** "აქცენტები" **23.30** მხ/ფ " **პაზარდელი დიუკები"** **01.40** დ/ფ " ჩირლიდერები".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** 2 სერ. **13.00** სერ. **"24 – 5"** **14.40** დოკ/ფ "შობის ბრწყინვალე დღესასწაული" **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"მეოჯახე"** (ნ.კეიჯი) **00.30** სერ. **"ღვინის გზა"** **01.05** მხ/ფ **"სიკვდილის შემდეგ"** (ჟ.კ.ვან დამი) **02.35** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ.**"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **23.30** ოსკარი **2013** **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ. ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა (დილის პროგრამა) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15,** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0,30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30,1.15** თოქ-შოუ "არგუმენეტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** ყოველდღიური აბები **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** სპექტაკლი **"ალალე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" **10.50** საქართველოს ისტორია **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** I ნაწ. **13.25** კონცერტი-სასულე მუსიკის ფესტივალი **14.50, 18.35, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "იწყება ზღაპარი" **16.15** აქტუალური თემა **16.35** დოკ/ფ "სიაუშ ქართველი" **17.35** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II ნაწ. **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დოკ/ფ "ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო" **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"პეიტარი"** **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი.

გაგრძელება 48-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**25 თებერვალი – 3 მარტი**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00, 17.30, 20.00, 22.30 - **„კერკეტი კაკალი 5”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00 - **„ცელქი ბავშვები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

18.00, 20.00, 22.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ჯეკ რიჩერი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*

15.15, 19.15 - **„ჯანგო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45წთ.;*

22.30 - **„საბრალონი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40წთ.;*

*დარბაზი 4*

12.15 - **„ცელქი ბავშვები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

14.00, 16.30, 19.45, 22.30 - **„განგსტერები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.;*

*დარბაზი 5*

12.30, 15.00, 17.30, 20.00 - **„სიყვარულის თავშესაფარი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.;*

22.30 - **„ჯანგო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.15 - **„ცელქი ბავშვები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

14.45, 17.15 - **„თბილი სხეულები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;*

19.30, 22.30 - **„ლინკოლნი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30 - **„განგსტერები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.;*

17.00 - **„ლინკოლნი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;*

19.45, 22.00 - **„თბილი სხეულები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი)

**კინოთეატრი „საქართველო”**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00, 16.00, 20.00, 22.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

18.00 - **„F5”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.;*

(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

**ჯგუფი „ქუჩის ბიჭები" საკმაო პაუზის შემდეგ გააქტიურდა და მსმენელს რამდენიმე ახალი სიმღერა შესთავაზა. ჩვენი რესპონდენტი, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, გურამიკო ლომიძეა, რომელმაც ზამთრის არდადეგები საქართველოში მოიწყო და ამერიკიდან ერთთვიანი ვიზიტით იმყოფებოდა სამშობლოში. მას გამგზავრების წინ, რამდენიმე საათით ადრე შევხვდით. რატომ დაიწყო მისთვის 2013 წელი გამორჩეულად და როგორ გაატარა ერთი თვე ქართულად საქართველოში, ამას და სხვა დანარჩენს, უკვე მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რატომ არ ბრუნდება გურამიკო ლომიძე სამუდამოდ საქართველოში და რაში უმართლებს მას ხშირ შემთხვევაში



„ქუჩის ბიჭებს" ერთმანეთი დაგვებედა, თან კონცერტით. იდეები და პროექტები კარგი გვაქვს და რა ვიცი, იმედია, განვახორციელებთ

**– საქართველოში საკმაოდ გრძელვადიანი ვიზიტი გამოგივიდა ამჯერად.**

– დაახლოებით, ერთი თვე გამომივიდა საქართველოში ყოფნა, მაგრამ მაინც არ მეყო. ზაფხულშიც ერთი თვით ვიყავი. მინდოდა, სამი თვე მაინც დავრჩენილიყავი, მაგრამ ჩემი ბიზნესის გამო უკან დავბრუნდი. აწი ვგეგმავ, რომ წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვიდე.

**– ეს ერთი თვე, რაც საქართველოში გაატარე, საკმაოდ აქტიური იყავი. მუშაობდი სტუდიაში, წერდი ახალ სიმღერებს და ასე შემდეგ...**

– კი, ძალიან კარგად გავატარე ეს ერთი თვე. სტუდიაშიც ვიმუშავე, სამი თუ ოთხი კონცერტიც მოვასწარით ამ ერთ თვეში. დასასვენებლადაც ვიყავი ბაკურიანში და ასე შემდეგ.

**– ვისთან ერთად ისვენებდი ბაკურიანში?**

– მე, ჩემი ნიკუშა (შვილი) და ზურა ხაჩიძე. პიკასო ისედაც იქ არის, რესტორანი აქვს ბაკურიანში.

**– დღეს ამერიკაში ბრუნდები. რა განწყობა გაქვს გამგზავრების წინ?**

– ცოტა სევდა შემომაწვა, როგორც ყოველთვის, საქართველოდან წასვლა არ მინდა. ჯერ მარტო იმიტომ, რომ ახლობლებს ვტოვებ აქ, მერე იმიტომ, რომ 14 საათი უნდა ვიფრინო. მოკლედ, მიყვარს საქართველო, რადგან ჩემს ქვეყანაში თავს კარგად ვგრძნობ.

**– ძირფესვიანად დაბრუნებას ხომ არ გეგმავ საქართველოში?**

– სულ ვერ დავბრუნდები, რადგან ამერიკაშიც აწყობილი მაქვს ცხოვრება. ამიტომ, ორ ქვეყანას შორის ვიქნები გამოკიდებული.

**– ჯგუფი „ქუჩის ბიჭები" ბოლო წელია, საგრძნობლად გააქტიურდა.**

– 2011 წელს ორი ვიდეო გადავიღეთ. 2012-ში ჯგუფმა ერთი სიმღერა ჩაწერა. ასევე, გავაკეთეთ სოლო სიმღერები. რაც შეეხება 2013 წელს ორი ახალი სიმღერით შევეგებეთ. 2 იანვარს „სითი კლუბში" გვქონდა კონცერტი, 4-ში – სამტრედიაში, ღია ცის ქვეშ და ძველით ახალ წელს – ისევ, „სითი კლუბში." ასევე კონცერტი გვქონდა ბაკურიანშიც.

**– „ქუჩის ბიჭების" გულშემატკივრებს გაუხარდათ თქვენი დაბრუნება.**

– ჩვენ არ გავჩერდებით, ზაფხულისთვისაც სერიოზულ პროექტებს ვგეგმავთ და ვნახოთ, თუ გამოგვივა, კარგი იქნება.

**– „ქუჩის ბიჭები" ისე გააქტიურდით, მგონი, ძველი დრო ბრუნდება თქვენთვის.**

– კი, ასეა და საკმაოდ კმაყოფილი ვარ კონცერტებით. ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო, ყველა კმაყოფილი დარჩა და კარგად გაერთნენ. მახარებს ის ფაქტი, რომ ხალხს ჯერ კიდევ ვახსოვართ.

**– რამდენიმე საათში მიემგზავრები ამერიკაში. ბოლო წუთებამდე სტუდიაში მუშაობ.**

– ქართველებს როგორც გვჩვევია, ბოლო წუთებამდე ვიტოვებთ საქმეს და არც მე ვარ გამონაკლისი. გაზაფხულის ბოლოს რომ ჩამოვალ, კლიპს მერე გადავიღებთ. მანამდე, შეიძლება, ჩემი სოლო სიმღერა დასრულდეს. პაატას აქვს ასევე ახალი სოლო სიმღერა. ზურამ ახალ წელს უკვე გაუშვა თავისი ახალი სიმღერა რადიოში. ასე თუ ისე, კონცერტებზე სიმღერების ნაკლებობას არ განვიცდით.

**– რამდენი წლისაა „ქუჩის ბიჭები?"**

– 16 წლის.

**– გარდა იმისა, რომ წლები მოგემატათ, რა შეიცვალა თქვენში ამ დროის განმავლობაში?**

– დრო მიდის, უბრალოდ, თორემ ჩვენ არ ვიცვლებით, მხოლოდ ასაკი გვემატება. მართალია, დრო ძალიან სწრაფად გადის, მაგრამ გული მაინც არ ბერდება, ვერთობი როგორც შემიძლია.

**– უფროსი შვილი უკვე 10 წლის გყავს, რომელიც ძალიან გახარებული იყო შენი ჩამოსვლით.**

**მიუხედავად იმისა, რომ ბევრ დროს ვერ ვატარებ შვილებთან, ვფიქრობ ორივეს ვუყვარვარ. ყოველ შემთხვევაში, არც ერთს არაფერს ვაკლებ, რითაც შემიძლია, იმით ვეხმარები ორივეს**

– ნიკუშა უკვე იმხელა ბიჭია, ცოტა ხანში ძმაკაცივით მეყოლება.

**– უმცროსი რამდენი წლის არის?**

– 2 წლის. ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

**– როგორი მამა ხარ?**

– ვფიქრობ, ძალიან კარგი მამა ვარ.

**– როგორ იყოფა შენი ყურადღება მათ მიმართ? ერთი შვილი შორს გყავს, მეორე ახლოს.**

– ყოველთვის ორივე მენატრება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ დროს ვერ ვატარებ შვილებთან, ვფიქრობ, ორივეს ვუყვარვარ. ყოველ შემთხვევაში, არც ერთს არაფერს ვაკლებ, რითაც შემიძლია, იმით ვეხმარები ორივეს. საკმაოდ მზრუნველი მამა ვარ და ორივე ძალიან მიყვარს. თუ რამდენად ვუთმობ მათ დროს, ეს უკვე ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარეობს. ხან იქით ვარ, ხან – აქეთ, მუშაობა, თან ბიზნესი და ასე შემდეგ. ბევრ რაღაცას ვარ გამოკიდებული, ასე რომ ვთქვათ და ამიტომ, ცოტა დრო მრჩება ბავშვებისთვის. თუმცა, ასე თუ ისე, მაინც ვახერხებ მათთან ურთიერთობას.

**– როგორი იყო შენთვის 2012 წელი?**

– სიმართლე გითხრა, 2012 წელი საკმაოდ წარმატებული იყო ჩემთვის. ძალიან კარგად წავიდა ჩემი საქმეები ამერიკაშიც და საქართველოშიც. ჩემმა ახალმა სიმღერამ ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. მინდოდა, საქართველოში კლიპიც გადამეღო, მაგრამ ვერ მოვასწარი. თუმცა, ვერც ამის საჭიროებას ვხედავ ჯერჯერობით. მართალია, 2012 წელი ჩემთვის კარგი იყო, მაგრამ იმედი მაქვს. 2013 კიდევ უფრო უკეთესი იქნება. „ქუჩის ბიჭებს" ერთმანეთი დაგვებედა, თან კონცერტით. იდეები და პროექტები კარგი გვაქვს და რა ვიცი, იმედია, განვახორციელებთ.

**– სამომავლოდ ხომ არ გეგმავთ, რომ „ქუჩის ბიჭების" შვილებმაც ერთად იმღერონ? ნიკუშა თუ მღერის?**

– იდეაში ესეც გვაქვს. ნიკუშას ცოტა მერყევი სმენა აქვს, მაგრამ შეიძლება, დამუშავება. ვნახოთ, ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, ბავშვები ერთად ვამღეროთ. ყოველ შემთხვევაში, მათთვის სიმღერა აუცილებლად უნდა დაიწეროს. ჩვენი ბავშვების კვარტეტს აუცილებლად გავაკეთებთ. მათ შორის ორი გოგო და ორი ბიჭი იქნება. პიკასოსაც ბიჭი ჰყავს, ზურასა და პაატას კი – გოგონები. ჩემი ყველაზე უფროსია.

**– ხშირად გიმართლებს?**

– სხვათა შორის, ხშირად მიმართლებს. ალბათ, იმიტომ, რომ მიზანდასახული ვარ. მიზანს რომ დავისახავ, ყოველთვის ვიბრძვი მის მისაღწევას. მიუხედავად ამისა, არის რამდენიმე კრახი ჩემს ცხოვრებაში. ანუ, ყოფილა შემთხვევა, როცა, სამწუხაროდ, რამდენჯერმე მიზნისთვის ვერ მიმიღწევია.

**– იმედგაცრუებას, ხშირ შემთხვევაში, თან ახლავს ნერვიულობა და დეპრესია. შენს შემთხვევაში როგორ ხდება?**

– რასაკვირველია, იმედგაცრუებას ნერვიულობა მოჰყვება, მაგრამ ეს გარეგნულად არ მეტყობა. ყველაფერი მაინც გულში ილექება. ვიცი, ეს ცუდია, მაგრამ ასეა.

**– ვინც პირადად არ გიცნობს, ყველას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებული ჰგონიხარ. რეალურად როგორია გურამიკო?**

– ძალიან მშვიდი ადამიანი ვარ, ფეთქებადი – ნაკლებად. თუ ძალიან არ გამაბრაზეს, თითქმის არასდროს გამოვდივარ წყობიდან. ბევრი ჩემს სიღრმეებში ვერ ჩადის, რადგან ძალიან ღრმაა.

**– ანუ, ბევრი ვერ გიგებს?**

– პირიქით, ბევრი ძალიან ადვილად მიგებს, მაგრამ ბოლომდე სიღრმეში, ერთეულები თუ შედიან.

**– თავად თუ შეგიძლია სხვების ბოლომდე გაგება?**

– არ ვიცი, ეს ადამიანისგან მომდინარეობს. თუ ძალიან დამაინტერესა, მაშინ ვცდილობ, ბოლომდე ჩავწვდე მის სულს. ხშირ შემთხვევაში, გამომდის.

**– 2013 წელი იმითაც დაიწყო შენთვის გამორჩეულად, რომ ახალ წელს საქართველოში შეხვდი.**

– 6 წელია, ახალ წელს საქართველოში არ შევხვედრივარ. მომბეზრდა ამერიკული ახალი წელი და ჩამოვედი.

**– მორიგი ვიზიტი როდის გექნება საქართველოში?**

– მაისის ბოლოს აქ ვიქნები და საკმაოდ დიდი ხნით, ყველაფერს ისე ვგეგმავ, თუ არაფერი შეიცვალა, შეიძლება ერთი წლითაც კი ჩამოვიდე, ზუსტად არ ვიცი.

**მარიკა ხიდურელი**

# ნეკნები მწვანე ბარდით















**საჭირო ინგრედიენტები:** ეს კერძი ხბოს ნეკნებით მზადდება და იშვიათი არომატულობით გამოირჩევა. თუმცა, შეგიძლიათ გამოიყენოთ ცხვრის ნეკნებიც. 1 კილოგრამი ნეკნები, 2-3 თავი ხახვი, 1 ცალი საშუალო ზომის სტაფილო, 1 თავი ნიორი, 1 ქილა დაკონსერვებული მწვანე ბარდა, 1 ქილა დაკონსერვებული მწვანე ლობიო; კამა, ოხრახუში, ქინძი, ძირა, მარილი, შავი პილპილი, აჯიკა, ხმელი სუნელი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ნეკნებს დააყარეთ მარილი, პილპილი, წაუსვით ხმელი სუნელი და ძირა და გააჩერეთ ერთი საათი მაინც. სასურველია, წინასწარ მოამზადოთ და მთელი ღამით მაცივარში გააჩეროთ. შეწვის წინ, სასურველია, წაუსვათ სახლში მომზადებული აჯიკა.

ხახვი და სტაფილო მსხვილად დაჭერით. ნიორი დაკეპეთ. ღრმა, უწვავძირიან ტაფაში ჩაალაგეთ ნეკნები, ცხიმის გარეშე და მოხრაკეთ ძლიერ ცეცხლზე. პერიოდულად ურიეთ, სანამ ოქროსფრად დაიბრაწება. ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და სტაფილო, მოხრაკეთ ერთად, მოაყარეთ ნიორი და ოდნავ დაბრაწეთ. ლობიო და ბარდა გადაწურეთ და ეს სითხე ჩაუმატეთ კერძს. ცეცხლს დაუკელით და ქვაბს თავსახური დაახურეთ.

ხორცი მზად რომ იქნება, ზემოდან მოაყარეთ ბარდა, ლობიო, წვრილად დაჭრილი კამა, ოხრახუში, ქინძი და კიდევ შუშეთ თავდახურულ ქვაბში 10-15 წუთის განმავლობაში. სულ ბოლოს მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ცოტა მწვანილი.

# ქათამი ნაღებში










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი საშუალო ზომის ქათამი, 200-300 მილილიტრი 10-პროცენტიანი ნაღები, 1 კონა კამა, მარილი, პილპილი; კარაქი – შესაწვავად, 2-3 კბილი ნიორი.

**მომზადების წესი:** ქათამი მოამზადეთ შესაწვავად: ორივე მხრიდან – შიგნიდან და გარედან წაუსვით მარილი და პილპილი.

გამოსაცხობ ტაფაზე მოათავსეთ ქათამი და შეწვით აირღუმელში (30-35 წუთი დასჭირდება). სანამ ქათამი იწვება, მოამზადეთ სოუსი: ნაღები ჩაასხით მომცრო ქვაბში. ნიორი დანაყეთ და შეურიეთ ნაღებს. უყავით ცოტა მარილი და პილპილი. კამა დაჭერით ძალიან წვრილად, ისიც ჩაუმატეთ ნაღებს და ოდნავ ათქვიფეთ. გამოიღეთ ქათამი (ის თითქმის მზად იქნება), მოასხით სოუსი და ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში 7-10 წუთით. არაჩვეულებრივად ნაზი და პიკანტური გემო აქვს.

# ქამა სოკო სატენით










**საჭირო ინგრედიენტები:** 10-12 ცალი დიდი ქამა სოკო, 2 ცალი მოხარშული კვერცხი, 200 გრამი ლორი (ბეკონი), 5 ცალი კრაბის ჩხირი, 1 თავი ხახვი, 4 ძირი მწვანე ხახვი, მაიონეზი, მარილი, შავი პილპილი, 1 ცალი დიდი პომიდორი, 100 გრამი მაგარი ყველი.

**მომზადების წესი:** სოკოს მოაშორეთ ფეხები, ქუდები კი ოდნავ ამოაღრმავეთ. ამოღებული სოკოს მასა და ფეხები წვრილად დაჭერით. შეურიეთ წვრილად დაჭრილი კვერცხი, ლორი, კრაბის ჩხირები, 1 თავი ხახვი, მწვანე ხახვი, შეაზავეთ მარილითა და პილპილით, დაუმატეთ მაიონეზი და კარგად ამოურიეთ. ამ მასით ამოავსეთ სოკოს ქუდები. დააწყვეთ ტაფაზე, დაასხით იმდენი წყალი, რომ ქუდებს 1 სანტიმეტრ სიმაღლეზე მოადგეს. დადგით ცეცხლზე და შუშეთ, სანამ წყალი მთლიანად ჩაშრება. შემდეგ თითოეულ სოკოს ზემოდან დაადეთ პომიდვრის ნაჭერი. მოაყარეთ დაფხვნილი (ან გახეხილი) ყველი, დადგით ძალიან დაბალ ცეცხლზე და შუშეთ თავდახურულ ჭურჭელში, სანამ ყველი გადნება. უგემრიელესია.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# არგენტინული სტეიკი

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი ღორის ხორცის სტეიკის ნაჭერი, 100 გრამი კარაქი, 1 სადილის კოვზი დაჭრილი კამა, 1 სადილის კოვზი დაჭრილი ოხრახუში, 1/4 ჩაის კოვზი პაპრიკა, 1 სადილის კოვზი ზეთი, მარილი და პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კარაქში აზილეთ დაჭრილი მწვანილი, პაპრიკა, მარილი და პილპილი, ძეხვივით გაახვიეთ ცელოფანში და გაყინეთ. ხორცი გარეცხეთ, შეაშრეთ და წაუსვით ზეთი, მოაყარეთ მარილი და პილპილი. ხორცი გაცხელებულ ტაფაზე ორივე მხრიდან შეწვით, შემდეგ გადაიტანეთ თბილ თეფშზე, ზემოდან დაადეთ შეზავებული კარაქის პატარა ნაჭერი და ზემოდან კიდევ ერთი თეფში დააფარეთ. მიირთვთთ 5 წუთის შემდეგ.



# თევზის კრემ-სუპი ყვავილოვანი კომბოსტოთი



**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი კალმახის ფილე, 300 გრამი ყვავილოვანი კომბოსტო, 150 მილილიტრი ნაღები, 1 კონა ოხრახუში, 1 კონა კამა, 0,5 ჩაის კოვზი შავი პილპილი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თევზი დაჭერით, დაასხით იმდენი მარილწყალი, რომ დაფაროს და ნახევრად მოხარშეთ, დაუმატეთ ყვავილოვანი კომბოსტო და დანარჩენი ინგრედიენტები მწვანილის გარდა. როცა კომბოსტო მზად იქნება, თევზიც და კომბოსტოც გათქვიფეთ ბლენდერით, ერთხელ წამოადუღეთ და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

# წიწიბურასა და ხორცის ორიგინალური კატლეტები

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 სადილის კოვზი მოხარშული წიწიბურა, 400 გრამი ფარში, 3 ცალი უმი კვერცხი, 1 თავი ხახვი, 1 კონა კამა, 100 გრამი მაგარი ყველი, 100 გრამი კარაქი, მარილი და პილპილი გემოვნებით, ფქვილი ამოსავლებად, ზეთი – შესაწვავად.



**მომზადების წესი:** მოხარშული წიწიბურა აურიეთ ხორცის ფარშში, დაუმატეთ 1 ცალი უმი კვერცხი, დაჭრილი ხახვი და კამა, მარილი, პილპილი, გახეხილი ყველი და კარგად აზილეთ. ცალკე გათქვიფეთ 1 ცალი კვერცხი მარილთან ერთად. ფარშის პატარა გუნდები ხელით ცოტა გააბრტყელეთ, ზემოდან მოათავსეთ კვერცხისა და ყველის ნაზავი, შემდეგ კარაქის პატარა ნაჭერი, შეკარით და მიეცით კატლეტის ფორმა, ამოავლეთ ჯერ ფქვილში, შემდეგ – ათქვეფილ კვერცხში და შეწვით.

**„ალტერნატიული გლამური" – სამოდელო სამყაროს ამ სფეროში მოღვაწეობს წარმოშობით ქართველი მოდელი ნინა დათეშიძე, რომელიც დიდ ბრიტანეთში „ნინა დ-ს" ფსევდონიმით არის ცნობილი, წარსულში კი ის საკუთარ თავს „ნინა ტერორს" უწოდებდა. თამამი იმიჯის მქონე მოდელი „თბილისელების" რესპონდენტია – ნინას ინგლისში დავუკავშირდით და ექსკლუზიური ინტერვიუ ჩავწერეთ.**

# რა საერთო აქვს ქართველ ნინა დათეშიძეს „ალტერნატიულ მოდელობასთან" და „მანჩესტერ იუნაიტედთან"

**– ნინა, სად დაიბადე და როგორ მოხვდი ინგლისში?**

– დავიბადე მოსკოვში, მაგრამ, თბილისში ვარ გაზრდილი და მშობლებიც თბილისელები მყავს. საქართველოდან წასვლა ჩემი გადაწყვეტილება არ იყო, მამინაცვალი მყავს ინგლისელი და ამიტომ აღმოვჩნდი ბრიტანეთში.

**– ცხოვრების ინგლისურ წესს როგორ შეეგუე, ხომ არ გაგიჭირდა თავიდან ენის ბარიერის დაძლევა?**

– აქაური კულტურა და ცხოვრება დიდად განსხვავდება საქართველოსგან. მაინცდამაინც დიდი დრო არ დამჭირვებია შესაგუებლად, ალბათ, იმიტომ, რომ ჩამოსვლისთანავე მომიწია უნივერსიტეტში ჩარიცხვა და იქ მალევე გავიჩინე ახალი მეგობრები, ვისი დახმარებითაც მოვახერხე ყოველგვარი სიძნელეების გადალახვა. ინგლისური კარგ დონეზე ვიცოდი, რადგან, თბილისში ამერიკულ კოლეჯში დავდიოდი; გარდა ამისა, 16 წლის ასაკში მონაწილეობა მქონდა მიღებული გაცვლით პროგრამაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ვსწავლობდი ერთი წელი. ერთადერთი, თავდაპირველად გამიჭირდა ბრიტანულ აქცენტთან შეგუება, რადგან, ამერიკულ აქცენტს ვიყავი შეჩვეული.



**– როგორც ვიცი, სელფორდის უნივერსიტეტში სწავლობდი ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე. დაამთავრე თუ არა სწავლა და პროფესიით მუშაობაზე თუ ფიქრობ?**



– დიახ, სწავლა დავამთავრე და ჩემი პროფესია გამომადგა კიდეც.

**– სამოდელო სფეროთი როდის დაინტერესდი და რა სახელით არის ცნობილი ის „განხრა", რომელშიც მოღვაწეობ?**

– სტუდენტობის დროს შემამჩნია მოყვარულმა ფოტოგრაფმა და აქედან დაიწყო ყველაფერი. ჩემს სფეროს ჰქვია „ალტერნატიული მოდელობა", ასევე, ვმუშაობ სხვა განხრით – „გლამური," არის კიდევ „ალტერნატიული გლამური".

**– მოგვიყევი შენი იმიჯის შესახებ, ინტერნეტში „ემო-გოგოდ" მოგიხსენიებენ. განსხვავებული ვარცხნილობა, თმის ფერი და პირსინგი ქართველი გოგოსთვის უცხო გარეგნობაა.**



– თავიდან, როდესაც დავიწყე მოდელობა, ასეთი იმიჯი მქონდა და ამ იმიჯით მოვიპოვე პოპულარობა. რა თქმა უნდა, პირსინგები, ტატუები და არანატურალური თმის ფერი საქართველოში ნაკლებად არის მიღებული, დასავლეთისთვის კი ეს ყოველდღიური მოვლენაა და უფრო მარტივია ინდივიდუალურობის გამოვლენა. „ალტერნატივ ლაიფსტაილი" რასაც ჰქვია, აქ ძალიან პოპულარულია. ჩემს წრეში ბევრი ბიჭი და გოგოა, ვინც როგორც როკ-ვარსკვლავივი ისე გამოიყურება, და ამის მიუხედავად, ნორმალურად ცხოვრობენ – ბევრს აქვს ძალიან ორდინარული პროფესია და ჩვეულებრივი ცხოვრების სტილი.



**– თამამი იმიჯის გათვალისწინებით, ხომ არ გქონია შემოთავაზება პორნოგრაფიული სტუდიებიდან, ან, ხომ არ გეგმავ, მომავალში პორნოფილმებში მოსინჯო ძალები?**

– მე არ ვიცნობ არც ერთ მოდელს, რომლისთვისაც ერთხელ მაინც არ შეეთავაზებინოთ მსგავსი წინადადება. ჩემს გეგმებში პორნოფილმში მონაწილეობის მიღება არ შედის.

**– საქართველოში რომ ცხოვრობდე, თუ გარისკავდი იმავე საქმით დაკავებას?**

– საქართველოში დიდი გასავალი ფეშენ-მოდელინგის გარდა არ არის, ასე რომ არც მექნებოდა მოდელობის შანსი. ასეთი გაგება, რაც ალტერნატივა და გლამურია, რაც აქ ძალიან პოპულარულია, ალბათ, საქართველოში ჯერ ვერ მკვიდრდება.

**– შენი აზრით, როგორია იდეალური მამაკაცი?**

– მე მიზიდავს არაორდინარული ინდივიდუალები – მომწონს ტატუები, პირსინგი და, რაც მთავარია, უნდა იყოს ჯენტლმენი და კარგად აღზრდილი, რაც ინგლისში, სამწუხაროდ, იშვიათობაა, სტერეოტიპების მიუხედავად.

**– შენ თუ გყავს საყვარელი ადამიანი?**

– დიახ, მყავს, თუმცა, ამ თემაზე არ მსურს საუბარი *(იცინის).*

**– თავისუფალ დროს რით ხარ დაკავებული? მოგვიყევი შენი გატაცებების შესახებ.**

– ალბათ, როგორც ყველა ახალგაზრდა გოგოს, მიყვარს მეგობრებთან დროსტარება, მოგზაურობა, კინოში სიარული, კითხვა, მიყვარს პოეზია, როკ და მეტალ-კონცერტებზე დავდივარ ხშირად. სახლში მყავს საყვარელი ცხოველი – პატარა ენოტი.

**– საქართველოში თუ ახერხებ ჩამოსვლას, თუ გყავს აქ მეგობრები ან ნათესავები?**

– ალბათ, ოთხი წელია რაც არ ვყოფილვარ საქართველოში და მომავალში ძალიან მინდა ჩამოსვლა. მანდ მყავს რამდენიმე ახლო მეგობარი დარჩენილი, ნათესავებიც მყავს.

**– ქართული კერძები თუ გენატრება?**

– ძალიან მენატრება ქართული საჭმელი და სასმელი, ჩვენს სუფრას არაფერი შეედრება. „ბორჯომი" მენატრება უზომოდ.

**– ინგლისში, კერძოდ, მანჩესტერში ცხოვრობ და აუცილებლად უნდა გკითხო ფეხბურთის შესახებაც: თუ გიყვარს სპორტის ეს სახეობა და თუ ქომაგობ რომელიმე კლუბს?**

– არ ვარ ფეხბურთის მოყვარული, მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" სტადიონთან ძალიან ახლოს ვცხოვრობ *(იცინის).*



მამაკაცზე მომწონს ტატუები, პირსინგი და, რაც მთავარია, უნდა იყოს ჯენტლმენი და კარგად აღზრდილი, რაც ინგლისში, სამწუხაროდ, იშვიათობაა

**– სამომავლო გეგმებზე გვითხარი ორი სიტყვით.**

– მომავალს რაც შეეხება, ამ წლისთვის დიდი გეგმები მაქვს, ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი მეწყება, ჟურნალებით დაწყებული, ამერიკული სამოდელო სააგენტოებით დამთავრებული.

**უშანგი რუხაძე**

41-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 27 თებერვალი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **17.00** "გურმანია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** **21.00** ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** დ/ფ "კილიმანჯარო აკონკაგუა" (რეჟ:გ.თორთლაძე) **23.40** მხ/ფ **"ზოდიაქო"**.

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** 8 სერ. **13.00** სერ. **"24 – 5"** **14.40** დოკ/ფ "მზიანი შობა" **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **19.05** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ/სერ **"ცხელი ძაღლი"** 6 სერ. **23.00** მხ/ფ **"ფული ორისათვის"** (ა.პაჩინო) **01.15** სერ. **"ღვინის გზა"** **01.50** მხ/ფ **"უცხოპლანეტელი – 3"** (ს.უივერი) **03.40** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** ნანუკას შოუ. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ. ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა (დილის პროგრამა) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15**, თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0,30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30,1.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** ყოველდღიური აბები **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტ-მეტრი" **0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** დოკ/ფ "სიაუშ ქართველი" **07.25** მოკ/ფ **"პეიტარი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო" **11.05** მოკ/ფ **"ქოლგა"** **11.30** მგზავრები წუთის-ოფლისა **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** კონცერტი-ანიტა რაჭველიშვილი **14.50, 22.50** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" Ⅲ ნაწ. **16.45** კვირიაკე **18.05** საქართველო არის ესე **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** Ⅱ ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "თბილისის თავგადასავალი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"დღეს ღამე უთენებია"**.

## ხუთშაბათი 28 თებერვალი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.05** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ " როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **17.00** "ჩვენი ფერმა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** **21.00** ტ/სერ **"პური და თავისუფლება"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ **"სასიკვდილო იარაღი - 4"**.

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** 9 სერ. **13.00** სერ. **"24 – 5"** **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **15.35** რომ გადახვალ, გააჩერე **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"რა სურთ ქალებს"** (მ.გიბსონი) **00.30** სერ. **"ღვინის გზა"** **01.05** მხ/ფ **"პირდაპირი მოქმედება"** (დ.ლუნდგრენი) **02.40** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ. ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა (დილის პროგრამა) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15**, თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0,30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30,1.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** ყოველდღიური აბები **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტ-მეტრი" **0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** მხ/ფ **"დღეს ღამე უთენებია"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "თბილისის თავგადასავალი" **11.15** ჩვენი ტრაპეზი **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** Ⅱ ნაწ. **13.25** კონცერტი-სამი ვარსკვლავი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მხ/ფ **"ჩრდილი გზაზე"** **17.30** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" Ⅳ ნაწ. **18.10** გახსენება-რამაზ ჩხიკვაძე **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** Ⅲ ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **21.55** უწიგნოდ თვალთა-ხედვის ისარი მოკლეა **22.20, 23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"დიდი ქალაქის ჩირაღდ-ნები"**.

## პარასკევი 1 მარტი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.45** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **17.00** დ/ფ "ისლანდიის ვულკანის მორიგი ამოფრქვევა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარუ-ლის კოცნა"** **21.00** ტ/სერ "პური და თავისუფლება" **22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ **"აშუღ ქერიბი"**.

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** სერ. **"24 – 5"** **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი **00.15** სერ. **"ღვინის გზა"** **00.50** მხ/ფ **"მატჩ პოინტი"** (ს.იოჰანსონი) **02.50** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** პროფილი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგ-ვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ. ამინდი **8.00, 9.00,**

**10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა (დილის პროგრამა) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15,** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0,30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30,1.15** თოქ-შოუ "არგუმენეტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** ყოველდღიური აბები **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტ-მეტრი" **0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"დიდი ქალაქის ჩირაღდნები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** III ნაწ. **13.30** კონცერტი - ფრიდრიჰ გულდა **14.50, 18.35, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.00** მხ/ფ **"ბაში-აჩუკი"** **17.30** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" V ნაწ. **18.05** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** IV ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** ჩვენი ფონდი **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **22.20** დიდი მარხვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.15** ირაო.

## შაბათი 2 მარტი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** ან/ფ "უკანასკნელი მიმზი" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.30** საბ. ტ/სერ **"პირველყოფილი"** **12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.35** "მოამბე" **12.30** "AGVA-GEORGIA" **13.00** დ/ფ "ლეონარდო და ვინჩი" **14.00** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: "არმია" – "სოხუმი" (პ/რ) **16.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** დ/ფ "წიგნის მშვენება" **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** "საჯარო პოლიტიკა" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.30** დ/ფ "რამინი (რეჟ: ბ. ოდიშარია) **00.30** მხ/ფ **"ცხოვრება" როგორც სახლი"** (კ. კლაინი).

**08.20** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **9**–10 სერ. **09.15** მხ/ფ **"მეფე – პოლარული დათვი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან.ფ. "ავატარი" **12.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ. **"აიქარლი"** **14.20** მხ/ფ **"სენსაცია"** **16.00** სერ. **"გმირები – 4"** **17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა.საიფრედი) **01.45** მხ/ფ **"სიბრმავე"** (ჯ.მური) (ტიტ.) **03.45** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. **"კლუბი"** (ს1) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **15.30** სერ. "LOVERS AND SECRETS" **19.00** ყველაზე ჭკვიანი დაწყება **20.00** "ნანუკას შოუ" - (ბესტი) **22.00** ქ.მხ/ფ **"ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"** **23.00** რა? სად? როდის? - გ/ჩ **00.00** პოკერის ტურნირი **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00** "Latin Angels" **02.00, 04.30** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 13.25, 15.30, 16.25, 16.35, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20** უცხოეთის ამბები **12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55** უკომენტა-როდ. ამინდი **13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00** ამბები მოკლედ **8.30** კვირის არგუმენტი **10.00** დილა (კოლაჟი) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **20.10, 1.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 2.00** "პრეს-პრესი" **23.00, 3.30** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **0.00, 1.00, 3.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი).

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე,ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** IV ნაწ. **13.45** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **15.10** ოპერა-**"ლუჩია დე ლამერმური"** **17.35** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" VI ნაწ. **18.10** ფოტოგალერეა **18.15** აქტუალური თემა **18.35** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** წმინდა თეოდორე ტირონი **21.30** "კარაბადინი" **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **22.55** კალმის წვე-რი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** ძველი აფიშა **01.00** მხ/ფ **"აპაჩი"**.

## კვირა 3 მარტი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ/ფ " მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ" **10.00** "ეტალონი" **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. ტ/სერ **"პირველყოფილი"** **12.00, 14.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: "მარტოობის ბინადარი" **14.10** მხ/ფ **"ხევისბერი გოჩა"** **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამო **20.00** მხ/ფ **"სულელების ოქრო"** (მ.მაკკონახი) **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ **"სექსი დიდ ქალაქში-2"** (ტიტ.) (ს.ჯ.პარკერი).

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **09.00** მხ/ფ **"ნამდვილი მამაკაცი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** მხიარული სტარტები **14.20** მხ/ფ**"ფესტივალი კანში"** **16.00** სერ. **"გმირები – 4"** **17.40** იმედის გმირები **18.00** კონცერტი: "ივერია" **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე **23.25** მხ/ფ **"ბრძოლის წესები"** (ტ.ლი ჯონსი) **01.00** მხ/ფ **"დღეს შენ მოკვდები"** (ს.სიგალი) **02.30** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია **10.00** MTV TEEN CRIBS **11.00** სერ. **"კლუბი"** (ს2) **12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** ეკი ვოკი **15.30** სერ. "LOVERS AND SECRETS" **19.00** ეკი ვოკი დაწყება **20.00** პროფილი (ბესტი) **21.00** P.S. **22.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი (ს2) **01.00** ტოპ გოგო გ/ჩ **02.00, 04.30** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 10.35, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 0.25, 3.25, 4.25, 5.25, 6.25** უცხოეთის ამბები **11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55** უკომენტა-როდ. ამინდი **13.00** "პრეს-პრესი" **14.00, 16.00, 17.00, 20.00, 4.00** ამბები მოკლედ **10.00** დილა (კოლაჟი) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **17.05** სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **20.10** ღია კარის დღე **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00** იცოდე მეტი სამართალზე **2.30** დისკუსია სტუდია "რე" **0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი).

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **08.45** დეკორა-ტიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.25** ერთსუ-ლოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.45, 21.35** ლექსით ქებათა ქება **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** ერთსულოვნების სალონი **13.00** ძველი აფიშა **13.30** "ჩვენი ტრაპეზი" **13.40** ქართული მულტფილმი **13.55** დიდი მარხვა **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მგზავრები წუთისოფლისა **15.40** ეპოქის სახელები **16.05** კონცერტი - "ისევ ის ბალი" შოთა მილორავა **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.40** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** V ნაწ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **21.40** "კვირიაკე" **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ფოტოგალერეა **23.20** გაცოცხლებული წარსული **23.40** დრო და ადამიანები **00.10** პატრიარქის ქადაგება **00.35** მხ/ფ **"გაქცევა შოუშენკოდან"**.

**28 წლის მომღერალი სოფო გელოვანი ბავშვობიდან დგას სცენაზე. სულ რამდენიმე წელია, რაც ის საქართველოში ფართო საზოგადოებამ გაიცნო, არადა, უკვე ჩამოყალიბებული მომღერალი მანამდე ქვეყნის ფარგლებს გარეთ წლების განმავლობაში უფრო პოპულარული იყო. ქართულ კონკურსში მონაწილეობამდე სოფომ რამდენიმე ქვეყნის კონკურსი მოიარა. საერთაშორისო კონკურსებზე 3 გრანპრის და 5 პირველი ადგილის მფლობელი გახდა. სოფო წელს, ნოდიკო ტატიშვილთან ერთად „ევროვიზიაზე“ წარადგენს საქართველოს. იმედია, მათი დუეტი წარმატებული აღმოჩნდება.**

# დატოვებს თუ არა სოფო გელოვანი საქართველოს და რატომ აშიმშილებს ის მეორე, „აყვანილ“ შვილს

**სოფო გელოვანი**: ბავშვობის ასაკიდან დავიწყე სიმღერა. როგორც ქართულ ოჯახებში ხდება ხოლმე, ჩემს ოჯახშიც სულ მღეროდნენ. ბებიიდან მოყოლებული, ყველა მღერის, მაგრამ, სცენაზე არავის უმღერია. ალბათ, ჩემზე, ზოგადად, საერთო გენებმა იმოქმედა. პირველად ანსამბლ „ნერგებში“ დავიწყე სიმღერა და კლავიშზე ვუკრავდი. მაშინ მივხვდი, რომ სიმღერა ძალიან ჩემი იყო და ვერ გავძლებდი ამის გარეშე. ბავშვები რომ ოცნებობენ – მე ექიმი გამოვალ, მე მასწავლებელიიო, მე სულ ვამბობდი, რომ გავიზრდები, მომღერალი უნდა გამოვიდე-მეთქი. სულ მიკროფონი მეჭირა ხელში და სხვა სურვილი არ მქონია. სტუდენტობის პერიოდშიც სულ ვმღეროდი. ამ ანსამბლში რომ დავამთავრე მოღვაწეობა, მერე უკვე ინდივიდუალურად დავიწყე გამოსვლა. ამის შემდეგ უკვე კონკურსების პერიოდი დაიწყო. პირველად 15 წლისამ მივიღე კონკურსში მონაწილეობა. მხარში ყოველთვის მედგნენ ჩემი მშობლები, რადგან, თუ არ გაქვს დახმარება და გვერდში დგომა, არაფერი გამოდის, ძალიან რთულია. გვერდით ის ადამიანები უნდა გყავდეს, ვინც მოგიწონებენ და გეტყვიან, რომ ეს შენი საქმეა და ეს უნდა გააკეთო. ჩემს შემთხვევაში ეს დღემდე გრძელდება – ახლა ჩემი მეუღლე მიდგას გვერდში და ძალიან მეხმარება. იღბლიანი ადამიანი ვარ და გამიმართლა, რადგან, არაჩვეულებრივი მეორე ნახევარი მყავს. ზოგადად კი, რასაც ვიმსახურებთ, ალბათ იმას ვიღებთ.



**ზოგადად, რასაც ვიმსახურებთ, იმას ვიღებთ**

**– ცოტა იღბალიც ხომ გვეხმარება ამაში?**

– ჩემი პირადი აზრია, რომ იღბლის ანაბარა არ უნდა დარჩე არც კარიერაში და არც პირად ცხოვრებაში. კარგსაც და ცუდსაც ცხოვრების გზაზე მიმავალი იმკი. უბრალოდ არაფერი მოდის ცხოვრებაში. თუმცა, ვერ დავიწუწუნებ, მე ნამდვილად ვარ იღბლიანი. ცხოვრებაში ბევრი ეტაპი გავიარე და, რასაკვირველია, ჩავარდნებიც მქონდა და აღმავალი პერიოდებიც – ამის გარეშე არაფერი გამოვა. თუმცა, ჩემთვის, შემოქმედებითი და პირადი კუთხითაც, ყველაზე კარგი ეტაპი მაინც ის იყო, როცა სანკტ-პეტერბურგში ვცხოვრობდი. იქ სხვანაირი ცხოვრების რიტმია, უფრო ჩქარი და სასიამოვნოდ დატვირთული.

**– ახლა რა ეტაპი დგას შენს ცხოვრებაში?**

– ახლა საკმაოდ საპასუხისმგებლო ეტაპი დგას ჩემს ცხოვრებაში – „ევროვიზიისთვის“ ვემზადები ნოდიკო ტატიშვილთან ერთად. ამან საერთოდ შეცვალა ჩემი გეგმები და ცხოვრების რიტმიც. ბევრი მეკითხება, ალბათ, ამ კონკურსისთვის იმიჯს შეიცვლიო. ყველას ვპასუხობ: მე არანაირად არ ვიცვლი იმიჯს და სცენაზე ისევ ისეთი სოფო გელოვანი იდგება, როგორსაც იცნობთ. მე ისეთი ვარ, როგორსაც მხედავთ და შეცვლას არ ვაპირებ ***(იცინის).*** სხვათა შორის, მე და ნოდიკო ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

**– მსგავსებაში რას გულისხმობ?**

– ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებას რომ გადახედოთ, ძალიან ჰგავს ერთმანეთს – ორივე ხშირად დავდიოდით კონკურსებზე, არაერთი გრანპრი და პირველი ადგილი გვაქვს აღებული, თუმცა, „ევროვიზია” არ ჰგავს სხვა კონკურსებს, იქ მარტო სიმღერას არ ექცევა ყურადღება. ბევრი ეტაპის გავლაა საჭირო. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნოდიკო წონაშია მომატებული და დიეტაზეა, მე კი არ უნდა დავიკლო და სრულფასოვნად უნდა ვიკვებო. უნდა ნახოთ, რა დღეშია ნოდიკო, მას რომ ვუკრძალავ ჭამას და მე გემრიელად ვნაყრდები – ამის დანახვაზე ცოფდება ***(იცინის).*** ვეხუმრები ხოლმე, შენ ჩემი მეორე შვილი ხარ, ოღონდ, ნაშვილები, უნდა ვიზრუნო შენზე და, თუ არ დამიჯერებ, დაგსჯი – უფრო ბევრს შევჭამ და გაყურებინებ-მეთქი ***(იცინის).***

**– სულ დაკავებული ხარ. ოჯახისთვის დრო რომ არ გრჩება, ამის გამო მეუღლის საყვედურების მოსმენა არ გიწევს?**

– ჩემი მეუღლე ის ადამიანია, ვინც ბოლომდე მიგებს და მიდგას გვერდში. ბედნიერებაა, როცა მომღერალს გეძლევა საშუალება, აკეთო შენი საქმე და საყვარელი ადამიანი უყურადღებობოს გამო არ გსაყვედურობს. ის რომ საყვედურებს მეუბნებოდეს, ნამდვილად ვერ ვიმღერებ და სცენაზე დისკომფორტი შემექმნება. გარშემო ისეთი ადამიანები მყავს, ვინც ყველა პირობას მიქმნიან, რომ ბედნიერი ვიყო. მიუხედავად დროის უქონლობისა, მაინც ვცდილობ, შვილისთვის დრო გამოვნახო და ხშირად ვისეირნო მასთან ერთად. სხვათა შორის, დათა ერთადერთი ადამიანია, ვისაც არ უყვარს, რომ ვმღერი ***(იცინის).*** რომ გავემზადები წასასვლელად, იბუტება, იცის, რომ უნდა ვიმღერო და ამბობს, არ მიყვარს რომ მღერიო ***(იცინის).*** მეგობრებშიც გამიმართლა და, რაც უნდა დაღლილი და მოწყენილი ვიყო, მათთან ურთიერთობით დადებითი მუხტით „ვიტენები“. „ჩაკეტილი“ ადამიანი ვარ – არ მიყვარს „ტუსოვკები“, ღამის კლუბები. განტვირთვა სახლში, მეგობრებისა და ოჯახის წევრების წრეში მირჩევნია – ეს ჩემი სრული კომფორტი და ბედნიერებაა. დეპრესიული ადამიანი არ ვარ, მშვიდი და გაწონასწორებული ვარ. ჩემი პრინციპები და შეხედულებებიც მაქვს და მათ მყარად ვიცავ, არ გადავუხვევ. ბოლოს და ბოლოს, წარმოშობით სვანი ვარ ***(იცინის).*** მშვიდი ვარ, მაგრამ, პრინციპულ-სვანურ-გენეტიკურ სიფიცხესაც ვავლენ ხოლმე. ასეთ დროს ჩემი ქმარი ამბობს ხოლმე: ოჰ, გაიღვიძა შენში სვანურმაო ***(იცინის).***

**ცხოვრებაში ბევრი ეტაპი გავიარე, ჩავარდნებიც მქონდა და აღმავალი პერიოდებიც – ამის გარეშე არაფერი გამოვა**

**– სვანებზე რომ ანეკდოტებს ყვებიან, არ ბრაზობ?**

– არა, პირიქით, ბევრს ვიცინი ხოლმე. მაგრამ თუ ნამეტანია, ვამბობ – ეს გადაჭარბებულია, მთლად ეგრეც არ არის-მეთქი ***(იცინის).*** უფრო ჭორები მაღიზიანებს. ამას წინათ დაქალი მიყვებოდა: ერთ ადგილას მოვხვდი და ერთი გოგო იგიჟებდა თავს, სოფო გელოვანის ახლობელი ვარ, ქმარს გაშორდა, უეჭველი ვიციო. ვერ ვხვდები, რაში სჭირდებათ ასეთი ბოროტული ჭორაობა ჩემზე.

**– მამაკაცებს უყვართ, როცა საყვარელი მეორე ნახევარი სახლში გემრიელ კერძებს ახვედრებს.**

– ამ ეტაპზე ვერ ვიტყვი, რომ საოჯახო საქმეებს ვასწრებ და წინსაფარაფარებული ვხვდები ჩემს მეუღლეს, მაგრამ, კარგი კერძების მომზადება ნამდვილად ვიცი. უბრალოდ, დრო არ მრჩება, თორემ, რასაც ვაკეთებ, გემრიელს ვაკეთებ. დედა წარმოშობით აჭარელია და ძალიან გემრიელ საჭმელებს ამზადებს და ამაში გენეტიკურად დავემსგავსე, მაგრამ, ჯერ მისგან აჩმის გაკეთება ვერ ვისწავლე ***(იცინის).***

**– სოფო, ამბობენ მიწვევა გაქვს ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან და, შესაძლოა, სულ მალე საქართველო დატოვო – იქ გადახვიდე სამუშაოდ. ეს სიმართლეა?**

– სხვათა შორის, რუსეთიდან და ისრაელიდან მოწვევები მქონდა, მაგრამ, ამ ბოლო დროს ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან მაქვს სერიოზული შემოთავაზება. მოლაპარაკებები მიდის და ვნახოთ. „ევროვიზიის“ კონკურსიდან რომ დავბრუნდები, მერე დავფიქრდები ამაზე სერიოზულად და, არ არის გამორიცხული, დავთანხმდე კიდეც.

**ნონა დათეშიძე**

**სალომე ჭაჭუას წარმოდგენა ცეკვის გარეშე შეუძლებელია. ერთი სატელევიზიო პროექტი და მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლა. თუმცა, თავად ფიქრობს, რომ პოპულარობას მის ფერადოვან სამყაროში, სადაც ცეკვის დროს იკარგება და სულ სხვა სალომე „ჩნდება", ბევრი არაფერი შეუცვლია. ცხოვრებაში მშვიდია, წყნარი და მორიდებული, ვერც ბომონდურ სტილს შეეჩვია – დროის მეტ ნაწილს ისევ პარკეტზე, ახალი ცეკვის დადგმაში ატარებს. თუმცა, როგორია სალომეს ცხოვრება კადრში და კადრს მიღმა, ამას თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

# ვინ ჩაითრია სალომე ჭაჭუამ ცეკვის სამყაროში და რას არ დანებდა ის წლების წინ

**სალომე ჭაჭუა**: ცეკვის გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, არ არსებობს დღე, წუთი, მას შემდეგ, რაც ცხოვრება ცეკვას დავუკავშირე, რომ მის გარეშე გამეტარებინოს. ჩემი ცეკვის სამყარო ფერადია, ღია და თბილი ფერებით. როცა ვცეკვავ, ცხოვრება სხვანაირად მიხარია. 4 წლის ვიყავი, როცა მამამ ქართულ ცეკვებზე მიმიყვანა. მახსოვს, არ მომეწონა „იქ" ჩემი თავი, თუმცა სამი წელი მაინც ვიარე. ერთხელ, მამას ჩემს წასაყვანად გაკვეთილზე მოსვლა დააგვიანდა, ისე ვინერვიულე და განვიცადე: უპატრონოდ დავრჩი-მეთქი, იქით აღარც გამიხედავს. ცეკვაში შეჯიბრებისა და სპორტული პაექრობის ელემენტები, წაგება-მოგება მომწონს, რაც ქართულ ცეკვას ადრე არ ჰქონდა. ალბათ, ამიტომაც ავიცრუე მაშინ გული. ცეკვა ჩემთვის სპორტული მარათონია, სპორტი კი ყოველთვის მომწონდა. იყო დრო, ჩოგბურთით ვიყავი გატაცებული, მაგრამ მშობლებმა არ მატარეს: ფეხები დაგეკუნთებაო. იმ პერიოდში ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სამეჯლისო ცეკვების ტურნირი ტარდებოდა. ძალიან მომეწონა. სამი წელი ვეხვეწებოდი მამას, სამეჯლისო ცეკვებზე შემიყვანეთ-მეთქი. მამამ თქვა: შევიყვანოთ და მალე თვითონ მობეზრდებაო. მამა მანებივრებდა, მაგრამ თან, მკაცრადაც მზრდიდა. მაგალითად, არასდროს მტოვებდა ღამით მეგობართან: მერე უშენოდ როგორ დავიძინოო, მეტყოდა ხოლმე. ამას ისე მივეჩვიე, დღემდე არსად ვრჩები ღამით. აბიტურიენტობის დროს სტუდია „თელას" ცოტა ხნით დავანებე თავი. მშობლები ფიქრობდნენ, ცეკვა სწავლაში ხელს შემიშლიდა, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ცეკვის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო და უკანვე დავბრუნდი. მეცადინეობითა და ვარჯიშით თავს ვიკლავდი, რომ პაუზა არ დამტყობოდა. ჩემებს მას შემდეგ აღარ შეუშლიათ ხელი ცეკვაში.

**– არ იყო მცდელობა, შენც გაგეგრძელებინა ოჯახში იურისტობის ტრადიცია?**

– ჩემს ოჯახში იურისტობა ტრადიციად იქცა, მაგრამ ჩვენთვის, შვილებისთვის მაინცდამაინც არავის დაუძალებია ეს პროფესია აგვერჩია. ოჯახში, ერთადერთი ვარ, ვინც ეს ტრადიცია დაარღვია – მე საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე ჩავაბარე. თუმცა, ჩემგან დიპლომატი არ დადგა. დიპლომი ერთი დღეც კი არ გამომიყენებია. ადამიანს უნდა უყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებს, ისე გამორიცხულია წარმატებას მიაღწიო შენს პროფესიაში. ჩემი ოცნებაა ამერიკის მაღალი კლასის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ჩაბარება, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მიშვებენ. ეშინიათ, სამუდამოდ იქ არ დავრჩე. გიგიმ მითხრა, თუ დიდი სურვილი გაქვს, რადგან ერთად არ გვიშვებენ, თუ გინდა, მარტო წადიო, მაგრამ არ მინდა. ისეთი ჯიუტი ვარ, სანამ ჩემსას არ მივაღწევ, თავს არ დავანებებ. ალბათ, ამერიკაში წასვლის სურვილსაც ავისრულებ. თან, გიგი იმდენ საოცარ ისტორიას მიყვება ამერიკული ქორეოგრაფიული სასწავლებლის შესახებ, ჩემს წარმოსახვაში ხშირად ვარ იქ *(იცინის).* გიგი ერთხანს სწავლობდა ამერიკაში, ის, რა თქმა უნდა, ჩემზე კარგი მოცეკვავეა და მეც ბევრ რამეს მასწავლის. გიგი ჩემი მასწავლებელიც გამოდის.

## კარგი კულინარიც ვარ, გიგის ხათრით, „ბრაუნის" გამოცხობაც ვისწავლე

**– შენ და გიგი თითქმის უკვე დაოჯახდით.**

– თითქმის დავოჯახდით, მაგრამ ჯერ ერთად არ გადავსულვართ საცხოვრებლად. ჯერ არც ქორწილს ვგეგმავთ, არ ვჩქარობთ. არც ერთს არ გვაქვს ისეთი ასაკი, რომ გვეჩქარებოდეს.

**– იურისტების ოჯახიდან მოცეკვავეების ოჯახში შეხვალ. მომავალ დედამთილ-მამამთილთან მუშაობა იოლია?**

– კი, სანამ გიგის გავიცნობდი, მანამდე ვიცნობდი თენგიზ და ლარისა მასწავლებლებს. მათ დღემდე „მასწ-ს" ვეძახი და ყოველთვის ჩემს მასწავლებლებად დარჩებიან, მაშინც კი, მათი ოჯახის წევრი რომ გავხდები.



ცხოვრებაში წყნარი, მშვიდი და ჩუმი ვარ, სცენაზე – „ვფეთქდები"

**– შენს ცხოვრებაში პოპულარობა ძალიან უცბად, ერთი სატელევიზიო პროექტით მოვიდა, რა შეცვალა ამან შენ ირგვლივ?**

– შინაგანად ისევ ისეთი დავრჩი, როგორიც ვიყავი. მართლა არ შევცვლილვარ და ამას ყველა დაგიდასტურებთ, ვინც კი მიცნობს. ჩემს ცხოვრებაში შეიცვალა ის, რომ, რაც უფრო ცნობადი გავხდი, უფრო მეტი შემოთავაზება მაქვს. ვგრძნობ, რომ ხალხს ვუყვარვარ. პროექტის დაწყებამდე პოპულარობაზე ნამდვილად არ მიფიქრია. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთ წარმატებას თუ მომიტანდა.

**– როგორია სალომე ცეკვის დროს და სალომე ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

– ყველა ამბობს, რომ ცეკვის დროს სულ სხვანაირი ვარ. ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ. ჩემში ორი სალომე ცხოვრობს: წყნარი, მშვიდი, მორცხვი, რომელიც ცეკვის დროს აბსოლუტურად სხვანაირი ხდება. არ ვიცი, ეს როგორ გამომდის. უფრო მეტიც, პარკეტზე ყველა კომპლექსს ვიხსნი, რაც ცხოვრებაში მაქვს. ცეკვის დროს სრულიად თავისუფალი ვარ, თამამი, არ ვიცი ზღვარი, სხვა განზომილებაში და სამყაროში ვიკარგები *(იცინის).*

**– შენი ცხოვრების სტილი ბომონდური გახდა?**

– არა, ვარსკვლავური ცხოვრება ვერ შევითავსე. ვფიქრობ, ასე ცხოვრებას ბევრი მინუსი აქვს, თან ეს ჩემს ხასიათში არ არის. ქუჩაში, უცნობი ადამიანი რომ მომიახლოვდება და თბილ სიტყვებს მეტყვის, მაშინ მახსენდება, რომ ცნობილი ვარ. ცხოვრების წესი ჩვეულებრივი მაქვს – დღედაღამ სტუდიაში ვვარჯიშობ. ცეკვა ისეთი რამაა, ყოველდღე თუ არ ივარჯიშე, მაღალ დონეს ვერ მიაღწევ. როცა სადმე მიწვევენ, ღონისძიებაზე ან გადაღებაზე, სულ განვიცდი, რადგან ამ დროს საკუთარ საქმეს ვართმევ. ამიტომაც, ხშირად გვიან ღამით ვბრუნდები სტუდიაში და ვარჯიშს ვიწყებ.

**– მარტო?**

– ღამის თორმეტი საათიც რომ იყოს, ვარჯიშს ვერ ვუღალატებ. რეზოს ვურეკავ ხოლმე, მოდი, კომპანიონობა გამიწიე-მეთქი, რაზეც სულ ბურდღუნებს, თავი დამანებე, დამასვენეო. ხანდახან გიგიც უარს მეუბნება ღამით აქ მოსვლაზე, მეძინებაო, მაგრამ მე მაინც არ ვეშვები *(იცინის).* რა ვქნა, ცეკვას ვერაფერს მოვაკლებ. წარმოგიდგენიათ?! სიზმარშიც კი ვცეკვავ. დედა ამბობს, რომ ხანდახან ვბოდავ ფრაზებს, რაც ცეკვასთან ასოცირდება. დედა ბევრს ხუმრობს ამ თემაზე, მაგრამ ჩემი წინსვლა უხარია. სამწუხაროდ, მამა ვერ მოესწრო ამ ყველაფერს. დარწმუნებული ვარ, ჩემით ძალიან იამაყებდა. მას ყოველთვის ძალიან უხაროდა ჩემი წარმატებული გამოსვლები ტურნირებზე. როცა ერთად ვხვდებოდით სადმე წვეულებაზე, ტვისტს ვცეკვავდით ერთად. მამა კარგად არ ცეკვავდა, მაგრამ ჩემთან უყვარდა წაცეკვება. რაც გავიზარდე, დაბადების დღეებსა და ქორწილებში აღარ ვცეკვავ. „მიდი, რა, იცეკვე" რომ იციან, ჩემთან არ ჭრის. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს, რომ სადმე ვიცეკვო. ეს, როგორც ამბობენ, პროფესიონალების „სენია". სხვაგან, ყველგან სიამოვნებით ვცეკვავ, სახლში სულ პატარა ადგილიც მყოფნის, რომ ვიცეკვო და ახალი ილეთი დავამუშაო. დედა მეტყვის ხოლმე: მიკვირს, სახლში კიდევ რომ გაქვს ცეკვის თავიო. ხვდება, რომ ძალიან გადარეული ვარ ამ მხრივ. მგონი, არავინ ვარჯიშობს დღეში ორჯერ, ისე როგორც მე. ჩემი შემყურე, ნათლულიც კი ჩავითრიე ცეკვაში. უკვე სტუდიაში მოვიდა, მაგრამ მასწავლებლის როლში ისე მკაცრად ვექცევი, აღარ მინდა ცეკვაო, – ამბობს.

**– ცეკვის გარდა, რა არის შენი საყვარელი საქმე?**

– ცეკვის გარდა, მიყვარს კულინარია. ამბობენ, ისეთი ხელი მაქვს, რომ გემრიელი საჭმელები გამომდის. გიგის ხათრით ნამცხვრების გამოცხობაც ვისწავლე, „ბრაუნს" ვუკეთებ ხოლმე. მე არასდროს ვიყენებ რეცეპტებს, უცებ რაღაცას მოვიგონებ და გემრიელობები გამომდის. ძალიან მომწონს მაკიაჟის კეთება და ჩემი ყველაზე განთქმული ჰობი, კვლავ „როლიკებია". იყო პერიოდი, ძალიან მაგრად ვსრიალებდი „როლიკებზე". იმ პერიოდმა „შრამებიც" დამიტოვა მუხლებზე, დღესაც კი მემჩნევა, მაგრამ სრიალი ისე მიყვარდა, მაინც არ დავნებდი *(იცინის).*

**თამუნა ნიჟარაძე**

**„დღეს ქიოსზე აღარ დარჩა ჰომეროსის მოდგმა, ჯიში. მარტო მუზეუმის ფილა, ოცდახუთი საუკუნის გვაცნობს ოჯახს ჰომერიდას. შემდეგ ბევრი დრო გასულა და ოჯახი გაფანტულა. ლაზიკაში გადასულან?“... „საბერძნეთშიც, ლაზიკაშიც მაშინ რომი ბატონობდა, ლათინურად კი „ჰომერიკ“ – ჰომეროსისეულია. ჰომერიდნი დარჩენილან, შემდეგ გაქართველებულან, მათ ძველ გვარსაც ჟღერადობა შეუცვლია. როცა სკოლა დაიხურა, როცა აღარ გამოადგათ თავის ჰომერიკოსობა, ფაზისიდან, სად ტაძარიც აღარ იდგა მათი კერპის – აპოლონის, აი, მაშინ წასულან და გურიაში გადასულან“... – ეს ნაწყვეტებია ისტორიკოს მანანა ხომერიკის პოემიდან „ჩემი მცირე ოდისეა“. ქალბატონი მანანა რამდენჯერმე იმყოფებოდა კუნძულ ქიოსზე გამართულ აკადემია „ჰომერიკის“ კონგრესზე, სადაც ერთ-ერთი გამოსვლისას წაიკითხა ლექცია „ჰომერიდების მიგრაციის“ შესახებ, რომელიც ეხება ჰომერიდების საქართველოში გადმოსვლას. ქალბატონი მანანა ქიოსზე „ჰომეროსის ოქროს მედლით“ დააჯილდოეს.**

# ვინ არიან ქართველი ჰომერიდები და რატომ დააჯილდოეს მანანა ხომერიკი კუნძულ ქიოსზე ჰომეროსის ოქროს მედლით

**მანანა ხომერიკი**: ჩვენს ოჯახში შემორჩენილი იყო გადმოცემა იმის შესახებ, რომ ხომერიკების ნამდვილი გვარი საუკუნეების წინ იყო ჰომერიდი. როდესაც ურეკში ჩავდიოდი, ადგილობრივი მცხოვრებლები ყოველთვის მეუბნებოდნენ: თქვენ იყავით ბერძნები, ჰომერიდები, ჰომეროსის შვილებიო. ეს თემა ისე ღრმად ჩაიბეჭდა ჩემს გონებაში, რომ, ლიტერატურაში, ისტორიულ წყაროებში, სულ ვეძებდი ამის დამადასტურებელ ინფორმაციას. შემდეგ მივაკვლიე, რომ ჰომერიდების სამშობლო იყო კუნძული ქიოსი და სულ ვოცნებობდი იქ მოხვედრაზე. შევიტყვე ისიც, რომ ჰომერიდები დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის მეორე-მესამე საუკუნეებში გადმოსულან საქართველოში, გაქართველებულან და გვარსაც განუცდია ფონეტიკური ცვლილება – ჰომერიდი გამხდარა ხომერიკი... სხვათა შორის, ილია მაისურაძეს აქვს გვარ-სახელების ცნობარი, სადაც წერია: „ხომერიკი – გადმოცემით, ბერძნული გვარია“.

## კუნძული ქიოსი – მარადიული დაბრუნება

2007 წელს საშუალება მომეცა, მოვხვედრილიყავი კუნძულ ქიოსზე, რომელიც ჰომერიდების სამშობლო იყო. საქართველოში საბერძნეთის საელჩოს წარმომადგენლისგან შევიტყვე, რომ კუნძულ ქიოსზე ტარდებოდა აკადემია „ჰომერიკას“ კონგრესი. ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი, მაგრამ, მაინც მოვახერხე გამგზავრება და დასწრება. სხდომაზე ბრძანდებოდა აკადემია „ჰომერიკას“ დირექტორი, ქალბატონი მარია ელეფთერიაიათრაქო. აკადემია შედის „ევრო კლასიკაში“ („ევრო კლასიკა“ – ეს არის ანტიკური ენებისა და ცივილიზაციების პროფესორების ასოციაციების ევროპული ფედერაცია) და იგივე ქალბატონი ბრძანდება „ევრო კლასიკის“ პირველი, საპატიო ვიცე-პრეზიდენტი. აკადემია „ჰომერიკას“ მსოფლიო კონგრესი ყოველ ზაფხულს იკრიბება, რომლის ძირითადი თემაა „ჰომეროსი მსოფლიოში“. ქალბატონმა მარიამ იცოდა ჩემი ისტორია – მას წინასწარ გავუგზავნე მონაცემები იმის შესახებ, რომ ჩვენ, ანუ ჰომერიდები, მაშინ გადმოვედით საქართველოში, როდესაც კოლხეთის ტერიტორიაზე შექმნილი იყო ეგრისის, ანუ, ლაზიკის სამეფო. კონგრესზე, ჩემთვის მოულოდნელად, მან გამოაცხადა: „ჩვენ გვესწრება ქალბატონი ლაზიკის სამეფოდან“. სრულიად მოუმზადებელი ავედი კათედრაზე და ინგლისურად ვთქვი, რომ ყოველთვის ვიცოდი ჩემი წარმომავლობის შესახებ და ისიც, თუ რა იყო ჰომერიდების ძველი ფუნქციები, თან, დავიმოწმე პლატონი: „ჰომერიდები თავზე ადგამდნენ გვირგვინს პოეტურ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს“. ძალიან მოკლე იყო ჩემი გამოსვლა, მაგრამ, საოცრად დიდი რეაქცია მოჰყვა. კონგრესის შემდეგ მაჩერებდნენ ბერძენი ქალბატონები, პროფესორები და მეუბნებოდნენ, ჩვენ ვიტირეთ თქვენს გამოსვლაზეო. სულ ვგრძნობდი გადამეტებულ სითბოს კონგრესის მონაწილეებისგან. კუნძულ ქიოსზე ჰომეროსს ძალიან დიდ პატივს სცემენ, თითქოს ის ახლა გარდაიცვალა. ათეული საუკუნეების წინ მოხდა მისი გაღმერთება, მაგრამ, ეს დღემდე იგრძნობა. ასეთი დამოკიდებულების შემდეგ მივხვდი, რომ ჩემს მოსაზრებას ნოყიერი ნიადაგი ჰქონდა. შესაბამისად, ჩემი კვლევისთვის გარკვეული მიმართულება დავისახე.



**კონგრესზე, ჩემთვის მოულოდნელად, მან გამოაცხადა: „ჩვენ გვესწრება ქალბატონი ლაზიკის სამეფოდან“**

## ჰომერიდები – ჰომეროსის შთამომავლები

ჰომეროსმა ქიოსზე გაატარა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი და იქ დატოვა ფიზიკური შთამომავლობა, იქ შექმნა ოჯახი. სწორედ მის შთამომავლებს ეწოდებოდათ ჰომერიდები. მათ შესახებ მოგვითხრობს ძველი წელთაღრიცხვით მეექვსე-მეხუთე-მეოთხე საუკუნეების წერილობითი წყაროები და ეს გრძელდება ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნემდე. პირველად ჰომერიდებს ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში ახსენებს აკუსილაე არგოსელი. პინდარეს სქოლიასტი კი ჰომერიდების საგვარეულოს ასე განმარტავს: „ჰომერიდები პირველად ეწოდებოდათ ჰომეროსის ოჯახის წევრებს, მათ შთამომავლებს, ვინც ინახავდა ჰომეროსის ტრადიციას – მისი პოემების სიმღერით შესრულების წესს. გარკვეული ხნის შემდეგ ეს სახელწოდება სხვა პოეტებზეც გავრცელდა, რომლებიც ასევე იცავდნენ ჰომეროსის ტრადიციას, მაგრამ, არ იყვნენ მისი შთამომავლები. შემდგომში ჰომერიდების სახელწოდებით მოიხსენიებდნენ ჰომეროსის სპეციალისტებს, თაყვანისმცემლებს, მაგრამ, ქიოსზე იყვნენ მისი ფიზიკური შთამომავლები. ეს საგვარეულო ძალიან დაფასებული იყო. პლატონი რამდენიმე ადგილას მოიხსენიებს ჰომერიდებს, მაგრამ, მას აქვს ერთ-ერთი დიალოგი, რომელსაც ჰქვია „იონი“. თითქოს სოკრატე ესაუბრება იონს, ტრაგიკოს პოეტს, რომელიც ქიოსიდან იყო. იონი ამბობს: მე ისე კარგად ვასრულებ ჰომეროსის ნაწარმოებებს, ისე განვმარტავ მათ, ვიმსახურებ, თავად ჰომერიდებმა დამადგან თავზე ოქროს გვირგვინიო. აქედან უკვე იკვეთება, რა დიდი ფუნქცია ეკისრებოდათ ჰომერიდებს, ისინი კუნძულზე გარკვეულ კლანსა და ძალას წარმოადგენენ. ძალიან საინტერესო არტეფაქტი ინახება ქიოსზე. ეს არის ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის მონაცრისფრო ფილა, სადაც ამოკვეთილია ქიოსის წამყვანი საგვარეულოების დასახელებები და მათ შორის არიან ჰომერიდები. სხვათა შორის, ამავე ქვაზე არის მინაწერები, რომლებიც მეორე საუკუნით თარიღდება. აქედან ასკვნიან, რომ ჰომერიდები მეორე საუკუნეშიც ყოფილან ქიოსზე. ამის მერე კი მთავრდება მათი ხსენება. მაგრამ, მეოცე საუკუნეში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, იზმირთან ახლოს, კლაროსში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები და იქ აღმოჩნდა აპოლონის ტაძარი. ეს არის უძველესი ტაძარი, რომელიც აგებული იყო არაუადრეს ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნისა. ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნიდან მესამე საუკუნემდე, როდესაც იქ მიდიოდნენ მომლოცველები, ტაძრის სვეტებზე, კედლებზე ამოკვეთდნენ ხოლმე თავიანთ სახელებს და ასე ხდებოდა მათი სახელების უკვდავყოფა. ამ წესის წყალობით, ბევრი ინფორმაცია მოვიდა ჩვენამდე. ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნეში კუნძულ ქიოსიდან ჩავიდა მომლოცველი – ჰომეროსის შთამომავალი, ქორაგოსი – გუნდის ხელმძღვანელი, მეგენორი. მან ჩაიყვანა გუნდი და უგალობეს აპოლონს. პირდაპირ წერია, რომ ის არის ქიოსიდან, ჰომეროსის შთამომავალი, ანუ, ჰომერიდი. ამან მიბიძგა იმისკენ, რომ ორი წლის წინ წავსულიყავი გათხრებზე კლაროსში და საკუთარი თვალით მენახა ყველაფერი.




## ჰომერიდების მიგრაცია – როგორ აღმოჩნდნენ ისინი საქართველოში

როდესაც მეორედ ჩავედი კუნძულ ქიოსზე, ჩავიტანე ჩემი მოხსენება, რომელიც ეხებოდა ჰომერიდების მიგრაციას. დღეს ყველა მისტირის ჰომერიდებს, ჰომეროსის შთამომავლებს, მათ შესახებ არავინ არაფერი იცის, მაგრამ, არც არავის დაუსვამს კითხვა: სად წავიდნენ ისინი? მე კონგრესზე ჩემი ვერსია წამოვაყენე, რამაც ძალიან დიდი გამოხმაურება პოვა. ჩემი ვერსია კი მდგომარეობდა იმაში, რომ იმ დროს ფაზისს, ისევე როგორც დღევანდელ ფიჭვნარს, ძალიან მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ზოგადად საბერძნეთთან და კერძოდ – ქიოსთან, ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრები. ფაზისის რიტორიკული აკადემიის შესახებ ვიცით ბერძენი ორატორისა და ფილოსოფოსის წერილიდან, სადაც ის წერს, რომ თვითონაც აქ უსწავლია და მის მამას, ევგენიუსსაც. რიტორიკულ სკოლაში იმავე პროგრამით ასწავლიდნენ, რომლითაც საბერძნეთში. მაშინ აუცილებელი იყო ვირგილიუსის სწავლება, რომელიც ლათინურად ისწავლებოდა და ჰომეროსის, ცხადია – ბერძნულად. ამას სჭირდებოდა სპეციალისტი, ასეთები კი იყვნენ ჰომერი-

დები. ეს იმის ერთი უტყუარი მიზეზია, რის გამოც უნდა ჩამოსულიყო ფაზისში სპეციალისტი. ანუ, პერიოდიკაც ემთხვევა – აქ ფაზისის აკადემია გვაქვს და ქიოსზე ქრებიან ჰომერიდები. იმავდროულად, ჩემს კვლევაში წამოვწიე მეორე საკითხი: ფაზისში არსებობდა აპოლონის ტაძარი, ამის მტკიცებულება მოგვეპოვება ვერცხლის თასზე გაკეთებული წარწერის სახით: „მე ვარ აპოლონ წინამძღოლისა ფაზისელისა“, რომელიც თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნით. არ გამოვრიცხავ, რომ კლაროსზე მყოფი მეგენორი, რომელიც მომლოცველობას მისდევდა, აქაც ჩამოსულიყო და მოელოცა გუნდთან ერთად აპოლონის ტაძარი. თან, როგორც რიტორიკულ სკოლას სჭირდებოდა სპეციალისტები, ასევე, ბერძნულ ტაძარსაც დასჭირდებოდა თავისი სპეციალისტ-ქორაგოსი თუ სხვა ვინმე. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამის მერე ქიოსზე ჰომერიდების საგვარეულო ქრება, ხოლო ფაზისის რიტორიკული სკოლა უფრო და უფრო ძლიერდება. გასულ ზაფხულს ქიოსზე წავიკითხე სწორედ ეს მოხსენება – „ჰომერიდების მიგრაცია“. ჩემამდე მოხსენებით გამოდიოდა ჩინელი ჟურნალისტი, მთარგმნელი, რომელიც ათი წელია, ათენში ცხოვრობს. მან თავის მოხსენებაში ასეთი რამ თქვა: „ჰომეროსი ახლა ამ დარბაზშია, რადგან, როგორც ფოლკნერი ამბობს: „გუშინდელი დღე არ კვდება და არ იქცევა გარდასულად“. აქ ჩემი ჩამოსვლა ღირდა თუნდაც იმად, რომ კონგრესზე გავიცანი ჰომეროსის სისხლის მატარებელი ქალბატონი საქართველოდან. ჩემი ემოციის გადმოცემა, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია...“ ამის შემდეგ უკვე მე გამოვედი მოხსენებით და ეს ჩემი მხრიდან ძალიან თამამი განცხადება იყო, რადგან, კუნძულზე ჰომეროსის შემდეგ პირველები ჰომერიდები არიან. კუნძული სუნთქავს ჰომეროსითა და ჰომერიდებით და უცებ ვამბობ, რომ მე ვარ ჰომერიდი, ჰომეროსის შთამომავალი. ხომ შეიძლებოდა, ვინმეს წინააღმდეგობა გაეწია?! ჩემს გამოსვლას ესწრებოდა ძალიან ცნობილი ჰომეროლოგი, არაჩვეულებრივი მეცნიერი, ქალბატონი ათინა ლუტრარი. ჩემთვის ერთ მხარეს იდგა მთელი მსოფლიოს მეცნიერები და მეორე მხარეს – ეს ქალბატონი, რადგან, ძალიან კომპეტენტურია ამ საკითხში. ამიტომ, რას იტყოდა ის ჩემს მოხსენებაზე, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ყველამ საოცრად მიიღო ჩემი ვერსია ჰომერიდების მიგრაციის შესახებ და „ჰომეროსის ოქროს მედლით“ დამაჯილდოეს. ქალბატონი ათინა ლუტრარი ჩემი მხურვალე მხარდამჭერი გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ასეთი წერილიც მომწერა: „თქვენი ნამუშევარი ძალიან მნიშვნელოვანია ქიოსისა და, განსაკუთრებით, ჰომერიდების ისტორიისთვის. ამაღელვებელია ის ფაქტი, რომ ჰომერიდების კლანი, რომელსაც ესოდენ ღრმა ფესვები აქვს, გადარჩა საქართველოში და მისი შთამომავალი იკვლევს მას. თქვენი პოემა შესანიშნავია... უძველესი სკოლა ფაზისის ახლოს ძალიან საინტერესო საკითხია. მეც დავიწყებ მის კვლევას...“ კონგრესის შემდეგ ქიოსზე საღამოს ბანკეტები იმართებოდა. ბევრი მოდიოდა და მეუბნებოდა, ჩვენთვის დიდი პატივია, რომ აქ ჩამობრძანდით და გაგიცანითო. თავიდან არ ვიცოდი, ეს ხუმრობით უნდა მიმეღო თუ სერიოზულად. მე მათთვის ერთადერთი ცოცხალი ჰომერიდი ვიყავი. ამის შემდეგ დაუჯერებელი რამ მოხდა: მთელი ცხოვრება არქივებთან, საბუთებთან მაქვს საქმე, ძალიან მიყვარს პოეზია, მაგრამ, არასდროს არაფერი დამიწერია. ქიოსიდან დაბრუნების შემდეგ კი, უცებ რაღაც მომეძალა და დავწერე ერთი ლექსი, მერე მეორე... და შედგა პატარა პოემა, რომელსაც დავარქვი „ჩემი მცირე ოდისეა“. თავადვე ვთარგმნე ინგლისურად და ყდაზე ათინა ლუტრარის სიტყვები წავუმძღვარე: „ის ფაქტი, რომ ქიოსელი ჰომერიდების შთამომავლები საქართველოში ცხოვრობენ, ძალზე მნიშვნელოვანია კუნძულ ქიოსისთვის“. მათ, ასევე, აინტერესებდათ ხომერიკების გენოტიპი, ამიტომ, ჩვენი საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენლის ფოტო დავურთე ჩემს პოემას, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. უკვე მომივიდა მიპატიჟება მომავალ კონფერენციაზე, რომელიც ზაფხულში ჩატარდება და სადაც შემიძლია, ჩემი ნაშრომის პრეზენტაცია მოვაწყო. გარდა ამისა, წარდგენილი ვარ ორი კუნძულის – ქიოსისა და იონუსის საპატიო მოქალაქეობაზე, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივია.


ირმა ხომერიკი. მის თბილისი1986.

ქიოსი ულამაზესი კუნძულია, აქ ყველა ქვა, ადგილი ჰომეროსს უკავშირდება. თუმცა, ყველაზე მთავარი, რის სანახავადაც ტურისტები ჩადიან, ეს არის „დასკალო პეტრა“ – მასწავლებლის ქვა. ტრადიციის თანახმად, ჰომეროსი იქ იჯდა და კითხულობდა თავის პოემებს, იქ უსმენდა საზოგადოება, მოსწავლეები; მეორე ვერსიის თანახმად, ეს იყო ღია ცისქვეშ გაკეთებული ქალღმერთ კიბელას სამლოცველო. ყველგან, სადაც კიბელას ქანდაკება იდგა, მას აუცილებლად ახლდა ლომები და იქვე აუცილებლად იყო გამოქვაბულები, მღვიმეები. დღეს ქვის ზედა ნაწილი აღარ არსებობს, მაგრამ, ჯერ კიდევ იკვეთება ლომების გამოსახულება. ამიტომ, დიდი ალბათობაა, რომ აქ მართლაც ყოფილიყო კიბელას კულტი. კლაროსში აპოლონის ტაძარი ააშენა მანტომ, წინასწარმეტყველმა ქალმა. მანამდე იქ იყო კიბელას კულტი. ჩემმა მეგზურმა გამოქვაბულებიც მაჩვენა. რაც მთავარია, კიბელას კულტი უცხო არ იყო საქართველოსთვის. მდინარე ფაზისის გემების შემოსასვლელთან იდგა ქალღმერთის ქანდაკება, რომელსაც „ფაზიანას“ ეძახდნენ. ის იჯდა სავარძელში და გვერდით ჰყავდა ლომები, ანუ, ეს იყო იგივე კიბელა, დიდი დედა, იგივე რეა. ისეთივე იყო, როგორც ათენში ფიდიასის ხელით შექმნილი რეა-კიბელას ქანდაკება. გურიაში, სოფელ ძიმითში, სპეციალურად მოვაწყვე პატარა ექსპედიცია – იქ არის კიბელას ბორცვი, სადაც ბოლო დრომდე იმალებოდნენ რევოლუციონერები. თუკი რევოლუციონერები იმალებოდნენ, ესე იგი, იქ იყო მღვიმეც. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე დათვალიერება, რადგან, ციცაბოა, ლიანებითა და გვიმრებით სავსე, მაგრამ, იმედს ვიტოვებ, რომ იქ მომავალში მაინც განხორციელდება არქეოლოგიური გათხრები...

**ნათია უტიაშვილი**

# რა ოცნება აისრულა თიკა ალავიძემ და რაში აილო მან ტაიმაუტი ზაზა ფაჩულიასთან ერთად

(ოცდამეთხუთმეტე გვერდიდან)

– დედისთვის გოგო მაინც სულ სხვაა. ჯერ ერთი, უფრო დიდი გამოცდილება მაქვს ორი ბავშვის მერე, მეორეც – გოგო რომ არის, ძალიან ვერთობი. რაზეც ვოცნებობდი, გოგო რომ მყავდეს, ამას ვიზამ და იმას ვიზამ-მეთქი, ყველაფერს ვაკეთებ. ჯერ სად არის, გაიზარდოს და მერე ბალეტზეც შევიყვან. ეს განსხვავებაა, თორემ სამივეზე ერთნაირად ვგიჟდები.

**– მარიამი თუ მონათლეთ?**

– კი, ნიუ-იორკში მოვნათლეთ. ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, მარიამი პატრიარქს მოენათლა, მაგრამ ჩვენ გვეგონა, ბავშვი აუცილებლად თბილისში უნდა ჩამოგვეყვანა. რადგან მოუნათლავი ბავშვის წამოყვანა ამხელა გზაზე არ გვინდოდა, საპატრიარქოში დავრეკეთ და ვიკითხეთ, პატრიარქის ნათლიად მოხსენიება თუ შეგვეძლო აქ. გვითხრეს, რომ ეს შესაძლებელი იყო. გამოგვიგზავნეს პატრიარქისგან ჯვარი და ნათლობის მოწმობა. ასე რომ, მარიამი პატრიარქის ნათლულია და ამით ჩვენც ერთგვარი ოცნება ავისრულეთ. მესამე შვილის გაჩენის ერთ-ერთ მიზეზი ისიც იყო, რომ პატრიარქს მოენათლა.

**– თიკა, როგორც ინტერვიუს დასაწყისში აღნიშნე, ძალიან გადატვირთული დღის რეჟიმი გაქვს. ამის ფონზე, საკუთარი თავის მოვლისთვის თუ გრჩება დრო?**

– ვერ ვიტყვი, რომ არ მრჩება, თუმცა ისე არა, როგორც ადრე. ჩემი აზრით, ადამიანი თუ მოინდომებს, საკუთარი თავისთვის დროს ყოველთვის გამონახავს. ყველაფრის მოსწრება შეიძლება და არ მესმის, რომ ამბობენ, რომ ვერა და ვერ ვახერხებო.

**– გარდა იმისა, რომ უკვე სამი შვილის დედა და არაჩვეულებრივი მეუღლე ხარ, რა შეიცვალა იმ წლების განმავლობაში, რაც საქართველოდან წახვედი?**

– აქ ცხოვრებით ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. აქ უფრო დამოუკიდებელი გავხდი, რადგან გვერდით არ მყავს მეგობრები, ახლობლები და ყველაფრის გაკეთება დამოუკიდებლად მიწევს.

**– თუ წარმოგედგინა, რომ ამდენ რამეს თავს დამოუკიდებლად გაართმევდი?**

– თავიდან – არა, მანქანასაც კი ვერ ვატარებდი და მეგონა, რომ აქაურობას ვერასდროს მოვერგებოდი. მაგრამ, ყველაფერი მონდომებაა.

**– როცა ზაზას გასვლითი თამაშები აქვს, ბავშვებთან ერთად მარტოს გიწევს სახლში ყოფნა.**

– ძნელია, მაგრამ ამასაც შევეჩვიე. სანამ ბავშვები მეყოლებოდა, მაშინ უფრო ძნელი იყო – ხმის გამცემი არავინ მყავდა. ახლა უფრო კარგად ვარ, ბავშვებთან ერთად ბევრად უფრო სწრაფად გადის დრო.

**– რას ეტყვით ქართველ გულშემატკივარს?**

**ზაზა**: როგორც ყოველთვის, ველოდები ზაფხულს. ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ და ქართველ გულშემატკივარს შევხვდები. დიდი იმედი მაქვს, ნაკრებისთვის ეს წელიც წარმატებული იქნება. როცა შენი ქვეყნის სახელით გადიხარ და თან ასახელებ, გეამაყება. ეს დიდი პასუხისმგებლობაც არის ჩვენთვის. თიკა, შენ რას ეტყვი შენს გულშემატკივარს, ისევ დაუბრუნდები ცეკვას?

**თიკა**: ვერ ვიცეკვებ, რადგან, ალბათ, მაინც დროის ფაქტორია, თან ამისთვის ფორმაში ჩადგომაც აუცილებელია. ფიზიკურად არ ვარ საქართველოში, თორემ მანდ რომ ვიყო, ალბათ, ამასაც მოვახერხებდი.

**მარიკა ხიდურელი**

**ოთარ ტატიშვილის ბენდის ხელმძღვანელი, თეა დანელია სულ ცოტა ხნის წინ მეორედ გათხოვდა. მისი რჩეული ტელეოპერატორი რატი ბუაძე, რომელიც თურმე შესაშურ ნებისყოფას ფლობს და თეას გული, როგორც იქნა, მოინადირა. ცოლს ხუმრობით ჯუჯღუნას ეძახის. ბედნიერი წყვილი მოვიხელთეთ და ჩავწერეთ.**

# რატომ არ ჩქარობდა თეა დანელია მეორე ოჯახის შექმნას და როგორ მოხიბლა ის მომავალმა მეუღლემ „შკურკასავით" ხელებით

**თეა**: გაძლება აქვს, იცოცხლე! თან, წინასწარ იცოდა, ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ, ყველაფერს ვამბობ. ისე, თქმაც არ არის საჭირო, ერთი-ორჯერ რომ შემომხედავ, მიხვდები, არ ვარ ადვილი გასაძლები. მაგრამ, როგორც კი მივხვდით, რაღაცეები ხდება, ეგრევე ეგ საკითხი გავარკვიეთ: რომ არც მთლად ანგელოზი ვარ, არც ფრთები ამომდის და არც არასოდეს ამომივა ***(იცინის).*** ყველაფერი უცებ არ მომხდარა, ურთიერთობამ მოიტანა. რაღაცეები დავინახეთ ერთმანეთში, რაც გვჭირდებოდა და გვაკლდა.

**– რამ მოგხიბლა რატიში?**

– საოცარი ბუნების ადამიანია. მომთმენი და კეთილი, ძალიან ბავშვურია, შეუძლია, სულ ისე მოიქცეს, რომ ბევრი ვიხალისო – მე ძალიან კომფორტულად ვგრძნობ რატისთან თავს. თავიდან ეს მომენტი იყო, მერე ბევრი საერთო რაღაც აღმოვაჩინეთ: სულ ერთსა და იმავე რაღაცას ვფიქრობთ და ვაკეთებთ; რაც ძირითადად გინებით მთავრდება ხოლმე.

**– რომელი უფრო მეტს უთმობთ ერთმანეთს – რატი სისხლს გიშრობს?**

**რატი**: კი. ხანდახან შევუჩნდები და ვაწვალებ ხოლმე. არ მიყვარს, როცა ცუდ ხასიათზეა და ყველანაირად ვცდილობ, გამოვიყვანო...

**თეა**: ამ ბოლო დროს მაგარი რაღაც დამიმუღამა: მოკლედ, რომ ავქოთქოთდები, გადავირევი, სახეზე ნიანგი მაქვს ამოსული და საშინელებები მემართება, საყვარელი, გაღიმებული სახით წინ მიდგას და „ჯუჯღუნა-ჯუჯღუნას" მეძახის. ერთხელ საჭესთან ვზივარ და იმდენჯერ მითხრა, ჯუჯღუნაო, სიცილი ამიტყდა. ძალიან ვიყავი გაბრაზებული, მაგრამ მაინც გამეცინა – რომ ვიცინი, თვალები ლოყებში მემალება და ველარაფერს ვხედავ. ვეუბნები, ბიჭო, გაჩერდი, თორემ გადავიჩეხებით-მეთქი ***(იცინის).***

**– ესე იგი, შენ მძღოლი ხარ და მეუღლე გვერდით გიზის?**

– ხან მე ვზივარ, ხან – რატი. მართვის მოწმობა ავიღე ივლისის ბოლოს, ეგრევე მანქანა ვიყიდე და ბათუმში წავედი. ყველა მეუბნებოდა, არ წახვიდე, ახალნაყიდი მანქანითო, მაგრამ არ დავუჯერე – მშვენივრად წავედი და წამოვედი. ბათუმში წასვლის წინა ღამეს მე და რატიმ ჩავატარეთ ექსპერიმენტი და ჩავედით გორამდე.

**– ქალბატონო, გზაში მძღოლი კაცები არ გისიგნალებენ და იგინებიან?**

– პირიქით, მე ვარ ეგეთი, ვიგინები რომელია! ერთხელ იყო შემთხვევა – ვზივარ საჭესთან და უკან მისხედან ჩემნაირი ფერხორციანი, მშვენიერი დაქალები. სადღაც მივდიოდით, არ მახსოვს. უცებ წინ დიდმა „ჯიპმა" ჩაგვიჭრა გზა, თან ძალიან ცუდად. რაც კი რამე ცუდი სიტყვა ვიცოდი, ყველა ვთქვი კაცის ხმით, არაადამიანურად ვღრიალებდი ***(იცინის).*** ფანჯარა რომ ჩავწიე, კაცი გაშტერდა...

**– სწრაფად დაჰყავს, რატი?**

**რატი**: არა, რას ამბობ ძალიან კარგი მძღოლია!

**თეა**: განსაკუთრებით თუ ბავშვი მიზის მანქანაში, კდემამოსილების პიკი ვარ – 60-ით დამყავს. დედაჩემს ვეუბნები: დე, ერთი ჩამიჯექი მანქანაში, არ გაინტერესებს როგორ ვატარებ-მეთქი? მეუბნება: კი, შვილო, ჩაგიჯდები, მაგრამ მანამდე ყველა ახლობელს დავურეკავ და დავემშვიდობებიო. 60-ით მიმყავდა მანქანა და მეუბნებოდა, რა ჩქარა დადიხარო.

**– თქვენი რომანტიკული ურთიერთობა როდის დაიწყო?**

– 2012-ის, მარტში, საკუთარ დაბადების დღეზე მივხვდი, რომ რაღაც სხვანაირად იყო, სადღაც ძაღლის თავი იყო დამარხული. ურთიერთობაში რატი ჰიპერაქტიურია ჩემთან მიმართებაში. გარეგნულად კი ჩანს წყნარი. სულ იმაზე ფიქრობს, რით მასიამოვნოს. თან, ხომ გააჩნია რა ხერხებით ცდილობს.

**– ძალიან ცუდი აზრის კი იყავი ადრე კაცებზე.**

– ახლაც ცუდი აზრის ვარ, კი არ შემიცვლია ***(იცინიან).*** უბრალოდ გამონაკლისი წესს ადასტურებს.

**– სახლში არ გაქვთ ოჯახური იდილია? რას აკეთებთ?**

– ჩემს შვილს აქვს სათამაშოების დიდი ყუთი და ჩვენც მეტი რა გვინდა, ვერთობით, ვმაიმუნობთ ხოლმე.

**– ბენდის ბიჭები რა აზრის იყვნენ თქვენს ურთიერთობაზე?**

– ძალიან გაუხარდათ, თვითონ რატი ისეთი ტიპია, ერთი-ორჯერ რომ დაეკონტაქტო, ხვდები, რომ „ეგ არის". დანარჩენებს უფრო გამადიდებელი შუშით და კრიტიკული თვალით უყურებდნენ. ის კი არა, რომ ვკამათობთ, ხშირად რატის



**თეა: „რაღაც მომენტში მე „ვზადნავდი" ჩვენს ურთიერთობაში... მე ხომ ანგელოზის ხასიათი მაქვს"**

მხარეს იჭერენ, მე უფრო მეჩხუბებოდნენ ხოლმე – რაღაც მომენტში მე „ვზადნავდი" ჩვენს ურთიერთობაში და იმიტომ... მე ხომ ანგელოზის ხასიათი მაქვს ***(იცინის).*** მეცოდებოდა ეს ბიჭი, არ მემეტებოდა ჩემნაირი ქალისთვის ***(იცინის).*** ასატანი ნამდვილად ვარ. ის, რომ ამას ეს სიამოვნებს, სხვა მომენტია. კაცები არიან ბენდის წევრები და ამის მხარეს იჭერენ. სხვა ქალიც რომ იყოს ბენდში, ის ხომ მეტყოდა: მიდი, გაატარე მანქანაშიო. ჩემს მეგობრებსაც ძალიან მოეწონათ რატი – მონათლეს და თემში მიიღეს. რაც უნდა თქვა: მე მიყვარს და სხვისი აზრი არ მაინტერესებსო, მაინც დისკომფორტია, როცა შენს გარემოცვას არ მოსწონს შენი რჩეული – მერე რაღაცეები ფუჭდება. რატის ჩემს მეგობრებთან უჩემოდაც კარგი ურთიერთობა აქვს.

**– თეა, ხშირ შემთხვევაში ადამიანებს უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა და მეორე ოჯახის შექმნა. შენთან როგორ იყო ამ მხრივ საქმე?**

– ძალიან გამიჭირდა.. ამის გამო რატიც ძალიან ვაწვალე. ერთხელ ცხელ უთოს ხელს რომ მოჰკიდებ, მერე სულ ფრთხილად უნდა იყო. ყველას ვბლოკავდი, რატისაც, მათ შორის. უბრალოდ, რატისთან ერთად ვმუშაობდი, ვმეგობრობდით და დისტანციის დაჭერა არ გამოვიდოდა. ძალიან შემეშინდა და დავიძაბე თავიდან, ჩავიკეტე, მაგრამ ამ კაცმა შეძლო ის, რაც სხვებმა ვერ შეძლეს, ბოლომდე იბრძოლა. სულ ველოდებოდი რატისგან, რომ იტყოდა: ერთი ამის დედაც ვატირეო, მაგრამ არ უთქვამს და მშვენიერი ჯილდოც მიიღო ***(იცინის).*** უბრალოდ, ერთმანეთის გადაკეთება არ გვიცდია. ისე, ეს სერიოზული მაზოხისტია, მე რომ მიტანს. ექიმთან უნდა მივიყვანო.

**– ფსიქიატრთან?**

– მინიმუმ, ნევროპათოლოგთან.

**რატი**: აქედან ყველანი მივდივართ ნევროპათოლოგთან ***(იცინიან).***

**თეა**: თუ იმკურნალა და გამოჯანმრთელდა, მერე მეც აღარ ვენდომები. მომწონს, ასეთი ავადმყოფი რომ არის.

**– მეუღლის მშობლებმა როგორ მიგიღეს?**

– ძლივს წამიყვანა რატიმ გასაცნობად. ოჯახის შექმნას რომ აპირებდა, დედამისმა უფრო ადრე გაიგო, ვიდრე მე. ძალიან მაგარი დედა ჰყავს, დაკომპლექსებული ვიყავი, ვკანკალებდი – არც ისე პატარა ვარ, შვილიანი, განქორწინებული, ხომ ხვდები, თან საქართველოში. პირველად პატარა ვიყავი, რომ გავიპარე და არ მქონდა ეს ყველაფერი გამოვლილი. მივედი და ტვირთი მომეხსნა გულიდან. ბებია ჰყავს ფანტასტიკური, გიჟდება ჩემზე. აკორდეონზე ბოშურ სიმღერებს უკრავს და მღერის. მეც მიმღერა.

**– არ დატრიალდი დედამთილის საამებლად?**

– ვინმე რამეს მაცლის? ***(იცინის).*** თეფშის გადადებას არ მაცლის. იჯექი, შენ დაღლილი ხარ, მუშაობო. ძალიან მაგარი ურთიერთობა გვაქვს. ნუნუშკას ვეძახი. ამას წინათ დავურეკე: დედი, მშია-მეთქი. ხანდახან ამას ეზარება და ვეუბნები, რატი, წამო, დედაშენთან წავიდეთ-მეთქი. პირველად რომ მივედი, ჯერ ყავა დავლიეთ, მერე ყავა გადაიზარდა ლიტრა-ნახევარ არაყში. მე უფრო მეტს ვსვამ, ვიდრე რატი.

**– რატის როგორი სიმთვრალე აქვს?**

**რატი**: ო, საშინელი სიმთვრალე მაქვს ***(იცინის).*** ვჩხუბობ და ვლეწავ ყველაფერს.

**თეა**: აბა, პათოლოგიური სიმთვრალე აქვს! ყველა უყვარს, სვამს 3-4 ჭიქას, ცეკვავს უგონოდ და ფანტასტიკურად. რატის ცეკვამ მომხიბლა, ეს იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი. გუფის ქორწილში იმდენი ვიცეკვეთ, დავიმხეთ ყველაფერი. ილიკო სუხიშვილთან მივიდა, მეცეკვეო. ილიკომ უპასუხა, არ ვცეკვავ, ბოდიშიო ***(იცინიან).*** არადა მე გადავუხტი მერე. მეც მიყვარს მუსიკის რიტმისთვის სხეულის აყოლება. „ფარენგეიტში" წავედით მეგობრები და პირველად იქ იცეკვა. ბარმენი ფედიაა იქ, ყველაზე მაგარ კოქტეილებს ამზადებს. წამოდი, სადა ბანაობ, „ქრეიზი ორენჯი" უნდა გაგასინჯო-მეთქი, ვუთხარი. ორი დალია ზედიზედ. იმდენი იცეკვა, მოვიხიბლე.

**რატი**: 12 წელი ვცეკვავდი ქართულ ცეკვებს.

**– რატი, რა მოგეწონა თეაში?**

**რატი:** ძუძუები ***(იცინიან).*** ღიმილმა მომხიბლა ძალიან.

**თეა**: მე მომეწონა ხელი, დეტალებს ვაქცევ ყურადღებას: ფეხსაცმელებს – წვეტიანი და ლაკის „ტუფლები" ხომ არ აცვია...

**რატი**: რამ მოაწონა ჩემი ხელები, „შკურკასავით" მაქვს ***(იცინიან).***

**– ზუკამ როგორ მიიღო რატი?**

**თეა:** ბევრად უფრო პოზიტიურად, ვიდრე ველოდი. ყოველთვის ყველაფერს ვუყვები, ზუკაც იცნობდა რატის... მამას ეძახის, ხან კი – რატის... რას ფიქრობ-მეთქი, ვკითხე. მე რა უნდა ვიფიქრო, შენ რას ფიქრობო. არ ჰქონია ეჭვიანობის მომენტი.

**– რატი, შენთვის ეს პირველი ქორწინებაა?**

**რატი:** არა, განქორწინებული ვარ, მყავს 11 წლის ვაჟი. 11 წელი ვიცხოვრეთ ერთად და განქორწინება გადავწყვიტეთ.

**– ჯვრისწერას გეგმავთ?**

– კი, თუ უახლოეს მომავალში არა, მომავალში მაინც. წავიდეთ, ჯვარი დავიწეროთ და სახლში დავბრუნდეთ, არ მინდა. არც ის მინდა, რომ სეფა და 500-კაციანი სუფრა გვქონდეს.

**ქეთი დიდებულიძე**

# ჩემპიონების დიეტა

ვინ იცის, რამდენჯერ შეგიხედავთ ტანმოვარჯიშე გოგონების უნიკალო აღნაგობისთვის თეთრი შურით. თქვენც გინდათ, გქონდეთ ასეთი ტანი? მოსინჯეთ, იქნებ, თქვენც გაუძლოთ ტანმოვარჯიშეების დიეტას და, შედეგიც, მთლად სასურველი თუ არა, მასთან მაქსიმალურად მიახლოებული მაინც მიიღოთ; თუმცა, წინასწარ უნდა შეეგუოთ იმას, რომ დიდი ნებისყოფის გამოვლენა მოგიწევთ, რადგან, ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იქნება.

ამ გოგონების უდახვეწილესი ტანი არა მარტო ყოველდღიური ვარჯიშის, არამედ, ამასთან ერთად, ბალანსირებული კვების შედეგია. სპორტსმენების რეჟიმი ისეა შედგენილი, რომ საკვების მიღება ერთსა და იმავე საათზე ხდება. მნიშვნელოვანია, რომ უნდა მიირთვათ ვარჯიშამდე სულ მცირე 2 საათით ადრე; ასევე, 2 საათით ადრე დაძინებამდე. საუზმე უნდა შედგებოდეს ნახშირწყლებისგან, სადილი – ცილებისგან, ვახშამი კი – ძირითადად ხილისა და ბოსტნეულისგან.



როგორც წესი, საუზმე იყოფა ორ ნაწილად, რათა ვარჯიშის წინ კუჭი არ გადაიტვირთოს. ნახშირწყლების მისაღებად მიზანშეწონილია წიწიბურას, ქერის, შვრიის ან ბრინჯის ფაფები (უცხიმოდ); სადილად – მჭლე საქონლის ან ფრინველის ხორცი ან უცხიმო თევზი (ყველაფერი მოხარშული, ორთქლზე მომზადებული ან აირღუმელში უცხიმოდ შემწვარი). ცხიმების რაოდენობა მკვეთრად არის განსაზღვრული, მაგრამ, მისი მთლიანად გამორიცხვა არ შეიძლება, რათა ორგანიზმმა უჯერი ცხიმმჟავების დეფიციტი არ განიცადოს. სასარგებლო ცხიმების წყაროა: მცენარეული ზეთები, მზესუმზირა, ნიგოზი. ნამცხვარი და კანფეტები ჩაანაცვლეთ შავი ქლიავის ან გარგარის ჩირით („კურაგა") და ნიგვზით. ძალიან იშვიათად ნებადართულია, შავი (მწარე) შოკოლადის ნატეხითაც გაინებივროთ თავი.

კარგი სპორტული შედეგების მისაღწევად ტანმოვარჯიშეებმა უნდა მიიღონ დღეში 2-2,5 ლიტრი სითხე (საკვებში შემავალი სითხის ჩათვლით). რეკომენდებულია გაზგასული მინერალური წყალი, ასკილის ნახარში, ხილისა და ბოსტნეულის ახალგამოწურული წვენები (უშაქროდ). სასურველია კოფეინის შემცველი სასმელებისგან თავის შეკავება, რადგან ისინი შარდმდენია, ვარჯიშის პერიოდში კი ორგანიზმი ისედაც ბევრ სითხეს კარგავს. ასეთ დროს რომ არ მოხდეს გაუწყლოება, ვარჯიშისას, ყოველ ნახევარ საათში უნდა დალიოთ 150-200 მილილიტრი წყალი.

კვირაში ერთხელ, იმ დღეს, როცა არ აპირებთ სერიოზულ ვარჯიშს, მოაწყვეთ განტვირთვის დღე (უცხიმო მაწვნის ან კეფირის, ვაშლის, კენკრეულის). თუ საჭიროა ზედმეტი ორიოდე კილოგრამის მოშორება, ტანმოვარჯიშეები მიმართავენ ორდღიან ექსპრეს-დიეტას: პირველ დღეს დასაშვებია მხოლოდ კანგაცლილი პომიდვრისა და მწვანილის კოქტეილი; მეორე დღეს – ბალი (რადგან ჯერ ბალის სეზონი არ არის, შეგიძლიათ, ვაშლით ჩაანაცვლოთ). სასმელებიდან კი ნებადართულია მხოლოდ წყალი და უშაქრო მწვანე ჩაი.

უპირატესობა მიანიჭეთ: ნაკლებცხიმიან რძემჟავა პროდუქტებს, ბოსტნეულს, ხილსა და კენკრას; ასევე, მჭლე ხორცსა და უცხიმო თევზს.

რაციონიდან მთლიანად ამოიღეთ ხელოვნური სალებავებისა და არომატიზატორების შემცველი პროდუქტები – ჩიპსები, ორცხობილები, რძიანი შოკოლადი, ასევე გაზიანი წყლები და ცომეული.

**მენიუ ნიმუშისთვის (პირველი ვარიანტი)**

***პირველი საუზმე*** (7.00-8.00) – 2 სადილის კოვზი ჰერკულესისგან მოხარშეთ ფაფა (წყალზე დამზადებული, უცხიმოდ); 50 გრამი უცხიმო, ქიშმიშიანი ხაჭო; 1 ნაჭერი ცეხვილი შავი პური (უსაფუარო); 1 ჭიქა მწვანე ჩაი თითო კოვზი თაფლითა და ლიმონის წვენით.

***მეორე საუზმე*** (10.00-11.00) – 1 ჩაის ჭიქა უცხიმო კეფირი (ან მაწონი); 1 ცალი გამომცხვარი ვაშლი.

***სადილი*** (14.00-15.00) – 1 ჩამჩა ბოსტნეულის სუპი (უცხიმო); 1 ცალი მჭლე ხორცის კატლეტი (ორთქლზე მომზადებული); 100 გრამი მოხარშული ყვავილოვანი კომბოსტო; მწვანე ჩაი ლიმონითა და თაფლით.

***ვახშამი*** (18.00-19.00) – 150 გრამი უმი კომბოსტოსა და სტაფილოს სალათა; 1 ცალი მოხარშული კვერცხი; 1 ცალი გრეიპფრუტი.

**მენიუ ნიმუშისთვის (მეორე ვარიანტი)**

***პირველი საუზმე*** (7.00-8.00 – უცხიმო რძეში მოხარშული 3 სადილის კოვზი წიწიბურას ფაფა; 1 ჭიქა ასკილის ნახარში, თითო კოვზი თაფლითა და ლიმონის წვენით.

***მეორე*** საუზმე (10.00-11.00) – 100 გრამი უცხიმო ხაჭო ან უცხიმო და უმარილო ყველი; 1 ჭიქა უცხიმო კეფირი (ან მაწონი).

***სადილი*** (14.00-15.00) – 200 გრამი მოხარშული ხორცი, 1 ცალი მოხარშული კვერცხი, 100 გრამი სალათა (ვაშლის, უმი კომბოსტოსა და სტაფილოსგან); 1 ჭიქა უშაქრო კომპოტი სხვადასხვა ჩირისგან.

***ვახშამი*** (18.00-19.00) – ბოსტნეულისა და ზღვის პროდუქტების სალათა – 250-300 გრამი; 1 ჭიქა ახალი მოხარშული ვაშლის კომპოტი (უშაქროდ).

***დიეტოლოგის რჩევა:*** ქალბატონებმა, რომლებსაც შეუძლიათ, აქტიურად დაკავდნენ სპორტით, საკვები უნდა მიიღონ 3-4 საათში ერთხელ. რაციონი უნდა შედგებოდეს ორი საუზმის, სადილის, ვახშმისა და შუალედებში 2 წახემსებისგან. სასურველია, თუ ფაფებში ქლიავის, ვაშლის ან გარგარის ჩირს შეურევთ – ჩირი წმენდს ორგანიზმს და ამდიდრებს მას მიკროელემენტებით. ბოლო კვება დაძინებამდე 4 საათით ადრე უნდა მიიღოთ.

ვარჯიშამდე 2 საათით ადრე და ვარჯიშის დასრულების შემდეგ 1-2 საათის განმავლობაში არ არის რეკომენდებული მაძღრისად ჭამა.

ვარჯიშის დროს სვით ჩვეულებრივი სასმელი წყალი: 200 მილილიტრი – ვარჯიშამდე, 400 მილილიტრი – ვარჯიშის პროცესში (შუალედებით), 200 მილილიტრი – ვარჯიშის შემდეგ. აუცილებელია ღამით 7-8 საათი ძილი. სრულყოფილი ძილი ხელს უწყობს ცხიმების წვას მუცლის არეში.

წარმატებას გისურვებთ!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ასაკის მატებასთან ერთად, რატომ თხელდება თმა, ეკარგება ელასტიკურობა და სირბილე და რატომ ხდება თმის ღერი სუსტი და ადვილად მტვრევადი? ასევე, მაინტერესებს, რით შეიძლება ვუშველო ამ პრობლემას?**

**პასუხი:** ძირითადი კომპონენტი, რომლისგანაც შედგება ჩვენი თმა, არის კერატინი. ასაკის მატებასთან ერთად მცირდება თმაში მისი შემცველობა და თქვენ მიერ ჩამოთვლილი პრობლემები სწორედ ამის შედეგია.

არსებობს თხევადი კერატინი, რომელიც აღადგენს თმის სტრუქტურას და ღრმად კვებავს თითოეული ღერის ბოლქვს, უზრუნველყოფს თმის ჯანმრთელ ზრდას ფესვიდან ღერის ბოლომდე და იცავს თმის გარემოს ნეგატიური ზეგავლენისგან.

**კითხვა: რა დადებითი თვისებები აქვს თმისთვის ბამბუკის ექსტრაქტს?**

**პასუხი:** თავისი ბუნებრივი მონაცემების წყალობით, ბამბუკის ექსტრაქტი სძენს თმას სიმკვრივესა და დრეკადობას. ის ეფექტურად ამაგრებს ძირებს, ხელს უწყობს თმის აქტიურ ზრდას და ძირებიდანვე ზრდის მის მოცულობას.

**კითხვა: როგორ მოვიშორო სახიდან და ხელებიდან პიგმენტური ლაქები?**

**პასუხი:** ამისთვის რამდენიმე საშუალება არსებობს. ერთ-ერთია მათეთრებელი კრემები, რომლებიც აუცილებლად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გამოიყენოთ. თვითმკურნალობამ, შესაძლოა, უკუჩვენება მოგცეთ და ლაქები უფრო გამუქდეს ან დერმატიტი ჩამოყალიბდეს. მათეთრებელი კრემების მოხმარება აკრძალულია: ორსულებისთვის, მეძუძური დედებისთვის და მათთვის, ვისაც აწუხებს თირკმელები, ღვიძლი, ღრძილები.

ლაქების მოსაშორებლად, ასევე, შეიძლება ჩაიტაროთ ქიმიური პილინგი: მჟავების სუსტი ხსნარით შორდება კანის ზედა შრე. ეს მეთოდი თითქმის უმტკივნეულოა, მხოლოდ ოდნავ წვას იგრძნობთ, ხოლო სიწითლე და ოდნავი შეშუპება მეორე დღესვე გაგივლით (ამ შემთხვევაში ექიმის გარეშე ნუ იმოქმედებთ).

არსებობს, ასევე, სხვა საშუალებაც, კერძოდ, სახის ლაზერული წმენდა და ფოტოთერაპია – ლაზერი აშორებს პიგმენტურ ლაქას და ამავდროულად, აუმჯობესებს კანის ტონუსს; ფოტოთერაპიით კი შესაძლებელია, პიგმენტური ლაქების ინტენსიური იმპულსური სხივებით უმტკივნეულოდ მოშორება. კანის უმნიშვნელო სიწითლე ერთ-ორ დღეში გაგივლით.



მოამზადა
თამრიკო ზამთარაძე

# როგორ გახდა მკვლელი ცნობილი ქართველი პროფესორი

## მოპარული ატლასი

ნონამ კარი გააღო, სახლში შევიდა და ძალიან უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა. პროფესორი არ შემოეგება და მოახლე გოგონას გულმა რეჩხი უყო. მან პროფესორის კაბინეტს მიაშურა და გაქვავდა. გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ვასილ ლეონიძე სავარძელში იჯდა, თავი მარცხნივ ჰქონდა გადაგდებული და გაშავებულ სახეზე ეტყობოდა, რომ გარდაცვლილი იყო. იატაკზე ნიტროგლიცერინის ღია კოლოფი ეგდო და აბები ხალიჩაზე ეყარა. პროფესორის კაბინეტი არეულ-დარეული იყო, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ იქ ვიღაც რაღაცას ეძებდა. ნონამ შეჰკივლა, სასტუმრო ოთახში გავიდა და მილიციას გამოუძახა.

მილიციის ოპერჯგუფი, პროკურატურის გამომძიებლები და ექსპერტ-კრიმინალისტები ერთდროულად მივიდნენ პროფესორის სახლში. მილიციის კაპიტანმა დიმიტრი მიქაძემ ფაქტის მოკვლევა დაიწყო. რაც სავარაუდო დანაშაულზე მიუთითებდა, ის გახლდათ, რომ პროფესორის კაბინეტი არეულ-დარეული იყო. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ პროფესორი ვასილ ლეონიძე ინფარქტით გარდაიცვალა და ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

კაპიტანმა დიმიტრი მიქაძემ იმავე საღამოს დაკითხა ბათუმიდან ჩამოსული პროფესორის ქალიშვილი ლია. მას მამის კაბინეტი დაათვალიერებინა და მხოლოდ ამის შემდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რაც ლიამ აღმოაჩინა, რომ 1881 წელს პეტერბურგში გამოცემული გეოლოგიური ატლასი იყო დაკარგული. საქმე ქურდობის მუხლით აღძრეს. მანამდე კი მიქაძემ ლიას ჰკითხა:

– დარწმუნებული ხართ, რომ წიგნი მართლაც გაქრა? იქნებ ის მამათქვენმა ვინმეს ათხოვა?

– გამორიცხულია, – თავი გააქნია ლიამ, – მამა წიგნებს არავის ათხოვებდა.

– რამე ბიბლიოგრაფიული ან სხვა ღირებულება ხომ არ ჰქონდა დაკარგულ წიგნს. იქნებ, ის ათასები ღირდა?

– არ მგონია. მართალია, ძალიან ძველი იყო, ვაისმანის გამოცემა, მაგრამ ასეთი ფასი მაინც არ ექნებოდა. აქ სხვა რამეშია საქმე. მით უმეტეს, რომ მამის სეიფები ხელუხლებელია. იქ კი, საკმაოდ ბევრი ძვირფასეულობაა შენახული.

– რას გულისხმობთ?

ლია ლეონიძე კედელზე დაკიდებულ უცნობი მხატვრის რეპროდუქციას მიუახლოვდა და ნახატი ჩამოხსნა. შემდეგ კედელში ჩამონტაჟებული ორი სეიფი გახსნა და კაპიტანს უთხრა:

– აი, ნახეთ, სეიფები ხელუხლებელია.

**პროფესორი ბაგშა გამოტყდა, რომ მან ჯერ ატლასი მოაპარინა ქურდს, შემდეგ კი მოკლა და მტკვარში ჩააგდო**

დიმიტრი მიქაძემ საქმე ქურდობის მუხლით აღძრა და პროფესორის მოახლე, 19 წლის ნონა მურვანიძე დაკითხა. გოგონამ მიქაძეს უთხრა, რომ პროფესორის ცხედარი დილის 10 საათსა და 15 წუთზე აღმოაჩინა. გამომძიებლმა კი მეზობლებისა და გასტრონომის გამყიდვლის დაკითხვების შემდეგ გაარკვია, რომ პროფესორი ლეონიძე დაახლოებით დილის 9 საათზე ჯერ გასტრონომში შევიდა და სიგარეტი „საქართველო“ იყიდა, შემდეგ აფთიაქში შეიარა და ნიტროგლიცერინის კოლოფი შეიძინა. როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტმა ცხადყო, პროფესორი სულ 30 წუთის განმავლობაში იყო გარეთ. მიქაძის ვარაუდით, ქურდი სწორედ ამ დროს შევიდა სახლში და ატლასი მოიპარა. კაბინეტში დაბრუნებულ პროფესორს კი, როდესაც მან ატლასის გაუჩინარება შეიტყო, ინფარქტმა დაარტყა და მოკლა.

– უცნაური ქურდობაა, – თქვა მიქაძემ, – ქურდმა არანაირი კვალი არ დატოვა და მხოლოდ ატლასი მოიპარა.



## პროფესორის ნაამბობი

65 წლის ქართველი პროფესორი ვასილ ლეონიძე საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ აკადემიურ წრეებში. მას კარგად იცნობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში. ამიტომ მის დასაფლავებაზე საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქიდან ჩამოვიდნენ. ლეონიძე დიდი პატივით დაკრძალეს. მეორე დღეს დიმიტრი მიქაძეს ლია ლეონიძემ დაურეკა და უთხრა.

– გამარჯობა. მე ლია ლეონიძე ვარ, თქვენთან საქმე მაქვს და შეხვედრა მინდა.

– ჩემთან მობრძანდით.

– არა, აჯობებს, თქვენ მოხვიდეთ. თუ, რა თქმა უნდა, გცალიათ. ირკუტსკელ პროფესორს, მამაჩემის მეგობარს, ლეონიდ ვაისმანს თქვენთან შეხვედრა სურს. ის სასტუმრო „საქართველოში“ ცხოვრობს და თუ თანახმა ხართ, დღეს, 3 საათზე შევხვდეთ.

დიმიტრი მიქაძე ლია ლეონიძეს სასტუმროსთან შეხვდა. შემდეგ ისინი ირკუტსკელი პროფესორის ნომერში ავიდნენ. ლიამ კაპიტანი ვაისმანს გააცნო. 75 წლის პროფესორი საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა. მან პაპიროსი გააბოლა და კაპიტანს უთხრა:

– ლიამ მითხრა, რომ ვასილ ანდრეევიჩის გარდაცვალების მიზეზი, მამაჩემის გამოცემული წიგნის დაკარგვა გამხდარა.

– მამათქვენის წიგნის? – გაიმეორა მიქაძემ.

– დიახ, ახალგაზრდავ, მამაჩემის. მამა ცნობილი მეცნიერ-გეოლოგი იყო და ციმბირის გეოლოგიური რუკა ჰქონდა შედგენილი. 1881 წელს გამოცემული წიგნის კი, რომელსაც ვასილ ანდრეევიჩის სიკვდილი მოჰყვა, სულ რამდენიმე ეგზემპლარია დარჩენილი. მათ შორის, ერთი მე მაქვს, ირკუტსკში. როგორც ეტყობა, სულმნათი ვასილ ანდრეევიჩ ლეონიძის გარდა, კიდევ არსებობენ ადამიანები, რომელთაც ციმბირული საგანძურის არსებობის სჯერათ. მე კი, სიმართლე გითხრათ, ამის არ მჯერა. მამა ცოტა უცნაური კაცი იყო. ზოგჯერ ცინიკურადაც კი ხუმრობდა და ვფიქრობ, ხმები ციმბირული საგანძურის შესახებ მისი გავრცელებულია. ეს, ჩემი აზრით, მისი ყველაზე დიდი ხუმრობა იყო. თუმცა, ამ ხუმრობას ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

კაპიტანმა მიქაძემ ბევრი ვერაფერი გაიგო ვაისმანის სიტყვებიდან და ჰკითხა:

– ბოდიში, მაგრამ ვერაფერი გავიგე... რაზე ლაპარაკობთ?

ვაისმანმა გაიღიმა და მიუგო:

– საქმე ის არის, ახალგაზრდავ, რომ გავრცელებული ცრურწმენით, რომელიც საკმაოდ პოპულარულია გეოლოგიურ წრეებში, მამაჩემის გამოცემულ გეოლოგიურ ატლასში მინიშნებულია ადგილი, სადაც ციმბირის უმდიდრესი ალმასის საბადო მდებარეობს. ამის მიხედვით, ვინც იმ არეალს მიაგნებს, ალმასებს ძალიან ადვილად, დიდი სირთულეების გარეშე ამოიღებს. ფაქტობრივად, ისე გამოდის, რომ ვინც ამ საბადოს მიაგნებს, ალმასებს მიწიდან ამოიღებს. მე ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი ამ აზრის მიმართ. ვასილ ანდრეევიჩს კი სჯეროდა და ჯიუტად განაგრძობდა ძიებას. მან ზეპირად იცოდა მამაჩემის წიგნი და ვფიქრობ, ამ კუთხით წარმატებასაც მიაღწია.

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა მიქაძემ.

– იმას, კაპიტანო, რომ პროფესორმა ლეონიძემ ატლასის საიდუმლო ამოხსნა. ამიტომაც, წიგნი რომ მოჰპარეს, იმდენად იმოქმედა ამ ფაქტმა, გული გაუსკდა.

მიქაძემ გაიღიმა და ვაისმანს უთხრა:

– თქვენ არ თქვით, რომ ციმბირული საგანძურის ისტორიას სკეპტიკურად უყურებთ?

– ვუყურებდი. იმის შემდეგ კი, რაც მოხდა, მჯერა, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა.

– თუ თქვენი ვარაუდი სწორია, გამოდის, ბოროტმოქმედი თქვენს კოლეგებში უნდა ვეძებოთ, – უთხრა მიქაძემ ვაისმანს, მან კი მიუგო:

– მეტსაც გეტყვით. დარწმუნებული ვარ რომ ამ დანაშაულის ჩამდენი ვასილ ანდრეევიჩის უახლოესი კოლეგაა...

### „ინჟინერა“

ვაისმანის მტკიცების მიუხედავად, მიქაძეს მაინცდამაინც არ სჯეროდა ციმბირული საგანძურის ამბავი. თუმცა, პროფესორ ლეონიძის კოლეგებიც დაკითხა და გაარკვია, რომ ეს ისტორია ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ არავის სჯეროდა. პროფესორმა ნაკაშიძემ კი მიქაძეს უთხრა:

– ცხონებული ვასო რომანტიკოსი იყო და ვფიქრობ, ეს დანაშაული მისნაირმა, ოღონდ ბოროტმა ადამიანმა ჩაიდინა.

გულმოდგინე ძიების მიუხედავად, მიქაძე ჩიხში შევიდა. საქმე ადგილიდან არ იძროდა. მონდომებულ კაპიტანს გაუმართლა და როდესაც ოპერატიულ ცნობებს კითხულობდა, აღმოაჩინა, რომ პროფესიონალი ქურდი ჯემალ კაპანაძე, მეტსახელად „ინჟინერა“, ორთაჭალჰესთან, მტკვარში იპოვეს გარდაცვლილი. მიქაძე კარგად იცნობდა ინჟინერას და ის ეჭვმიტანილთა სიაშიც ჰყავდათ შეყვანილი, რადგან კაპანაძე ქურდთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ვინც სუფთად მუშაობს და არანაირ კვალს არ ტოვებდა. ამიტომ მიქაძე არ გამორიცხავდა, რომ ინჟინერასაც შეეძლო პროფესორის გაქურდვა. თუმცა, როცა კაპიტანმა კაპანაძე მოიკითხა, აღმოჩნდა, რომ გაუჩინარდა. ოპერატიულ ცნობებში ამოკითხულმა ინფორმაციამ კი ის კვლავ ინჟინერას კვალზე დააყენა. ამიტომ, მიქაძემ პროზექტურას მიაკითხა, სადაც კაპანაძის გვამის ექსპერტიზა ტარდებოდა. პროზექტურაში კაპიტანს გაკვეთის დასკვნა მისცეს, რომელშიც ეწერა: „მამაკაცი 2 კვირის მკვდარია. მას ჯერ მძიმე საგანი ჩაარტყეს თავში, შემდეგ გრძელი, მჭრელი იარაღით ოთხი შემავალი ჭრილობა მიაყენეს გულის არეში, რაც სიკვდილის მიზეზი გახდა“.

ინჟინერას მკვლელობის საქმეს მაიორი ჯანელიძე იძიებდა, რომელმაც მიქაძეს უთხრა:

– კაპანაძე 15 დღის წინ გაუჩინარდა. ბოლოს ის ლევან გაგუასთან ერთად ნახეს. გაგუა ინჟინერას მეზობელი, პატივცემული ადამიანია. თავის ჩვენებაში მან აღნიშნა, რომ ჯემალი იმ საღამოს ეზოში შეხვდა, ფეხბურთზე ესაუბრა და მას შემდეგ აღარ უნახავს.

– ლევან გაგუა, ლევან გაგუა... – იმეორებდა მიქაძე, – რა ნაცნობი გვარია...

– პროფესორი გაგუა – თქვა ჯანელიძემ, – გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია, ძალიან პატივსაცემი ადამიანი.

გეოლოგიის პროფესორის გაგონებაზე მიქაძეს გონება გაუნათდა, თუმცა ჯანელიძესთან არაფერი შეიმჩნია. კოლეგას დაემშვიდობა და კაბინეტში დაბრუნდა.

### ციმბირული საგანძური

კაპიტან დიმიტრი მიქაძეს 56 წლის ლევან გაგუა ვასილ ლეონიძის საქმეზე დაკითხული არ ჰყავდა, მაგრამ მას ესაუბრა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დარჩა. გაგუა და ლეონიძე, გარდა იმისა, რომ კოლეგები იყვნენ, ლეონიძე გაგუას კურატორიც იყო სადოქტორო დისერტაციის დროს. ამიტომ, კაპიტანი თითქმის დარწმუნებული გახლდათ, რომ ლეონიძის ბინა ინჟინერამ გაქურდა გაგუას შეკვეთით, მერე კი, გაგუამ ქურდი მოკლა და მტკვარში გადააგდო. თუმცა, ამ ვერსიას კაპიტანი არ ახმაურებდა, რადგან ამის არანაირი დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნდა. ამიტომ, კაპიტანმა სხვა გზა აირჩია და გაგუას ფარული თვალთვალი დაუწყო. ამისთვის კი მიქაძემ სტაჟიორი თაზო ქვარცხავა გამოიყენა. თაზო დღედაღამ უთვალთვალებდა გაგუას. ერთი კვირის შემდეგ კი კაპიტანს უთხრა:

– პროფესორმა ირკუტსკის მიმართულებით თვითმფრინავის ბილეთი აიღო და ზეგ მიფრინავს.

ქვარცხავას სიტყვები მიქაძეს არ გაჰკვირვებია და გაგუას დაკავება თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ გადაწყვიტა. კაპიტანი დარწმუნებული იყო, რომ გაგუას თან ექნებოდა ლეონიძის სახლიდან წაღებული 1881 წელს ვაისმანის მიერ გამოცემული ატლასი. ეს კი გაგუას ბრალეულობის უტყუარი დასტური იქნებოდა. თუმცა, მიქაძემ ისიც იცოდა, რომ თუკი გაგუას ვაისმანის წიგნს არ აღმოუჩენდა, მას სამსახურიდან გააგდებდნენ.

პროფესორი ლევან გაგუა მიქაძემ და ქვარცხავამ აეროპორტის დარბაზში დააკავეს, ოთხი მოწმის თვალწინ გაჩხრიკეს და 1881 წელს ვაისმანის მიერ გამოცემული გეოგრაფიული ატლასი აღმოუჩინეს. ლია ლეონიძემ დაადასტურა, რომ წიგნი მამამისის ბიბლიოთეკიდან იყო მოპარული. გაგუას ალიარების მეტი არაფერი დარჩენოდა და მან თქვა, რომ ინჟინერას ჯერ წიგნი მოაპარინა, შემდეგ კი, მოკლა და მტკვარში გადააგდო. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ციმბირული საგანძური მართლაც არსებობდა და ვაისმანის ატლასში ეს საიდუმლო ლეონიძემ და გაგუამ ერთობლივად აღმოაჩინეს. თუმცა, საბოლოო კოორდინატების დასადგენად გაგუას ატლასი სჭირდებოდა. ამიტომ, მან ეს წიგნი ინჟინერას მოაპარინა და მარტო აპირებდა ციმბირში ალმასების მოპოვებას.

გაგუა გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს. მოგვიანებით, მას ეს განაჩენი 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს და პროფესორი 2 წლის შემდეგ მკაცრი რეჟიმის ციხეში გარდაიცვალა.

ციმბირული საგანძური კი მსოფლიოში ცნობილი საბადო ლაზურნაიაა, სადაც დღემდე უამრავ ალმასს მოიპოვებენ.

**ნიკა ლაშაური**

> **„ინჟინერას“ თავში ჯერ მძიმე საგანი ჩაარტყეს, შემდეგ კი ოთხი შემავალი ჭრილობა მიაყენეს გულში**

## რა მოხდა ამ დღეს

### 25 თებერვალი

1836 – სემუელ კოლტმა დააპატენტა თავისი სახელობის რევოლვერი.

1921 – მოხდა საქართველოს „გასაბჭოება“.

1932 – ჰიტლერმა მიიღო გერმანიის მოქალაქეობა.

1946 – წითელ არმიას ოფიციალურად ეწოდა საბჭოთა არმია.

### 26 თებერვალი

1815 – ნაპოლეონი გაიქცა გადასახლებიდან (კუნძულ ელბადან).

1848 – ლონდონში კარლ მარქსმა გამოაქვეყნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

1935 – შოტლანდიელმა მეცნიერმა უოტსონ-უატმა დააპატენტა რადარი.

1952 – უინსტონ ჩერჩილმა გამოაცხადა, რომ ინგლისსაც აქვს თავისი ატომური ბომბი.

### 27 თებერვალი

1879 – გამოიგონეს შაქრის შემცვლელი – სახარინი.

1900 – შეიქმნა ინგლისის ლეიბორისტული პარტია.

1932 – ჯეიმს რედვილმა აღმოაჩინა ნეიტრონი.

1974 – ნიუ-იორკში გამოვიდა ჟურნალ Peaple-ის პირველი ნომერი.

### 28 თებერვალი

380 – რომის იმპერატორმა, თეოდოსი პირველმა, ოფიციალურად დააკანონა მართლმადიდებლური აღმსარებლობის ბატონობა.

1066 – ლონდონში გაიხსნა ვესტმინსტერის სააბატო.

1904 – დაარსდა პორტუგალიური საფეხბურთო კლუბი „ბენფიკა“.

1919 – გამოცხადდა ავღანეთის დამოუკიდებლობა.

### 1 მარტი

1780 – პენსილვანია გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი შტატი, რომელმაც თავის ტერიტორიაზე მონობა აკრძალა.

1912 – ალბერტ ბერი სენტ-ლუისიდან იყო პირველი ადამიანი, ვინც თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა.

1947 – დაიწყო მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა.

2001 – ინდოეთის მოსახლეობამ გადააჭარბა 1 მილიარდს.

### 2 მარტი

1067 – დაარსდა ქალაქი მინსკი.

1933 – ნიუ-იორკში შედგა პრემიერა პირველი ფილმისა კინგ-კონგზე.

1949 – თვითმფრინავმა პირველად შემოუფრინა დედამიწას დაუჯდომლად.

1983 – გაჩნდა პირველი კომპაქტ-დისკები.

### 3 მარტი

1613 – რუსეთში გამეფდა მიხაილ რომანოვი, დამკვიდრდა რომანოვების დინასტია.

1802 – ვენაში პირველად აჟღერდა ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“.

1804 – რუსეთის იმპერიაში გლეხებს მიეცათ დაქორწინების უფლება ბატონის ნებართვის გარეშე.

1875 – პარიზში შედგა ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენის“ პრემიერა.

# როგორ აქცია თაღლითმა მამაკაცმა ყოფილი სიდედრი დამნაშავედ და როგორ გააქრო მან სახლში სისხლის კვალი



35 წლის ზურაბ ყ-შვილი საავადმყოფოში სხეულის დაზიანებით მოათავსეს, მას ზურგის არეში ცივი იარაღით ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. დაზარალებულმა ახალგაზრდა მამაკაცმა განაცხადა, რომ ჭრილობები მიაყენა უცნობმა, რომელიც სადარბაზოსთან დახვდა და სიგარეტი მოსთხოვა. იგივე დაადასტურა დაჭრილი მამაკაცის მეუღლემ, რომელიც დაზარალებულს ახლდა.

ამონაწერი ლელა კ-იას ჩვენებიდან: „მეუღლე სამსახურიდან არ იყო მოსული. სადარბაზოდან ჩოჩქოლი შემომესმა, კარი გავხსენი და გავედი. კიბეზე ჩემი მეუღლე ჩაჩოქილიყო, ახლოს რომ მივედი, სისხლის კვალი შევნიშნე. ზურას სისხლი ზურგიდან სდიოდა – მაშინვე ავტომანქანაში მოვათავსე და საავადმყოფოში წამოვიყვანე. გზაში მითხრა, რომ უცნობი მამაკაცი დაესხა თავს, რომელმაც ჯერ სიგარეტი მოსთხოვა, შემდეგ კი შეაგინა. მათ შორის ჩხუბი სწორედ ამ მოტივით მოხდა”. შემთხვევის ადგილზე და საავადმყოფოში მივიდნენ ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებიც. ქირურგიული ოპერაციის შემდეგ შესაძლებელი გახდა დაზარალებულის დაკითხვაც, რომელმაც მეუღლის ჩვენება დაადასტურა, მან განაცხადა, რომ დაზიანებები უცნობმა, 30 წლამდე მამაკაცმა მიაყენა, რომელიც სადარბაზოში შეეჩეხა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დაიკითხნენ ზურაბ ყ-შვილის მეზობლები. მათ განაცხადეს, რომ სადარბაზოში ხმაური არ გაუგიათ. მომხდარის შესახებ ვერაფერს ყვებოდნენ ვერც ის მეზობლები, ინციდენტის დროს სადარბაზოს წინ რომ იყვნენ შეკრებილნი და ნარდს თამაშობდნენ. არც ხმაური გაგვიგია და არც საეჭვო ადამიანი შეგვინიშნავს სადარბაზოდან გამოსულიო, განაცხადეს მათ.

სამართალდამცველებმა უცნობი თავდამსხმელის კვალის ძიება დაიწყეს. მის შესახებ გარდა სტანდარტული გარეგნული მონაცემებისა, თითქმის არაფერი იყო ცნობილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას – ინციდენტის გახმაურებიდან ძალიან მალე ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა საეჭვო გარემოებებს მიაგნეს. სისხლის კვალი, მხოლოდ სადარბაზოსა და კიბეებს შერჩენოდა, კვალის ნაწილი კი, რომელიც აშკარად სახლშიც შედიოდა, ახალი მორეცხილი იყო. ვის უნდა დასჭირვებოდა სახლში სისხლის კვალის გაქრობა? როგორც ზურაბ ყ-შვილის მეუღლე აცხადებდა, მას დაჭრილი ქმარი სახლში არ შეუყვანია, პირდაპირ ავტომანქანაში ჩასვა და საავადმყოფოში წაიყვანა. სისხლის კვალის გაქრობის შესახებ, ლელა კ-იამ სამართალდამცველებთან განაცხადა, რომ სისხლის კვალი თვითონ „შეიტანა” სახლში, და მისი მოწმენდა 15 წლის ქალიშვილს სთხოვა. თუმცა, ქმრის დაჭრით აღელვებულ ქალს, თუ რატომ უნდა ეფიქრა სისხლის სასწრაფოდ გაწმენდაზე, ცოტა არ იყოს უცნაურად ჟღერდა.

სამძებრო-ოპერატიულმა სამსახურმა დაადგინა, რომ ზურაბ ყ-შვილი სამაკლერო საქმიანობას ეწეოდა და საკუთარ ბინაში, საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, ერთი ოთახი ოფისისთვის ჰქონდა დათმობილი. ამიტომ ბინას ორი შესასვლელი ჰქონდა – ერთი ქუჩიდან, მეორე კი სახლიდან. მოგვიანებით, დაზარალებულის მეზობლებმა დაკითხვისას განაცხადეს, რომ ამ ოფისიდან ხშირად ისმოდა ხმაური და ბევრი უკმაყოფილო და აღელვებული კლიენტიც უნახავთ. შესაბამისად, ინციდენტი რომ დაჭრილის საქმიანობასთან ყოფილიყო დაკავშირებული, სავსებით რეალური გახლდათ. ზურაბ ყ-შვილი კარგი რეპუტაციით არც მეზობლებში სარგებლობდა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მან მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი მიატოვა და რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ, ისევ პირველ ცოლს, ლელა კ-იას დაუბრუნდა. სამართალდამცველები, უცნობ დამნაშავესთან ერთად, დაზარალებული მამაკაცის საქმიანობის შესწავლასაც შეუდგნენ. დაზარალებულმა მორიგ დაკითხვაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა თავდასხმის ფაქტი და რამდენიმე ახალი დეტალიც „გაიხსენა” თავდამსხმელის გარეგნობასთან დაკავშირებით. თუმცა, მოულოდნელად, გამოძიების მიმართულება აბსოლუტურად შეიცვალა. საქმეში გაჩნდა ახალი მტკიცებულება – ინციდენტის მეორე დღეს პოლიციაში გამოცხადდა 57 წლის ჯულიეტა კ-ძე, რომელმაც განაცხადა, რომ ზურაბ ყ-შვილს დაზიანებები თავად მიაყენა.

ქალბატონი, რომელიც პოლიციაში საკუთარი ფეხით მივიდა დანაშაულის აღიარებისთვის, ზურაბ ყ-შვილის ყოფილი სიდედრი იყო. აღელვებული ქალბატონი სამართალდამცველებთან ჩადენილი დანაშაულის დეტალებს მოყვა.

ამონაწერი ჯულიეტა კ-ძის ჩვენებიდან: „ზურაბ ყ-შვილი ჩემი სიძე გახლდათ. როცა პირველ ცოლს გაშორდა და ცოლად ჩემი შვილი მოიყვანა, საცხოვრებლად ჩვენს სახლში გადმოვიდა. თავიდანვე მისი და ჩემი ქალიშვილის, ნინოს შეუღლების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ შვილს წინააღმდეგობა ვერ გავუწიე. პედაგოგი ვარ, ათეული წლების განმავლობაში სკოლაში ვმუშაობდი ქართული ენის მასწავლებლად. ყველამ იცის მთელი ცხოვრება პატიოსნად ვიცხოვრე და ასე გავზარდე ჩემი შვილიც. მაგრამ, ამ კაცმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. პირველი შვილი რომ ეყოლათ, ცოლ-ქმარს ჯერ კიდევ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, მეორე შვილის შემდეგ, ყველაფერი აირ-დაირია. ზურამ ჯერ ჩემი მეუღლის კუთვნილი ავტომობილი გაყიდა ჩუმად და ისე გააყალბა საბუთები, ჩვენ არაფერი ვიცოდით. ერთ დღეს მოვიდნენ მყიდველები და ავტომობილი წაიყვანეს. ამის გამო ცოლ-ქმარს შორის სკანდალი მოხდა, მაგრამ

> **დანა იმიტომ მქონდა, მეჩვენებინა, რომ თავის მოკვლას ვაპირებდი, მაგრამ აღელვებულმა ყოფილ სიძეს დავარტყი**

ჩემი შვილის ხათრით გავჩუმდი, მათ საქმეში არ ჩავერიე. მეუღლე დაღუპული მყავს, სახლში მხოლოდ ქალები – მე და ჩემი შვილი ვიყავით. ზურასგან „დამცველი” არავინ გვყავდა, ამიტომაც როგორც უნდოდა, ისე იქცეოდა. მერე აიტეხა, ბიზნესი უნდა წამოვიწყოო და კუთვნილი აგარაკი გაგვაყიდინა ნაფეტვრებში. სად წაიღო ის ფული, ვერ გავიგეთ. მოიტყუა, დამაყაჩაღესო, როცა ვუთხარი, პოლიციაში განეცხადებინა, სასტიკად შემეწინააღმდეგა. მალევე მივხვდი, რომ თამაშობდა და ფული წააგო, რა უნდა მექნა? მე ხომ ვერ განვაცხადებდი პოლიციაში მის ნაცვლად? ორ წელიწადში იმდენი ვალი დაიდო, სახლში მევალეების რიგი გვედგა. ამის გამო, ბინაც კი გავყიდეთ და სამოთახიანიდან პატარა ბინაში გადავედით საცხოვრებლად. მერე თაღლითური გზით ის ბინაც დაგვაკარგინა – იპოთეკური კრედიტი აიღო და უბინაოდ დავრჩით. ჩემი ქალიშვილი სამუშაოდ უცხოეთში წავიდა, მე და ბავშვები კი ნაგირავებ ბინაში გადავედით. მალე პირველ ცოლს შეურიგდა და ჩვენი ფულიც თან გაიყოლა – გვიან გავიგე, რომ ჩემს ქალიშვილს, ჩემს მალულად, 6 ათასი დოლარი გამოუგზავნია მისთვის. პროცენტი, რომელიც ამ ფულს დაერიცხება, ბავშვებს შეეშველებაო, უთქვამს ნინოსთვის. მაგრამ, იმ ფულიდან კაპიკიც არ მოუტანია. რამდენჯერ დავურეკე, ფული მოგვიტანე-მეთქი, მაგრამ მასხარად მიგდებდა, ხან კი ტელეფონზეც არც მპასუხობდა. მერე მითხრა: წადი და მიჩივლე, ვერ დამიმტკიცებ, თქვენგან ფული რომ წამოვიღეო. ბოლოს მემალებოდა, ტელეფონის ზარსაც აღარ პასუხობდა. ავდექი და სახლში მივადექი. ისე ვიყავი გამწარებული, არც ვიცოდი, რას ვაკეთებდი. დანა სახლიდან წავიღე, მხოლოდ ერთი მოტივით: ვიფიქრე, შევაშინებ, თავს შენს სახლში მოვიკლავ და ამ ორ მცირეწლოვან ბავშვს შენ გიტოვებ-მეთქი. სახლში რომ მივადექი, ისე ცინიკურად მიმიღო, ლამის სირცხვილით მოვკვდი. არც აპირებდა, სახლში შევეყვანე, მაგრამ ცოლმა ურჩია: ხმაურს მეზობლები გაიგებენ და ოფისში შემოიყვანეო. ჩხუბი რომ დავუწყე, ფანჯრებიც კი დახურა, გარეთ ხმა არ გაიდესო. თავიდან ვთხოვე, ამდენი რამ შეგრჩა ჩვენგან, უსახლკაროდ დაგვტოვე და ბავშვებს მაინც ნუ მიტოვებ მშიერს, ის ფული დაგვიბრუნე-მეთქი. მე საერთოდ არ მაქვს თქვენი ვალი, შენმა შვილმა ის ფული მაჩუქაო. მერე ჩემი შვილის ლანძღვა დაიწყო. ეს ველარ ვაპატიე. დანა ხელჩანთაში მედო. ზურა მაგიდასთან იჯდა, ჩემგან ზურგშექცევით, ამოვიღე დანა და ორჯერ დავარტყი. არც კი ვიცი, ეს როგორ ჩავიდინე. ხმაურზე ოთახში მისი მეუღლე შემოვარდა, დანა იქვე მივაგდე და სახლიდან გავიქეცი. მთელი ღამე ვიფიქრე, რა გამეკეთებინა. ბოლოს გადავწყვიტე, საკუთარი ფეხით მოვსულიყავი პოლიციაში. პედაგოგი ქალი დამნაშავედ მაქცია და მეტი რისი უნდა მეშინოდეს?”

სამართალდამცველებმა ჯულიეტა კ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. სისხლის სამართლის საქმე ცრუ ჩვენების მიცემისა და დანაშაულის დაფარვის მუხლით აღიძრა ზურაბ ყ-შვილისა და მისი მეუღლის, ლელა კ-იას მიმართაც. გამოძიების პროცესში დადგინდა ზურაბ ყ-შვილის მიერ ჩადენილი თაღლითური დანაშაულის რამდენიმე ეპიზოდი. გამოჩნდა დაზარალებული ქალბატონი, ლამარა კ-ძე, რომელმაც განაცხადა, რომ ზურაბ ყ-შვილმა და მისმა მეუღლემ საბუთების გაყალბებით, თაღლითურად მიითვისეს მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი, რომელიც მოგვიანებით 15 ათას დოლარად გაყიდეს. ცოლ-ქმრის მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა ნუსხა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მათ მიერ თაღლითურად მითვისებული ქონება კი „სოლიდური” მტკიცებულებაა დანაშაულისათვის, რომელიც თაღლითობის მუხლით კვალიფიცირდა. გამოძიებისთვის უკვე ისიც ნათელი გახდა, რატომ მალავდა ზურაბ ყ-შვილი ინციდენტის დეტალებს და როგორ გახდა ამ დანაშაულში მისი თანამზრახველი მისივე მეუღლე. ქალმა ჯერ თავად სცადა სამედიცინო დახმარების გაწევა დაჭრილი ქმრისთვის, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ მისი საავადმყოფოში გადაყვანა გარდაუვალი იყო, სისხლის კვალის მოწმენდა შვილს დაავალა. ქმრის საავადმყოფოში მოთავსების შემდეგ ლელა კ-ია დაუკავშირდა ჯულიეტა კ-ძეს და დაზარალებული დამნაშავეს დანაშაულის დაფარვაზე შეუთანხმდა: პოლიციაში არაფერს ვამბობთ მომხდარზე. 10 წელს მაინც მოგისჯიან და შენს შვილიშვილებს უპატრონოდ არ დავტოვებ, შენც ნუ გაახმაურებ, რაც მოხდაო. თუმცა, დამნაშავესა და „დაზარალებულებს” შორის „შეთანხმება” არ შედგა – ყოფილი პედაგოგი, დანაშაულის აღიარების მიზნით მაინც მივიდა პოლიციაში. ასე რომ, თაღლით ცოლ-ქმარს მათ მიერ მოფიქრებულმა თავდასხმის ვერსიამ ველარ უშველა.

სასამართლომ გაითვალისწინა ჯულიეტა კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებები: ქალბატონის ასაკი, ემოციური მდგომარეობა, ორი მცირეწლოვანი ბავშვის მეურვეობა, დანაშაულის აღიარება საკუთარი ნებით და მიუსაჯა პირობითი მსჯავრი ორი წლის ვადით. მართლმსაჯულებას ვერ გაექცა თაღლითი ცოლ-ქმარი – ზურაბ ყ-შვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მის მეუღლეს, ლელა კ-იას კი 5 წელი მოუწევს გისოსებს მიღმა ყოფნა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ჯეტა", 2002 წლის გამოშვება, მართვის ავტომატური კოლოფით. ბოლო დროს ავტომობილი გამართულად აღარ მუშაობს, ხანდახან სიჩქარეში გადართვას აგვიანებს, გაზზე ფეხს რომ ვადგამ, თითქოს ძრავა წვალობს, სალონში ნამწვის სუნი დგება. სამ სახელოსნოში ვიყავი, ელექტროობა შეამოწმეს და მითხრეს, რაღაც ნაწილი არ მუშაობს, რომელიც ფილტრთან არის კავშირშიო. გამოვცვალე, მაგრამ, ისევ გაუმართავად მუშაობს. რუსთავში ვცხოვრობ, თბილისშიც მყავდა, იქ სერვისში „სვეჩები" გამოუცვალეს – ამის ბრალიაო, თუმცა, ამანაც არ უშველა. ერთი სიტყვით, ვერავინ გაიგო გაუმართაობის მიზეზი. იქნებ, მითხრათ, რისი ბრალი შეიძლება იყოს ზემოთ აღნიშნული პრობლემა ან ვის მივმართო?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> მიხაილ შუმახერი

**პასუხი**: საქართველოში ყველაზე დიდ სირთულეს სწორედ ასეთი წვრილმანი გაუმართაობების დიაგნოსტიკა და შეკეთება წარმოადგენს. ყველას ეზარება დაკვირვება, ერთ ავტომობილზე დიდი დროის დახარჯვა, არადა, შესაძლოა, ელემენტარული შეკეთებით გამოსწორდეს საქმე, მაგრამ, ხელოსანი ფულს ცოტას აიღებს და ამიტომ თავს არ იწუხებს. თან, ის პრობლემაცაა, რომ ერთ პროფილაქტიკაში სხვადასხვა მიმართულების რამდენიმე კარგ ხელოსანს ვერ ნახავთ. არადა, თქვენს შემთხვევაში, კომპლექსური ფიქრი და დაკვირვებაა საჭირო. ამ გაუმართაობის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაინც გირჩევთ „თეგეტა მოტორსის" ცენტრალურ სერვისცენტრში მისვლას, მაგრამ, თავად არ უნდა დაგეზაროთ და, სანამ პრობლემას არ აღმოფხვრიან, ხელოსნებს არ უნდა მოეშვათ.

**კითხვა: ჩემი ავტომობილი ბენზინის ინჟექტორული სისტემით არის აღჭურვილი. მაინტერესებს, როდის უფრო ნაკლებ საწვავს მოიხმარს: დაღმართზე, ეგრეთ წოდებულ „ხალასტოიში," ანუ ნეიტრალურში დაგორებისას, როდესაც ავტომობილი დაქოქილია, თუ მაშინ, როცა დაღმართზე ავტომობილი სიჩქარეშია, გაზის პედალზე ფეხი არ გვიდგას და მუხრუჭსაც ნაკლებად ვხმარობთ, ვინაიდან შენელებას რომელიმე სიჩქარეში ჩაგდება უზრუნველყოფს?**

**პასუხი**: როდესაც ავტომობილს ვანეიტრალებთ, ანუ, ეგრეთ წოდებულ „ხალასტოიში" ვრთავთ და ავტომობილის ძრავა დაქოქილია, ის, მართალია, ცოტას, მაგრამ, მაინც მოიხმარს გარკვეული რაოდენობის საწვავს. ხოლო, როდესაც ავტომობილს ვაიძულებთ, ძრავას ბრუნების ხარჯზე შენელდეს, ანუ, გაზზე ფეხი არ გვიდგას და ვმოძრაობთ, ამ დროს კომპიუტერმა იცის, რომ ჩვენ შენელება გვჭირდება, ის სრულად თიშავს საწვავის მიწოდებას და, შესაბამისად, საერთოდ არ მოიხმარს საწვავს. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ გრძელ დაღმართზე ვმოძრაობთ, გაცილებით ეფექტურია დაბალ სიჩქარეში გაზზე ფეხის აშვებით მოძრაობა. ეს, ჯერ ერთი, ზოგავს სამუხრუჭე ხუნდებს, აზღვევს სამუხრუჭე სისტემას გადახურებისგან, მეორეც, ზოგავს საწვავს და, რაც მთავარია, გვაზღვევს ავტოსაგზაო შემთხვევისგან, რადგან, ამ დროს ყველა სისტემა (საჭის, სამუხრუჭე და სხვა) გარანტირებულად ზუსტად მუშაობს. „ხალასტოი" სვლით მოძრაობისას არის იმის ალბათობა, რომ საჭის ჰიდრავლიკურ სისტემას ძრავას ბრუნთა რიცხვი არ ეყოს და მკვეთრი მოხვევისას საჭე გამაგრდეს; ასევე, არის იმის ალბათობაც, რომ ძრავა საერთოდ ჩაქრეს, რაც გამოიწვევს საჭისა და სამუხრუჭე პედლის გამაგრებას. ამით კი, თავადაც ხვდებით, საფრთხე როგორ იმატებს.

**კითხვა: მყავს „მერსედესი ვიტო", 1998 წლის, რომელსაც აქვს ეგრეთ წოდებული ძაგძაგი. მითხრეს, ბალიშების ბრალიაო. გამოვცვალე ძრავას, სიჩქარეთა კოლოფისა და ეგრეთ წოდებული ტრავერსის ბალიშები. მანქანას მაინც აქვს ძრავას ძაგძაგი, მთლიანად კანკალებს. რისი ბრალი იქნება, სხვა რამე ხომ არ სჭირს?**

**პასუხი**: კარგი იქნებოდა, უფრო დეტალურად თუ აღწერდით, რა დროს, რა ბრუნებზე იცვლება თუ არა, ან, როგორ იცვლება ავტომობილის ვიბრაცია. მაგრამ, რადგან დეტალური აღწერა არ გვაქვს და მხოლოდ ის ვიცით, რომ ბალიშები ახალი გამოცვლილია, უნდა ვივარაუდოთ, რომ თვითონ ძრავა არ მუშაობს სტაბილურად. ელემენტარულად, ეგრეთ წოდებული „პერებოიც" რომ ჰქონდეს, რაც სანთლების ან სანთლებზე ნაპერწკლის მიმწოდებელი ელექტრული სისტემის ბრალი იქნება, მაინც ასეთ ვიბრაციას მივიღებდით. „პერებოი" შეიძლება ძრავაში სხვა ბევრმა წვრილმანმა მიზეზმაც გამოიწვიოს. მაგალითისთვის, შეიძლება, რომელიმე „კლაპანი" ანუ სარქველი იყოს დამწვარი, რაც ვიბრაციას დაბალ ბრუნებზე გამოიწვევს, ხოლო, თუ ბრუნებს ოდნავ გავზრდით, ვიბრაცია დაიკარგება და მაღალ ბრუნებზე გვეგონება, რომ ყველაფერი მწყობრშია. ვიბრაცია შეიძლება, ასევე, გამოიწვიოს ძრავაზე მიმაგრებულმა მბრუნავმა დეტალებმა. მაგალითისთვის, შეიძლება, ეგრეთ წოდებული „მახავიკი" იყოს დეფორმირებული. მბრუნავ დეტალებს შორის მწყობრიდან გამოსვლა იცის ღვედის მაბრუნებელმა „შკივმაც". მასში, შესაძლოა, დაზიანდეს ვიბრაციის შემაკავებელი რეზინის ფენა, რაც „შკივის" ცენტრალურ და გარე ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებს. მიზეზების ჩამოთვლა, შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელდეს. თქვენი მანქანის პრობლემის გასარკვევად გამოდგებოდა იმის ცოდნა, კონკრეტულად როგორ პირობებში დაეწყო მას ვიბრაცია.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორი მანქანაა „ჰონდა პილოტი", რა მონაცემები აქვს? არის თუ არა ისეთივე გამძლე და ხარისხიანი, როგორც „ჰონდა ცეერვე"?**

**პასუხი**: „პილოტი" საკმაოდ საინტერესო მანქანაა, მით უმეტეს, რომ 2009 წლიდან უკვე რუსეთის ბაზარზეც ოფიციალურად შემოვიდა. მაგრამ, ვინაიდან სათადარიგო დეტალების შემოტანა რუსეთიდან რთულია, ევროპასა და თურქეთში კი ეს ავტომობილები არ დადის და, შესაბამისად, ნაწილებიც არ იშოვება, მოვერიდებოდი ამ ავტომობილის შეძენას. „ჰონდას" სახელს ამოფარებულ ამ მონსტრს, რომელსაც კომპლექტაციაში რიგ შემთხვევაში რვა ლიტრამდე და ცხრაას ცხენის ძალამდე ძრავაც კი მოჰყვება, თავი დაანებეთ და ჩვენს ქვეყანაში აპრობირებული რომელიმე ავტომობილი შეიძინეთ. თუმცა, არსებობს 3,5-ლიტრიანი ძრავებით აღჭურვილი „პილოტის" მოდელი, რომელიც 100 კილომეტრზე 10 ლიტრ საწვავს მოიხმარს, თანაც, ეს ავტომობილი საკმაოდ მასიური და მიმზიდველია.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*




ქართველი მოჭიდავე
ლენინის გვარი
სათამაშო ძაღლი
(.......) ბურჯანაძე
გადია
ჩვენი სახელოვანი კაპიტანი შოთა...
(.......) ხაიამი
3
წინაპარი / კანფეტი
საწინააღმდეგო
პატარა კბილი
სიმებიანი საკრავი
კახეთის დედაქალაქი
ქალაქი სირიაში
ყოველ სხეულს გააჩნია
ბევრ ასაკოვანს აწუხებს
მარტო სიმღერა
გამადიდებელი შუშა
ჩვენი სცენის იეზიდი გოგონა
მომღერალი ნანული
თბილისის დინამოს ძველი ფეხბურთელი
10
დაცული ტერიტორია
წონის ერთეული / (...) ბედი
(.......) აგარა, ქარელი, გორი
8
(.......) მსახიობი და მომღერალი ლოპესი
ცელქი, ონავარი
შემდეგ გადასახდელი ფული
უნიჭო
ქიმიური ჭურჭელი
2
რუსული კინოს ძაღლი
ეკალი
1
7
საქსოვი დაზგა
კბილებით შესრულებული ქმედება
ფეთქებადი ნივთიერება
ტბა ცენტრ.-აღმოს. აფრიკაში
სამხედრო პირი / ასეთია ტირიფი
ვარდისებრთა ოჯახის მცენარე
ჭირი იქა, ლხინი (......)
(......) ქერო, მოკვდი მტერო
გაფუჭებული ღვინო
ფრანგი ფეხბურთელები
„ბითლზის" რინგო.... / შხამი
დღე-ღამის ნაწილი / ფუჭი, უშედეგო
უკრაინაშია კრივოი (........)
6
არც გუშინ, არც დღეს... როდის? / ბერძენი საოპერო მომღერალი, მარია..
5
ფილიპინების დედაქალაქი
სასოფლო იარაღი
ბევრი ქაღალდი ერთად
ადგილის პირობითი გამოსახულება
მტაცებელი ფრინველი
9
დიდი წერილი / უმარტივესი არსება
ქალაქი საფრანგეთში
ბრაზილიური ცეკვა / ჩვენი გაზეთი
ჩვენი მისამღერი / სახლის ზემოთაა
საკითხი
ზოგს აგარაკი ჯერაც ეს ჰგონია
მრგვალი რიცხვი
4
ლენარდო (.....) კაპრიო
შეუბრალებლად მიქრის
ძვალი
აშშ-ის შტატი
პიუზოს რომანის გოგონა / „პოპ"-ის ნინაა
სუსტი ქარი / მესამე პირი
ფართო გზა
(.......) ჩაპლინი
ძველი ოსური ტომები
წინასწარი თანხა
ტაბლეტი
კროსვორდის დასასრული

Column clues (top to bottom):

| Col | Clues |
|---|---|
| 1 | 1 |
| 2 | 1 |
| 3 | 1 |
| 4 | 1 |
| 5 | 1 |
| 6 | 1 |
| 7 | 1 |
| 8 | 1 |
| 9 | 4 1 |
| 10 | 3 3 |
| 11 | 4 2 |
| 12 | 1 5 |
| 13 | 7 |
| 14 | 4 1 |
| 15 | 1 |
| 16 | 4 1 |
| 17 | 4 1 |
| 18 | 3 3 1 |
| 19 | 1 1 4 1 |
| 20 | 1 1 5 1 |
| 21 | 2 1 5 1 |
| 22 | 1 1 5 1 |
| 23 | 1 1 5 1 |
| 24 | 1 1 1 3 1 |
| 25 | 1 2 2 3 1 |
| 26 | 6 7 5 1 |
| 27 | 2 1 1 8 6 1 |
| 28 | 1 2 1 9 7 |
| 29 | 1 1 1 4 10 2 |
| 30 | 1 2 1 1 3 11 2 |
| 31 | 2 1 1 6 1 8 |
| 32 | 3 1 5 2 6 |
| 33 | 7 4 1 3 |
| 34 | 5 3 1 2 |
| 35 | 4 |

Row clues (left to right):

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 7 |
| 2 | 2 4 |
| 3 | 1 3 |
| 4 | 3 2 2 |
| 5 | 1 1 1 2 |
| 6 | 1 1 2 |
| 7 | 1 3 1 |
| 8 | 1 1 |
| 9 | 3 4 |
| 10 | 1 8 3 |
| 11 | 1 1 9 |
| 12 | 2 15 |
| 13 | 11 |
| 14 | 4 2 1 |
| 15 | 4 1 |
| 16 | 6 3 |
| 17 | 2 6 |
| 18 | 6 2 |
| 19 | 2 11 |
| 20 | 2 12 |
| 21 | 7 5 |
| 22 | 6 5 |
| 23 | 3 5 |
| 24 | 4 5 |
| 25 | 3 2 5 |
| 26 | 6 5 |
| 27 | 1 4 5 |
| 28 | 2 3 4 |
| 29 | 4 4 |
| 30 | 27 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებში.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | 4 | 3 | | 2 | 8 | | 9 |
| 8 | | 7 | 1 | | 4 | | 2 | |
| | 9 | 2 | | 8 | 6 | | 4 | 1 |
| 2 | | 3 | | 1 | | 4 | 5 | |
| | 1 | 5 | | 2 | 8 | | 3 | 7 |
| 4 | 7 | | | 3 | | 1 | 8 | |
| | 4 | | 5 | | 3 | | 6 | 8 |
| | | 8 | 2 | 6 | | 7 | | 4 |
| 7 | 2 | | 8 | 4 | 1 | | 9 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | 6 | | | 9 | | 7 |
| | | 9 | | 8 | | | 1 | |
| | | | | 4 | | 2 | | 3 |
| 9 | 3 | | 8 | 6 | | | | |
| | | | 5 | | 2 | 1 | 3 | |
| | 5 | | | 7 | | 4 | | 9 |
| | | | | 5 | 6 | | 2 | |
| 6 | | | 7 | | 8 | | | |
| 5 | | | | | | 3 | 7 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. წრით დახატეთ თავი



2. წრეში ჩახატეთ ორი კვერცხის ფორმის თვალი, მერე — ყურები.



3. მიახატეთ თვალები და ცხვირ-პირი



4. მიახატეთ ხუჭუჭა თმა და ტანი



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191



5. შემდეგ მიახატეთ თევზის კუდი და ხელები



6. მიახატეთ ფარფლები



7. გააფერადეთ

# იპოვეთ ათი განსხვავება





## გაარკვიეთ, რომელი ბავშვი რომელ საგანს დაიჭერს ანკესით



## რომელი გზით მივლენ ლოკოკინები დედასთან



# ირემი და ვენახი

## (იგავ-არაკი)

ირემს მონადირეები დაედევნენ. შეშინებულმა თავი ვენახს შეაფარა. როცა მონადირეები თვალს მიეფარნენ, ირემმა ვენახს კორტნა დაუწყო. ფოთლების შრიალი რომ გაიგონეს, მონადირეები მიბრუნდნენ, – აქ რაღაც იმალებაო, – იფიქრეს. მართლაც, ირემი დაინახეს, მისცვივდნენ და მოკლეს. სიკვდილის წინ ირემმა წამოიძახა:

– ახია ჩემზე, სამართლიანად დავისაჯე, რამაც შემიფარა, გავკორტნე და გავაოხრეო.

ეს არაკი უმადურ კაცზეა ნათქვამი.

## რიცხვრებუსი

,6,,, ,5,, ,,,7

| | | | |
|---|---|---|---|
| | ანიმაციური ფილმი მაშა და ... | | თოჯინა / დასაჭრელი საშუალება |
| | | | |
| | | | |
| | წიგნების დასაწყობი | | თბილის საწინააღმდეგო |
| | | | |

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მყავს ამერიკული კოკერ-სპანიელი. გაზაფხულისთვის ლეკვებს ველოდები. რას გვირჩევთ, სახლში გააჩინოს ლეკვები თუ კლინიკაში?**

**პასუხი:** თუ ვეტერინარის ჩარევა არ იქნება საჭირო და ადვილად იმშობიარებს თქვენი ძაღლი, მაშინ სახლში შეიძლება მისი მშობიარობა ვეტერინარის დახმარებით. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ საკეისრო კვეთა დასჭირდა, აუცილებლად კლინიკაში უნდა მიიყვანოთ.

**კითხვა: რამდენია ძაღლის ნორმალური ტემპერატურა და ნიშნავს თუ არა ძაღლის თბილი ცხვირი, რომ მას სიცხე აქვს?**

**პასუხი:** საერთოდ, ძაღლის ნორმალური ტემპერატურა 38.5-დან 39 გრადუსამდეა. ხშირად გვეკითხებიან, როგორ უნდა გაუზომონ ძაღლს სიცხე. ტემპერატურის გაზომვა ცხოველის უკანალიდან, ანუ სწორნაწლავიდან ხდება. რაც შეეხება თბილ ცხვირს ამ დროს შეიძლება, მას მართლაც ჰქონდეს სიცხე. თუმცა, თუ ეჭვი შეგეპარათ, რომ ცხოველს მაღალი ტემპერატურა აქვს, აუცილებლად გაუზომეთ.

**კითხვა: თუ შეიძლება მითხარით, რა პერიოდულობით არის რეკომენდებული ძაღლის დაბანა?**

**პასუხი:** გააჩნია, რა ჯიშის ძაღლი გყავთ. ზოგადად, გეტყვით, წინა ბანაობიდან აუცილებლად ერთი თვე უნდა იყოს გასული. ძაღლს ბეწვის ქვეშ აქვს ცხიმოვანი საფარველი, რომელიც დაბანის დროს ირეცხება და ძაღლი „შიშველი" რჩება, რადგან, ცხიმოვანი საფარველი, ასე ვთქვათ, ძაღლის ტანსაცმელია. არსებობს ჯიშები, მაგალითად, იორკშირ-ტერიერი, რომელსაც 7-10 დღეში ერთხელ უნდა დაბანა. რაც შეეხება გაწმენდას, შეგიძლიათ რამდენჯერაც მოგესურვებათ, იმდენჯერ გაწმინდოთ თქვენი ძაღლი.

**კითხვა: თქვენი აზრით, პატრონის მიმართ კატა უფრო ერთგულია თუ ძაღლი?**

**პასუხი:** ეს კატაზე და ძაღლზეა დამოკიდებული და, რა თქმა უნდა, პატრონზეც, თუ როგორ უვლის ცხოველს და როგორი განწყობით არის მისადმი. ისე, ერთგულება ძაღლს უფრო აქვს, კატა ცოტა ეგოისტია.

**კითხვა: რა ასაკიდან შეიძლება ძაღლის კასტრირება?**

**პასუხი:** ძაღლის კასტრირება მხოლოდ 6 თვის ასაკიდან არის შესაძლებელი, ანუ, იმ ასაკიდან, როცა ცხოველს სასქესო ორგანოები ჩამოუყალიბდება.



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუაროთ სუროს და რა პირობები შევუქმნათ მას?**

**პასუხი:** სურო კარგად გრძნობს თავს ნებისმიერ ოთახში, სადაც ცოტაოდენი სინათლეა. თუ დროგამოშვებით მორწყავთ, სათანადო პირობებს შეუქმნით და შესაბამისად მოუვლით, ჯანსაღ მცენარეს მიიღებთ. ამ მცენარის ჭრელ სახეობებს კაშკაშა სინათლე სჭირდება, სადა ფერის სურო კი ჩრდილსაც აიტანს. სიცხეში სურო ფორმას იცვლის და უშნოვდება. ამიტომ, მთელი წლის განმავლობაში სიგრილეში ამყოფეთ. ზაფხულობით მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ნიადაგს ნურც ზამთარში გამოაშრობთ, თორემ, ფოთლები დაეჭმუჭნება. სურო იოლად გასაზრდელი მცენარეა. მისი დიდი უპირატესობა ის არის, რომ ჩრდილსაც იტანს და სიგრილესაც. კარგად ხარობს ჰოლშიც, ზამთრის ბაღშიც და დაახლოებით 30 სანტიმეტრი იზრდება. ასე რომ, სურო სულაც არ არის პრეტენზიული მცენარე. თუ არ გაქვთ, აუცილებლად შეიძინეთ – გარწმუნებთ, მისი გახარება არ გაგიჭირდებათ.

**კითხვა: რა ტემპერატურასა და სინათლეზე ვამყოფო კალანჰოე?**

**პასუხი:** კალანჰოე ათასგვარი ფორმისა და ფერის არსებობს, თუმცა, გარეგნული სხვაობის მიუხედავად, ყველა სახეობის კალანჰოეს თითქმის ერთნაირი გარემო და პირობები სჭირდება. კალანჰოე განათებულ ადგილას დადგით. რაც უფრო რუხი ან ბუსუსიანია, მით მეტი სინათლე სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა, თუმცა, იტანს ზამთრის სიგრილესაც, არანაკლებ 10 გრადუსისა. მისთვის შესაფერისი ადგილი სააბაზანოა.

**კითხვა: რა სიხშირით მორწყვა სჭირდება იაპონურ არალიას?**

**პასუხი:** იაპონური არალია ზაფხულობით რეგულარულად მორწყეთ, ზამთრობით კი – შედარებით იშვიათად. თუ ფოთლები მოიწყენს, ესე იგი წყალი უნდა. ფოთლებს სიმუქეს შეუნარჩუნებთ, თუ მიწას რეგულარულად გაანოყიერებთ ფოთლოვანი მცენარისთვის განკუთვნილი სასუქით. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ.

**კითხვა: როგორ შევუნარჩუნო ციპერუსს მუდმივი ტენიანობა? როგორც ვიცი, თურმე, ამ მცენარეს ძალიან უყვარს ნესტი...**

**პასუხი:** ციპერუსი ერთ-ერთია იმ მცენარეთაგან, რომელთაც მუდმივად სველი ნიადაგი სჭირდება. მუდმივი ტენიანობის შესანარჩუნებლად ციპერუსიანი ქოთანი წყლიან ჯამში ჩადგით, რათა წყალი არასდროს მოაკლდეს – ასე მცენარეს მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება და ფესვებიც მუდამ ტენიანი ექნება. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. მზეზე მყოფ მცენარეს მაღალი სინესტე სჭირდება, რათა ფოთლის წვეროები არ გაუხმეს.

**კითხვა: როგორ მოვუარო ჯუჯა პალმას ოთახის პირობებში?**

**პასუხი:** ეს პალმა ძალიან გამძლე მცენარეა. ის კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს. არ უყვარს ბევრი წყალი, თუმცა, ზაფხულში რეგულარულად სჭირდება მორწყვა. ზამთარში კი, როცა პალმა ზრდას წყვეტს, მხოლოდ მაშინ მორწყეთ, როცა მიწა გამოუშრება. თუ ეს მცენარე სიმშრალეშია, რამდენიმე გრადუს ყინვასაც აიტანს.

**კითხვა: როგორ გავუხანგრძლივო ყვავილობა სპარსულ იას?**

**პასუხი:** სპარსულ იას დამჭკნარი ყვავილები რეგულარულად მოაშორეთ და ყვავილობის პერიოდი გაუხანგრძლივდება. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, ამ მცენარეს მით მეტი ტენი სჭირდება. თუ ბინაში მშრალი ჰაერია, იის ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით და ეცადეთ, ნათელი ადგილი შეურჩიოთ.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

**კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს მეზღვაური, ბათუმის საზღვაო სასწავლო ცენტრი „ანრის“ დირექტორი, ბატონი ანზორ დიასამიძე გვპასუხობს:**

# ბათუმის საზღვაო სასწავლო ცენტრი „ანრი“

– პირველ ყოვლისა, სულით წმინდა, ვაჟკაცური თვისებებით, სამშობლო უნდა უყვარდეს – ამ უკანასკნელის გარეშე არც ზღვაში ვარგიხარ, არც ცაში და არც ხმელეთზე. მეგობრობა, მხარში ამოდგომის დიდი უნარი უნდა გქონდეს. საყრდენი უნდა იყო გვერდში მდგომისთვის. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის – ეს უნდა იყოს შენი ცხოვრების ამოსავალი პრინციპი; ასევე, ინტერნაციონალიზმის თვითშეგნება. ზღვაზე... ზღვაა ყველაფერი.

**– ბატონო ანზორ, საზღვაო ქვეყანა ვართ. როგორც ვიცი, ჩვენს კაპიტნებსა და მეზღვაურებზე მოთხოვნა ნამდვილად არის უცხოურ გემებზე...**

– დიახ, იმიტომ, რომ პროფესიონალები არიან. ისინი მთელ გულსა და სულს დებენ საქმეში. საზღვაო ქვეყანა კი ვართ, მაგრამ, გემთმფლობელები არ გვყავს – ბიზნესმენებს არ აქვთ ამის სურვილი. ფაქტობრივად, ჩვენს კაპიტნებზე და მეზღვაურებზე მოთხოვნა იმანაც განაპირობა, რომ, მიუხედავად პროფესიონალიზმისა და მაღალი კლასისა, შედარებით დაბალ ანაზღაურებაზეც თანხმდებიან.

**– როდის დააარსეთ შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ანრი“? გვესაუბრეთ თქვენს სტუდენტებზე, გაცვლით პროგრამებზე, რა სპეციალობები გაქვთ... როგორ დაიწყეთ ყველაფერი?**

– 2000 წლის ივნისში დაარსდა შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი“ (შპს „სსც“), რომლის ძირითადი მიზანი იყო საზღვაო სპეციალისტების – დამწყები მეზღვაურების, საზღვაო სასწავლებლების კურსანტების მომზადება-გადამზადება, სერტიფიცირება საერთაშორისო საზღვაო კონვენცია „მმდვდ 78/95“-ის შესაბამისად. შპს „სსც“ აღიარა საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტმა და არაერთმა საერთაშორისო საზღვაო კომპანიამ,



რომლებთანაც ცენტრს აკავშირებდა და აკავშირებს მჭიდრო თანამშრომლობა.

შპს „სსც-მა“ გაიარა სერტიფიცირება საერთაშორისო ხარისხის სისტემის შესაბამისობისათვის და მიიღო სერტიფიკატი ISO 9001:1994 და ISO9001:2000.

2004 წელს დასრულდა 4-სართულიანი შენობის მშენებლობა, რომელიც მდებარეობს ხიმშიაშვილის ქუჩაზე და ცენტრი თავისი აღჭურვილობით, სიმულატორებით გადავიდა ახალ შენობაში. ლიცენზირების შემდეგ, 2005 წლის აგვისტოში, ცენტრი ჩამოყალიბდა როგორც შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი „ანრი“. შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი „ანრი“ (შპს „სსც ანრი“) მოიცავს: საზღვაო საწვრთნელ ცენტრს, საზღვაო კოლეჯსა და კარიერის ცენტრს.

სასწავლებლის საქმიანობა მიმართულია საზღვაო სპეციალისტებისა და დამწყები მეზღვაურების მომსახურებაზე. ცენტრში ხორციელდება მეზღვაურების მომზადება-გადამზადება, სერტიფიცირება, სწავლება, დასაქმება. ცენტრის საქმიანობა შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნულ მოთხოვნებს, საზღვაო სტანდარტებსა და კონვენციებს. შპს „სსც ანრი“ სერტიფიცირებულია საერთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001:0994 და ISO 9001:2000 შესაბამისად და ფლობს სათანადო სერტიფიკატებს. ცენტრმა წარმატებით გაიარა EMSA შემოწმება. ყველა სასწავლო პროგრამა შედგენილია IMO Model Courses-ის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებული და დამტკიცებულია საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში რუსულად და ინგლისურადაც.



შპს „სსც-ანრი“ მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო კრუინგულ კომპანიებთან: Columbia shipmanagement, Baltic Group Int., Queensway Services, WELL Co., Troyshipping, Cata Shipping და სხვა. უმეტესი კრუინგული კომპანიის მეზღვაურების უმრავლესობა სერტიფიცირებას გადიან ჩვენს ცენტრში. ცენტრი მონაწილეობს TRACECA-ს პროექტში. შპს „სსც-ანრი“ IFMSA-ს და Global MET-ის ნამდვილი წევრია.

სწავლებას უძღვებიან გამოცდილი სპეციალისტები. ცენტრს გააჩნია რეალობასთან შესაბამისი შემდეგი სიმულატორ-ტრენაჟორები: კაპიტნის ხიდური, ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, რადიოლოკაციური და ავტომატური რადიოლოკაციური ტრენაჟორი. ყოველწლიურად ცენტრში 1 000-ზე მეტი მეზღვაური გადის მომზადება-გადამზადებასა და სერტიფიცირებას.

შპს „სსც ანრის“ გააჩნია საკუთარი მცურავი ერთეულები: თ/მ „ANTARES“ და თ/მ „ოთარ ჩახვაძე“, რომლებზეც ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები ჩვენი კურსანტებისთვის.

2010 წლის 1 აპრილიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №248-ის საფუძველზე შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრ „ანრის“ მიეცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია, გაიარა შესაბამისი აკრედიტაცია.

სასწავლებელი ახორციელებს სწავლებას შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:




***1. უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა:***

ა) საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია). სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 სასწავლო წელს, სულ 240 ECTS კრედიტს.

ბ) საზღვაოსნო მეცნიერებები (გემის მექანიკა). სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 სასწავლო წელს, სულ 240 ECTS კრედიტს.

ერთი სასწავლო წლის ხანგრძლივობა 38 კვირას შეადგენს (1 ECTS კრედიტი დაახლოებით 27 ასტრონომიული საათი, ანუ, 36 აკადემიური საათის ტოლია).

***2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:***

ა) IV საფეხურის გემბანის მეზღვაური-სწავლის ხანგრძლივობა 1 სასწავლო წელი, სულ 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი); მათგან, 25 კრედიტი – სასწავლო კომპონენტი, ხოლო 35 კრედიტი – სასწავლო-საცურაო პრაქტიკის კომპონენტი.

ბ) IV საფეხურის სამანქანე განყოფილების მეზღვაური – სწავლის ხანგრძლივობა 1 სასწავლო წელი, სულ 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი); მათგან, 25 კრედიტი – სასწავლო კომპონენტი, ხოლო 35 კრედიტი – სასწავლო-საცურაო პრაქტიკის კომპონენტი.

გ) III საფეხურის გემბანის მეზღვაური – სწავლის ხანგრძლივობა 1 სასწავლო წელი, სულ 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი); მათგან 25 კრედიტი – სასწავლო კომპონენტი, ხოლო 35 კრედიტი – სასწავლო-საცურაო პრაქტიკის კომპონენტი.

დ) III საფეხურის სამანქანე განყოფილების მეზღვაური – სწავლის ხანგრძლივობა 1 სასწავლო წელი, სულ 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი); მათგან, 25 კრედიტი – სასწავლო კომპონენტი, ხოლო 35 კრედიტი – სასწავლო-საცურაო პრაქტიკის კომპონენტი.

ე) III საფეხურის გემბანის მეზღვაური (უცხოელი მოქალაქეებისთვის ინგლისურ ენაზე) – სწავლის ხანგრძლივობა 1 სასწავლო წელი, სულ 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი); მათგან, 25 კრედიტი – სასწავლო კომპონენტი, ხოლო 35 კრედიტი – სასწავლო-საცურაო პრაქტიკის კომპონენტი.

ვ) III საფეხურის სამანქანე განყოფილების მეზღვაური (უცხოელი მოქალაქეებისთვის ინგლისურ ენაზე) – სწავლის ხანგრძლივობა 1 სასწავლო წელი, სულ 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი); მათგან, 25 კრედიტი – სასწავლო კომპონენტი, ხოლო 35 კრედიტი – სასწავლო-საცურაო პრაქტიკის კომპონენტი.

სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის სასწავლებელს გააჩნია: ს/გ „კაპიტანი ო. ჩახვაძე“, ბიბლიოთეკა სამკითხველოთი, სამანქანე განყოფილება, გემის რეალური ტრენაჟორი, კეთილმოწყობილი კლას-ლაბორატორიები, საერთო საცხოვრებელი 68 კაცზე, კვების ბლოკი, სამედიცინო პუნქტი, ცენტრალიზებული გათბობა.

შპს „სსც ანრი“ სერტიფიცირებულია საერთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001:2008 შესაბამისად და ფლობს სათანადო სერტიფიკატებს. გვაქვს IQNet-ის სერტიფიკატი.

შპს „სსც ანრი“ IASST-სა და Global MET-ის ნამდვილი წევრია. ბათუმის საზღვაო ცენტრ „ანრის“ დამფუძნებელია რუსლან დიასამიძე.

***დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ:***

***ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №47-ის მიმდებარე ტერიტორია.***

***ტელეფონი: 593-40-22-18, 0322-21-77-79.***

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-8(634)

– უფრო კონკრეტული გეგმა გაქვთ? – მკითხა ანდროპოვმა, რომელსაც მივუგე:

– დიახ. უმოკლეს დროში თვითმკვლელთა ბატალიონს მოვამზადებთ და ისინი შიშსა და ნგრევას დათესავენ ნავთობმწარმოებელ ქვეყანაში, დივერსიებს მოაწყობენ იქ და ამ აქციებიდან მიყენებული ზარალი არანაკლებ ეფექტური იქნება, ვიდრე სამხედრო ინტერვენციიდან მიყენებული ზარალი.

– ეს არც ისე იოლი საქმეა, – მითხრა ანდროპოვმა და პაუზა რომ გააკეთა, ვუთხარი:

– გარწმუნებთ, იური ვლადიმიროვიჩ, რომ აუცილებელი აქციაა და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად უნდა შესრულდეს.

– კეთილი. ამ საკითხს პოლიტბიუროზე გავიტან, თქვენ კი თავისუფლები ხართ.

ანდროპოვისგან რომ გამოვედით, მუხინმა მითხრა:

– რას ფიქრობ, მიიღებენ ჩვენს წინადადებას?

– თუ არ მიიღებენ, მაშინ, ჩვენი ქვეყანა განწირულია, – მივუგე მუხინს და ეს ლაპარაკი ამით დასრულდა.

ანდროპოვთან ჩვენი აუდიენციის შემდეგ წლები ისე გავიდა, არც არავის გამოვუძახებივარ ამ საკითხზე და არც საბჭოთა საგარეო პოლიტიკას ეტყობოდა, რომ ამ მიმართულებით აქტიურ ნაბიჯებს დგამდა. მიუხედავად იმისა, რომ ანდროპოვს კვირაში რამდენჯერმე ვხვდებოდი სხვადასხვა საკითხზე, მას ჩემი პატაკი ერთხელაც არ უხსენებია და მივხვდი, რომ პოლიტბიურომ ის უარყო.

ამერიკული ანტისაბჭოური ნავთობპროექტის განეიტრალების თემა მას მერე უფრო აქტიური გახდა, როდესაც ანდროპოვი გარდაიცვალა და „პერესტროიკა“ დაიწყო. თუმცა, არც „კაგებეს“ და არც ქვეყნის პარტიულ ხელმძღვანელობას არ უზრუნიათ, რომ ეს საფრთხე გაენეიტრალებინათ და ქვეყანა საშინელი კრახისგან ეხსნათ. პირიქით, როგორც კი გორბაჩოვი მომძლავრდა და საბჭოთა კავშირის დაშლის ამერიკული გეგმის განხორციელებას შეუდგა, პირველი პროვოკაცია მოაწყო. ახალი გენერალური მდივნის პირველი სამიზნე შეიარაღებული ძალები იყო. საჭირო იყო მათი მმართველი ელიტის მოშორება, ამას კი ამ ხალხის დისკრედიტაცია სჭირდებოდა. ამიტომ, გორბაჩოვმა „კაგებეში“ მოკალათებული მოღალატეების მეშვეობით, დასავლეთგერმანელ ახალგაზრდას, მათიას რუსტს პლანერით წითელ მოედანზე დაჯდომის საშუალება მისცა. საზღვრის დამრღვევი იმ დროს აიყვანეს, როდესაც ის წითელ მოედანზე, თავისი თვითმფრინავის წინ, ავტოგრაფებს არიგებდა. ეს იყო ერთადერთი უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოეთის არსებობის ისტორიაში. ამიტომ, გორბაჩოვმა ჯერ საჰაერო ძალების სარდლობა მოხსნა, შემდეგ სხვა სამხედრო მაღალჩინოსნებიც მიაყოლა და პირველი ძლიერი დარტყმა საბჭოთა არმიას ამით მიაყენა. ცრუ დიდებით შემოსილმა, უდიდესი ღალატისთვის ნობელის პრემიით დაჯილდოებულმა, საბჭოეთის პირველმა პრეზიდენტმა ისე გაწირა მილიონობით ადამიანი, რომ წარბიც არ შეხრია და ამ სატანურ საქმეში მან არმიისა და „კაგებეს“ ტრადიციული დაპირისპირება გამოიყენა. რუსეთთან დაკავშირებული პროვოკაცია, ისევე, როგორც სხვა მსგავსი ისტორია, გორბაჩოვმა ერთი პოლკოვნიკის დახმარებით განახორციელა, რომელიც შემდგომ გენერალ-პოლკოვნიკობამდე ალაზევა და, დაიშალა თუ არა ჩვენი დიდი ქვეყანა, ის სუბიექტი ქვეყნიდან გაქრა და თან მილიარდ ორასი მილიონი დოლარის ღირებულების განძიც გაიტაცა... იმ სუბიექტის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, პირობითად მას სვინინს ვუწოდებ.



ქვეყნის საგანძურის დაბრუნებაზე ზრუნვა ახალი დაწყებული იყო და მისი ძალიან მცირე ნაწილი გვქონდა დაბრუნებული, როდესაც შჩუკინმა შეხვედრა მთხოვა. მოსკოვში რომ წავედი, მითხრა:

– გენერალ-პოლკოვნიკი სვინინი გახსოვს?

– დიახ. თუ არ ვცდები, დაიშალა თუ არა საბჭოთა კავშირი, ის უცხოეთში გაიქცა.

– უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ სვინინი გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა, – მითხრა შჩუკინმა და მცირე პაუზის მერე დაამატა – ის მართლაც გაიქცა, როგორც გაირკვა, ბრაზილიაში და თან წაიღო მილიარდ ორასი მილიონი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა.

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, სვინინი რომ ჩვენს სიაში არ ფიგურირებს? – ვუთხარი შჩუკინს, რადგან ზეპირად ვიცოდი ეს სია და სვინინი იქ არ ეწერა.

– ვიცი, – დამიდასტურა შჩუკინმა, – ეს ინფორმაცია სხვა წყაროებიდან შევიტყვე. ჩვენ ვეძებდით გორბაჩოვის ფარულ ხელშემწყობს „კაგებეში“, სვინინზე გავედით და გატაცებული განძიც იქ ამოტივტივდა.

– ესე იგი, განძის დაბრუნების გამო არ დამიძახეთ?

– განძი, ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, თუმცა, ჩვენს გეგმაში ეგეც შედის.

– მთავარი, ალბათ, სვინინის ლიკვიდაციაა.

– დიახ, ის მოღალატე უნდა განადგურდეს. მანამდე კი გატაცებულ ქონებას დავიბრუნებთ, – მითხრა შჩუკინმა, – რიოში შენ რამდენჯერმე ხარ ნამყოფი და კიდევ ერთხელ მოგიწევს იქ გამგზავრება.

– ზღაპრული ადგილია. ყოველთვის ვოცნებობდი იქ დასვენებაზე, მაგრამ, რამდენჯერაც იქ ჩავედი, ყოველთვის ან სამსახურებრივად ვიყავი მივლენილი, ან კონტრაქტს ვასრულებდი.

– რას იზამ, კოკი, ასეთი პროფესია გვაქვს. სამშობლოს სამსახურმა მოსვენება და სიამოვნება არ იცის. პირველ ყოვლისა – მოვალეობა! ხოლო, ვინც მოვალეობას ივიწყებს და ღალატის გზას ადგება, შენი სამიზნე ხდება. შენ კი, იმედია, ამ მიზანსაც გაანადგურებ.

სვინინი რიოში დიდ ფუფუნებაში და, რა თქმა უნდა, სხვისი სახელითა და გვარით ცხოვრობდა. ნაძარცვი განძი მას თავის ფეშენებელურ ვილაში ჰქონდა დამალული და ერთ ზურგჩანთაში იყო მოთავსებული. გენერალ-პოლკოვნიკს უზარმაზარი ალმასები, ბრილიანტები, ლალები და ზურმუხტები ჰქონდა გატაცებული სპეცსანახიდან, რომლის

ნაწილიც მას ჩააბარეს, რათა საიმედოდ შეენახა. მან კი, ეს საიდუმლო რომ არ გამჟღავნებულიყო, სამი ადამიანი მოკლა, ეს უძვირფასესი ნივთები გაიტაცა და გაუჩინარდა.

სვინინს საემიგრაციო სამსახურის თანამშრომლის სახელით ვეწვიე და, როდესაც მარტო მოვიხელთე, ჯერ მისი ოთხი უზარმაზარი როტვეილერი დავხოცე მაყუჩიანი პისტოლეტიდან, შემდეგ მას მივუშვირე ლულა და ვუთხარი:

– გეგონა, ვერ მოგაგნებდით და შენს დარჩენილ ცხოვრებას სიამტკბილობაში გაატარებდი?

– „კაგებე" სასტიკი უწყებაა, მას ვერსად გაექცევი. სამწუხაროდ, ეს ვერ გავითვალისწინე.

– „კაგებე" აღარ არსებობს. მე სამართლიანობის აღსადგენად მოვედი. სადაა საბჭოეთის კუთვნილი ქონება?

– არც საბჭოეთი არსებობს, – მითხრა სვინინმა.

– სამწუხაროდ, ასეა და ამაში შენ და შენნაირებს მიგიძღვით ბრალი.

– აბა, რას მთხოვ? რაც არ არსებობს, იმას როგორ მთხოვ?

– ოფიციალურად არც შენ არსებობ, მაგრამ, აქ ხარ, ჩემ წინ. ჩქარა, გატაცებული ქონება გამოაჩინე!

– არ მაქვს, – მტკიცედ მითხრა სვინინმა. პასუხად წვეტიანი ხანჯალი ბარძაყში ჩავარჭვე, მერე სწრაფად ამოვაძრე და კბილებში გამოვცარი:

– ჩქარა, ქონება გამოაჩინე!

– ბუნკერში მაქვს შენახული... – ამოიკვნესა სვინინმა და ბარძაყზე დაიდო ხელი, საიდანაც თქრიალით მოსდიოდა სისხლი.

სვინინი თრევა-თრევით ჩავიყვანე ბუნკერში და სეიფიდან ნაძარცვი ქონება გამოვალებინე. როცა დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ადგილზე იყო, ისევ ზემოთ ავათრიე, სავარძელში ჩავაგდე და ვუბრძანე:

– ახლა კი ის მითხარი, ვისი დავალებით აწყობდი პროვოკაციებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლას შეუწყო ხელი!

– რაღა გინდათ, გატაცებული ქონება ხომ დაგიბრუნეთ? წადით, თავი დამანებეთ!.. – ამოიკვნესა სვინინმა, რომელსაც, რატომღაც, არ ეგონა, რომ სიკვდილით დავსჯიდი.

– კითხვაზე მიპასუხე, თორემ, მეორე ბარძაყსაც გაგიხვრეტ, – კბილებში გამოვცარი და ხანჯალი დავანახვე.

– პირადად გორბაჩოვის, – მითხრა სვინინმა, – მე ჯერ კიდევ სტავროპოლში ვმუშაობდი მასთან და მენდობოდა. ასეთი კარიერა სწორედ მისი დახმარებით გავიკეთე. ის მარწმუნებდა, რომ ასე იყო საჭირო. მათიას რუსტი რომ წითელ მოედანზე დაეშვა, ეს ჩვენ მოვაწყვეთ. მას ჩვენმა აგენტებმა ჩააგონეს, რომ წითელ მოედანზე დამჯდარიყო და სახელს გაითქვამდა, თან, დიდ ფულსაც იშოვიდა. რუსტი ძალიან ახალგაზრდა, ძალიან პატივმოყვარე და ძალიან ფულის მოყვარული ადამიანი იყო. მას ჩვენი დახმარებით ფინეთის ყურეში გაუხსნეს გზა და, ლენინგრადში რომ შემოფრინდა, ერთხანს ლენინგრადი-მოსკოვის მატარებელს დააჯდა კუდზე, შემდეგ სიმაღლე ასწია და მოსკოვში რომ შემოფრინდა, პირდაპირ წითელ მოედანზე დაჯდა. იმ დღეს, „პვეოს" მორიგე სპეციალური პრეპარატით გააბრუეს და ქმედითუუნარო გახადეს, მისი ხელქვეითები კი დაათვრეს და ამგვარად შემოუშვეს რუსტი, რასაც საბჭოთა არმიის რღვევა, ამას კი საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.



– გორბაჩოვმა ეს იცოდა?

– იცოდა, თანაც, დეტალებში. ხოლო, ჩვენი გეგმები რომ არ გაშიფრულიყო, რადგან მას მოსმენების ეშინოდა, ანგარიშს ტყეში ვაბარებდი ხოლმე, მის აგარაკზე, ეგრეთ წოდებული საღამოს გასეირნების დროს. სანაცვლოდ თავბრუდამხვევ კარიერას მპირდებოდა და მარწმუნებდა, რომ მარშალი გავხდებოდი.

– ორი ვარსკვლავი დაგაკლდა მარშლობამდე, – ზიზღით მივუგე სვინინს და ვკითხე – ამ ყველაფერს თავად გორბაჩოვი იგონებდა, თუ კონსულტანტები ჰყავდა?

– ვფიქრობ კი არა, ზუსტად ვიცი, გორბაჩოვს ამ ყველაფერს ამერიკელები ურჩევდნენ, – სვინინმა პაუზა გააკეთა და განაგრძო, – თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გორბაჩოვს აიძულებდნენ ამის გაკეთებას.

– აიძულებდნენ?

– დიახ.

– რატომ ფიქრობ მასე?

– თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ ეს ყველაფერი ამერიკელების წისქვილზე ასხამდა წყალს. სინამდვილეში არანაირ ხალხის ზრუნვაზე არ იყო ლაპარაკი, როგორც ამას გორბაჩოვი მიმტკიცებდა.

– ხალხისთვის ზრუნვაზე?

– დიახ. გორბაჩოვი მეუბნებოდა, რომ, თუკი საბჭოთა არმიის ძველ ხელმძღვანელობას მოიშორებდა, ის ეკონომიკას წამოსწევდა და ხალხის მძიმე ცხოვრებას გააუმჯობესებდა. გორბაჩოვი მეუბნებოდა, რომ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის ოთხმოცი პროცენტი არმიას მიჰქონდა და ხალხი იმიტომ ცხოვრობდა ასე ცუდად.

– კიდევ რას გეუბნებოდა ის იუდა?

– ძირითადად, ამას.

– თუ ჯერ კიდევ მაშინ მიხვდი, რომ გორბაჩოვი ამერიკისთვის მუშაობდა, რატომ არ მიიღე შესაბამისი ზომები?

– რა ზომები?

– რა და, რატომ არ აცნობე ამის შესახებ თუნდაც „კაგებეს" ხელმძღვანელობას, შენ ხომ მაშინ „კაგებეს" პოლკოვნიკი იყავი და ასეთი რამ სამსახურებრივად გევალებოდა?

სვინინმა გაკვირვებით შემომხედა, მწარ-




ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...

მაკლერი:

-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31

ედ ჩაეცინა და მითხრა:

– როგორ ფიქრობთ, ეს რომ მე „კაგებეს“ ხელმძღვანელობისთვის მეთქვა, ვინმე ცოცხალს დამტოვებდა? ხრუშჩოვს პირადად მოახსენეს, რომ მასზე შეთქმულება მზადდებოდა და ფაქტებიც დაუდეს, მან კი ეს ყველაფერი უგულებელყო და ინფორმატორები უკვალოდ გააქრეს. მე ვინ დამიჯერებდა, თანაც, დაუდასტურებელ ვარაუდს?

– რა ზღაპრებს მიყვები! შენ თვითონ არ მითხარი, რომ რუსტს შენმა ხალხმა ჩააგონა წითელ მოედანზე თვითმფრინავით დაჯდომა?!

– ჰო, მაგრამ, ყველა ის ადამიანი, ანუ შემსრულებელთა ქვედა რგოლი მალევე მოიშორეს თავიდან და მხოლოდ მე დამტოვეს ცოცხალი. გასაგებია?

– გასაგებია. გამოდის, რომ გორბაჩოვს შემსრულებელთა სხვა ჯგუფიც ჰყავდა „კაგებეში“.

– არანაირი სხვა ჯგუფი, ჩემი ხალხი „ცეერუმ“ მოიშორა. ისინი სულ რვანი იყვნენ. ერთ მშვენიერ დღეს, რვავე ერთი ვერტმფრენით მიფრინავდა როსტოკის სამხედრო პოლიგონზე, როდესაც ვერტმფრენი ჰაერში აფეთქდა და ყველანი დაიღუპნენ. მართალია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩვენი გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ, „ცეერუს“ იქ ძლიერი აგენტურა და დივერსიული ჯგუფები ჰყავდა, ამიტომ, მათ ჩვენი ვერტმფრენის აფეთქება არ გაუჭირდებოდათ.

მე კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც გერმანიაში საბჭოთა ვერტმფრენი აფეთქდა და ხალხი დაიღუპა. მაშინ ამერიკელები გაკვრითაც კი არავის უხსენებია და ყველაფერი საბჭოთა მექანიკოსს დააბრალეს, რომელმაც მაშინვე თავი მოიკლა. ამიტომ, სვინინის სიტყვებმა უკიდურესად გამაღიზიანა და ვუთხარი:

– ის მოღალატეები სიკვდილს ნამდვილად იმსახურებდნენ, მაგრამ მათ გარდა, იქ სხვებიც დაიღუპნენ, მექანიკოსმა კი თავი მოიკლა, ან, ალბათ, ისიც მოკლეს.

– ეგ უკვე აღარ ვიცი, – მხრები აიჩეჩა სვინინმა, – ჩემთვის დეტალები არავის უთქვამს. მე, უბრალოდ, მიმახვედრეს, რომ, თუ ჭკვიანად არ მოვიქცეოდი, მეც იგივე ბედი მელოდა.

– და, შენც ბოლომდე მოაწერე ხელი ღალატს, ხომ?

– აბა, რა უნდა მექნა?

– რა და, ყველაფერი გაგესაჯაროებინა. შემდეგ კი თუნდაც მიმალულიყავი.

– სად დავიმალებოდი?! მე ხომ მიწიდან ამომიღებდნენ. ასე კი გადარჩენის შანსი მქონდა.

– მერე, გადარჩი?

სვინინს თვალები გაუფართოვდა. მას ბარძაყის საშინელი ტკივილიც კი დაავიწყდა და მითხრა:

– ჩემგან რაღა გინდათ? ნაძარცვი ქონება ხომ დაგიბრუნეთ?

– სამშობლოს ღალატი არავის ეპატიება და ხანდაზმულობის ვადა მას არ გააჩნია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უკვე არც სამშობლო არსებობს, – მივუგე სვინინს და ტყვიით შუბლი გავუხვრიტე, შემდეგ პისტოლეტი იქვე დავაგდე და მისი ფეშენებელური ვილა იმავე შელახული „მერსედესით“ დავტოვე, რომლითაც იქ მივედი. „მერსედესი“ უკაცრიელ ადგილზე გადავჩეხე, რამდენიმე საათის შემდეგ კი, უკვე პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში მივფრინავდი. ძვირფასეულობით გატენილი სპორტული ზურგჩანთა ბარგში ჩავაბარე და ადგილზე რომ ჩავედი, უვნებლად მივიღე, საბაჟოც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გავიარე და ქალაქში გავედი.



პარაგვაიდან ჩილეში ჩავფრინდი. იქიდან კი საოკეანე გემით ჩავედი სოჭში. ეს ვოიაჟი სამი კვირა გაგრძელდა. ასეთი გრძელი გზა უსაფრთხოების მიზნით ავირჩიე. რადგან, რიოშიც, ასუნსიონშიც და ჩილეშიც ძველი ნაცნობები მყავდა საბაჟოებზე, რომლებიც არცთუ დიდი ანაზღაურების ფასად ნებისმიერი ტვირთის გატანაზე ხუჭავდნენ თვალს.

თითქმის მთელი დედამიწა გამოვიარე და ზედმეტი სიტყვაც კი არავის დაუძრავს, მაგრამ, სოჭის საბაჟოს რომ გავდიოდი, სადაც, წესით, ყველაფერი წესრიგში უნდა ყოფილიყო, კინაღამ გავიშიფრე. წინასწარ ვიცოდი, რომ მეოთხე ხაზი უნდა გამევლო, კონტროლიორისთვის ათდოლარიანი ჩამეკუჭა ხელში და ყველაფერი წესრიგში იქნებოდა. მეც სწორედ ასე მოვიქეცი: მილიარდ ორასმილიონდოლარიანი ზურგჩანთა ბეჭებზე მქონდა მორგებული, მშვიდად შევედი საკონტროლო მეოთხე ხაზზე და ახალგაზრდა კონტროლიორს რომ მივუახლოვდი, წინასწარ გამზადებული ათდოლარიანი ხელში ჩავუკუჭე და ნაბიჯის გადადგმა დავაპირე, მაგრამ, შლაგბაუმმა არ გამიშვა. მებაჟემ საზღვარი არ გამიხსნა. მან ჯერ ჩემს დაჭმუჭნილ ათდოლარიანს დახედა, შემდეგ კოპები შეიკრა და კბილებში გამოსცრა:

– აქეთ გამოდით, მოქალაქევ, თქვენი ზურგჩანთა უნდა შევამოწმო!

ახალგაზრდა კონტროლიორის სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, თუმცა, სიმშვიდე არ დამიკარგავს, საფულე გავხსენი და ის-ის იყო, ასდოლარიანი უნდა ამომეცურებინა, რომ კუშტმა ახალგაზრდამ მრისხანედ დაიქუხა:

– აბა, მოეშვი საფულეში ქექვას და გვერდით გადმოდი, ჩქარა!

სიმართლე რომ ვთქვა, იმ მომენტში ნამდვილად არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. გაქცევით ვერსად გავიქცეოდი, იმ მებაჟისთვის კი მილიონი დოლარიც რომ მიმეცა, მაინც არ აიღებდა. გვერდზე გადგომა და ჩემი ჩანთის გახსნა კი რასაც გამოიწვევდა, ძნელი მისახვედრი არ იყო. ასეთ მომენტებში ფორტუნა თუ გიშველის და განგებამ არ დააყოვნა: ის-ის იყო, ახალგაზრდა მებაჟე მილიციის მოხმობას აპირებდა, რათა ძალით გავეყვანე გვერდზე, რომ უცებ ხანში შესული მებაჟე მოვიდა. მან ჯერ მე შემომხედა, შემდეგ კი თავის ახალგაზრდა კოლეგას ჰკითხა:

– ლიოხა, რაშია საქმე?

ახალგაზრდა მებაჟე კოლეგას მიუბრუნდა და მიუგო:

– სტეპან ზახარიჩ, აი, ეს მოქალაქე ქრთამს მთავაზობდა, – ახალგაზრდამ ზახარიჩს დაჭმუჭნილი ათდოლარიანი მისცა და დაამატა – ეს კი კანონით ისჯება. მე არ ვაპირებდი მისი ზურგჩანთის შემოწმებას, ახლა კი ამის გაკეთება აუცილებელია. იქ ნამდვილად კონტრაბანდაა და უნდა შემოწმდეს.

– კეთილი, ლიოხა, შენ აბსოლუტურად მართალი ხარ. ვატყობ, რომ შტატში სულ მალე აგიყვანენ. მიდი, ბოლომდე გააკეთე შენი საქმე. მე კი ამ მოქალაქეს ჩანთას შევუმოწმებ, – უთხრა ლიოხას სტეპან ზახარიჩმა, რომელმაც მანამდე თვალი ჩამიკრა და მანიშნა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო.

– სტეპან ზახარიჩ, ხომ არ დაგეხმაროთ? – ჰკითხა ლიოხამ თავის უფროს კოლეგას.

– არაა საჭირო, მარტოც გავუმკლავდები. შენ კი, მიდი, კარგად მუშაობ, – მიუგო ზახარიჩმა, შემდეგ მომიბრუნდა და მრისხანედ მიბრძანა:

– თქვენ კი, მოქალაქევ, ნუ აყოვნებთ

ხალხს, წამომყევით!

ზახარიჩს მორჩილად გავყევი და ოთახში რომ შევედით, ათასი ბოდიში მომიხადა:

– მაპატიეთ, ჩემო კარგო, კუჭი მაქვს აშლილი და ტუალეტში ვიყავი. ეს შტერი ლიოხა პრაქტიკანტია და არ იცოდა, რომ უნდა გაეტარებინეთ. აი, თქვენი ზურგჩანთა, – ზახარიჩმა ზურგჩანთა გამომიწოდა და დაამატა – ამ კარიდან მიბრძანდით და ნურაფერზე იდარდებთ.

მე ჯერ საბაჟოს სათადარიგო კარიდან გავედი გარეთ. შემდეგ სტეპან ზახარიჩი მოვიხმე ხელით. რომ მოვიდა, ხელში ასდოლარიანი ჩავუკუჭე და ვუთხარი:

– ჩუ, ეს თქვენ ნამდვილად დაიმსახურეთ. მაგრამ, გარწმუნებთ, ამ ზურგჩანთით ნარკოტიკები ნამდვილად არ გადამაქვს. იქ ცოტაოდენი სამკაულია და საბაჟოზე რომ გავატარო, ამდენივე დამიჯდება.

ასდოლარიანის დანახვაზე სტეპან ზახარიჩს ენა ჩაუვარდა და, სანამ ის რამეს მოისაზრებდა, მე უკვე შავ „ჯიპში“ ვიჯექი და სოჭის ცენტრისკენ მივდიოდი. წინ მხოლოდ მძღოლი იჯდა. უკან კი მე და შჩუკინი, რომელმაც მითხრა:

– მთელ ამ სცენას თავიდან ბოლომდე ვადევნებდი თვალს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბედის რჩეული ხარ.

– ჰო, – მივუგე ვიქტორ იაკოვლევიჩს, – თითქმის მთელი მსოფლიო გამოვიარე ამ ჩანთით და არავინ დაინტერესებულა მისი შიგთავსით. აქ კი ღამის ცხვირმოუხოცავმა ბიჭმა ჩამომართვა ამხელა განძი.

– რას იზამ, ჩემო კოკი, ნუ დაგავიწყდება, რომ რუსეთში ხარ. რუსეთი კი ამოუცნობი ქვეყანაა და მას ბოლომდე ვერ ჩაწვდები.

– მართალს ბრძანებთ, – მივუგე შჩუკინს და ტიუტჩევის ცნობილი ლექსიდან ციტატა მოვიყვანე, რომელიც ამბობს, რომ რუსეთს ვერც გონებით ჩასწვდები და ვერც არშინით გაზომავ, რომ რუსეთის მხოლოდ უნდა გწამდეს...

მიუხედავად იმისა, რომ ტიუტჩევი გენიალური პოეტია, ბევრი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ რუსეთის უნდა გწამდეს და მიაჩნიათ, რომ რუსეთი აუცილებლად უნდა დაშალო, გაანადგურო და მიწასთან გაასწორო, რადგან მსოფლიოს საფრთხეს უქმნის.

შჩუკინს ჩემ მიერ მოყვანილ ციტატაზე გაეღიმა და მომიგო:

– ჩვენი მტრების შეცდომა ის არის, რომ ისინი ასე არ ფიქრობენ და ჩვენი განადგურება, მოსპობა და მიწასთან გასწორება სურთ.

– ჰოდა, ჩემო ძვირფასო ამხანაგო გენერალო, – სიტყვა გავაწყვეტინე შჩუკინს, – ძალიანაც ცდებიან. გაიხსენეთ მონღოლები, შვედები, თურქები, ნაპოლეონი და ჰიტლერი. ყველა რუსეთთან დამარცხდა და კიდევ ბევრი მოიტეხს კისერს, თუკი ჩვენი ქვეყნის დაპყრობა-განადგურებას შეეცდება.

– იცი, რას გეტყვი, ჩემო კოკი? კარგია, რომ რუსეთს შენს ქვეყნად თვლი. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოზე მეტად რუსეთი არ გიყვარს, მაგრამ, კარგად გესმის, რომ ეს ორი მართლმადიდებლური ერი ერთად უნდა იყოს და ერთობლივი ძალებით გაუმკლავდეს იმ უამრავ მტერს, რომლებიც გარს გვახვევია.



– დიახ, ნამდვილად.

– განა, ქართველმა ჯუღაშვილმა არ ააღორძინა რუსეთი? განა, რუსეთის დიად იმპერატორ პეტრე დიდს ქართველ ბაგრატოვანთა სისხლი არ უჩქეფდა ძარღვებში? ასე რომ, ჩვენ არა მხოლოდ სულით მონათესავე ერები ვართ, არამედ სისხლითაც და ამას ვერსად გაექცევი.

– დიახ, მართალს ბრძანებთ, – ვეთანხმებოდი შჩუკინს და დარწმუნებული ვიყავი, რომ ის აბსოლუტურად გულწრფელი იყო. მას, ისევე, როგორც მე, მიაჩნდა, რომ ერთიანი პოსტსაბჭოური სივრცის შენარჩუნება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ სათავეში ამერიკის პირდაპირი აგენტი და სამშობლოს მოღალატე იმყოფებოდა. ჩვენ ისიც კარგად გვესმოდა, რომ ამ სივრცის აღდგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ათეულ მილიონობით ადამიანისთვის და ჩვენ სწორედ ამისთვის ვიბრძოდით.

ამასობაში ჩვენი „ჯიპი“ აგარაკების დახურულ ზონაში შევიდა და შჩუკინმა მითხრა:

– მოვედით. მოდი, ვნახოთ, რა მოიპარა სვინინმა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | | | | | | | ს | | დ | | ს | | გ | | მ |
| | | | | | | | ა | ლ | ი | გ | ა | ტ | ო | რ | ი |
| | | | | | | | ლ | | ნ | | თ | | ჩ | | წ |
| | | | | | | | ა | | ა | ლ | ა | ბ | ა | მ | ა |
| | | | | | | | მ | უ | რ | ა | დ | ა | | ე | |
| ა | ვ | ლ | ა | ბ | ა | რ | ი | | ი | ნ | ა | ტ | ე | რ | ბ |
| ტ | | ა | | ი | | უ | | ტ | | ა | რ | ა | ბ | ი | |
| ი | ჩ | ლ | ე | | ხ | რ | ო | ვ | ა | | ი | | ა | | ა |
| ჩ | | ი | | ლ | | კ | | ი | | ა | გ | ე | ნ | ტ | ი |
| | გ | | მ | ე | დ | ი | ა | ნ | ა | | ო | მ | ი | რ | გ |
| გ | ო | რ | ი | ლ | ა | | მ | ი | მ | ი | | ბ | | ე | |
| | გ | | ს | ა | რ | ფ | ი | | უ | | ა | ლ | ე | კ | ა |
| ლ | ო | ძ | ი | | ი | | მ | უ | რ | ა | დ | ე | ლ | ი | |
| | ნ | | მ | ა | ნ | კ | ი | | ი | რ | ე | მ | ი | | ა |
| ნ | ა | ლ | ა | | ა | ლ | ა | ო | | ი | ს | ა | ს | ა | ვ |
| უ | | ი | | უ | | ა | | ლ | ი | ზ | ა | | ო | | ი |
| ბ | ე | ლ | ა | ფ | ო | ნ | ტ | ე | | ო | | ი | | ა | |
| ი | | ვ | | ხ | | ი | | შ | ე | ნ | ა | ტ | ა | ნ | ი |
| ა | დ | ი | რ | ო | კ | | | ა | რ | ა | დ | ა | ნ | ი | |
| | ე | | ი | | ა | | ჯ | | მ | | ო | ლ | ი | ვ | ს |
| ო | გ | ი | დ | ნ | ი | | ი | ს | ი | დ | ნ | ი | ს | | ტ |
| ს | ა | ნ | ი | ო | | ა | ლ | უ | ტ | | ი | ა | უ | ზ | ა |
| ლ | | ჩ | | ტ | ა | ტ | ა | მ | ი | | ს | | ლ | | ქ |
| ო | კ | ი | ჩ | ა | | უ | | ო | | ღ | ი | მ | ი | ლ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 1 | 5 | 3 | 6 | 2 | 4 |
| 2 | 3 | 5 | 4 | 6 | 7 | 9 | 1 | 8 |
| 6 | 4 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 7 | 5 |
| 3 | 1 | 9 | 6 | 8 | 5 | 2 | 4 | 7 |
| 7 | 2 | 8 | 3 | 9 | 4 | 1 | 5 | 6 |
| 4 | 5 | 6 | 2 | 7 | 1 | 8 | 9 | 3 |
| 1 | 7 | 3 | 9 | 4 | 6 | 5 | 8 | 2 |
| 5 | 6 | 2 | 7 | 1 | 8 | 4 | 3 | 9 |
| 9 | 8 | 4 | 5 | 3 | 2 | 7 | 6 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 8 | 3 | 5 | 1 | 7 | 2 | 9 |
| 5 | 9 | 7 | 4 | 2 | 8 | 1 | 6 | 3 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 6 | 9 | 4 | 5 | 8 |
| 7 | 3 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 4 | 6 |
| 2 | 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 9 | 3 | 1 |
| 6 | 4 | 1 | 9 | 3 | 5 | 2 | 8 | 7 |
| 1 | 7 | 4 | 5 | 8 | 3 | 6 | 9 | 2 |
| 9 | 2 | 3 | 1 | 4 | 6 | 8 | 7 | 5 |
| 8 | 5 | 6 | 2 | 9 | 7 | 3 | 1 | 4 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. სერვიუსი ნიშნავდა „მონას“. 2. პასკვილი. 3. კარაქს. 4. კატის. 5. კოსმეტიკა. 6. უფულოდ (ეძლეოდათ მხოლოდ 5 ფუნტის გატანის საშუალება, დახარჯვის უფლების გარეშე). 7. ტანზანია. 8. ბაბილონის გოდოლი. 9. ქარვას. 10. ბურჟუა.**

# რატომ ვერ გაერთიანდნენ ევროპის პოლიტიკური ლიდერები სტალინის წინააღმდეგ



**ომში გამარჯვებული ინგლისი და საფრანგეთი დაპირისპირებულნი იყვნენ ომში დამარცხებულ გერმანიასთან. ინგლისი დაბეჯითებით ცდილობდა ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას ევროპაში, სტალინი კი ცდილობდა, ეს არ დაეშვა**

*დღემდე დამაჯერებლად არ არის ახსნილი, თუ როგორ დააღწია თავი საბჭოთა სახელმწიფომ იმ ეკონომიკურ ნგრევას, რომელიც პირველ მსოფლიო ომსა და სამოქალაქო ომს მოჰყვა რუსეთში. ამ საკითხზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.*

პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წლები), რუსეთის ეკონომიკა ძლიერ კრიზისში ჩააგდო, ხოლო მომდევნო წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომმა (1918-1920 წლები) საერთოდ მოშალა ეკონომიკა. აშკარა იყო, რომ საბჭოთა რუსეთი (შემდეგში – საბჭოთა კავშირი) გაჩანაგებულ ეკონომიკას დამოუკიდებლად ვერ აღორძინებდა. ეკონომიკის ნგრევა და გაჩანაგება აუცილებლად გამოიწვევდა პოლიტიკურ კრიზისს. დაიწყებოდა გამოსვლები საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ვლადიმირ ლენინი, მძიმე ავადმყოფობის გამო, უზარმაზარ სახელმწიფოს რეალურად მხოლოდ 1920 წლამდე მართავდა. ის ისე ჩამოსცილდა სახელმწიფო მმართველობას, რომ არაფერი გაუკეთებია ეკონომიკური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად და არც სამომავლო გეგმები დაუსახავს. ასე რომ, ეკონომიკური კატასტროფის თავიდან აცილება, რაც, იმავდროულად, პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილებასაც ნიშნავდა, სტალინმა შეძლო. სტალინის მიერ შემუშავებული გეგმა ემყარებოდა იმის აღიარებას, რომ რუსეთი, ეკონომიკური კატასტროფის თავიდან აცილებას დამოუკიდებლად, თავისი რეზერვებით, ვერ შეძლებდა. აუცილებელი იყო ევროპის ქვეყნებთან რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში ჩამოყალიბებული ტრადიციული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა. სტალინის გათვლა აბსოლუტურად სწორი იყო, მაგრამ, 1921 წლისთვის ეს არარეალური ჩანდა, რაც განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: ევროპის დიდი სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის სახით დიდ საფრთხეს ხედავდნენ და, ამიტომ, მოსალოდნელი იყო, რომ იმ ეპოქის პოლიტიკურ ლიდერებს უარი ეთქვათ საბჭოთა სახელმწიფოსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე. ეს იყო საბჭოთა კავშირის დასუსტებისა და იქ პოლიტიკური კრიზისის გამოწვევის ეფექტური საშუალება. იყო მეორე ხელის შემშლელი ფაქტორიც: მსოფლიო რევოლუციის იდეით შეპყრობილი რუსი კომუნისტი ლიდერები ევროპის ქვეყნებს განიხილავდნენ როგორც მტრულ ძალას და, აქედან გამომდინარე, შეეცდებოდნენ ამ ქვეყნებთან პოლიტიკური და სამხედრო კონფრონტაციის გაგრძელებას. სტალინი ამ წინააღმდეგობებს არ შეუშინდა და დაიწყო თავისი გეგმის რეალიზება. როგორც აღმოჩნდა, სტალინის გათვლა სავსებით რეალურ საფუძველს ემყარებოდა. პირველმა მსოფლიო ომმა მეომარი ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია) ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. მრეწველობის აღორძინებისთვის ევროპას ესაჭიროებოდა რუსეთის ნედლეული, განსაკუთრებით – ნავთობი და მანგანუმი. დიდი მოთხოვნილება იყო რუსულ ფოლადსა და ხე-ტყეზე. ომმა მთელი სასურსათო მარაგი შთანთქა. ევროპა სასურსათო კრიზისის საშიშროების წინაშე იდგა. პირველ ყოვლისა, იგრძნობოდა ხორბლის იმპორტის აუცილებლობა. ტრადიციულად, ევროპაში ხორბალი რუსეთიდან შედიოდა. ცხადია, ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები გრძნობდნენ, რომ რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობდა რუსეთის ეკონომიკის აღმავლობას და თავიდან ააცილებდა სტალინს პოლიტიკურ კრიზისს. ამიტომ იყო, რომ ევროპელი პოლიტიკოსები გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდნენ. არ ჩქარობდა სტალინიც. მან კარგად იცოდა, რომ ევროპის ეკონომიკა რუსეთის ნედლეულის გარეშე ვერ აღორძინდებოდა, ხოლო, სულ მალე, ევროპის ქვეყნების მთავრობებს მოსახლეობის პურით გამოკვების პრობლემა შეექმნებოდათ. სტალინმა შესანიშნავად გამოიყენა ის, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ევროპა ერთიანი არ იყო – ომში გამარჯვებული ინგლისი და საფრანგეთი დაპირისპირებული იყვნენ ომში დამარცხებულ გერმანიასთან. ინგლისი დაბეჯითებით ცდილობდა ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას ევროპაში, სტალინი კი ცდილობდა, – ეს არ დაეშვა. სტალინი მაქსიმალურად ცდილობდა, გამოეყენებინა ინგლის-საფრანგეთის დაძაბული ურთიერთობა გერმანიასთან. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მერყეობა დასრულდა მას შემდეგ, რაც რეალური გახდა საფრთხე საბჭოთა კავშირ-გერმანიის დაახლოებისა. აშკარა გახდა, თუ ინგლისი და საფრანგეთი უარს იტყოდნენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე, მაშინ, საბჭოთა კავშირის პარტნიორი გახდებოდა გერმანია. რუსული ნავთობი, მანგანუმი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გერმანიასაც ისევე სჭირდებოდა, როგორც ინგლის-საფრანგეთს. გერმანიის ეკონომიკის აღორძინება და მისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერება ინგლის-საფრანგეთისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, ხოლო მომავალში საბჭოთა კავშირ-გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი – სასიკვდილო საფრთხეს. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. ამ გადაწყვეტილებას ევროპისთვის ორი სავალალო შედეგი მოჰყვა: საბჭოთა კავშირმა ეკონომიკის განვითარება შეძლო, სტალინმა კი პოლიტიკური კრიზისი თავიდან აიცილა. კიდევ უფრო სავალალო იყო ის, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა მაინც დაიწყო და სწრაფად განვითარდა, რამაც დიდი როლი ითამაშა გერმანიის სამხედრო პოტენციალის შექმნაში. საბოლოოდ ინგლის-საფრანგეთი აღმოჩნდა გაძლიერებული საბჭოთა კავშირისა და გაძლიერებული გერმანიის წინაშე.

ამის მიუხედავად, ინგლისი მაინც დაჟინებით ცდილობდა ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას, – მაგრამ, უშედეგოდ. ჩამოყალიბებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები პოლიტიკოსთათვის გადაულახავ ზღუდედ იქცა.

კიდევ უფრო გართულდა ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა მას შემდეგ, რაც 1933 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირი ცნო და ამ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. 1934 წელს საბჭოთა კავშირი ერთა ლიგაში მიიღეს. ინგლისი და საფრანგეთი ბედს შეურიგდნენ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისთვის ხელი არ შეუშლია გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ნაცისტების მოსვლას. პირიქით, ეს კავშირები კიდევ უფრო გაძლიერდა. არავისთვის საიდუმლო არ იყო, რომ გერმანიის სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაში სერიოზულ როლს რუსული ნედლეული ასრულებდა. იგრძნობოდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის პოლიტიკური დაახლოების ტენდენციებიც. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის პოლიტიკაში ორი მთავარი მოთამაშე ინგლისი და საფრანგეთი იყო, ახლა არენაზე გამოვიდა ორი ახალი მოთამაშე – საბჭოთა კავშირი და გერმანია. ამიერიდან ევროპის მომავალი ამ ოთხ სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული, თუმცა, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ოთხთა ჭიდილში ამერიკის შეერთებული შტატები. ყოველივე ამას კარგად გრძნობდა იოსებ სტალინი და მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა ახალი ვითარების შესაბამისი სტრატეგიული გეგმა.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ალაჯანაშვილი

ეს გვარი შედგენილია. **ალა** სპარსულად ნიშნავს ბატონს, **ჯან** კი ინდურ-სპარსულია და ნიშნავს ხელს. კონკრეტულ შემთხვევაში, **ჯან** მიმართვის საალერსო ფორმაა. აქედან მოდის გვარები: ჯანაშვილი, ჯანიაშვილი.

საკუთარი სახელი **ალაჯან** მოხსენიებულია 1670 წლის მამულის ნასყიდობის წიგნში.

ამგვარად წარმოშობილი გვარებია: **ამირჯანაშვილი, ახიჯანასშვილი, ბერიჯანაშვილი, ბერიჯანიანი, გოგიჯანაშვილი, გორიჯანიანი, გელიჯანაშვილი, მეგიჯანაშვილი, მამაჯანაშვილი.**

საქართველოში 46 **ალაჯანაშვილი** ცხოვრობს: კასპში – 10, ყვარელში – 10, თბილისში – 5. არიან სხვაგანაც.

### კვიცაძე-კვიციშვილი-კვიციაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კვიცა.**

ამავე ძირისაა გვარები: **კვიციშვილი, კვიციაშვილი, კვიციანი.**

სოფელ კოდაში მცხოვრები დღევანდელი **კვიცაძეები** 1873 წლის აღწერით **კვიციშვილები** იყვნენ.

**კვიციაშვილი** გიორგი და მისი შვილები არაგვის საერისთავოში დუშეთის რაიონის სოფელ ეთვალიდან გადმოსულან.

საქართველოში 56 **კვიცაძე** ცხოვრობს: თბილისში – 26, თეთრი წყაროში – 20, რუსთავში – 6. არიან სხვაგანაც.

### ლალიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ლალია.**

ამავე ძირისაა გვარები: **ლალაშვილი, ლალებაშვილი, ლალუაშვილი, ლალიშვილი.**

ივანე და სოლომონ **ლალიაშვილები** 1873 წლის აღწერით მოიხსენიებიან დიდ თონეთში.

კოდაში მცხოვრებ **ლალიაშვილებს ლალიანთას** უძახიან.

საქართველოში 1 552 **ლალიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 625, დუშეთში – 189, გარდაბანში – 159. არიან სხვაგანაც.

### კუჭიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კუჭა, კუჭია.**

მეტსახელი **კუჭია** შემონახულია ფოლადის გვარის სახინჯარში.

გვხვდება ტოპონიმები: **კუჭიანი** – ქიზიყში, **კუჭია** კი – ზესტაფონის რაიონში.

**კუჭიაშვილები** იყვნენ მებატონეებიც და ყმა გლეხებიც.

საქართველოში 78 **კუჭიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 36, მცხეთაში – 36, კასპში – 6.

### ლოლაშვილი-ლოლიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ლოლა,** რომელიც სპარსული წარმოშობისაა და ქართულად იასამანს ნიშნავს.

თიანეთში მცხოვრებ ღვინია **ლოლისშვილს** 1829 წელს შეეძინა ქალი, რომელიც მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ და სახელად უწოდა ქეთევან.

**ლოლაშვილები** სოფელ ასურეთში 1941 წლიდან ცხოვრობენ.

ამავე ძირისაა გვარები: **ლოლაძე, ლოლიაშვილი, ლოლუა.**

საქართველოში 480 **ლოლაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 243, სიღნაღში – 120, დედოფლისწყაროში – 32. არიან სხვაგანაც.

246 **ლოლიაშვილი**: თბილისში – 132, გორში – 51, რუსთავში – 24. არიან სხვაგანაც.

### ბექაური

გვარის ფუძეა ძველი ქართული საკუთარი სახელი **ბექა.** ამ სახელით ბევრი ისტორიული პიროვნებაა ცნობილი, მაგალითად, **ბექა** ოპიზარი.

მთიანეთში მცხოვრებ **ბექაურთა** თიკუნებია: აფთარაანი, შარვანიანი, ბაინდურიანი, დათვიანი, ლომიანი, ბატარაანი.

არაგვის ხეობის აღწერაში 1774 წელს მოიხსენიებიან გუდამაყრის ჭალის სოფელში ერისთავის ყმა და მისი სამოსახლო: „ბეჟანა **ბექაურის** შვილი ნადირა, ირემა და შიო. აქავ **ბექაური** ვეფხია“.

გადმოცემის მიხედვით, ამ გვარის მიმცემი **ბექა** და წიკლაურთა ფუძის დამდები წიკქვაი ძმები ყოფილან. ამ გვარის წარმომადგენლები ამბობენ, რომ გუდამაყარში ცხოვრობდა ოთხი გვარის ხალხი: **ბექაური**, წიკლაური, აფციაური და ჩოხელი. ამ გვარების წარმომადგენლები ერთმანეთში არ ათხოვებდნენ ქალს.




თეთრიწყაროელი **ბექაურები** სოფელ მაქართადან არიან.

1853-1854 წლებში შამთაში მცხოვრები **ბექაურები**, შალვა **ბექაურის** გარდა, **ბექაურიშვილებად** ჩაეწერნენ.

გვხვდება, ასევე, გვარი **ბექაძე**.

საქართველოში 3 463 **ბექაური** ცხოვრობს: თბილისში – 468, თეთრი წყაროში – 417. არიან სხვაგანაც.

### საბაური-სამქანაშვილი-ჩონიაშვილი

**საბაურთა** გვარი ტოპონიმ **ცაბაურთადან** მომდინარეობს. **საბაურები** ფშავის სოფელ **ცაბაურთიდან** ყოფილან გადმოსახლებულნი სოფელ ფანშეტში და სოფლის სახელი გაუგვარებიათ. 1774 წლის აღწერაში სოფელ ფანშეტში რამდენიმე კომლი **საბაურია** მოხსენიებული.

„ვინაიდან **საბაურები** ცოტანი იყვნენ, თან უნდოდათ, რომ უფრო მეტნი ყოფილიყვნენ, ორი გვარი მიიღეს – ჯერ **სამქანაშვილები** გახდნენ, შემდეგ – **ჩონიაშვილები**.

**სამქანაშვილები** შიდა ქართლის სოფელ კავთისხევში მისულან, **ჩონიაშვილები** კი ხევის სოფელ ქობიდან არიან. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სოფელ ფანშეტში არის კავთის წმიდა გიორგის სალოცავი, რომელიც **სამქანაიძე-სამქანაშვილებს** ამ ადგილას გადასახლების შემდეგ გადაუტანიათ.

საქართველოში 165 **საბაური** ცხოვრობს: თბილისში – 87, ბორჯომში – 4, გარდაბანში – 3. არიან სხვაგანაც.

159 **სამქანაშვილი**: ყაზბეგში – 100, თბილისში – 40, მცხეთაში – 7. არიან სხვაგანაც.

41 **ჩონიაშვილი**: თბილისში – 11, გარდაბანში – 8. არიან სხვაგანაც.

### ჯიღაური

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯიღა.**

ამავე ფუძითაა ნაწარმოები გვარი **ჯიღაურიშვილი**. გვარის პირველ საცხოვრებლად მიჩნეულია საგარეჯოს რაიონი.

**ჯიღაურნი** დასახლებული პუნქტის სახელწოდებადაც გვხვდება. სოფელი **ჯიღაურნი** თავის დროზე **ჯიღაურთა** გვარის წარმომადგენლებით იყო დასახლებული. ისინი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში უკვე გარე კახეთის სოფელ ბერთუბანში იყვნენ გადასახლებულები.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, ჯიღაურები ერწოდან გადასახლდნენ სოფელ პატარძეულში. 1850 წლამდე იყო სოფელი ჯიღაურთა, ამჟამად კი მას ხადუელთა ჰქვია. იმ ადგილს, სადაც **ჯიღაურები** დასახლებულან, **ჯიღაურთხევი** ჰქვია.

საქართველოში 342 **ჯიღაური** ცხოვრობს: თბილისში – 144, საგარეჯოში – 130, რუსთავში – 35. არიან სხვაგანაც.

### ამურველაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ამურველა.**

მათი თავდაპირველი გვარი **ამრუმელაშვილი** ყოფილა.

1871 წლის აღწერით, მარაბდაში მოიხსენიება გოსტაბაშვილის ყმა – ოქრუა **ამურველაშვილი.**

**ამურველაშვილები** დიდ ენაგეთში სოფელ ერწოდან გადასულან.

საქართველოში 100 **ამურველაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 49, თეთრი წყაროში – 41, გურჯაანში – 6. არიან სხვაგანაც.

### ბოჟაძე

კროჭი გვარად ქცეული ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა და კოლოფს, სკივრს, ზანდუკს ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით კი – პატარას, მცირეს. გვარი კროჭი საჩოთიროდ ითვლებოდა, ამიტომ, ზოგმა აბაშიძედ შეიცვალა, ზოგმა საყვარელიძედ და ზოგმაც – ასათიანად. სინამდვილეში კი მათი ადრინდელი გვარი **ბოჟაძე** იყო.

სოფელ აბანოში მცხოვრები **ბოჟაძე** მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში.

**ბოჟაძე** ზაქარია მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში.

საქართველოში 305 **ბოჟაძე** ცხოვრობს: ხარაგაულში – 49, თბილისში – 34, ზესტაფონში – 34. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# უყვარხარ ძველებურად?!

*უკვე მრავალი წელია, ერთად ხართ... თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ზოგჯერ გგონიათ, რომ გრძნობები გაცივდა და ვნება ჩაცხრა... გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს.*

*ყოველი დადებითი პასუხისთვის დაწერეთ 1 ქულა. შემდეგ კი დაითვალეთ.*

**1. თქვენს მეუღლეს თქვენი სურათი აქვს საფულეში (კაბინეტში, მობილურში)?**



**2. ყოველთვის ამჩნევს ცვლილებას თქვენს სამოსში, ვარცხნილობაში?**

**3. ზოგჯერ მაინც, ამჩნევთ მის ფარულ, ალერსიან მზერას?**

**4. გადაურთავს თქვენს მეუღლეს ტელევიზორი იმ არხზე, რომელიც თქვენ გდომებიათ?**

**5. სახლში თქვენი შრომა დაფასებულია?**

**6. შეუძლია თქვენს მეუღლეს ჩხუბის შემდეგ შერიგებისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმა?**

**7. ხშირად ეკითხებით ერთმანეთს რჩევებს თქვენს საქმიანობაში?**

**8. თუ წვეულებაზე უცებ თავი აგტკივდებათ, მეუღლე უხმოდ წამოგყვებათ სახლში?**

**9. გელოდებათ მეუღლე სამსახურის შემდეგ, რომ სახლში წამოგიყვანოთ?**

**10. შეუძლია მეუღლეს პირად სიამოვნებაზე თქვას უარი და თქვენ მოგეხმაროთ?**

**11. თუ წონაში მოიმატებთ, ეს მეუღლისთვის პრობლემა იქნება?**

**12. შეგიძლიათ ერთმანეთს უყიდოთ ინტიმური – პირადი მოხმარების ნივთები?**

**13. მეუღლე ძველებურად ზრუნავს თქვენზე და საზოგადოებაში ამას აშკარად აკეთებს?**

**14. ერთმანეთს კომპლიმენტებს ხშირად ეუბნებით, თუნდაც გასამხნევებლად?**

**15. ერთმანეთის მიმართ ხართ მიმტევებლები და დამთმობნი?**

**16. როცა მეუღლე ცუდად არის, ეს თქვენს განწყობაზე აისახება და პირიქით?**

## ნახეთ შედეგები:

*სამი ქულა: თქვენი ქორწინება აშკარად საფრთხის ქვეშ არის. თქვენ ერთმანეთის მეგობრებიც კი არ ხართ, ერთმანეთში საერთო ენის გამონახვასაც ვერ ახერხებთ. ხშირად ადარებთ მეუღლეს სხვის მეუღლეებს და ის ყველაზე უარესი გგონიათ. გამორიცხული არ არის, „შემთხვევითი რომანი“.*

*4-დან 9 ქულამდე: სიტუაცია უიმედო არ არის. ბზარი კი გაჩნდა, მაგრამ თუ მოინდომებთ, ქორწინებას გადაარჩენთ. ხელში აიღეთ ინიციატივა და დასაწყისისთვის, იყავით უფრო ყურადღებიანი მეუღლის მიმართ.*

*9-დან 16 ქულის ჩათვლით: საქმე მოსალოცად გაქვთ. არ ვიცი, როგორ მოახერხეთ ასეთი ურთიერთობის შენარჩუნება, მაგრამ ასე განაგრძეთ. თქვენ ერთი გუნდი ხართ და, რა თქმა უნდა, მეუღლეს ძალიან უყვარხართ.*

## ცოტა რამ მეფეზე!

საფრანგეთის მეფე – ლუდოვიკო მეცამეტე შურისმაძიებელი და ფეთქებადი ბუნების იყო. ერთხელ მისი რისხვა კარის ორმა მუსიკოსმა დაიმსახურა, თუმცა რატომ გაბრაზდა, ვერავინ გაიგო. მეფეს ბევრი არ უფიქრია და მუსიკოსებს გასამრჯელო შეუმცირა. მეფის მასხარას შეეცოდა დასჯილები და მაშინვე უკარნახა მათ, როგორ დაებრუნებინათ კუთვნილი ლუიდორები.

საღამოს ამ წყვილმა მეფის წინაშე იუმორისტული სცენარით დადგმული ცეკვა შეასრულეს. ისინი ნახევრადჩაცმულები იყვნენ. ერთი – წელზემოთ, მეორე – წელსქვემოთ. მეფე გაოცდა და იკითხა, ეს რას ნიშნავსო. მაშინვე უპასუხეს: ნახევარი ხელფასით მთლიანად ჩაცმულები ველარ ვიქნებითო. მეფე ძალიან გაამხიარულა ამ პასუხმა, მუსიკოსებს ხელფასი გაუმთლიანა და წყენაც აპატია.

## ძუნწი... ძუნწი... კარდინალი

საფრანგეთის მარშალი შარლ დე კრეკი რომ გარდაიცვალა (1578-1638), კარდინალმა რიშელიემ მისი სურათების კოლექციის დათვალიერება გადაწყვიტა. ძალიან მოეწონა, მაგრამ მათში ფულის გადახდა არ უნდოდა. მარშალის მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელმა ჰერცოგმა ფრანსუა დე კრეკიმ, უსიამოვნება თავიდან რომ აერიდებინა, რიშელიეს უთხრა, ამოირჩიეთ ერთი ნახატი, რომელიც ყველაზე ძალიან მოგწონთ და საჩუქრად ინებეთო. ხარბმა რიშელიემ სამი ნახატი ამოირჩია და სამივე მოითხოვა საჩუქრად. ჰერცოგი იძულებული გახდა, დაეთმო...

რიშელიეს სახელი დღესაც კი სიძუნწის სინონიმადაა მიჩნეული.

## ყველაზე სახიფათო მტერი

დიდი კამათია მეცნიერებს შორის იმის შესახებ, ამცირებს თუ არა სიცოცხლის ხანგრძლივობას მობილური ტელეფონი. ამასობაში კი ავსტრალიელმა მეცნიერებმა საინტერესო სიახლეს ახადეს ფარდა: ჩვენი მეგობარი ტელევიზორი... დიახ, სწორედ ის ტელევიზორი, ურომლისოდაც ჩვენი ყოველდღიურობა ველარ წარმოგვიდგენია, სინამდვილეში მტერი ყოფილა და, თანაც, როგორი! ცისფერი ეკრანის წინ გატარებული ყოველი საათი ოცდაორ წამ სიცოცხლეს გვართმევს. საბოლოოდ კი, დღეში ექვსი საათის განმავლობაში ეკრანს მიჯაჭვულნი სიცოცხლეს მინიმუმ ხუთი წლით იმოკლებენ.



რვა და ათი საათი ზუსტად 12 წლით მოგიახლოებთ აღსასრულს. სხვათა შორის, ექიმებიც ადასტურებენ იმას, რომ ტელევიზორომანია არანაკლებ სახიფათოა ჯანმრთელობისთვის, ვიდრე მოწევა, ღორმუცელობა, ცხოვრების პასიური წესი. ერთი სიტყვით, თუ ავსტრალიელი მეცნიერები არ ცდებიან და ეს ყველაფერი მართალია, ხომ წარმოგიდგენიათ, რა სიურპრიზებს უნდა ველოდეთ კომპიუტერისგან, მობილურ ტელეფონებსა და ტელევიზორებზე გაცილებით დახვეწილი ტექნიკისგან. ანუ, ადამიანი თავად ითხრის სამარეს და ეწირება იმას, რითაც თითქოს ცხოვრებას იხდის საინტერესოს. პრინციპში, ტელევიზორი რომ არა, ხომ გაისეირნებდით საღამოობით სუფთა ჰაერზე, ყოველდღე თუ არა, ხანდახან მაინც?!.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# ორმაგი აფერა

## ნატ პინკერტონი

ბობ რულანდი ერთ-ერთ საუკეთესო დეტექტივად ითვლებოდა ბალტიმორში. არაერთი ურთულესი დანაშაული ჰქონდა გახსნილი. ის ამაყობდა იმითაც, რომ მხოლოდ მის სეიფში ინახებოდა ცნობილი თაღლითის, ვინმე უოკინგის თითების ანაბეჭდი. პოლიციის კომისარიც კი რულანდთან მირბოდა დახმარების სათხოვნელად. უამრავი ცნობილი ადამიანი ყოფილა მისი კლიენტი. იმ დილით ბარონი ქრისტოფორ ვინკლერი ესტუმრა. ამ ახალგაზრდა კაცს შორიდან იცნობდა – ოთხი თვის წინ, პიტსბურგში, გრაფინია კლერვილის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო საღამოზე შეხვდა. ბარონი თავის საცოლესთან, რუსი თავადის ასულ ანა ლუბიმოვასთან ერთად იყო.

ბარონს ღელვა ეტყობოდა:

– ძვირფასო ბობ რულანდ, თქვენი თავი, მგონი, ღმერთმა გამომიგზავნა. გულახდილად გეტყვით, პოლიციაში ვაპირებდი მისვლას და, რომ არა შემთხვევითი თანამგზავრი მატარებელში, ასეც მოვიქცეოდი.

– ანუ, ვინმემ გირჩიათ ჩემთან მოსვლა?

– დიახ, ერთმა სანდომიანმა მოხუცმა. ვაგონში ჩემ წინ იჯდა. შემატყო, რომ რაღაცაზე ძალიან ვნერვიულობდი და მიზეზი მკითხა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, მის მიმართ სიმპათიით განვეწყვე. ის წერილიც ვაჩვენე, რომელიც გუშინ დილით მივიღე... და...

– დალაგებით მომიყევით, რა ხდება, – მშვიდად შეაწყვეტინა ბობმა.

ბარონმა ამოიოხრა:

– ჩემი საცოლე დაიკარგა. ვშიშობ, რომ გაიტაცეს.

– რას მელაპარაკებით! კი მაგრამ, ის მშვენიერი რუსი, ანა ლუბიმოვა?! როგორ მოხდა ეს? თქვენ დანიშნულიც ხართ მასზე?

ბარონი გაწითლდა:

– კარგად ყოფილხართ ინფორმირებული. მაგრამ, ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ანა, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ქალიშვილია და მე ის დღესაც მიყვარს, მაგრამ, დანიშვნით სხვაზე დავინიშნე.

– მართლა? უცნაურია...

– დიახ, შეიძლება, ქარაფშუტად ჩამთვალოთ, მაგრამ, თქვენ რომ ერთხელ მაინც ნახოთ სიუზან გრანიე, გამიგებდით. ის ქარიშხალივით შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და თავი დამაკარგვინა. მე ასეთი ქალი არ მინახავს, ნამდვილი ვულკანია. მოკლედ, თავდავიწყებამდე მივედი. მანაც უპასუხა ჩემს გრძნობებს. უკვე ცოლად უნდა შემერთო, რომ მოულოდნელად გაქრა. ერთკვირიანი უშედეგო ძებნის შემდეგ კი, აი, ეს ბარათი მივიღე, – ბარონმა დეტექტივს იისფერი კონვერტი გაუწოდა.

რულანდმა გახსნა და ხმამაღლა წაიკითხა: „ღრმად პატივცემულო ბარონო! თუ ისევ გსურთ გულში ჩაიკრათ თქვენი მშვენიერი საცოლე, გირჩევთ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ხუთი ათასი დოლარი, ქალაქ ლინკოლნის ახლოს მდებარე ძველ სამლოცველოსთან მოიტანოთ. იქ ბებერი ნაძვი დგას, ფული მის ქვეშ დადეთ და დილით თქვენი საცოლე დაგიბრუნდებათ. თქვენი უოკინგი“.

ბობმა თავის თანაშემწეს, ტომ ნაბორსკის დაუძახა:

– უცნაურად არ გეჩვენება, რომ მხოლოდ ხუთი ათას დოლარს ითხოვს?

ტომმა მხრები აიჩეჩა:

– უცნაური ის არის, რომ მოქმედების სფერო შეუცვლია. მისი დონისა და კვალიფიკაციის თაღლითისთვის ეს ცოტათი საეჭვოა.

– ტომ, რას გაიგებ, რა ხდება დამნაშავის ტვინში... ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, გულხელდაკრეფილები ვერ ვიჯდებით. პატივცემულ ბარონსაც თავისი საცოლის ნახვა ეჩქარება.

ბარონმა სწრაფად დაუქნია თავი და ხელი უხერხულად მოისვა პიჯაკის ჯიბეზე.

– თქვენ კიდევ გაქვთ რაღაც ჩვენთვის? – ჩაეკითხა დეტექტივი.

– დიახ, ეს ბარათი დღეს დილით, თქვენკენ მომავალს დამაწია შიკრიკმა. სიუზანის ხელწერა ვიცანი.

„... საყვარელო, მომეცა საშუალება, მწყემსი ბიჭის ხელით ეს ბარათი გამოგიგზავნო. არ ვიცი, შენამდე მოაღწევს თუ არა... ძალიან მეშინია... ვგრძნობ, აქ დიდხანს ვერ გავძლებ... მიშველე.“

ბობმა ტომს გადახედა, მერე ბარონს მიუბრუნდა:

– გასაგებია, თქვენო ბრწყინვალებავ. შეგიძლიათ, გვენდოთ. ხვალ იხილავთ თქვენს საცოლეს... ძებნას ახლავე ვიწყებთ.

სწორედ ამ დროს ტელეფონმა დარეკა – კომისარი ჰანს მეისონი იყო:

– ბობ, იცი, რომ უოკინგი ბალტიმორშია?

– ვიცი, უკვე გამოაჩინა კლანჭები.

– როგორმე მოახერხე და ხელში ჩამაგდებინე. თითების ანაბეჭდები ხომ გაქვს, ამჯერად არ უნდა დაგვისხლტეს...

– მართალია, მაძებარი ყოველთვის დაგეშილი უნდა იყოს, – გაიცინა ბობ რულანდმა.

ძველი სამლოცველო ნაპირჩამოთლილ კლდესთან იდგა. იქაურობა უკაცრიელი ჩანდა. მონჯღრეული ხის კარი ჯაჭვით ჩაეკეტათ.

– აქ უნდა იყოს, – თქვა ბობმა, როცა იქაურობა ყურადღებით დაათვალიერა. შენ გარეთ დარჩი, ტომ და მე შიგნით შევალ. სიუზან გრანიე აქ ჰყავთ გამოკეტილი და ჩვენ მას აუცილებლად ვიპოვით.

სამლოცველოს ბოქლომის საკეტი საკმაოდ ადვილად დაემორჩილა დანის პირს. შიგნით სრული სიცარიელე და ნესტი იყო, სიძველისა და შმორის სუნი ტრიალებდა. დეტექტივმა ხელისცეცებით მოსინჯა კედლები. მერე იატაკზე ჩაიმუხლა – მოეჩვენა, რომ ერთგან ფიცრები ცოტათი ამოწეული იყო. მოებლაუჭა და ნახა, რომ ფიცარი ადვილად დაემორჩილა. მეორე ფიცარიც რომ ააძრო, ქვის კიბე გამოჩნდა. ჯიბიდან ფანარი ამოიღო და ქვემოთ ჩაანათა. ვრცელი ორმოს სიღრმეში ადამიანის ფიგურა შენიშნა – ეს სიუზან გრანიე უნდა ყოფილიყო.

– მიშველეთ, სერ, გამომიყვანეთ აქედან. ჩემი საქმრო მდიდარია, კარგად გადაგიხდით!

– მშვიდად, მის, ნუ ყვირით. აქ თქვენს დასახმარებლად ვარ, ბარონმა გამომგზავნა.

ქვის კიბის საფეხურები სველი იყო და სლიპინა. ფეხის მოჭიდება ჭირდა. დეტექტივი იძულებული გახდა, ნახევარ კიბეზე ჩასულიყო. ქალიშვილი მაგრად ჩაეჭიდა მხსნელს და ნელ-ნელა ამოვიდნენ. დეტექტივი გააოგნა სიუზანის სილამაზემ. ასეთი ვნებიანი, მომხიბვლელი და დამატყვევებელი ქალი მანამდე არ ენახა. ახლა უკვე ესმოდა ბარონის, რომელმაც გადაწყვეტილება შეცვალა და ამით საკუთარი ღირსება საფრთხის ქვეშ დააყენა.

უკვე ბინდდებოდა. ამიტომ დეტექტივმა თავის თანაშემწესთან და გათავისუფლებულ ულამაზეს ტყვესთან ერთად ადგილობრივ სასტუმროს მიაკითხა. ტანსაცმელი სამივეს სველი და დასვრილი ეცვა. ღამეს გაათენებდნენ, თავსაც მოიწესრიგებდნენ და დილით ბარონთან წარდგებოდნენ. დეტექტივი ამაყი იყო, თუმცა, რაღაც უცნაური ეჭვი თუ განცდა არ ასვენებდა. სიუზანმა გრაციოზული, კეკლუცი ღიმილით მადლობა გადაუხადა მხსნელებს, დაღლილობა და თავის ტკივილი მოიმიზეზა და ნომერში შეიკეტა. დილით კი მის კვალსაც ვერ მიაგნეს... სასტუმროს მომსახურე პერსონალმა არაფერი იცოდა. არავის დაუნახავს, სად წავიდა და როდის. დეტექტივმა მაშინვე პიჯაკის ჯიბეებზე იტაცა ხელი...

– ტომ, დავიღუპე, გამაცურეს... ღმერთო, ეს როგორ დამემართა, ნამდვილი იდიოტი ვარ! ჩემი გასაღებების აცმა... მე ის დავკარგე! ეტყობა, იმ ქალმა ამომაცალა, ბარონის საცოლემ.

– რაო? იმ სიუზენმა? შეუძლებელია! კი მაგრამ, რისთვის სჭირდებოდა?

– კიდევ ვერაფერს მიხვდით? უოკინგის ანაბეჭდები – აი, რისთვის დაიდგა მთელი ეს სპექტაკლი. დარწმუნებული იყავით, რომ ჩემი სეიფი ცარიელია.

დეტექტივის სიტყვები გამართლდა. სახლის კარიც ღია აღმოჩნდა და სეიფისაც, რომლიდანაც არაფერი იყო წაღებული, გარდა თითების ძვირფასი ანაბეჭდებისა. სამაგიეროდ, ვიღაცის მზრუნველ ხელს მის ადგილას იისფერი კონვერტი დაედო, ბარათით, რომელშიც ეწერა: „ღრმად პატივცემულო ბობ რულანდ, მომიტევეთ, რომ მომიხდა თქვენს ჯიბეში ხელის ჩაყოფა. მე უოკინგის თანაშემწე ვარ. თქვენ ხომ ენდობით თქვენს თანაშემწეს? ჰოდა, გამიგებთ. რაც შეეხება ბარონს, გადაეცით, რომ მართლა ძალიან სიმპათიურია და მე ის გულწრფელად მომწონდა. ვურჩევ, დაუბრუნდეს თავის საცოლეს და ქორწილს ნუღარ გადადებს. ანა შესანიშნავი ქალია. დარწმუნებული ვარ, ამ ამჩატებას აპატიებს და კარგ ცოლობასაც გაუწევს. ნუ გეწყინებათ, რომ ძვირფასი რელიკვია დაკარგეთ. ჩვენ მას საგულდაგულოდ გავუფრთხილდებით. თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი – სიუზან გრანიე“...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №7-8(634)

ერთი საათის შემდეგ ზურაბი და რეზო ფიფია სამზარეულოში ესაუბრებოდნენ გარდაცვლილის უფროს ძმას, კახა ვერულიძეს. ის ასაკით ორმოციოდ წლისა იქნებოდა. ინტელიგენტური გარეგნობა ჰქონდა და ტანთ ელეგანტური კოსტიუმი ეცვა.

კახა შოკში ჩააგდო მომხდარმა. მისი დამშვიდება ძალიან დიდხანს ვერ შეძლეს. პოლიციელებს ძალის გამოყენებაც კი მოუხდათ, რადგან, ის თავგამოდებით ცდილობდა სასტუმრო ოთახში შესვლას. მაგრამ, ვიდრე ექსპერტები მუშაობას არ დაასრულებდნენ, ეს შეუძლებელი იყო. ბოლოს ზურაბმა ნაცად ხერხს მიმართა: გარდაცვლილის ძმა ძალით შეიყვანა სამზარეულოში, მოზრდილი ჭიქა კონიაკით შეუვსო და სთხოვა, დალიეო.

– რისთვის? – გაოცებით შეხედა კახამ.

– დალიე, შვებას მოგცემს, – ურჩია ზურაბმა.

კახას აღარაფერი უთქვამს, ჭიქა ხელში აიღო და ერთი მოყუდებით გამოცალა. შემდეგ კი სკამზე დაჯდა და თავი ჩაქინდრა.

– ჩვენ გვესმის, რა მდგომარეობაშიც იმყოფებით, მაგრამ, ამ საუბარს ვერსად წაუვალთ. რამდენიმე კითხვაზე უნდა გაგვცეთ პასუხი, – განაგრძო ზურაბმა.

– გისმენთ, – თავის აუღებლად უპასუხა კახამ.

– რა კავშირი ჰქონდა თქვენს ძმას ანდრო სირაძესთან? – ჰკითხა ზურაბმა.

– ანდრო სირაძესთან?! – ჩაფიქრდა კახა, – წარმოდგენა არ მაქვს, ვისზეა საუბარი, ასეთ პიროვნებას არ ვიცნობ!

– ესე იგი, არც ნანა სირაძეზე გსმენიათ რამე? – ჩაურთო ფიფიამ.

– არა, პირველად მესმის...

– თქვენს ძმაზე რას გვეტყვით, რას საქმიანობდა, რით იყო გატაცებული? განსაკუთრებით მისი სამეგობრო წრე გვაინტერესებს, – ჰკითხა ზურაბმა.

– მე და ვაჟას ორთაჭალაში მცირე საამქრო გვაქვს – სუვენირებს ვაწარმოებთ და ჩვენი პროდუქციით ვამარაგებთ რამდენიმე მაღაზიას; საჭიროების შემთხვევაში, ვაკეთებთ რესტავრაციასაც. გარდა ამისა, ვაჟა ხატავდა... გატაცებებზე რა გითხრათ?.. ვაჟა უცნაური ადამიანი იყო, ყოველთვის რაღაც ახალს ეძებდა.

– რაში გამოიხატებოდა ახლის ძიება? – ჰკითხა ფიფიამ.

– ყველაფერი მალე ჰბეზრდებოდა და ეს არ ვრცელდებოდა მხოლოდ ხატვაზე – მხოლოდ ხატვა იყო მუდმივი გატაცება. შეეძლო, დღეების განმავლობაში თავდავიწყებით ემუშავა. მე რომ არა, ჩვენი საამქროც დიდი ხნის წინ დაიხურებოდა. იქაურობაც არ აინტერესებდა. თვეში ორჯერ-სამჯერ თუ შემოივლიდა, ისიც ძალიან ცოტა ხნით. იქაურობას დახედავდა, თანამშრომლებს გამოელაპარაკებოდა და უკან გაბრუნდებოდა. ერთხანს ყვინთვამ გაიტაცა. აიყვანა მწვრთნელი, შეიძინა აღჭურვილობა და მთელი ზაფხული ჩაქვში გაატარა. მერე ხმელთაშუა ზღვაზეც იმოგზაურა. შემდეგ კი ასევე მოულოდნელად მიივიწყა. ცოტა ხანში მონადირე ნაცნობები გაიჩინა და სახლი სანადირო აღჭურვილობით, ეზო კი მონადირე ძაღლებით აავსო. ეს გატაცება რამდენიმე თვე გაჰყვა, მერე კი რბოლების ჯერი დადგა – მანქანის ძრავა გააძლიერა და შეშლილივით დაქროდა თბილისის ქუჩებში – რომელი ერთი გითხრათ. ბალი თუ ნახეთ?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ზურაბმა.

– აღარ მახსოვს, რამდენჯერ გადააკეთა. ხან ერთი სტილი იზიდავდა. ხან – მეორე. ბოლოს იაპონურმა დიზაინმა გაიტაცა და დაახლოებით ექვსი თვე იმუშავა. ორიოდ კვირის წინ კი აიჩემა, რაღაც არ მომწონს ამ ბაღში და უნდა გადავაკეთოო... ამ უცნაურობების გამო ვერ შექმნა ოჯახი – ვერც ერთ ქალს ვერ შეეგუა: გაიცნობდა ვინმეს, დაუახლოვდებოდა და ცოტა ხანში ივიწყებდა.

– მეგობარი ქალი თუ ჰყავდა?

– არა... ხანგრძლივი ურთიერთობა არავისთან ჰქონია, – თავი გაიქნია კახამ.

– გენო ბარათაშვილს ხომ არ იცნობთ? – ჰკითხა ზურაბმა.

– ბარათაშვილი... ბარათაშვილი... – ჩაფიქრდა კახა, – დიახ, გავიხსენე. მგონი, ვაკელი უნდა იყოს. პირადად არასოდეს შევხვედრივარ. თუ არ ვცდები, რბოლებით გატაცების პერიოდში გაიცნო.



– პისტოლეტის შესახებ რა იცით? – განაგრძო ზურაბმა, – საიდან ჰქონდა თქვენს ძმას მაყუჩიანი პისტოლეტი, ესეც მომდევნო გატაცება ხომ არ იყო?

– ვერაფერს გეტყვით. ვაჟა არასოდეს დაინტერესებულა საბრძოლო იარაღით. ნადირობით გატაცებამ რომ გაუარა, ყველა თოფი გაყიდა. წარმოდგენაც კი არ მქონდა, პისტოლეტი თუ ჰქონდა. სიმართლე რომ გითხრათ, არც მჯერა, რომ იარაღი მას ეკუთვნოდა. პისტოლეტი რომ ჰქონოდა, აუცილებლად მეცოდინებოდა, – უპასუხა კახამ.

– როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თქვენს ძმას თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება? – ჰკითხა ფიფიამ.

– თქვენ ასეთ კლასიფიკაციას მისცემთ ამ საქმეს? – გახედა კახამ.

– ჯერჯერობით ყველა ფაქტი ამაზე მიუთითებს, – თქვა ფიფიამ.

– როგორც გინდათ, ისე გამიგეთ, მაგრამ, მე გამოვრიცხავ თვითმკვლელობას. ვაჟა მოუსვენარი, სიცოცხლით სავსე ადამიანი იყო. ის განსაკუთრებით ზრუნავდა თავის ჯანმრთელობაზე. უნდოდა, რაც შეიძლება დიდხანს ეცოცხლა და ღრმა მოხუცებულობამდე შეენარჩუნებინა ფორმა.

– ბოლოს როდის შეხვდით ერთმანეთს?

– ორი დღის წინ.

– რამე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათ – ხომ არ ღელავდა ან ჩაფიქრებული ხომ არ იყო? – ჰკითხა ფიფიამ.

– არა, რას ამბობთ. პირიქით. შესანიშნავ ხასიათზე იყო. ორი დღის წინ ჩემი უმცროსი ვაჟის დაბადების დღე აღვნიშნეთ და, ბუნებრივია, ვაჟაც იქ იყო.

– თქვენ თვითონ რას უკავშირებთ მომხდარს? – ჰკითხა ფიფიამ.

– ვერაფერს გეტყვით. მე ახლაც არ მჯერა, რომ ამ წუთებში ჩემი ძმა გარდაცვლილი ასვენია გვერდით ოთახში, – ამოიოხრა კახამ.

– თქვენთვის ძნელი იქნება ამის მოსმენა, მაგრამ, მაინც უნდა გითხრათ: თქვენი ძმა მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, – თქვა ზურაბმა.

– მკვლელობაში?! – გაოცებით შეხედა კახამ, – ჩემმა ძმამ ადამიანი მოკლა?!

– ის მხოლოდ ეჭვმიტანილი იყო, მაგრამ, არსებობს დაზუსტებული მონაცემები, რომ ის იცნობდა გარდაცვლილს და მკვლელობის მომენტში მის ბინაში იმყოფებოდა.

– ვის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი ჩემი ძმა?

– მე უკვე დაგისახელეთ მისი ვინაობა – ანდრო სირაძე, – უპასუხა ზურაბმა.

– ვერასდროს დავიჯერებ ამას. ვაჟა სრულიად უწყინარი ადამიანი იყო, ბოლოს მეოთხე კლასში იჩხუბა, – თქვა კახამ.

– როგორც ჩანს, თქვენ ბევრი რამ არ იცოდით თქვენი ძმის შესახებ! – ცივად შენიშნა ფიფიამ.

– რატომ ამბობთ ამას? – ნაწყენი სახით შეხედა კახამ.

– თქვენ არაფერი გსმენიათ ანდრო და ნანა სირაძეების შესახებ; არ იცოდით, რომ თქვენს ძმას პისტოლეტი ჰქონდა!.. არ... – ფიფიამ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო. ამ დროს სამზარეულოში კრიმინალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, გურამ ბრეგვაძე შემოვიდა.

– ეს ნახეთ, – თქვა მან და ზურაბს ჩარჩოში ჩასმული საშუალო ზომის ფოტოსურათი გაუწოდა, – მოგეწონებათ!

ზურაბმა ფოტოსურათი ჩამოართვა და ყურადღებით დაათვალიერა. მასზე აღბეჭდილი იყო საშუალო ზომის კოტეჯი. კოტეჯის გვერდით ზურაბისთვის უკვე ნაცნობი შავი „ბეემვე" იდგა; უკან ზღვის სანაპირო მოჩანდა, წინა პლანზე კი ვაჟა ვერულიძე ორ ახალგაზრდა ქალთან ერთად იდგა. ერთ-ერთი მათგანი ნანა სირაძე იყო.

– ამ ფოტოსურათზე რას გვეტყვით? – კახას მიუბრუნდა ზურაბი.

– ეს ფოტო ამ ზაფხულს ქობულეთშია გადაღებული. ერთ-ერთი ქალი ვაჟას მეგობარი ლია დუმბაძეა. ის ერთადერთი ქალია, რომელმაც ვაჟას გაუგო, მაგრამ, მათ მხოლ-

ოდ მეგობრობა აკავშირებდათ. მის ოჯახს აგარაკი აქვს ქობულეთში და ვაჟა რამდენიმე დღით იყო ჩასული მასთან. მეორეზე ვერაფერს გეტყვით, არასდროს შევხვედრივარ, – უპასუხა კახამ.

– მისი ტელეფონის ნომერი და მისამართი მითხარით! – სწრაფად თქვა ზურაბმა და უბის წიგნაკი მოიმარჯვა.

* * *

ლია 34-35 წლის, ტანმაღალი, მიმზიდველი ქალი აღმოჩნდა. მან ყურადღებით დაათვალიერა ზურაბისა და რეზოს პირადობის მოწმობები და შინ მიიპატიჟა სტუმრები.

ზურაბისა და რეზოს გასაოცრად, დიასახლისი არ დაინტერესებულა მათი სტუმრობის მიზეზით. მან სასტუმრო ოთახში დივანზე დაჯდომა შესთავაზა და ოთახიდან გავიდა. მალე უკან დაბრუნდა და ჟურნალის მაგიდაზე ყავა და შოკოლადი დაანწყო. შემდეგ ზურაბის წინ ჩამოჯდა და მოსასმენად მოემზადა.

– არ გაკვირვებთ ჩვენი სტუმრობა? – ჰკითხა მან.

– დაახლოებით ვხვდები, რისი კითხვაც გინდათ, მაგრამ, იმედი უნდა გაგიცრუოთ – მე არაფერი ვიცი მომხდარის შესახებ, – უპასუხა ლიამ.

– რას გულისხმობთ? – დაიბნა ზურაბი.

– გუშინ საღამოს უბანში მომხდარ ჩხუბს. მართალია, ჩხუბი ჩემი ფანჯრების წინ მოხდა, მაგრამ, მე არაფერი დამინახავს. სახლში რომ დავბრუნდი, ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო და მომხდარის შესახებ მეზობლებისგან შევიტყვე.

– არა, ჩვენ არ გვაინტერესებს თქვენს სახლთან მომხდარი ჩხუბი, სრულიად სხვა მიზეზით გესტუმრეთ.

– რა მიზეზით? – გაუკვირდა ლიას.

– სამწუხაროდ, ცუდი ამბავი უნდა გითხრათ, – განაგრძო ზურაბმა, – თქვენი მეგობარი, ვაჟა ვერულიძე გარდაიცვალა!

– რა ბრძანეთ?! – თვალები გაუფართოვდა ლიას.

– ის რამდენიმე საათის წინ თავის ბინაში ვიპოვეთ მოკლული, – განაგრძო ზურაბმა.

– როგორ... – გაქირვებით წარმოთქვა ლიამ.

– ჯერჯერობით ყველა გარემოება თვითმკვლელობაზე მიანიშნებს, – ჩაურთო რეზომ.

– თვითმკვლელობაზე?! არა, ეს შეუძლებელია... თუმცა, გუშინ... – თქვა ლიამ და ჩაფიქრდა.

– რა მოხდა გუშინ? – სწრაფად ჰკითხა ზურაბმა.

– გუშინ ვაჟამ ტელეფონით დამირეკა და სასწრაფოდ შეხვედრა მთხოვა. ძალიან აღელვებული მეჩვენა... – ლიამ საფეთქლები მოისრისა და შემდეგ განაგრძო, – არა, ეს ის სიტყვა არ არის. ვაჟას არასდროს ჰქონია ასეთი ხმა. შეშინებული მეჩვენა. ხმა უკანკალებდა. როგორ აგიხსნათ... იმდენად ემოციურად მელაპარაკებოდა, რომ მეც გადმომედო მისი შიში და მღელვარება.

– რომელ საათზე დაგიკავშირდათ ვაჟა? – ჰკითხა რეზომ.

– სამის ნახევარი იქნებოდა...

ზურაბმა და რეზომ ერთმანეთს გადახედეს – ამ დროისთვის ანდრო სირაძე უკვე მკვდარი იყო.

– ვაჟას მიზეზი არ უთქვამს, მაგრამ, დაჟინებული მთხოვდა, რომ სასწრაფოდ შევხვედროდი, – განაგრძო ლიამ.

– რატომ უთხარით უარი? – ჰკითხა ზურაბმა.

– მე და ვაჟა ბავშვობის მეგობრები ვართ. ის ჩემი თანაკლასელი იყო. შეხვედრაზე არასდროს ვეტყოდი უარს, მაგრამ, იმ დროს არაფრით არ შემეძლო ამის გაკეთება... საქმე ისაა, რომ მე ჟურნალისტი ვარ და იმ დროს ინტერვიუს ასაღებად ვიმყოფებოდი საგარეო საქმეთა სამინისტროში და შეხვედრა წუთი-წუთზე უნდა დაწყებულიყო. მე ყველაფერი ავუხსენი ვაჟას და პირობა მივეცი, რომ შეხვედრის შემდეგ დავუკავშირდებოდი. შეხვედრა დაახლოებით საათ-ნახევარი გაგრძელდა. შემდეგ მე ვაჟას დავურეკე, მაგრამ მისი ტელეფონი გამორთული იყო. რადგან იმ დღეს კიდევ მქონდა სამუშაო, რედაქციაში დავბრუნდი. დღის განმავლობაში რამდენჯერმე კიდევ დავურეკე ვაჟას, იმ იმედით, რომ ტელეფონს ჩართავდა, მაგრამ, ყურმილიდან მხოლოდ ერთი პასუხი მესმოდა: „მობილური ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან"... ვურეკავდი სახლის ტელეფონზეც, მაგრამ, არავინ მპასუხობდა.



– მისი სახლში მონახულება არ გიცდიათ? – ჰკითხა რეზომ.

– რა თქმა უნდა. სამსახურიდან გვიან წამოვედი. დრო ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით შვიდი ან რვის ნახევარი იქნებოდა, მის სახლთან რომ მივედი, მაგრამ ვაჟა ზარზე არ გამომხმაურებია.

– მისი მანქანა ეზოში იდგა?

– დიახ, – დაუდასტურა ლიამ.

– არ გაგაოცათ იმ ფაქტმა, რომ მანქანა ეზოში იდგა და ვაჟა არც ერთ ტელეფონს არ პასუხობდა? – ჰკითხა ზურაბმა.

– უკვე საღამო იყო, სახლში კი არსად ენთო სინათლე და მე ჩავთვალე რომ ის შინ არ იყო.

– გასაგებია, მაგრამ, ადამიანი, რომელსაც ჰყავს მანქანა, რატომ უნდა წავიდეს სადმე ფეხით? – ჰკითხა რეზომ.

– ვაჟას ველოსიპედით სეირნობა უყვარდა. კვირაში ხუთი დღე მაინც სეირნობდა, – ლიამ პაუზა გააკეთა და შემდეგ ყრუ ხმით იკითხა – ის საღამოს გარდაიცვალა?

– დიახ... – უპასუხა ზურაბმა, – თავს ნუ დაიდანაშაულებთ. როდესაც თქვენ სახლთან იდექით, ის უკვე გარდაცვლილი იყო. თქვენ ვერაფერს შეცვლიდით.

– გისმენთ და არ მჯერა. ვაჟა არასდროს მოიკლავდა თავს – საამისო მიზეზი ხომ უნდა ჰქონოდა!

– მაშინ, მოდი, ამ მიზეზზე ვისაუბროთ, – თქვა ზურაბმა.

– მიზეზზე?! – გაუკვირდა ლიას, – მე არაფერი ვიცი ამის შესახებ!

– ნანა სირაძეს თუ იცნობთ? – ზურაბმა სპეციალურად არ ახსენა ვაჟას სახლში ნანახი ფოტოსურათი. აინტერესებდა, გაერიდებოდა ლია პირდაპირ პასუხს, თუ არა.

– ამას ნაცნობობაც არ ჰქვია, უბრალოდ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს.

– ვაჟა თქვენზე ახლოს იცნობდა მას?

– იგივე შემიძლია ვთქვა მასზეც. მე ვერც კი ვხვდები, რატომ უკავშირებთ ვაჟას გარდაცვალებას ნანას.

– შეგიძლიათ, გვიამბოთ, სად და რა ვითარებაში გაიცანით ნანა სირაძე? – ჰკითხა რეზომ.

– რა თქმა უნდა. მაგრამ, არა მგონია, ეს რამეში დაგეხმაროთ... შარშან ზაფხულში ჩემს დასთან და მის შვილებთან ერთად ქობულეთში ვისვენებდი – ჩვენ იქ სახლი გვაქვს. მაშინ გავიცანი ნანა. ის და მისი მეუღლე ჩვენი კოტეჯის სიახლოვეს ოჯახური ტიპის სასტუმროში ცხოვრობდნენ. ზუსტად ვერ გეტყვით, რა საქმეები ჰქონდა ნანას მეუღლეს...

– ანდრო სირაძეს, – შეაშველა რეზომ.

– ჰო... ახლა გამახსენდა, მას ანდრო ერქვა, – თავი დაუქნია ლიამ, – ის დროდადრო რამდენიმე დღით სადღაც მიემგზავრებოდა და ნანა მარტო რჩებოდა. ალბათ, მოგეხსენებათ, რაც არის ოჯახური ტიპის სასტუმრო. ესაა ჭრელი, ხმაურიანი საზოგადოება – სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული ხალხი, მოუსვენარი ბავშვები, ღამით სასტუმროს ეზოში ლუდის მოყვარულთა „სასტავი". მოკლედ რომ ვთქვა, სრული ქაოსი, სადაც დასვენება შეუძლებელია, მით უმეტეს, მარტო მყოფი ადამიანისთვის. ასეთ ვითარებაში თბილისელები და მეზობელ უბნებში მცხოვრები ადამიანები სწრაფად უახლოვდებიან ერთმანეთს. ასე გავეცნო ნანაც. მე და ჩემს დას ის პირველი



## გოჩა ლუტიძის გახსენება

გოჩა, შენმა უეცარმა წასვლამ ამ ქვეყნიდან დიდი დარტყმა მოგვაყენა, თავზარი დაგვცა. წახვედი და დაგვიტოვე დიდი, უკურნებელი ტკივილი, რაც არასოდეს მოშუშდება. რამდენი ნატვრა დაგრჩა განუხორციელებელი, რამდენ სიხარულს ვერ მოესწარი. უსაზღვრო სიყვარულითა და სიკეთით განვლილ შენს ხანმოკლე სიცოცხლეს დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!

**ტკივილით სავსე შენი ოჯახი**

შეხვედრისთანავე მოგვეწონა. ნანა მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანი იყო, საკმაოდ განათლებული და საინტერესო მოსაუბრე, მაგრამ, ჩვენ მაინც ვერ დავუახლოვდით ერთმანეთს.

– რატომ? – ჰკითხა რეზომ.

– უბრალო მიზეზის გამო: ჩემს დას სამი შვილი ჰყავს და ჩვენ, ძირითადად, მათით ვიყავით დაკავებულები. ნანა ზღვაზე მხოლოდ დილით ან საღამოს დადიოდა. ჩვენს პატარებს კი დღისით ერჩივნათ საჭყუმპალაოდ გასვლა. თანაც, ჩვენ ქობულეთში ბევრი ნაცნობი გვყავს, რომლებთანაც დროდადრო სტუმრად მივდიოდით. ხან კი ისინი მოდიოდნენ ჩვენთან. ნანა მხოლოდ მაშინ ახერხებდა ჩვენთან მოსვლას, როცა ანდრო სადმე მიემგზავრებოდა. ასე რომ, ჩვენ ერთმანეთთან ურთიერთობისთვის ძალიან ცოტა დრო გვრჩებოდა. ის რამდენიმე დღეში ერთხელ, ერთი საათით თუ შემოივლიდა ჩვენთან. როგორც წესი, ამ დროს ყავას ვსვამდით და ვსაუბრობდით. შემდეგ ნანა და მისი მეუღლე თბილისში გაემგზავრნენ და ამით დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა. მას შემდეგ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ.

– როგორ გაიცნეს ვაჟამ და ნანამ ერთმანეთი? – განაგრძო ზურაბმა.

– ესეც ქობულეთში მოხდა. როცა ვაჟამ იცოდა, რომ იქ ვიყავით, აუცილებლად გამონახავდა რამდენიმე დღეს და ჩამოგვაკითხავდა ხოლმე – ჩვენი ოჯახისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. იმ ზაფხულსაც ასე მოხდა – ვაჟა ერთი კვირით გვესტუმრა. ვაჟა თბილისიდან ორი დღის ჩამოსული იყო, ნანამ რომ შემოგვიარა და მაშინ გაიცნეს ერთმანეთი.

– სულ ეს იყო?

– სულ ეს იყო. ვაჟასაც ნანასავით, საღამოს უყვარდა ზღვაზე ყოფნა და ისინი რამდენჯერმე ერთად იყვნენ პლაჟზე. ერთ საღამოს ვაჟა მოწყენილი დაბრუნდა პლაჟიდან. როცა ვკითხე, რატომ არ ხარ ხასიათზე-მეთქი, მიპასუხა, რომ ზღვიდან დაბრუნებისას ანდროს გადააწყდნენ, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩამოსულიყო ქობულეთში.

– მათ შორის შელაპარაკება ხომ არ მოხდა? – სწრაფად ჰკითხა რეზომ.

– მათ შორის არაფერი მომხდარა. ანდრომ მხოლოდ ნანას უთხრა – მანქანაში ჩაჯექი, დანარჩენზე სახლში დაგელაპარაკებიო. ვაჟა გაოცებული იყო, რატომ გაბრაზდა ანდრო – რა მოხდა, ზღვაზე ვიყავით ერთად. ამით რამე ხომ არ დავაშავეთო?

– მას შემდეგ აღარ შეხვედრიან ერთმანეთს?



– არა... მას შემდეგ ნანა ჩვენთან აღარ მოსულა, ორიოდ დღეში კი ვაჟაც გაემგზავრა თბილისში, – თქვა ლიამ.

– თბილისში თუ ხვდებოდნენ ერთმანეთს?

– არა, რას ამბობთ! ვაჟა ხომ ნიავი იყო – ერთს ჩამოიქროლებდა და გაქრებოდა. ნანა კი – გათხოვილი ქალი. არა... გამორიცხულია. ვაჟა არასდროს დამიმალავდა ამას, – ლიამ პაუზა გააკეთა და შემდეგ იკითხა, – რატომ ანიჭებთ ამას ასეთ დიდ მნიშვნელობას?

– ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომ ვაჟას დაღუპვა სწორედ ნანა სირაძეს უკავშირდება, – უპასუხა რეზომ.

– რა სისულელეა!.. უკაცრავად... – სწრაფად დაამატა ლიამ, – ზაფხულში მომხდარ მცირე გაუგებრობას, რომელიც აღარავის ახსოვდა, როგორ უნდა გამოეწვია ადამიანის სიკვდილი.

– ქობულეთში გადაღებული ფოტოსურათი თუ გახსოვთ? – ჰკითხა რეზომ.

– მახსოვს... ის ფოტოსურათი ჩემმა დამ გადაიღო. ვაჟა ჩემსა და ნანას შუაში ჩადგა და ჩემს დას სთხოვა, მსოფლიოში ორ ულამაზეს ქალთან ერთად გადამიღე სურათიო. მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს ამას? ეს ხუმრობა იყო, უმნიშვნელო ხუმრობა და მეტი არაფერი.

– ის ფოტო ვაჟას თავის საძინებელ ოთახში, საწოლის გვერდით, ტუმბოზე ედო. ადამიანი, რომელიც გართობად, უმნიშვნელო ხუმრობად აფასებს ამას, ასე არ იქცევა! – შენიშნა ზურაბმა.

– რა გინდათ ჩემგან? – ულონოდ ჩაილაპარაკა ლიამ.

– ვაჟა თქვენი უახლოესი მეგობარი იყო. ჩვენ ვიცით, რომ მას და ნანა სირაძეს გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდათ და, თქვენ, როგორც მის მეგობარს, უნდა გცოდნოდათ ეს! – ხმა გაიმკაცრა ზურაბმა.

– მე არ ვაპირებ თქვენთან სხვისი ცხოვრების დეტალების განხილვას! – არ შეეპუა ლია.

– ჩვენ სადაქალოში არ ვჭორაობთ, ქალბატონო ლია. თქვენ საბურთალოს რაიონის კრიმინალური პოლიციისა და პროკურატურის გამომძიებლები გესაუბრებიან! – უცვლელი ტონით განაგრძო ზურაბმა.

– ნანა დაკითხეთ. ის თავად აგიხსნით, რა ურთიერთობაც ჰქონდა ვაჟასთან!

– გარკვეული მიზეზების გამო, ძიების ამ ეტაპზე ამისგან თავს ვიკავებთ. გარდა ამისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი ურთიერთობის ყოველი დეტალი. თქვენ, შეიძლება, იცოდეთ ის, რასაც ვერ ან არ გვეტყვის ნანა სირაძე!..

– რა მიზეზებს გულისხმობთ?

– იმას, რომ ორი დღის წინ ანდრო სირაძე მოკლული აღმოაჩინეს თავის ბინაში და ამ წუთებში მისი მეუღლე ნაცნობ-მეგობრებისგან სამძიმარებს იღებს!

– ანდრო მოკლეს?! – გაოგნებულმა იკითხა ლიამ, – ვინ?

– მის მკვლელობაში თქვენი მეგობარი ვაჟა ვერულიძე იყო ეჭვმიტანილი. მაგრამ, ცნობილი გარემოებების გამო, მისი დახმარების გარეშე გვიწევს ამ ისტორიაში გარკვევა!.. – ზურაბმა მზერა გაუსწორა ლიას და ისე დაამატა: – ასე რომ, კიდევ ერთხელ გიმეორებთ კითხვას: რა ხდებოდა ვერულიძესა და სირაძეებს შორის?

ნანა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ალაპარაკდა:

– ვაჟა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამას ვერასოდეს მოისმენდით ჩემგან. არა იმიტომ, რომ ეს რაიმე საშინელ საიდუმლოებასთანაა დაკავშირებული, უბრალოდ, ასე სურდა ვაჟას. ქობულეთის შესახებ სიმართლე გიამბეთ – იქ ვაჟასა და ანდროს შორის მართლაც არაფერი მომხდარა. სიმართლე გითხრათ, მე თვითონ ძალიან გაოცებული დავრჩი, როდესაც ვაჟამ მითხრა, რომ თავი ვერ შეიკავა და ნანა თბილისში მოძებნა – ასეთი საქციელი მას არ ახასიათებდა, მაგრამ უფრო გასაოცარი ის იყო, რომ ნანამაც რაღაც ნახა მასში. თქვენ მკითხეთ, ჰქონდათ თუ არა მათ ურთიერთობა... ახლა გპასუხობთ: დიახ, ჰქონდათ!.. მოგვიანებით კი ვაჟამ უფრო გამაოცა – ორიოდ თვის წინ ის ნანასთან ქორწინებაზე ალაპარაკდა...

– გათხოვილ ქალზე აპირებდა დაქორწინებას?! – გაუკვირდა რეზოს.

– მე არ ვიცი, რა ჰქონდათ მათ გადაწყვეტილი. უბრალოდ, ვამბობ იმას, რაც ვაჟასგან მოვისმინე – მას ამის სურვილი ჰქონდა. არ ვიცი, რა მოხდა შემდეგ. დაახლოებით ორი კვირის წინ კი ანდრომ სახლში მიაკითხა და მათ შორის მოხდა ჩხუბი. იმ ჩხუბის შესახებ უბნელებისგან შევიტყვე, თავად ვაჟას ჩემთვის არაფერი უთქვამს და მას შემდეგ ნანაც აღარ უხსენებია. მე ჩავთვალე, რომ მან ყველაფერი სწორად შეაფასა, ის გიჟური აზრი თავიდან ამოიგდო და, რადგან თვითონ არაფერს ამბობდა, მეც არ ვახსენებდი მომხდარს... კიდევ გაინტერესებთ რამე?

– ჯერჯერობით აღარაფერი, მაგრამ, შესაძლოა კიდევ მოგვიწიოს შეხვედრა, – უპასუხა ზურაბმა და რეზოს ანიშნა, წავედითო.

* * *

გურამმა ჩაფიქრებული მზერა მოავლო მაგიდის გარშემო მსხდომ საგამოძიებო ჯგუფის წევრებს. შემდეგ ზურაბს მიუბრუნდა და უთხრა:

– ან ეს კაცი მოაშორე აქედან, ან მე დავწერ განცხადებას სამსახურიდან წასვლის შესახებ!

– ვის გულისხმობ? – დაიბნა ზურაბი.

– შენით ვერ ხვდები, ვის უნდა ვგულისხმობდე?! აი, იმას! – ფიფიაზე მიანიშნა გურამმა.

– შენ რამე ხომ არ გეშლება?! – ფეხზე წამოიჭრა რეზო.

– მშვიდად, მშვიდად... – მხარზე ხელი დაადო ზურაბმა და, როგორც კი ის დაჯდა გურამს მიუბრუნდა, – მაინც, რა არ მოგწონს ამ კაცში?

– ცუდი ფეხი აქვს... თარსია! – უპასუხა მან.

– რას გულისხმობ?

– გახსოვს, რა გითხარი ვერულიძის ბინაში? – ღმერთს ვთხოვე, რომ ამ ორ საქმეს რამე არ მიემატოს-მეთქი!

– მერე?

– მერე ის, რომ დღეიდან სამ მკვლელობაზე მოგვიწევს მუშაობა. მაგას რა ენაღვლება? – გურამმა დამცინავად გახედა ფიფიას, – ბალასტად უნდა გდიოს უკან, სამივე საქმე კი ჩვენს კისერზე უნდა გადაიაროს!

– რას ამბობ, – გაიკვირვა ზურაბმა, – რომელი მესამე მკვლელობა, მე რატომ არა-

ფერი ვიცი ამის შესახებ?!

– ახლავე შეიტყობ... – ამ სიტყვებთან ერთად, გურამმა საქაღალდე გადაშალა, საბუთები გადაათვალიერა და ლაპარაკი განაგრძო – ამ საქაღალდეში ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებია. პირველი დასკვნა სირაძის სხეულიდან ამოღებულ ტყვიას ეხება – მას უკვე იცნობთ. ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ტყვია „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან იყო გასროლილი; შემდეგი, მეორე დასკვნა უკვე ვერულიძის საქმეს ეხება. რა სისტემის პისტოლეტით დაიღუპა ის, ისედაც გასაგებია. ამ სიტუაციაში მთავარი თავად იარაღია. ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ორივე შემთხვევაში ვერულიძის სახლიდან ამოღებული იარაღი იყო გამოყენებული.

– ეგ ისედაც მოსალოდნელი იყო, – ჩაურთო ზურაბმა, – მაგრამ, რა მესამე საქმეს გულისხმობდი წეღან?

– ეს ყველაზე საინტერესოა, – გახედა გურამმა, – ბალისტიკურმა ექსპერტიზამ მომცა დასკვნა, რომ იმავე იარაღით ორი თვის წინ მოკლეს ვინმე ნინუა და იმ საქმეს დღესაც იძიებს კრწანისის სამმართველო!.. ასე რომ გილოცავთ!

– ამის დედაც! – შეიგინა ზურაბის მოადგილემ, – ესღა გვაკლდა! ამ ორი საქმის გადამკიდე, დღედაღამ ქუჩაში მიწევს წანწალი და ახლა მესამეც შემოგვეტენა!

– რას გაიხარებს კრწანისის სამმართველო?! – დაამატა გიამ, – წყნარად, მშვიდად გადმოგვაბარებენ საქმეს – ახლა იმათ იმტვრიონ თავიო!

– ნუ წუწუნებთ!.. ვაკე-საბურთალო ავტონომიური რესპუბლიკა არ არის. ჯერჯერობით ყველანი თბილისის პოლიციაში ვირიცხებით და ამ ქალაქში მომხდარი ნებისმიერი დანაშაული ყველა რაიონის სამმართველოს გამოსაძიებელია!

– ეგ გასაგებია, მაგრამ, რა მოხდებოდა ჩვენი საქმეები რომ წაეღო კრწანისს? – ჩაილაპარაკა ზურაბის მოადგილემ.

– კარგი, გეყოთ, – ზურაბი გურამს მიუბრუნდა, – რა ვიცით იმ მკვლელობის შესახებ?

– ბევრი არაფერი. მე მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა მაქვს, ძირითად საქმეს თქვენ თვითონ გამოითხოვთ კრწანისის რაიონიდან. დასკვნაში კი მითითებულია, რომ ორი თვის წინ თბილისში მცხოვრები 53 წლის ალექსანდრე ნინუა მოკლული აღმოაჩინეს საკუთარი სახლის წინ. მკვლელობა დაახლოებით საღამოს 10 საათზე იყო ჩადენილი. მეზობლებს სროლის ხმა არ გაუგონიათ. თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც ნინუა მანქანიდან გადმოდიოდა – მკვლელი უკნიდან მიუახლოვდა და ორი ტყვია დაახალა კეფაში. შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტის ორი მასრა. იმავე სისტემის იარაღის ტყვიები აღმოჩნდა გარდაცვლილის ჭრილობებში... ბალისტიკოსების დასკვნით, მკვლელობა ჩადენილია იმ იარაღით, რომელიც ჩვენ ვერულიძის ბინიდან ამოვიღეთ, – სულ ეს არის.

– ეს სერიოზულად ცვლის ვითარებას, – თქვა ზურაბის მოადგილემ, – გამოდის, რომ, უბრალოდ ქალის გამო მოდავე კაცთან კი არა, პროფესიონალ ქილერთან გვქონია საქმე!

– ქილერები თავს არ იკლავენ, – შენიშნა გურამმა, – ამაში ფულს არავინ გადაუხდით!

– მაგრამ, ფაქტი ფაქტად რჩება, – თქვა ფიფიამ, – სამივე მკვლელობა ერთი იარაღითაა ჩადენილი.



– ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს, – ჩაილაპარაკა ზურაბმა, – იარაღი შეიძლება გაყიდონ, ან, უბრალოდ, მიუგდონ ვინმეს. ასეთი არიფი ამ ქალაქში ბევრი მეგულება – იპოვის სადარბაზოს კუთხეში მიგდებულ, შავი ცელოფნის პარკში გახვეულ „მაკაროვს" და გაიხარებს: ღმერთო, ეს რა კარგი დღე გამითენდაო. ერთი თვის შემდეგ კი იმ იარაღს სახლიდან ამოუღებენ და ჰკითხავენ: აბა, იღბლიანო, აგვიხსენი, როგორ აღმოგაჩნდა ბალიშის ქვეშ „მაკაროვი", რომლითაც ერთი წლის წინ სოლოლაკში ორი კაცი მოკლესო?! მოკლედ, იმ იარაღის წარმოშობა ჯერ კიდევ გასარკვევია. ვილაპარაკოთ იმაზე, რაც უკვე ფაქტად ითვლება. რა მოგვცა შემთხვევის ადგილების გამოკვლევამ?

– აქაც ვერაფრით დავიტრაბახებთ. მოკლედ არ გვიმართლებს, ნაღდად ვიღაცამ დაგვთარსა. ასეთი აბდაუბდა საქმე ჯერ არ შემხვედრია, – გურამმა შეფარვით გახედა რეზოს.

– კარგი, რა, თუ ძმა ხარ, – უკმაყოფილოიერით თქვა ზურაბმა, – სერიოზულ საქმეზე ვლაპარაკობთ!

– სერიოზულად კი ასეთი ვითარება გვაქვს: სრულიად დადასტურდა ვერსია, რომ ვერულიძე სირაძის ბინაში იმყოფებოდა. მისი ანაბეჭდები აღმოჩნდა კარის გარე სახელურზე და თავად კარზეც. ორიოდ სიტყვა მინდა გითხრათ კარის შიდა მხარეს აღმოჩენილ ანაბეჭდზე: ანაბეჭდი იმაზე მიუთითებს, რომ ვერულიძემ კარი ხელის მიწოლით გააღო. ამაში არაფერია უცნაური, რომ არა ერთი დეტალი – ვერულიძის ანაბეჭდი არ აღმოჩნდა სახელურზე.

– და, რას ნიშნავს ეს? – ჰკითხა რეზომ.

– როგორ უნდა გააღო დაკეტილი კარი სახელურზე შეუხებლად?..

– გამოდის, რომ, როცა ვერულიძე ბინაში იმყოფებოდა, კარი ნაწილობრივ ღია იყო, – თქვა ზურაბმა, – შემდეგ კი მან კარი ხელისკვრით გააღო.

– აბსოლუტურად მართალი ხარ, მაგრამ, მხოლოდ ასეც არ არის საქმე. ხელისგულის ანაბეჭდი კი ნაწილობრივ გადღაბნილი იყო. ასეთი ანაბეჭდი რჩება მაშინ, როდესაც საგანს კი არ აწვებიან, არამედ ურტყამენ. თქვენი არ ვიცი, მაგრამ, მე ეს ყველაფერი ძალიან უცნაურად მეჩვენება. წარმოიდგინეთ სურათი: ვერულიძე მიდის სირაძის ბინაში და კარის გარე სახელურზე ტოვებს ანაბეჭდს. რამდენადაც მახსოვს, მასპინძლები კარს შიგნიდან თავად უღებენ სტუმრებს. რა ხდება ამის შემდეგ?! ვერულიძე შედის ბინაში და კარს ნაწილობრივ ღიას ტოვებს – ამას აკეთებს ცივსისხლიანი და ანგარიშიანი მკვლელი, რომელიც მაყუჩიანი პისტოლეტითაა შეიარაღებული. შემდეგ ვერულიძე ერთი სუპერპროფესიონალური გასროლით კლავს სირაძეს და, რატომღაც, კისრისტეხით გარბის ბინიდან, მაგრამ, კარის გასაღებად ხელს კი არ ჰკიდებს სახელურს, არამედ, კარს ურტყამს ხელს და ამას აკეთებს მკვლელი, რომელმაც იცის, რომ ისინი მარტონი იყვნენ ბინაში, თანაც გასროლის ხმა არავის გაუგია!.. იმაზე აღარაფერს ვამბობ, თუ რა მოიმოქმედა ყოველივე ამის შემდეგ ვერულიძემ!.. რამეს ხედავთ ამაში ლოგიკურს?!

– ნაღდი ბარდაკია, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ზურაბმა.

– ახლა მეორე ბარდაკი მოისმინე, რომელსაც ოფიციალურად ვერულიძის უცნაური თვითმკვლელობის უფრო უცნაური დეტალები ჰქვია, – თქვა გურამმა და საქაღალდეს მიუბრუნდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# ზაზა ზამთარაძის
## გახსენება

27-ში 50 წელი შეგისრულდება, ჩემო ნაბოლარა შვილო! უშენოდ აღვნიშნავთ ოჯახში ამ მრგვალ თარიღს. შენი მეგობრები, ალბათ, მხოლოდ საფლავზე ამოვლენ და იქ მოგილოცავენ – ჩემთან ყველას უჭირს მოსვლა. ვერც ვამტყუნებ – რა უნდა მითხრან, რით უნდა მანუგეშონ ორი ვაჟკაცი შვილის დამკარგავი მოხუცი დედა?! შენ და გიამ ჩემი სული და გული წაიღეთ. თქვენ რომ ცოცხლები იყოთ, ეს სახლი, რომელიც ახლა ასე ჩაჩუმებულია, სტუმრებით, მხიარულებით იქნებოდა სავსე.

შენი ნებიერა მარიამი პირველი კურსის სტუდენტია და გული მეწურება, რომ თვითონ ვერ მიულოცე შვილს ასეთი წარმატება. ძალიან აკლიხარ, ძალიან ენატრები და სულ შენს ხსენებაშია.

ვცდილობ, არავინ შევაწუხო ჩემი დარდითა და ტკივილით. ოჯახის წევრებსაც კი ვუმალავ ცრემლებს. უამრავი სათქმელი დამიგროვდა და თქვენს სურათებს ვესაუბრები. რომ იცოდეთ, როგორ მომენატრა თქვენი ხმის გაგონება...

დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო!..

**თქვენი ტანჯული დედა**

**თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ, ჩემს საყვარელ რესპონდენტებს შორის, პირველ ადგილზე ნიჭიერი მუსიკოსი, სოცრად თბილი, ენერგიული, ხალისიანი, ჭკვიანი, თავისი საქმის პროფესიონალი თინათინ ჯაფარიძეა. როგორც ჟურნალისტისთვის, მასთან საუბარი ერთი დიდი სიამოვნებაა – პირველივე წუთებიდან გრძნობ, როგორ გადმოდის შენზე მისი ხალისიანი განწყობა, ენერგიული ტონი.**

# როგორ მოიხიბლა ბარბრა სტრეიზანდი თინათინ ჯაფარიძის მიერ პირადად მისთვის დაწერილი სიმღერის მუსიკით და რა სთხოვა მას სელინ დიონმა

**თინათინ ჯაფარიძე:** თვე-ნახევრის წინ ვიყავი მანჰეტენზე ახალი ჩინური დოკუმენტური ფილმის პრემიერაზე. პრემიერის შემდეგ ჩემგან ინტერვიუ აიღეს – აინტერესებდათ ჩემი აზრი. ორი დღის შემდეგ დამირეკა იმ არხის დირექტორმა, რომლისთვისაც ჩაიწერა ეს ინტერვიუ და მითხრა: ვიცი, რომ მუსიკოსი ხართ, ბროდვეის შოუს ამზადებთ, მაგრამ, ოდესღაც ჟურნალისტიკითაც იყავით დაკავებული; ამიტომ, მინდა შემოგთავაზოთ, რომ გააკეთოთ საკუთარი გადაცემა ჩინეთის არხზე. ამერიკაში არის მათი მთავარი ოფისი, მაგრამ, აჩვენებენ ყველა ქვეყანაში, სადაც ჩინურად მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობსო. ვიცოდი, ჩემი რეჟიმის გამო ვერ დავთანხმდებოდი, მაგრამ, იმდენად ინტერესიანი ვარ, მაინც მივედი ტელევიზიაში. დაახლოებით ორსაათ-ნახევარი გავატარე არხის დირექციასთან. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მთავაზობდნენ, კულტურაზე გამეკეთებინა გადაცემა, შემდეგ შემომთავაზეს, იქნებ, გაეროზე გააკეთო და გახდები გაეროს ბიუროს შეფი, ანუ გაეროში ამ არხის წარმომადგენელიო. ეს რომ ხუთი წლის წინ ყოფილიყო, არც დავფიქრდებოდი. მაშინვე ვერ ვუთხარი უარი, არადა, გამომიტანეს კონტრაქტი – ანკეტა უნდა შემევსო. სახლში რომ მოვედი, უკვე დამხვდა დირექტორის მოადგილის წერილი: ძალიან მოგვეწონეთ, იქნებ, გაეროზე გააკეთოთ გადაცემა, თუ გინდათ, კულტურაზეც – ამაზეც შევთანხმდებით. გეყოლებათ თქვენი ოპერატორი, ორი ასისტენტიო... მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ღამის 3 საათი იყო, დედას და მამას დავურეკე, გავაღვიძე და ყველაფერი მოვუყევი. მათ მითხრეს: ძალიან კარგია, საინტერესო, მაგრამ, შენი არ არის, აბსოლუტურად სწორ გზაზე დგახარ, ბროდვეის პრემიერას უახლოვდები, რა დროს ჩინეთიაო. ორი კვირის განმავლობაში არხის დირექციასთან მიწერ-მოწერა მქონდა. ბოლოს, როდესაც უარი ვუთხარი, მაშინ დავრწმუნდი, რომ დავლევინდი – ისე გამართულად ვუთხარი უარი, ამას ადრე ნამდვილად ვერ გავაკეთებდი, რადგან, დამაინტერესებდა. უარის მიუხედავად, დირექტორმა მითხრა, თუ გადაიფიქრებთ, აუცილებლად დაგვირეკეთო. ჩემს მუსიკალურ დირექტორს თავიდანვე არ გავუმხილე, მხოლოდ მაშინ ვუთხარი, როცა უარი ვთქვი. გაგიჟდა კაცი – „ტონის“ ჯილდოზე გვაქვს გეზი აღებული და შენ კი ჩინეთის ტელევიზიაში აპირებ მუშაობასო?! დამაფიცა, რომ არასდროს დავთანხმდები ამ წინადადებას.



**სახლში რომ მოვედი, უკვე დამხვდა დირექტორის მოადგილის წერილი – ძალიან მოგვეწონეთ, იქნებ, გაეროზე გააკეთოთ გადაცემა, თუ გინდათ, კულტურაზეც – ამაზეც შევთანხმდებით. გეყოლებათ თქვენი ოპერატორი, ორი ასისტენტიო...**

**– ბროდვეის შოუს პრემიერას უკვე უახლოვდები?**

– უკვე გვქონდა პირველი საჩვენებელი საღამო, რომელმაც ძალიან კარგად ჩაიარა. მოსულები იყვნენ ბროდვეის პროფესიონალები და ჩემი რამდენიმე მეგობარი. ამის შემდეგ ბარიშნიკოვთან სარეპეტიციო დარბაზში გვქონდა რეპეტიციები, ბროდვეის მაღალი ფენა ჩაერთო – ის ადამიანები, რომლებსაც ყველასთან აქვთ ნამუშევარი. რამდენიმე თვის განმავლობაში გვქონდა კონსილიუმები. პირველი საჩვენებელი საღამო უფრო კაბარეს ფორმატში იყო. ამიტომ, ბროდვეის თეატრალურ სპექტაკლად გადაკეთებას დაახლოებით ხუთი თვე დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ისტორიაა და მთავარ როლში ვარ, მაინც ვცდილობდი, ზედმეტად არ ჩავბმულიყავი, რადგან, ეს ადამიანები თავის საქმეში გიგანტები არიან. რამდენიმე სიმღერა ამოვიღეთ, რამდენიმე დავამატეთ და დღეს გვაქვს 20 სიმღერა. ეს ჩემთვის, როგორც კომპოზიტორისთვის, ძალიან კარგია, მაგრამ, როგორც მომღერლისთვის ნაკლებად სასიამოვნოა – 20 სიმღერა უნდა შევასრულო, ვითამაშო და თან ბევრ რამეზე ვიფიქრო... პრემიერის დღე უკვე დაგეგმილია, მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვი. ჩვენი რეჟისორის მარჯვენა ხელი მაიკ ტაისონთან ერთად არის წასული, რომელსაც, ასევე, ბროდვეის შოუ აქვს და პრემიერისთვის ემზადება. მოკლედ, ტაისონი ჩემი კონკურენტია – ცოტა ხნით წამართვა ეს ადამიანი. ჩვენ საერთო გვყავს სცენის მენეჯერი, რომელიც რეჟისორის მარჯვენა ხელია. ის შაბათს ჩამოდის. ძალიან მალე იქნება პრემიერა.

**– მუსიკალური დირექტორის თქმით, „ტონის“ ჯილდოსკენ გაქვს გეზი აღებული.**

– მათ იციან ის ინგრედიენტები, რაც „ტონისთვის“ არის საჭირო, ისევე, როგორც ფილმის რეჟისორმა იცის, რა იქნება მომგებიანი „ოსკარის“ მისაღებად. ამიტომ, რამდენიმე მონაკვეთზე ინტენსიურად მუშაობენ. შოუს სახელიც შევუცვალეთ, „მატრიოშკა“ დავარქვით, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კონცეპტუალურად ჩემს კარიერაში. როდესაც სცენარი გადავწერეთ, იმდენად შევცვალეთ, რომ ფორმატი აბსოლუტურად ორიგინალურია, როგორც ამბობენ, არც ერთ შოუს არ ჰგავს. ამ ცვლილებამ განაპირობა ის, რომ სხვა სახელი იყო შოუსთვის საჭირო. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, სხვა დეტალების მოყოლის საშუალებას არ მაძლევენ: შოუში „მატრიოშკა“ მე არ ვარ, ეს არის მესამე პერსონაჟი. როგორც კი მომცემენ უფლებას, ექსკლუზიურად თქვენ მოგიყვებით. შოუში ვიქნებით: მე – ქართველი გოგონა, აფრიკელ-ამერიკელი – თიმოთი და რუსი „მატრიოშკა“. ფაქტობრივად, ჯერ არავინ იცის, რომ ეს შოუ გახდა „მატრიოშკა“.

**– ძალიან დამაინტერესე და დამაინტრიგე... ახლა, რაც შეეხება სხვა საქმეებს: როგორც ვიცი, ბარბრა სტრეიზანდისთვის და სელინ დიონისთვის აპირებდი სიმღერების დაწერას. ამ მხრივ რა სიახლეებია?**

– ბარბრასთვის დავწერეთ სიმღერა, გავუგზავნეთ იმ ადამიანს, რომელიც პირადად არჩევს მისთვის რეპერტუარს. მოისმინეს და ძალიან მოეწონათ მუსიკა, ჩანაწერი. რაც შეეხება ტექსტს, გვითხრეს: 27 წლის გოგონამ 70 წლის ქალს დაუწეროს ისეთი ტექსტი, როგორიც მას უნდა, არარეალურიაო. ბარბრა აგვისტოში უშვებს ალბომს, სადაც მხოლოდ დუეტები იქნება. გვირჩიეს: მუსიკა ძალიან კარგია, არ შეიძლება ამ სიმღერის გადაგდება. თქვენ შეგიძლიათ, ეს სიმღერა დუეტად გადაწეროთ ან დაელოდოთ შემდეგ ალბომს, სადაც სოლო მასალები იქნებაო. მე და ჩემმა თანაავტორებმა ვცადეთ სიმღერის დუეტად გადაწერა, მაგრამ, გაირკვა, რომ არ გამოდის და, იმის გამო, რომ გავუგზავნოთ, კარგი სიმღერა ფუჭდება. ამიტომ, გადავწყვიტეთ, შემდეგი ალბომის გამოშვებას დაველოდოთ და პარალელურად ვიმუშაოთ ტექსტზე. ორ წელიწადში იქნება მომდევნო ალბომი. ძალიან არ ვჩქარობ, მაგრამ, ფაქტია, რომ ელოდებიან სიმღერას. ბროდვეის შოუშიც სპეციალურად ბარბრას მივუძღვენი ერთი სიმღერა. უნდა დავპატიჟო პრემიერაზე, თან, იმ დროისთვის მისთვის დაწერილი სიმღერაც მზად იქნება. სელინ დიონსაც დავუწერე ფრანგული სიმღერა, მაგრამ, ამასთან დაკავშირებით ერთი ისტორიაა, რომელიც ბევრმა არ იცის: სელინ დიონი და ლარა ფაბიანი ყოველთვის ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ და ლარას სელინზე პრესაში რამდენჯერმე არცთუ სასიამოვნო რამ აქვს ნათქვამი. ეს არ ვიცოდი და ეს სიმღერა დავწერე ლარა ფაბიანის ყოფილ ქმართან ერთად, რომელმაც ლარას ყველა სიმღერა დაუწერა. მოვასმენინე მის პროდიუსერს და ძალიან მოეწონა – აუცილებლად უნდა მოვასმენინო სელინსო. როგორც ვიცი, ის სელინის მეუღლეს ესაუბრა, მან არც კი მოისმინა სიმღერა, როცა გაიგო, რომ რიკ ალისონთან ერთად იყო დაწერილი. პროდიუსერს უთხრეს: დარწმუნებული ვართ, კარგი სიმღერა იქნება, მაგრამ, არ აქვს აზრი, მოვასმენინოთ. როგორც კი რიკ ალისონის სახელს დაინახავს, კატეგორიულ უარს იტყვის და თინას გაუფუჭდება საქმე. ამიტომ, მარტო სელინისთვის დაწეროს, რიკის გარეშეო. მოკლედ, ინგლისურ სიმღერას დავუწერ, როგორც კი ინგლისურ ალბომზე დაიწყებს მუშაობას, რომელიც უნდა გაუკეთოს ჩვენმა საერთო პროდიუსერმა ქრისტოფერ ნილმა. ამიტომ, ჩემთვის გარანტიაა, რომ აუცილებლად მოისმენს სელინი, იცის, რომ უნდა დავუწერო, თანაც, თვითონ გამოთქვა ინტერესი.

**– ცოტა ხნის წინ ამერიკაში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა ქეთი ორჯონიკიძემ, კახი კავსაძესთან ერთად გადაგიღო ფილმში.**

– ქართულ-ამერიკული მოკლემეტრაჟიანი ფილმია, ჰქვია „ქართული პური“. პატარა რომ ვიყავი, ნანუკა ხუსკივაძის შვილთან, აკასთან ვმეგობრობდი, ერთად ვისვენებდით ოქროყანაში. ბატონი კახი რომ ამოდიოდა, სულ „მეპრესტიჟებოდა“ მისი ნახვა. რამდენიმე წლის შემდეგ კი მასთან მომიწია მუშაობა. ბატონი კახი თამაშობს მეპურეს, მე ვარ ნიუ-იორკში ქართული რესტორნის მეპატრონის მეუღლე, ბატონი კახის ბოსი. არც ისე სასიამოვნო როლი მაქვს და ამიტომ ბატონი კახის მერიდებოდა, სულ მინდოდა, მოწიწებით მესაუბრა მასთან, მაგრამ, ქეთი მეჩხუბებოდა. დუბლების შუაში სულ ვეფერებოდი. ბატონი კახი მე მიცნობდა, როგორც მომღერალსა და კომპოზიტორს, ვერ დამაკავშირა იმ თინუკასთან. ერთხელ საგრიმიოროში უკითხავს, ვისი შვილიაო. უთხრეს – გივი ჯაფარიძისა და ქეთი ჩიჩუასიო. ვაიმე, არ გამაგიჟოთ, ეს ხომ პატარა თინუკაა, ჩემებთან ერთად რომ ისვენებდა ოქროყანაშიო...



**ნათია უტიაშვილი**

# „ლომიძის კლინიკა" – ოცდამეერთე საუკუნის ქართული ფიტოთერაპიის უდიდესი მიღწევა და ავადმყოფთა იმედი

*დღეს ქართული ფარმაცევტული ბაზარი გაივსო საეჭვო წარმოშობის და დანიშნულების ფიტოპრეპარატებითა და სინთეზური გზით მიღებული წამლებით. უდიდესი ფარმაცევტული კომპანიები ეწევიან აქტიურ დისტრიბუციას, რომელიც ხელს უშლის საკუთარი ფიტომრეწველობის განვითარებას, მაშინ, როცა საქართველო მსოფლიო ხალხთა ისტორიაში მკურნალი ერის, მედეას ერის სახელითაა უპირველესად ცნობილი.*

*მეოცე საუკუნეში ჩვენც გვყავდა ჩვენი მედეა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი რუსუდან ლომიძე, რომელმაც ექიმბაშობა სახალხო მკურნალობად, შემდეგ კი მეოცე საუკუნის უდიდეს მეცნიერებად – ფიტოთერაპიად აქცია. უნიკალური ქართული ველური სამკურნალო მცენარეებისგან შექმნა მცენარეთა კომბინაცია, რომელიც მართლაც რომ სასწაულებს ახდენს უკვე 40 წელია. სწორედ ამიტომ დღემდე არ წყდება ვაჟა-ფშაველას 30 ნომერში მადლიერ პაციენტთა რიგი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი რუსუდანის ვაჟიშვილის მეუღლე, ქალბატონი **მარინა წულუკიძე**. მან 1995 წელს პირველად შექმნა საქართველოში სახელმძღვანელო ფიტოთერაპიაში, რომლის დამსახურებაცაა ლომიძის წამლების რეგისტრაცია სახელმწიფო დონეზე საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ.*

**– ქალბატონო მარინა, თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენი წამლების კვლევების შესახებ.**

– წამლების მეცნიერული კვლევა დაიწყო 1983 წლიდან. ონკოცენტრში 1997 წლამდე შეიქმნა სამი სხვადასხვა კომისია, რომელიც სწავლობდა ლომიძის წამლების მოქმედებას მეოთხე კლინიკური ჯგუფის ონკოდაავადებების დროს. შედეგები იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ სამმა სამეცნიერო კომისიამ სხვადასხვა დროს მხოლოდ დადებითად შეაფასა ეს პრეპარატები. საბოლოო დასკვნაში დაფიქსირდა წამლების შემდეგი თვისებები:

1) სიმსივნის ადგილას პერიფოკალური პროცესების ალაგება;

2) სიმსივნური და მედიკამენტური ინტოქსიკაციის მოხსნა;

3) ტკივილგამაყუჩებელი საშუალება;

4) რენტდგენოეპითელიტისა და ეპიდერმისის მოკლე დროში ალაგება, რაც იმ დროისთვის, როცა იკრძალებოდა მცენარეებით მკურნალობა, სრულიად წარმოუდგენელი შეფასება იყო. 1997 წლიდან წამლებისა და ავადმყოფების კვლევა გააგრძელა ოქსფორდის ექიმთა 5-კაციანმა ჯგუფმა და გაზეთ „ევროპის ცნობარის" ჟურნალისტებმა. ეს პროექტი მთლიანად დაფინანსებული იყო ბატონ ასლან აბაშიძის მიერ. 2002 წლიდან სამეცნიერო კვლევები გაგრძელდა ერთობლივად მოსკოვის ონკოცენტრსა და საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოს მარატი ციცქიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპერიმენტი სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ დაფიქსირდა ლომიძის წამლების

1) ონკოპროტექტორული და 2) იმუნომასტიმულირებელი თვისებები, რომელსაც მოსკოვის ონკოცენტრის 12 აკადემიკოსი აწერს ხელს, მათ შორის დავიდოვიც, რომელიც დღეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია.

ქართული კანონმდებლობით, უცხოეთში ჩატარებული კვლევები არ მიიღეს და 2005 წელს დაიწყო განმეორებით ლომიძის წამლების პრეკლინიკური კვლევა (ფარმ-სტადია, ვალიდაცია, ტოქსიკურობა, ხარისხის სერტიფიკატი). ცნობისთვის, ამ დონის კვლევები არ ეკუთვნოდა მეცნიერულ პრეპარატებს, მაგრამ ჩვენი სურვილით, თითოეული კომბინაცია იქნა შესწავლილი, რომლის შემდეგაც დაიწყო წამლებით ავადმყოფებზე მკურნალობის დაკვირვება ერთი წლის განმავლობაში. საბოლოო ჯამში კი, მივიღეთ სამი წამალი. ესენია:

**ლომიძე-I** – მცენარეების ნაკრები უნიკალური ანტიანთებითი, ანტიმიკრობული, დეტოქსიკაციური, ტკივილგამაყუჩებელი და იმუნომასტიმულირებელი თვისებებით.

**ლომიძე-II** – ნაყენი იმუნომასტიმულირებელი და ენდოკრინული სისტემის მარეგულირებელი თვისებებით.

**მალამო „პროქტოლომი"** – სრულიად უნიკალური, ერთადერთია მსოფლიოში, სადაც ყველა ინგრედიენტი და შემკვრელიც ნატურალურია („საქპატენტის" ცნობით). ცნობისთვის, საქართველოში მხოლოდ ამ მცენარეულ პრეპარატებს ჩაუტარდათ, ასეთი დონის სამეცნიერო კვლევები.

**– ქალბატონო მარინა, გარდა ონკოლოგიური დაავადებებისა, რა დაავადებებს მკურნალობთ თქვენს კლინიკაში?**

– ჩვენ 110 სახის სამკურნალო მცენარეს ვაგროვებთ და ქალბატონ რუსუდანის მიერ შექმნილი რეცეპტურითა და უნიკალური ველური სამკურნალო მცენარეებით (რისი მარაგიც მსოფლიომ პრაქტიკულად ამოწურა) ხდება შემდეგი დაავადებების მკურნალობა: სასუნთქი სისტემის (ასთმა, ბრონქიტი, პნევმონია, ტუბერკულოზი); საჭმლის მომნელებელი სისტემის (გასტრიტი, კოლიტი, ქოლეცისტიტი, წყლულოვანი დაავადებები, ვირუსული ჰეპატიტები, ალკოლოგიური ციროზი); საშარდე სისტემის (ნეფრიტები, პიელონეფრიტები, თირკმლის კენჭოვანი დაავადებების, ცისტიტის, პროსტატის ადენომა); სასქესო ორგანოების (ფიბრომა, მიომა, ეროზიები და წყლულები, კისტოზური დაავადებები); ენდოკრინული სისტემა (დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი); გულ-სისხლძარღვთა სისტემა (არითმიები, მაღალი ქოლესტერინი, პროტრომბინი, ენდარტერიტები).

რა თქმა უნდა, თითოეულ დაავადებას თავისი განსაკუთრებული მცენარეების კომბინაციითა და იმუნომასტიმულირებელი წვეთებით ვმკურნალობთ. ამდენად, თითოეული ავადმყოფისთვის რეცეპტურაც ინდივიდუალურად ირჩევა.

**– როგორია დღეს მოსახლეობისა და ექიმების ნდობა ფიტომკურნალობის მიმართ?**

– მოსახლეობა იმთავითვე მაღალი აქტიურობით გამოირჩეოდა. იყო დრო, 90-იან წლებში, როცა ავადმყოფები ღამეებსაც კი ათენებდნენ რიგში. დრო წამლის გამოცდის ყველაზე დიდი კრიტერიუმია. როცა 40 წელია, ექიმის კართან არ წყდება ავადმყოფთა რიგი, ეს არა ექიმის, არამედ წამლის უდიდესი დამსახურებაა.

რაც შეეხება სამედიცინო პერსონალს, აქაც ბოლო ათწლეულის ნდობის ფაქტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა. შეუძლებელია, მაშინ, როცა მთელი მსოფლიო უპირატესობას ანიჭებს ინტეგრაციულ მედიცინას (კლინიკური და ფიტოთერაპიის შერწყმა), ქართველმა ექიმებმა ეს არ გაითვალისწინონ და დადებითად არ განეწყონ.

***და ბოლოს, საოცარია თქვენი არქივიც, რომელიც ათასობით ისტორიას მოიცავს. თქვენის ნებართვით, მე რამდენიმე ისტორიას გავაცნობ მკითხველს:***

**ზაურ ფხაკაძე** ***(71 წლის, ქუთაისი, 2011/09).*** დაისვა კუჭის კიბოს დიაგნოზი. ჩათვალეს, რომ ოპერაცია იყო დაგვიანებული. სიცოცხლის ხანგრძლივობა განუსაზღვრეს 3 თვით. იმავე თვეში მოგვმართა და დაიწყო ჩვენთან მკურნალობა. ამჟამად პრაქტიკულად ჯანმრთელია (ზედაპირული გასტრიტი).

**ზინა მაისურაძე** ***(73 წლის, ახმეტა).*** 2003 წლიდან იღებს ჩვენს დანიშნულებას – ორივე სარძევე ჯირკვლის სადინაროვან ინვაზიური კიბოს გამო ონკომკურნალობა არ ჩატარებია. პრაქტიკულად ჯანმრთელია.

**სოფო ხასია** ***(25 წლის, ზუგდიდი, 2012/12).*** დაისვა აუტოიმუნური თირეოიდოტის დიაგნოზი, TSH იყო 27,2. 21/09 დაიწყო ჩვენი წამლებით მკურნალობა. 25/01/13 TSH – 3,7.

**თენგიზ ნოზაძე** ***(53 წლის, საჩხერე).*** 1996 წელს დაუსვეს ლიმფოსარკომის დიაგნოზი. ჩატარდა ქიმიო და სხივური თერაპია. უშედეგოდ. 1997 წელს დაიწყო მკურნალობა ლომიძის წამლებით. ამჟამად ცოცხალი და პრაქტიკულად ჯანმრთელია.

**ჯემალ ჭკადუა** ***(70 წლის, ზუგდიდი).*** 23/03/12 წელს დაისვა მარჯვენა ფილტვის კიბოს დიაგნოზი, ინოპერამელური შაქრიანი დიაბეტი. ქიმიოთერაპიაზე უარი განაცხადა. ამჟამად პრაქტიკულად ჯანმრთელია.

**თამაზ გელენიძე** ***(55 წლის, ზუგდიდი).*** C ვირუსული ჰეპატიტი. მოგვმართა 2011/03, მძიმე მდგომარეობაში: ციროზი, პლევრიტი, ასციტი, სიყვითლე, საყლაპავისა და სწორი ნაწლავის ვენების ვარიკოზული გაგანიარება. პროთრომბინი – 50 პროცენტი. ამჟამად პრაქტიკულად ჯანმრთელი, შრომისუნარიანი და აქტიურია.

**ლალი სეხნიაშვილი** ***(28 წლის, თბილისი).*** 2010 წელს დაისვა ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის დიაგნოზი. კლინიკაში მკურნალობა შეწყდა ზოგადი მძიმე მდგომარეობის გამო და მაშინვე დაიწყო ჩვენი მკურნალობა. 2011/08 განმეორებითი კვლევით ჯანმრთელია.

***P. S. მადლობა უფალს, რომ ჩვენ გვერდით ისევ არსებობენ ასეთი ექიმები, რომელთაც თავიანთი წამლებით შეუძლიათ, სრულიად უიმედო ავადმყოფსაც კი დაუბრუნონ იმედი და სიცოცხლის ხალისი.***

**ნონა დათეშიძე**

# მთვარის რომელ ფაზაში გროვდება ორგანიზმში ცხიმები და როდის ჯობია განტვირთვის დღეების მოწყობა



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

*თვის გარკვეულ დღეებში ბევრი ჩვენგანი უჩივის მომატებულ სისუსტეს, გაღიზიანებას, ჯანმრთელობის გაუარესებას, მგრძნობელობის მომატებასა თუ ემოციის მოზღვავებას და ვერ ხვდება, რა შეიძლება იყოს ყოველივე ამის მიზეზი. მთვარის ფაზები დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის განწყობასა და მის შინაგან სამყაროზე. ნერვიულობას, გაღიზიანებას, სისუსტესა და უძილობას თავი რომ დააღწიოთ, აუცილებელია, გაითვალისწინოთ და შეასრულოთ მარტივი ასტროლოგიური რჩევები და რეკომენდაციები:*

* თუ სავსე მთვარის პერიოდია, საძინებელი უნდა დააბნელოთ ფარდებით, რადგან, შესაძლოა, მთვარიდან წამოსული ენერგია ძილთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზი გახდეს. უძილობას თავს ადვილად დააღწევთ, თუ სავსე მთვარის პერიოდში მწარე კერძებს არ მიირთმევთ და ვახშამზე მსუბუქად დანაყრდებით. ამ დროს კარგია კატაბალახას წვეთების დალევა, რადგან ის ორგანიზმს ადუნებს, აწყნარებს და ღამის მშვიდი ძილისთვის ამზადებს. ასევე, კარგია ამ მიზნით საძინებელში იის სურნელის სანთლის დანთება.

* სავსე მთვარის დღეებში, დაძინებამდე, ცაცხვის ყვავილების აბაზანაში ჩაწექით. ასეთი აბაზანა, ასტროლოგიური კუთხით, ადვილად მოგიხსნით მთელი დღის დაძაბულობასა და სტრესს ამ რთულ დღეებში.

* მთვარის შევსებამდე ერთი დღით ადრე და შევსების მეორე დღეს, ორგანიზმში აქტიურად მიმდინარეობს ცხიმების დაგროვება. თუ არ გინდათ, ასე მოხდეს, მაშინ, მთვარის შევსების დღეებში წვენების ან ხილის დიეტა დაიცავით და ასე განტვირთეთ ორგანიზმი, ტკბილეულს კი მაქსიმალურად მოერიდეთ.

* ზოგიერთ ადამიანს სავსე მთვარის დროს ტკბილეულისადმი განსაკუთრებული ლტოლვა და სურვილი უძლიერდება. გირჩევთ, ამ დღეებში ხშირად ყნოსოთ ვანილი, რადგან, მისი სპეციფიკური სურნელი ტვინს სიმაძღრის სიგნალს მიაწვდის. შედეგად, ტკბილეულზე მოთხოვნაც შესუსტდება და ზედმეტი კილოგრამების დაგროვებასაც ასცდებით.

* სავსე მთვარის დროს იმატებს თავის ტკივილი, უძილობა, დისკომფორტი, საერთო სისუსტე და გაღიზიანება. ამიტომ, გირჩევთ, დაძინებამდე ერთი საათით ადრე მიირთვათ ცაცხვის ყვავილების ჩაი, საფეთქლები კი ლავანდის ზეთით დაიზილოთ.

სამწუხაროდ, ბევრი არ აქცევს ყურადღებას მთვარის გარკვეულ ფაზებს, რაც ორგანიზმს გარკვეულ პრობლემებს უქმნის.

ხშირ შემთხვევაში, წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზი არა ადამიანის საქმიანობა, არამედ, ვარსკვლავების განწყობა და დამსახურებაა. თითოეული ჩვენგანი სამყაროს ნაწილია და ამიტომ ყოველთვის განვიცდით მისი სასიცოცხლო ენერგიის ზეგავლენას.

ჩვენს საცხოვრებელ ბინებში გამუდმებით მიმდინარეობს ენერგიათა ცვლა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სახლის ფორმას. ასევე, როცა სახლში რაიმე ნივთს უცვლით ადგილს, ამით აუცილებლად ცვლით ცხოვრებაში რაღაცას. ასე რომ, თუ ინტუიცია კარგად გაქვთ განვითარებული, ზუსტად მიხვდებით, რომელი ნივთი სად დადოთ, რა შეცვალოთ თქვენ გარშემო და როგორ გაიუმჯობესოთ ამით ცხოვრება. ვერცხლის ნივთები ადვილად იღებს სახლში არსებულ უარყოფით ენერგეტიკულ დარტყმებს, იწოვს უარყოფით ენერგიებს და მათ ანეიტრალებს. ამიტომ, თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული, რომლისთვისაც ვერცხლი მისაღები ლითონია, აუცილებლად ატარეთ ვერცხლის სამკაული. თუ ასტროლოგიური თვალსაზრისით ის თქვენი ლითონი არ არის, მაშინ ვერცხლის ნივთები ბინაში იქონიეთ და ასე აავსეთ თქვენი საცხოვრებელი დადებითი ენერგიით. სავსე მთვარის დროს, შეგიძლიათ, ვერცხლის ნივთები მთელი ღამის განმავლობაში დააწყოთ ღია ფანჯარასთან ან აივანზე, რათა ისინი მაქსიმალურად აივსოს მთვარის ენერგიით, დილით კი სახლში შეიტანოთ, რათა მეტად აქტიურად ემსახუროს თქვენს ბინაში სასიკეთო ენერგიების მოზიდვას.

მეტი ყურადღებით მოეკიდეთ საცხოვრებელი ბინის მოწყობასა და გალამაზებას; ყოველ ნივთს მიუჩინეთ თავისი ადგილი, უსარგებლო ნივთები კი სახლიდან გაიტანეთ. ამით მეტ სიმშვიდეს, სიყვარულსა და ურთიერთგაგების ენერგიებს მოიზიდავთ და სასურველ და ჰარმონიულ ატმოსფეროს შექმნით თქვენ გარშემო, რაც თქვენივე წარმატებების გარანტი გახდება.

## შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 23 აპრილს, ღამით. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისია არის ის, რომ დაეყრდნოთ დადებითი თვისებების გამოვლენას. იყავით მეტად აქტიური, აიღეთ საკუთარ თავზე ინიციატივა, გამოავლინეთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები, დააბალანსეთ ურთიერთობა სასიყვარულო სფეროში. დაეყრდენით ცოდნის ბაზასა და ოპტიმიზმს. ნუ დაგაკმაყოფილებთ ის, რაც სხვას წარმატებად მიაჩნია. იყავით მაქსიმალისტი. საქმეს მიუდექით მეტი პასუხისმგებლობით. გამოავლინეთ დისციპლინა და შეუპოვრობა. ასევე, იყავით მომთმენი, მიზანსწრაფული, ფულის პრაქტიკულად მხარჯველი. რაც შეეხება პროფესიებს, თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო ფართო სპექტრი, სამართალდამცავი და სამხედრო სტრუქტურები, პოლიტიკა, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმიანობა, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, საიუველირო საქმიანობა ან ბიზნესი, იურისპრუდენცია, სამოდელო სფერო, დიზაინი, გასართობი ინდუსტრია; მედიცინიდან – პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია.

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 28 თებერვალს. რომელი ასტროლოგიური ქვებია ჩემთვის მისაღები და რომელი ქვეყნები და პროფესიებია წარმატების მომტანი?**

**პასუხი**: ქვებიდან თქვენთვის მისაღებია: მწვანე ან ყვითელი იასპი, ონიქსი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო; პროფესიებიდან წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი, მედიცინა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, პედაგოგიური მოღვაწეობა ან ბიზნესი, სპორტული ცეკვები, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სფეროები, პოლიტიკის ფართო სპექტრი, მშენებლობა, საინჟინრო სფერო, სამხედრო სტრუქტურები, საგამომძიებლო ორგანოები, უშიშროების სფერო. უცხოეთი თქვენი კოსმიური მისია არ არის, ის საშუალოა. ქვეყნებიდან კი კარგია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე, ლიტვა, საბერძნეთი, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, კუნძული კრეტა, ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის შტატი, შვეიცარიის ჩრდილოეთი ნაწილი, თურქეთის დასავლეთი მხარე, ბელორუსია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ირლანდია, მექსიკა, ბოლივია, ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, სირია, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ალბანეთი და მაკედონია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1985 წლის 3 აპრილს. მაინტერესებს, რომელ სფეროში და რომელ ქვეყანაში მიაღწევს წარმატებებს?**

**პასუხი**: თქვენი შვილისთვის წარმატების შანსი სწორედ უცხოეთს უკავშირდება. იქ წარმატებებს ადვილად მიაღწევს და ცხოვრებაშიც წინ წაიწევს. ქვეყნებიდან კი კარგია: ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, პორტუგალია, კუნძული მალტა, იტალიის სამხრეთი ნაწილი, უნგრეთი, ინგლისის დასავლეთი მხარე, კანადა, ბელგია, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი ნაწილი, კუნძული სარდინია, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, საბერძნეთი. პროფესიებიდან კი მისაღები და წარმატებების მომტანია: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია – საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, იურისპრუდენცია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, სპორტის ფართო სპექტრი, ტურიზმი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, სამეცნიერო კვლევა, სავაჭრო-სამაკლერო საქმიანობა, საავიაციო ბიზნესი ან შემოქმედება, ავტომატიკის სფერო, სატელეფონო კომუნიკაციების ბიზნესი ან შემოქმედება.

## ვერძი

ერიდეთ ილუზიებს და მეტად პრაქტიკულად მიუდექით პირად და სამსახურებრივ მოვალეობებს. საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ საქმეების შესრულებაში. იყავით მასთან მეტად გულახდილი. ნუ ენდობით უცნობებს და ახალგაცნობილ ადამიანებს. კარგია დიეტის დაცვა.

## კურო

ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ იქნება, თუმცა, დახმარებას გაგიწევენ ახლობლები. თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან და გადაამოწმეთ მიღებული ინფორმაცია. არ არის გამორიცხული, ნებისმიერი რომანტიკული ურთიერთობა დიდ გრძნობაში გადაიზარდოს.

## ტყუპები

მოგეცემათ შანსი, პირადი ცხოვრება მოაწყოთ და საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესოთ. სამსახურში ადვილად მოაგვარებთ პრობლემებს. ოჯახში ცვლილებები კი, ჯობია, გადადოთ, რადგან, დაბალია თქვენი ენერგოპოტენციალი და ეს გარკვეულ დისკომფორტს შეგიქმნით ჯანმრთელობის მხრივ. არ გირჩევთ ხშირ გადაადგილებებს.

## კირჩხიბი

გაგიადვილდებათ ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა და ინფორმაციის მიღება. იფიქრეთ ცოდნის გაღრმავებაზე. ნუ ენდობით საქმიან პარტნიორებს სიტყვაზე. მიხედეთ ჯანმრთელობას და ნუ გაექცევით მოვალეობებს საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან მიმართებაში.

## ლომი

თავი შეიკავეთ ემოციის გამოხატვისგან. კონფლიქტი ცუდად აისახება პირად ურთიერთობებზე. ფარული გარიგებები, მოლაპარაკებები და საქმიანობა წარმატებას მოგიტანთ. ერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. მეტი დრო გაატარეთ სახლში. კარგი იქნება, თუ მოახერხებთ ქალაქგარეთ გასვლას და დასვენებას.

## ქალწული

პროფესიულ ასპარეზზე ბევრი იდეა გაგიჩნდებათ, მაგრამ, წინასწარ აირჩიეთ მიზანი და სამოქმედო გეგმა. მოერიდეთ იურიდიულ ინსტანციებთან ურთიერთობას და მოაწესრიგეთ საბუთები. სასიყვარულო სფეროში დიდი წარმატებები გელით. კარგია საქმიანი მივლინებები, დასვენება და მოგზაურობა.

## სასწორი

ერიდეთ მძიმე ფიზიკურ სამუშაოსა და ვარჯიშებს. მეტი დრო დაუთმეთ ახალი წინადადებების განხილვას და გადაამოწმეთ ინფორმაციები. მივლინება და დასასვენებლად წასვლა ჯობია გადადოთ. ერიდეთ სასიყვარულო სფეროში ცვლილებებსა და ფსიქოლოგიურ სტრესებს.

## ღრიანკალი

საქმეებში ინიციატივა საკუთარ თავზე აიღეთ და მოგება არ დააყოვნებს. კარგია განათლების მიღება და ცოდნის გაღრმავება. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოიყენეთ არსებული კავშირები. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, ვისთანაც დიდი სიყვარული დაგაკავშირებთ.

## მშვილდოსანი

პროფესიულ საქმიანობაში გაუგებრობები გიბიძგებთ სამსახურის შეცვლისკენ. იყავით მეტად პრაქტიკული და მიზანს უფრო ადვილად მიაღწევთ. აკონტროლეთ ემოციები, რათა პირად და საოჯახო სფეროში არ დაძაბოთ ურთიერთობები. ასევე, აკონტროლეთ სიტყვები, რომ გული არ ატკინოთ ახლობლებს თქვენი გაუაზრებელი საუბრით. კარგია მოგზაურობა.

## თხის რქა

ადვილად გაართმევთ თავს ძველ საქმეებს და შესაძლოა, კარგი ფინანსური მდგომარეობაც მოიპოვოთ. სასწრაფოდ შეცვალეთ სტრატეგია სამსახურში, თუკი ატყობთ, რომ რაღაც რიგზე ვერაა. სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობები გამოსწორდება და ეს დიდ სტიმულს მოგცემთ. კარგია, თუ დაიწყებთ ვარჯიშს და მეგობრებთან მეტ დროს გაატარებთ.

## მერწყული

გათავისუფლდით უსარგებლო კავშირებისგან. გამართლებულია მცირეოდენი რისკიც. ოჯახურ, სასიყვარულო და პარტნიორულ ურთიერთობებში მეტი მოთმინება გამოიჩინეთ. ნუ გადაიღლებით და მოერიდეთ მძიმე ფიზიკურ დატვირთვას. კარგია მკურნალობის დაწყება და გარეგნობის მოწესრიგება.

## თევზები

საქმიანი წრის გაფართოება ახალ იმედებს ჩაგისახავთ. გაგიადვილდებათ ხალხთან ურთიერთობა და საქმიანი მოლაპარაკებები. კარგი დროა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის, ბინის დიზაინის შესაცვლელად ან რემონტისთვის. ეცადეთ, დროდადრო დაისვენოთ. სასიყვარულო სფეროში სასიამოვნო სიახლეებია მოსალოდნელი.

**ახალმთვარეობა – 11 მარტი, 19 სთ: 52 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

ამ დღეს სავსემთვარეობაა და, შესაბამისად, მოჭარბებულია კოსმიური ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, კონფლიქტებს, აგრესიას, დეპრესიას, ჯანმრთელობის გაუარესებასა და სხვა პრობლემებს. იყავით ფრთხილი და წინდახედული. აკონტროლეთ ემოციები. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, მწვანე ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი, ონიქსი, ზურმუხტი ან გიშერი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, სწავლა, ვარჯიში, დიეტის დაწყება. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

## სამშაბათი

მაღალია კონფლიქტების, ავარიების, ცდუნებების, ღალატის, შეცდომების დაშვებისა და ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. იყავით ფრთხილი და წინდახედული. ნუ აჩქარდებით. მეტად გამახვილდება ინტუიცია, მგრძნობელობა; ნუ აჰყვებით ილუზიებს. ატარეთ ყავისფერი, მწვანე, ნარინჯისფერი, ოქროსფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, ქრიზოპრაზი, ჯესპილიტი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

კვლავ მაღალია კონფლიქტების, აგრესიის, ტრავმებისა და ავარიების ალბათობა. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, სწავლა, სამეცნიერო კვლევა, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. ატარეთ ყავისფერი, ნარინჯისფერი, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ბეჟი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – იასპი, ლაზურიტი, ნეფრიტი, ზურმუხტი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მეგობრებთან, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ყელი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

## ხუთშაბათი

მოერიდეთ არასაიმედო და ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობას. მოიმატებს ლტოლვა სიყვარულისადმი და ილუზიებისადმი. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ბეჟი, ნაცრისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ახალი საქმის დაწყება, სასიყვარულო შეხვედრები, მეგობრული კონტაქტები, გართობა, შემოქმედებითი მუშაობა, ექიმებთან კონსულტაცია. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

## პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

აქტიურად მოქმედების დღეა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე, კრემისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი ლაზურიტი, ჟადეიტი, ნეფრიტი, ოპალი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები; ტანსაცმლის, აპარატურისა და ავეჯის ყიდვა, მეგობრული კონტაქტები, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება, ხელოვნებასთან ურთიერთობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, შარდსასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## შაბათი
### გეომაგნიტური დღეა

გამახვილდება ინტუიცია და შემოქმედებითი ნიჭი. იყავით თავდაჭერილი და დინჯი. აუჩქარებლად გადაწყვიტეთ საფინანსო და საბანკო საკითხები. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ამეთვისტო, ზურმუხტი ან ლაბრადორი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია მანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა, მასაჟი, კოსმეტიკური პროცედურები. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

## კვირა

მეტად დაეყრდენით ინტუიციას და გააკეთეთ სწორი არჩევანი. აკონტროლეთ ხასიათში წყენა, ეჭვიანობა, შური, აგრესია და სარკაზმი. შესაძლებელია ცხოვრების რადიკალურად შეცვლა. დაიცავით სამართლიანობა. კარგია ახალი ნაცნობობა, შეხვედრები. ატარეთ წითელი, შავი, შინდისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი, ქვებიდან კი – ოპალი, იასპი, ქრიზოპრაზი, გიაცინტი ან ალექსანდრიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, ვალის აღება. კარგია თმის შეჭრა, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**ინსულტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. განსაკუთრებით იმატებს ამ დაავადების საშიშროება გაზაფხულსა და შემოდგომაზე. მსოფლიოში, ყოველდღიურად ინფარქტისა და ინსულტისგან მილიონი ადამიანი იღუპება. არადა თითოეულს შეეძლო დაავადების თავიდან აცილება, რისკის ფაქტორებს თუ შეამცირებდა. თუ რა ფაქტორი ზრდის რისკს, ზოგადად, რა არის ინსულტი, რა სიმპტომები ახასიათებს და როგორ უნდა ვიმკურნალოთ, ამ თემებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ მეცნიერებათა დოქტორს, ნევროლოგს, ბატონ გიორგი ჩახავას.**

# რატომ არის განსაკუთრებულად საშიში და ყურადღებამისაქცევი ამ სეზონზე თავის ტკივილი, თავბრუხვევა, სისუსტე და ძილიანობა

**გიორგი ჩახავა**: ინსულტი საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა და მას, სიკვდილიანობის მაჩვენებლით, გულის იშემიური და სიმსივნური დაავადებების შემდეგ მესამე ადგილი უჭირავს. ეპიდემიოლოგიური კვლევები ამ მხრივ საქართველოში არ ჩატარებულა, თუმცა მსოფლიო სტატისტიკა საკმაოდ მაღალია. ინსულტი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევაა, რომელსაც თან სდევს ტვინის ქსოვილის დაზიანება და მისი მმართველი ფუნქციის მოშლა. განასხვავებენ იშემიურ და ჰემორაგიულ ინსულტებს. ინსულტების უმრავლესობა იშემიური ხასიათისაა. ამ დროს მკვებავი სისხლძარღვის ძლიერი შევიწროების ან დახშობის გამო წყდება ტვინის რომელიმე უბნის სისხლით მომარაგება. ყველაზე ხშირად სისხლძარღვის გაუვალობის მიზეზია ათეროსკლეროზული ფოლაქის ნაწილი, მოწყვეტილი თრომბი ან სისხლძარღვის ხანგრძლივი სპაზმი. ამის შედეგად ტვინის უჯრედებს აღარ მიეწოდება სისხლი, რომელიც მათ ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით ამარაგებდა და ტვინის ქსოვილი რბილდება. იშემიური ინსულტი შესაძლოა მოულოდნელიც იყოს, თუმცა უმეტესად თანდათანობით ვითარდება. ზოგჯერ ის ძილის დროს აღმოცენდება. მეტწილად ემართებათ 40-50 წელს გადაცილებულ ადამიანებს. ჰემორაგიული ინსულტის მაპროვოცირებელი ფაქტორებია წნევის მკვეთრი ცვლილება, გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვა, სტრესი. ადამიანს ჰემორაგიული ინსულტი ხშირად აქტიური ცხოვრების პერიოდში, განსაკუთრებით, 40 წლამდე ასაკში ემართება და უმეტეს შემთხვევაში, სიკვდილით მთავრდება.




**თუ რაიმე სხვა მიზეზით ალკოჰოლური სასმლის მიღება არ გეკრძალებათ, ყოველდღიურად ერთი ან ორი ჭიქა ღვინის მიღება ინსულტის რისკს დააქვეითებს კიდეც**

**– განსაკუთრებით რა ზრდის მისი განვითარების რისკს?**

– ინსულტის განვითარების რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება: ასაკი, მაღალი არტერიული წნევა, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, სისხლის დაავადებები. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა ინსულტის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ წინასწარგანწყობას. რისკ-ფაქტორებს განეკუთვნება ასევე, თამბაქოსა და ნარკოტიკების მოხმარება, ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესი, ჭარბი წონა. შესაძლოა ადამიანს ჰქონდეს რამდენიმე რისკ-ფაქტორის თანხვედრა. ამ შემთხვევაში ინსულტის განვითარების რისკი შესაბამისად იზრდება. ინსულტი სხვადასხვა სახისაა და შესაბამისად, მისი გამომწვევი მიზეზებიცა და მექანიზმიც განსხვავებულია.

**– კონკრეტულად, რა სიმპტომები მიგვანიშნებს ინსულტის განვითარებაზე?**

– ინსულტის განვითარებაზე მიანიშნებს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის გარდამავალი დარღვევა ან ტრანზიტორული იშემიური შეტევა, რომელიც შეიძლება მოხდეს ინსულტის განვითარებამდე რამდენიმე კვირით, ან რამდენიმე თვით ადრე. ეს არის ერთგვარი მცირე ინსულტი, რომელიც დროებით აბრკოლებს ტვინში სისხლის ცირკულაციას. სისხლის უკმარისობის გამო ტვინი ნორმალურად ველარ ფუნქციონირებს. ტრანზიტორული იშემიური შეტევის სიმპტომები ჰგავს ინსულტის სიმპტომებს: მოულოდნელად აღმოცენებული თავის ტკივილი, თავში ხმაურისა და სიმძიმის შეგრძნება, თავბრუხვევა, სისუსტე, ძილიანობა, ხელის ან ფეხის სისუსტე და მეტყველების ნაწილობრივი დარღვევა, მაგრამ 10-15 წუთის შემდეგ გაივლის. ამ ეტაპზე ორგანიზმს ჯერ კიდევ ძალუძს, აღადგინოს სისხლის ნორმალური მიწოდება და თავიდან აიცილოს გამოუსწორებელი შედეგები. ინსულტის პირველი სიმპტომებია: სახის, ზედა ან ქვედა კიდურების კუნთების, განსაკუთრებით – ცალ მხარეს, მოულოდნელი დასუსტება ან დაბუჟება; მეტყველების მოულოდნელი დარღვევა; ცალ ან ორივე თვალში მხედველობის მკვეთრი დაქვეითება; მოძრაობის კოორდინაციის უეცარი დარღვევა, სიარულის დროს მოულოდნელი მერყეობა და თავბრუხვევა; მკვეთრი, ძლიერი და შეუქცევადი ხასიათის თავის ტკივილის მოულოდნელი აღმოცენება. ინსულტის წინასწარ განსაზღვრა რაიმე სპეციფიკური ნიშნით ძნელია, თუმცა ზემოთ აღნიშნული სიმპტომები ინსულტის აღმოცენების პირველ სიგნალს წარმოადგენს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ინსულტის დროულ დიაგნოსტიკას, პაციენტის შემდგომი გამოჯანმრთელებისა და რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე, ინსულტის სახეობის დადგენა მკურნალობის შემდგომ ტაქტიკას განსაზღვრავს. სწორედ ამის საშუალებას იძლევა თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია. ხოლო, ინსულტისას მკურნალობის დროული დაწყება, ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

**რაციონში ჩართეთ მეტი ბოსტნეული და ხილი, კვირაში ორჯერ მაინც ჭამეთ მოხარშული თევზი და საქონლის მოხარშული მჭლე ხორცი**

**– რამდენად შესაძლებელია ინსულტის პროფილაქტიკა?**

– ინსულტის პროფილაქტიკა მიმართულია რისკ-ფაქტორების თავიდან აცილებისკენ. აუცილებელია, არტერიული ჰიპერტენზიის, ათეროსკლეროზის, გულის დაავადებების, ტრანზიტორული იშემიური შეტევების კონტროლი, ნარკოტიკების, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების შეზღუდვა, შაქრიანი დიაბეტის კორექცია. ინსულტის დაავადების თავიდან აცილების მთავარი წინაპირობა ცხოვრების ჯანსაღი წესია, რაც მოიცავს კვების, დღის განრიგისა და ძილის მოწესრიგებას, ზომიერ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას, ვარჯიშს, ინსულტის გამომწვევი რისკ-ფაქტორების თავიდან აცილებას.

**– ინსულტის შემთხვევები განსაკუთრებით გაზაფხულზე იზრდება და შესაბამისად, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელიც ამ პერიოდშია დაფიქსირებული. კვების მხრივ რომელ პროდუქტს უნდა მიანიჭოს ამ დროს ადამიანმა განსაკუთრებული უპირატესობა?**

– ინსულტის რისკს განსაკუთრებით ზრდის ცხოველური ცხიმებით მდიდარი საკვები, მაგრამ ასევე, მავნეა ნებისმიერი პროდუქტი, თუ მეტისმეტად ბევრს შეჭამთ. ჭარბი წონა გულსა და სისხლძარღვებზე დატვირთვას ზრდის. ამ პერიოდში, კვება უნდა იყოს რაციონალური, ვიტამინებითა და მინერალებით მდიდარი. ასევე, იკრძალება, ზედმეტი მარილისა და ტკბილეულის გამოყენებაც. რაციონში ჩართეთ მეტი ბოსტნეული და ხილი, კვირაში ორჯერ მაინც მენიუში შეიტანეთ მოხარშული თევზი, საქონლის მოხარშული მჭლე ხორცი. საჭმლის მომზადების დროს იხმარეთ ზეითუნის ზეთი. აგრეთვე, აუცილებელია, ზომიერი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა, რადგანაც უმოძრაო ცხოვრების წესი და ჭარბი წონა, ინსულტის ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია. ძილი უნდა იყოს, არანაკლებ 8 საათისა დღე-ღამეში. ყოველდღიური მსუბუქი ვარჯიში და ფეხით სეირნობა ამცირებს ინსულტის განვითარების რისკს. აუცილებლად აკონტროლეთ პულსი და არტერიული წნევა, სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის დონე. ბევრმა არ იცის, რომ როგორც მაღალი წნევა, ასევე დაბალი წნევაც, იწვევს ინსულტს. ამიტომ, ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ თუ წნევა განსაკუთრებით მაღლა ან დაბლა გიწევთ. როგორც მაღალი, ასევე დაბალი არტერიული წნევა ინსულტის მთავარი მიზეზია; გაარკვიეთ, გაქვთ თუ არა მოციმციმე არითმია. მოციმციმე არითმია გულის არარეგულარული შეკუმშვაა, რაც გულის ფუნქციის მოშლას და მის რომელიმე ნაწილში სისხლის შეგუბებას იწვევს. შეგუბებულმა სისხლმა შესაძლოა თრომბები წარმოქმნას, რომელთა ნაწილი გულის შეკუმშვის დროს გადავა საერთო სისხლის მიმოქცევის სისტემაში და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევას გამოიწვევს. თუ მწეველი ხართ, დაანებეთ თავი მოწევას, რადგან მოწევა ინსულტის ალბათობას ზრდის. თუ სასმელი გიყვართ, სვით ზომიერად. თუ რაიმე სხვა მიზეზით ალკოჰოლური სასმლის მიღება არ გეკრძალებათ, ყოველდღიურად ერთი ან ორი ჭიქა ღვინის მიღება ინსულტის რისკს დააქვეითებს კიდეც, უფრო მეტი ალკოჰოლის მოხმარება კი გაზრდის; შეიმოწმეთ სისხლში ქოლესტერინის დონე, რადგან ჭარბი ქოლესტერინი ზრდის ინსულტის განვითარების რისკს; შაქრიანი დიაბეტი ინსულტის განვითარების ალბათობას ზრდის, მაგრამ ჯანმრთელობის მუდმივი კონტროლითა და ექიმის რჩევების ზედმიწევნით შესრულებით, რისკის შემცირება შესაძლებელია.

**ნონა დათეშიძე**

**რევაზ მაჩაიძე – ნეირომეცნიერი, ჰარვარდის სამედიცინო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა თბილისში, ამჟამად ცხოვრობს ბოსტონში, როგორც თავად უწოდებს – განათლების „ჰოლივუდში", სადაც ცხოვრება და საზოგადოებასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. იკვლევს თავის ტვინის დაავადებებს, კონკრეტულად კი – ტვინის სიმსივნეს; აწარმოებს მაღალტექნოლოგიურ ექსპერიმენტებს, რომლებიც ითვალისწინებს ნანოტექნოლოგიური წამლებისა და აპარატების დამზადებას.**

# როგორ აღმოჩნდა რევაზ მაჩაიძე ნეირომეცნიერების სამოთხეში და არის თუ არა ნანოტექნოლოგიური ჩიპი თავის ტვინის სიმსივნის მკურნალობის საშუალება



**გენეტიკურ წამლებს დიდი შედეგი მოაქვს და უკვე ასპროცენტიან მკურნალობაზეა საუბარი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კიბოს მკურნალობის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება და ეს დაავადება უკვე სრულად განკურნებადი იქნება**

**რევაზ მაჩაიძე**: თბილისში დავიბადე, წერეთელზე დავამთავრე მე-100 საშუალო სკოლა. შემდეგ ჩავაბარე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე და მივიღე ქიმია-ბიოლოგ-ინჟინრის ხარისხი. ამერიკაში ჩამოვედი ინგლისურის სასწავლებლად. სამწუხაროდ, ინგლისური არ ვიცოდი, რადგან სკოლაში ფრანგულს ვსწავლობდი. მოკლედ, ჩავედი ჯორჯიის შტატში და დავიწყე სწავლა ანტლანტის ინსტიტუტში. ექვს თვეში იმდენი შევძელი, დირექტორმა შემამჩნია და, მოტივაციის მიზნით, თავის თანაშემწედ დამაწყებინა მუშაობა.

– **რა შედიოდა შენს მოვალეობაში?**

– ჩემს მოვალეობაში შედიოდა ინსტიტუტის მენეჯმენტი – შესყიდვები და მომსახურე სერვისების მენეჯმენტი. როდესაც უკვე კარგად ვისწავლე ინგლისური და გავერკვიე ამერიკულ კულტურულ ცხოვრებაში, გადავწყვიტე, წინ წავსულიყავი. დავიწყე ჩემი პროფესიით სამსახურის ძებნა. თავიდან, გამოცდილების მისაღებად, სამი თვე ვმუშაობდი ემორის უნივერსიტეტში, ატლანტაში, ონკოლოგიის დეპარტამენტში. შემდეგ მუშაობა დავიწყე პიტსბურგის უნივერსიტეტში, რომელიც ძალიან პრესტიჟულია, განსაკუთრებით კი სამედიცინო სკოლა აქვთ ძალიან ძლიერი – ნეიროქირურგია აქვთ უმაღლეს დონეზე. აქ მუშაობა დავიწყე როგორც ნეირომეცნიერმა, პატარა მეცნიერი ვიყავი. როცა პატარა მეცნიერი ხარ და დიდი პროექტების ერთ-ერთი მონაწილე – დამხმარე პიროვნება ბევრ რამეს სწავლობ და პატარა საფეხურები გაბარია. შემდეგ ჩემი უფროსი დააწინაურეს და, ისე მოხდა, რომ მთელი ლაბორატორია გადავიდა ემორის უნივერსიტეტში. მოკლედ, ემორის უნივერსიტეტში უკვე დავბრუნდი როგორც სერიოზული, ძლიერი მეცნიერი და იქ დავიწყე ჩემი პროექტების განხორციელება.

– **რა პროექტებზე მუშაობ?**

– ემორის უნივერსიტეტში ძირითადად ვმუშაობდი თავის ტვინის კიბოზე და ვამზადებდი ნანონაწილაკებს, რომ შეგვესუსტებინა სიმსივნური განვითარება თავის ტვინში. ნანოტექნოლოგიური წამლები ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. თავის ტვინზე ნებისმიერი წამლის მოქმედება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე სხვა ორგანოზე. შესაბამისად, უნდა გამოიგონო „სმარტ" წამალი, ანუ, ძალიან ჭკვიანი წამალი, რომელსაც მიზანმიმართულად მოუწევს ბევრი დავალების შესრულება. მოგეხსენებათ, რომ ტვინის სიმსივნე ძალიან აგრესიულ სიმსივნურ ჯგუფს განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, დღევანდელი მეცნიერება მალე დადებს სასურველ შედეგებს, რაც აისახება კონკრეტული ადამიანების გადარჩენაში. მხოლოდ რეალობაზე დაყრნობით და ფაქტებზე დაკვირვებით შემიძლია ვთქვა, რომ სიმსივნური დაავადების მკურნალობა სრულად იქნება შესაძლებელი. წამალს, რომელზეც ჩვენ ვმუშაობდით, საკმაოდ წარმატებული შედეგები ჰქონდა და დღეს ისევ მიმდინარეობს მისი დახვეწა, განვითარება. მის შესახებ სამეცნიერო ჟურნალებშიც დაიბეჭდა და სერიოზული წარმატება მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ ემორის უნივერსიტეტი საკმაოდ ძლიერი უნივერსიტეტია, გადავწყვიტე, მეცნიერული განათლება გამეფართოებინა და წავედი ჰარვარდის უნივერსიტეტში. მოკლედ, ჩამოვედი ჰარვარდში და დავიწყე ნეიროქირურგიის დეპარტამენტში მუშაობა. აქ მეცნიერება ბევრად მაღალ დონეზე დგას, უფრო დიდ საშუალებებს იძლევა და, იმავდროულად, მეცნიერული განათლების უმაღლესი მწვერვალია. რა თქმა უნდა, აქ დიდი გამოცდილება მივიღე. უკვე ორი წელია, ვმუშაობ და დღემდე მიკვირს ისეთი დონის ტექნოლოგიებთან და მეცნიერებთან მიწევს მუშაობა. ყოველდღე ისეთი მეცნიერული აღმოჩენები ხდება... რაც გუშინ და გუშინწინ წარმოუდგენელი იყო, დღეს წარმოსადგენი და რეალურია.

– **მოკლედ, ნეირომეცნიერების სამოთხეში მოხვდი.**

– ზუსტად ასეა. იმ ადამიანებთან, რომლებიც ნეირომეციერების „მამებად" ითვლებიან, დღეს საქმიანი ურთიერთობა მაქვს და მათგან ბევრს ვსწავლობ. უმეტესობა ასაკოვანია და ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. მოკლედ, აქ ყველაფერი გაქვს იმისთვის, რომ იმუშაო, შენი პროექტები განახორციელო, სულ იღებ განათლებას და გასცემ კიდეც. ყოველდღე მიხარია სამსახურში წასვლა, თუნდაც სტუდენტებთან ურთიერთობა, რომლებიც ისეთ კითხვებს მისვამენ, მაგათ ასაკში მე ამაზე საერთოდ არ ვფიქრობდი. მათგანაც ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი, რადგან, ისინი სხვანაირად არიან მოტივირებულები. უნივერსიტეტში როგორც სხვა იზრდება, ასევე უნდა გაიზარდო და გაჰყვე, ჩამორჩენა არ გამოვა, რადგან, ამის უფლებაც არ გაქვს. მუშა პროცესია, რომელიც სიამოვნებას განიჭებს. ერთი სიტყვით, დიდი მადლობელი ვარ ღმერთის, რომ მომცა იმის საშუალება, ასე საინტერესოდ წარმართულიყო ჩემი კარიერა.

**თავის ტვინზე ნებისმიერი წამლის მოქმედება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე სხვა ორგანოზე. შესაბამისად, უნდა გამოიგონო, „სმარტ" წამალი, ანუ, ძალიან ჭკვიანი წამალი, რომელსაც მიზანმიმართულად მოუწევს ბევრი დავალების შესრულება**

– **ამ ეტაპზე ჰარვარდში რა პროექტებზე მუშაობ?**

– ამჟამად ვმუშაობ ნანოტექნოლოგიურ ჩიპზე, რომელიც ითვალისწინებს სიმსივნური უჯრედების გამოკვლევასა და ამავე უჯრედების გენეტიკურად მკურნალობას. ჩიპი არის მაღალტექნოლოგიური, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს უჯრედების ხარისხიანი კვლევა, კერძოდ, გენეტიკურ დონეზე. ამავდროულად, შესაძლებელია რამდენიმე ათასი გენეტიკური წამლის მორგება. საბოლოოდ, ეს ყველაფერი მიმართულია კონკრეტული პიროვნების სრული განკურნებისკენ. გენეტიკურ წამლებს დიდი შედეგი მოაქვს და უკვე 100-პროცენტიან მკურნალობაზეა საუბარი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კიბოს მკურნალობის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება და ეს დაავადება უკვე სრულად განკურნებადი იქნება. გარდა ამისა, ამ ჩიპის დახმარებით სხვა დაავადებების დიაგნოზირებაც არის შესაძლებელი. საერთოდ, თავის ტვინი საკმარისად ჭკვიანია და, თუ სასიამოვნო გარემოს შეუქმნი, თავად განკურნავს და მოაგვარებს საკუთარ პრობლემას.

– **ამჟამად რა ეტაპზეა ნანოტექნოლოგიური ჩიპების გამოყენება და თუ მოხდება მათი პრაქტიკაში დანერგვა?**

– სუფთა მეცნიერული თვალსაზრისით, ჩიპი მუშა პროცესშია და ოპტიმირებულია კონკრეტული დავალების შესრულებაზე. მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი ბარიერის გადალახვა დასჭირდება იმისთვის, რომ საბოლოო ლიცენზია მიიღოს. თუმცა, იმედს ვიქონიებ, რომ ის კლინიკებისთვის ხელმისაწვდომი მალე გახდება.

– **კიდევ რომელ პროექტს გამოარჩევდი?**

– იყო ასეთი პროექტი, სადაც ვიყენებდით ლითონის (რკინის) ნანოპარტიკლებს, რომლებიც ახდენდა თავის ტვინის სიმსივნეზე აკუმულირებას კონკრეტული ანტისხეულების მეშვეობით. ქიმიოთერაპიული წამლების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ, სანამ კონკრეტულ ადგილამდე მივა, გზაში ყველაფერს ანადგურებს, ძალიან ტოქსიკურია და იმუნიტეტს ასუსტებს. ეს წამალი კი პოულობდა მხოლოდ სიმსივნურ უჯრედებს და არ აზიანებდა გარემო პირობებს. რაც მთავარია, შესაძლებელი იყო მონიტორინგი გაგვეწია MRI-ით (Magnetic Resonance Imaging), რათა გაგვერკვია, თუ რამდენად სრულად ითვისებდა სიმსივნური უჯრედები ნანოპარტიკლებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს იყო მულტიფუნქციური წამალი და, რაც მთავარია, სრული სურათი გვაძლევდა იმის საშუალებას, სწორად გვემკურნალა. მაღალი მაგნიტური ველის კონცენტრაციით ხდებოდა ლითონის ნანოპარტიკლების ვიბრაცია, რაც იწვევდა პარტიკლების გახურებას და ნანოპარტიკლები საბოლოოდ ახდენდა უჯრედის განადგურებას. ამ მხრივ ისევ მიმდინარეობს კონკრეტული კვლევა და საკმაოდ დიდი წარმატებითაც. იმედს ვიქონიებ, რომ მალე მოხდება ტრადიციული მკურნალობის ჩანაცვლება ახალი, უფრო ძლიერი მკურნალობის საშუალებებით.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**დრაკერი:** მენეჯმენტი საქმის სწორად კეთებაა; ლიდერობა – სწორი საქმის კეთება.

**შვეიცერი:** საითაც არ უნდა გაიხედო, დაინახავ ადამიანს, რომელსაც სჭირდები.

**ჰოკენი:** ჩვენი ეკონომიკა მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოთ: მომავლიდან მოპარულს ვყიდით აწმყოში და მას მთლიან შიდა პროდუქტს ვუწოდებთ.

**ბაფეტი:** დიდი ფულით თქვენ უნდა აკეთოთ ისეთი საქმეები, რომლებსაც უამრავი ადამიანის ცხოვრების შეცვლა შეუძლია და თქვენ ასევე უნდა აკეთოთ ის საქმეებიც, რომელთაც წარუმატებლობის მნიშვნელოვანი შანსი გააჩნიათ.

**საადი:** ნასწავლი კაცი წმინდა ვერცხლი და ოქრო არის, სადაც კი წავა, მისი ფასი ყველგან იციან.

***

ერთხელ არაბ ფილოსოფოს ალ-ღაზალის ჰკითხეს, თუ როგორ მიაღწია ასეთ მაღალ საფეხურს მეცნიერებაში: „იმით, რომ მე არ მრცხვენოდა იმის კითხვა, რაც არ ვიცოდი“, – უპასუხა მან.

**ოუენი:** ნამდვილ ცოდნას თვითდამშვიდებისკენ კი არ მივყავართ, არამედ იგი ქმნის სულ უფრო მზარდ მისწრაფებას, იარო წინ – საფეხურიდან საფეხურზე, დასვენების განწყობილების გარეშე და არ თქვა: „კმარა, ჩვენ მეტი არ გვსურს“.

**ლიხტენბერგი:** უეჭველი ნიშანი ყოველნაირი კარგი წიგნისა ის არის, რომ ადამიანი რაც უფრო იზრდება, სულ უფრო მეტად მოსწონს იგი.

**მაკარენკო:** ჩვენი ბავშვები, ეს ჩვენი სიბერეა, სწორი აღზრდა, ეს ჩვენი ბედნიერი სიბერეა, ცუდი აღზრდა – ჩვენი მომავალი ჯავრი, ჩვენი ცრემლები, ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანების წინაშე, ჩვენი ქვეყნის წინაშე.

**ოთარ ჭილაძე:** „დრო გავატაროთ ლხინითა, ჰარალე, ჰარალე!“ – აი, აქედან იწყება ჩვენი წახდენა.

**შექსპირი:** ჩვენთვის სასიამოვნო შრომა ტკივილის მკურნალია.

**ლაროშფუკო:** ყველაზე საუკეთესო ნიშანი კეთილი თვისებების მატარებლობის შურის არქონაა.

**ჰიპოკრატე:** სამარცხვინოა სხვის მიერ დაშვებულ შეცდომებში კორკიტი, როცა საკუთარს ვერ ხედავ.

**ნიცშე:** არ შეიძლება, ეპატიოთ მათ, ვინც არავის არაფერს პატიობს.

**დიკენსი:** ჩვენ გვსურს თანასწორობა მხოლოდ მათთან, ვინც ჩვენზე აღმატებულია.

**ეჟი ლეცი:** ნამდვილი მტერი თავს არ დაგანებებს.

**რენარი:** ცხოვრება ძალიან დიდ დროს ართმევს ადამიანებს.

**მოემი:** ნუ ებრძვი საკუთარ თავს, ყველა ვარიანტში წაგებული ხარ.

**ტაციტი:** კარგი კანონები ცუდი ქცევებით არის შექმნილი.

**კვინტილიონი:** მატყუარას კარგი მეხსიერება ესაჭიროება.

**სტალი:** იდეალური ქმარი დაუდასტურებელი ჭორია.

**მონტერლანი:** სამი ღიმილი ჰგავს ერთმანეთს: მკვდრის, თავმოკვეთილი ცხოველის და დაკმაყოფილებული ქალის.

# თუ გაგვიცნობთ

1. რომის იმპერატორ სერვიუს ტულიუსს მთელი თავისი მეფობის განმავლობაში თავს ესხმოდნენ და მიუთითებდნენ, რომ ის არ შეეფერებოდა თავის ადგილს, ანუ, მეფობის ღირსი არ იყო. მთავარი მიზეზი კი მისი სახელი – სერვიუსი იყო. **რატომ?**

2. 1501 წელს რომში, არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩნდა სტატუეტი, რომელზეც ძველი რომაელები სატირულ ლექსებს კიდებდნენ. სწორედ ასეთი წერილების სახელი უწოდეს ისტორიკოსებმა ამ სტატუეტს. **რა?**

3. ძველი ბერძნები და რომაელები სკვითებსა და შავიზღვისპირეთის სხვა ტომებს „ძუძუმწოვრებს“ ეძახდნენ. **რა პროდუქტს არ ჭამდნენ ბერძნები და რომაელები, რაც ამ სახელის დარქმევის მიზეზი გახდა?**

4. რომელი ცხოველის ტყავისგან ამზადებდნენ შუა საუკუნეებში რევმატიზმისგან დასაცავ ქამარს, რომელსაც ფულის შესანახადაც იყენებდნენ? ამ ტრადიციამ მეცხრამეტე საუკუნეში თავისებური გაგრძელება პოვა – ყულაბებს სწორედ ამ ცხოველების ფიგურების გამოსახულებით ამზადებდნენ. **რომელი ცხოველის?**

5. ბერძნული სიტყვა „ქაოსი“ არეულობას ნიშნავს, „კოსმოსი“ – წესრიგს. **რა თანამედროვე სიტყვა წარმოიშვა ამ უკანასკნელისგან?**

6. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ, უმძიმეს პერიოდში, დასუსტებული ეკონომიკის გადასარჩენად დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ორიგინალურ ზომებს მიმართა – დაუშვა, რომ ქვეყნიდან წასულიყო ყველა მსურველი, ოღონდ, ერთი პირობით. **დაასახელეთ პირობა.**

7. **რომელი სახელმწიფო** ჩამოყალიბდა 1964 წლის აპრილში ორი დამოუკიდებელი ქვეყნის – ზანზიბარისა და ტანგანიკის გაერთიანების შედეგად?

8. **დაასახელეთ,** რა სახელით ვიცნობთ მრავალსართულიან შენობას, რომელიც ღმერთ მარდუკუს სახელზე იყო აგებული.

9. რა გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ძვირფას ქვას ბერძნები „ელექტრონს“ ეძახდნენ. **რომელს?**

10. **რა ერქვა** 1 დენიეს ღირებულების მონეტას, რომელიც მიმოქცევაში იყო საფრანგეთში ფილიპე ლამაზის მეფობის დროს?

***პასუხები იხილეთ მე-69 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* პასექი ებრაელთა დღესასწაულია. ისინი ამ დროს მოსეს მიერ იუდეველთა ეგვიპტის მონობიდან გამოყვანას ზეიმობენ. ტრადიციულად, ისინი სადღესასწაულო სუფრასთან ძალიან სწრაფად მიირთმევენ – გამოხატავენ, თუ როგორ ისწრაფოდნენ ეგვიპტიდან გამოსვლას.

* საბერძნეთში ყველა ღმერთის პატივსაცემად აგებულ ტაძარს „პანთეონი“ ერქვა.

* ჟურნალმა „ფორჩუნმა“ გამოაქვეყნა სია, რომელშიც 25 გვარია მოყვანილი. სიის სათავეში დგას ჯორჯ სოროსი; მეორე ადგილზე – უკვე საქმიდან წასული ვაჭრობის მაგნატი სკეგსი; მესამეზე კი ამერიკის ყველაზე მდიდარი ადამიანი, „მაიკროსოფტის“ ხელმძღვანელი, ბილ გეითსი. ეს იმ ადამიანთა სიაა, რომლებმაც ყველაზე მეტი ქველმოქმედება ჩაიდინეს.

* მიუხედავად იმისა, რომ თერმოდინამიკაში დიდი ხანია, უარყოფილია ფიზიკოსთა შეცდომა სითბოს წარმოშობის შესახებ, მისი კვალი მაინც დარჩა: სითბოს რაოდენობის ერთეულს – კალორიას, რაც ლათინურად „სითბოს“, „სითბოს მბადს“ ნიშნავს, საზომად ხშირად უსადაგებენ სხვა ფიზიკურ სიდიდეებსაც.

* 1997 წელს იემენის ნაციონალური პარლამენტის არჩევნები გაიმართა. მონაწილე პარტიებმა თავიანთ სიმბოლოებად სხვადასხვა ცხოველი, თევზი, ფრინველი, დანები, პისტოლეტები, ნავები, ჩანჩქერები და... მობილური ტელეფონების გამოსახულებებიც კი აირჩიეს.

* ძველი რომაელები „პატრიოტებს“ თანამემამულეებს, თვისტომებს ეძახდნენ.

* ცხელ წყალში ჩადებისას თერმომეტრში ვერცხლისწყალი ჯერ დაბლა იწევს, შემდეგ – მაღლა, რადგან, თავდაპირველად ცხელდება და ფართოვდება შუშის ბალონი, სადაც ვერცხლისწყალია მოთავსებული.

* აკრობატიკა – ასე გამოითქმის ბერძნულად ფრაზა „დავდივარ ფეხისწვერებზე, ვძვრები მაღლა“.

* 1828 წელს ალტაიში პირველი ოქროს საბადო აღმოაჩინეს, რამაც მთელ მსოფლიოში, ყველა მსხვილ ბირჟაზე, დიდი პანიკა გამოიწვია.

* მაროკოში წელიწადში ერთხელ, სამი დღის განმავლობაში, ინის დღესასწაულს ზეიმობენ – ჯინებმა ქალებზე წყალობა რომ მოიღონ, ამისთვის კი ფეხებსა და ხელებს ინით (ხნით) იხატავენ.

* კარლ ჩაპეკსა და მაქსიმ გორკის ერთნაირი სახელწოდების ნაწარმოებები ეკუთვნით – „დედა“, თუმცა, გორკის ნაწარმოებს თავდაპირველად „ვაჟიშვილი“ ერქვა.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მხc5-e6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




საავადმყოფოს დერეფანში სიმპათიური ქალი მიდის. კაბინეტიდან ექიმი გამოვიდა.

– უკაცრავად, – მიმართა ქალმა, – გინეკოლოგი თქვენ ბრძანდებით?

– არა, მაგრამ, შემიძლია, გაგსინჯოთ.

***

არ არის აუცილებელი, რომ ადამიანი, რომელიც ააშენებს სახლს, გაზრდის შვილს და დარგავს ხეს, იყოს მამაკაცი. უფრო ხშირად, ის ქალია.

***

ახალგაზრდა კაცი მიმართავს პროფესორს:

– ბატონო არჩილ, თქვენი ქალიშვილის ხელი მინდა გთხოვოთ.

– იცით, ახალგაზრდავ, ჩვენი ოჯახის ტრა-




დიციის მიხედვით, ეს ამბავი დიდ დრაკონს უნდა მოვახსენო, ძირითად საკითხებზე ის იღებს გადაწყვეტილებას.

– ამის აუცილებლობა არ არის, ქალბატონ მარინასგან თანხმობა უკვე მივიღე.

***

ქირურგს ყველაფერი შეუძლია, მაგრამ არაფერი იცის...

თერაპევტმა ყველაფერი იცის, მაგრამ არაფერი შეუძლია...

მხოლოდ პათოლოგანატომმა იცის ყველაფერი და ყველაფერიც შეუძლია, თუმცა უკვე გვიანაა...

***

ტიპმა შვილს ლუდის ამოტანა დაავალა. შვილმა უთხრა, მანქანით თუ გამიშვებ, მოგიტან, ისე არაო. არადა, მართვის მოწმობა არ აქვს. ჯანდაბას შენი თავიო და... უკან დაბრუნებისას პატრული გამოეკიდა. მიაჭირა ბიჭმა გაზს ფეხი, შესაძლებლობის მაქსიმუმით მანქანა სადარბაზოს მიაყენა, გადმოხტა, სახლში შევარდა და მამას მიაძახა – პატრულიაო. მამაც სამ წუთში გარეთ იყო:

– ვაახ, ბოდიში გიხდით.... ტუალეტში რომ არ მიმესწრო, მარცხი მომივიდოდა, კაცო...

***

საშინელი ყინვაა, ქარი ქრის. ცოლ-ქმარი ვერ შეთანხმდა, ვინ წავა ბავშვის ბაღიდან მოსაყვანად.

– ქურქი ხომ გაჩუქე? – ეუბნება ქმარი.

– მაჩუქე...

– ჩექმა?

– ჩექმაც.

– ჰოდა, ჩაიცვი და ამ ამინდში შენ მოიყვანე.

– შენ რატომ არა?

– რითი, ნასკებით და საპარსი ქაფით?

***

განიხილავენ, როგორ გამოიყენონ ჩერნობილის მიწები.

– მარცვლეულის დათესვა არ შეიძლება, ბოლქვიანი მცენარეების – მით უმეტეს.

– მოდი, თამბაქო დავთესოთ და მისგან დამზადებულ სიგარეტის კოლოფებს დავაწეროთ: „ჯანმრთელობის სამინისტრო უკანასკნელად გაფრთხილებთ"...

***

მარომ პატარა მიხო სტუმრად წაიყვანა. რაღაც დროის შემდეგ მიხო ხმამაღლა ეუბნება, ფისი მინდაო. წვეულებაზე უცხო ხალხია. მარომ გაიყვანა ტუალეტში და თან ეუბნება:

– ასე მეორედ არ თქვა, სირცხვილია, რამეთი მიმანიშნე, მაგალითად, მითხარი, „დასტვენა მინდა-თქო".

ღამეა. მიხო მიადგა მძინარე მამას, მოქაჩა, გააღვიძა და ეუბნება:

– დასტვენა მინდაო.

– რა დროს ეგ არის, ყველას სძინავს და შენც დაიძინე, ხვალ დავუსტვინოთ ერთადო.

– არა, მამი, ველარ მოვითმენ, ძალიან მინდა დასტვენაო...

ვერ მოიშორა მამამ და ეუბნება:

– ჯანდაბას შენი თავი, გვერდით მომიწექი, თავი საბანში ჩარგე და ძალიან ჩუმად დაუსტვინე...

***

სალონში შედის ახალი ქართველი, ჯდება სარკის წინ სავარძელში და სტილისტს მიმართავს:

– აიღე დოლარების ეს შეკვრა და ნახევარ საათში ზუსტად ისეთი ვარცხნილობა უნდა მქონდეს, როგორც შენ...




პარიკმახერმა საეჭვო მზერით შეხედა მის მოპრიალებულ თავს, შემდეგ სარკეში ჩაიხედა, ისევ დახედა კლიენტის მელოტ თავს, კვლავ თავის თავს შეხედა, შემდეგ დოლარების შეკვრას და ხელი ჩაიქნია.

– რაც არის, არის, – ჩაიჩურჩულა და თმის გადაპარსვა დაიწყო.

***

– ბიჭო, ძმაკაცებმა საქმე გამიკეთეს?! ქალის ტრუსიკი ჩამიდეს ჯიბეში...

– და, ცოლმა ნახა?

– არა, საყვარელმა.

– ეგ კიდევ არა უშავს...

– რა არა უშავს! იმან მაშინვე ჩემს ცოლს დაურეკა და ჩაუკაკლა...

***

ქალების ჟურნალმა გამოაცხადა კონკურსი თემაზე: „ვიცნობთ თუ არა ქალს". გაიმარჯვა 12 წლის სკოლის მოსწავლემ – ლუკა ჩ-მ. გამარჯვებულის გამოცხადებისთანავე დარეკეს რედაქციაში:

– 65 წლის კაცი ვარ, ჩემზე უკეთ ქალებს, ვინ იცნობს! თქვენ კი პრიზი ვიღაც ლაწირაკს მიაკუთვნეთ... ასეთი მიკერძოება არ მინახავს, ეს როგორ გააკეთეთ?!

– როგორ გეკადრებათ, ბატონო, პრიზი სამართლიანად გაიცა. პირველ კითხვაზე: „სად აქვთ ქალებს ყველაზე ხუჭუჭა თმა?" ლუკამ უპასუხა – აფრიკაშიო. თქვენ კი რა უპასუხეთ? თანაც, რომ დახატეთ?! მეორე კითხვაზე: „რა არის ქალების მთავარი ორგანო?" ლუკამ უპასუხა – ქალთა მსოფლიო ფედერაციაო. თქვენ კი, რა უპასუხეთ და, თანაც დახატეთ?! მესამე კითხვაზე: „რას ელოდებიან ყოველ თვეს ქალები", ლუკამ ჩვენი ჟურნალი დაასახელა, თქვენ კი რა უპასუხეთ? კიდევ მადლობა, რომ არ დახატეთ....

***

ქუჩაში მოხუცი ქალი მიდის, ორივე ხელში ხელჩანთა უჭირავს. უცბად ერთიდან 50-ლარიანი გადმოვარდა. შემდეგ ოციანი, რამდენიმე




ნაბიჯში – კიდევ... პატრულმა შენიშნა, ფული აკრიფა მოხუცს დაუბრუნა და ჰკითხა:

– ბები, ფული გცვივათ, მაგრამ, საეჭვოდ მეჩვენება... რა ფულია, ხომ არ მოიპარეთ... საიდან გაქვთ?

– არა, შვილო, რა მოვიპარე. სტადიონთან ბუჩქებია, მათ უკან ვიმალები მაკრატლით... მოდიან ლუდდალეული, „გაჭირვებული" ფეხბურთის გულშემატკივრები ბუჩქთან, მე კიდევ უცბად ამოვყოფ თავს და ვეუბნები:

– ან ფული, ან მოგაჭრით... და ასე ვაგროვებ.

– არცთუ ურიგო იდეაა. მეორე ჩანთაშიც ფული გაქვთ?

– არა... ყველა ხომ არ იხდის...

***

– მამი, რა არის ფილიალი?

– შენ ხომ გაქვს ღამის ქოთანი?

– კი.

– ჰოდა, ეგ ღამის ქოთანი ჩვენი უნიტაზის ფილიალია.

# ფეხბურთის დაუვიწყარი დღე და საზიარო სასმისი

ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს ემახსოვრება, საბჭოთა კავშირის თასი რომ ავიღეთ. ეს იყო შეუდარებელი დღე. დაუვიწყარი მთელი თავისი ბრწყინვალებით. ტაშკენტის მერე ქართველებს ასეთი სიხარული არ მოგვსწრებია.

რასაკვირველია, გადარეულები ვართ სიხარულით. ბედნიერები, ბედნიერები!!!

პირველი შთაბეჭდილებები ოდნავ რომ დაცხრა და მაყურებელთა თვალს მოვცილდით, დაიწყო თასის „შინამონათვლა“ – ჩვენს წრეში და ძმაკაცებში თითოეულ მონაწილეს ღვინით სავსე ის თასი უნდა შეგვესვა.

თასის მოპოვება, დამეთანხმებით, არაა ადვილი, მაგრამ, უფრო ძნელი მისი დაცლა ყოფილა. ზოგმა თქვა – რა საჭიროა, რა აუცილებელიაო, მაგრამ, გუნდში გვყავდა მაგის ოსტატებიც. ერთ-ერთი პირველი კი ჩვენი ფირუზ კანთელაძე გახლდათ. ამ უბადლო ფეხბურთელმა ქეიფი და დროსტარებაც უბადლო იცოდა. აიღო ეს თასი, პირამდე გაალიცლიცა სუფთა „რქაწითელით“, ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოსო! – იყვირა და მოიყუდა.

სანამ ფირუზი სვამს, ვისარგებლებ და განგიმარტავთ: ეს ბრწყინვალე ადამიანი ყველა ჩვენგანზე მაღალია, თან – გაცილებით მაღალი. თამაშიც სამაგალითო იცის, მეგობრობაც, მოედანზე დახმარებაც, ლხინში ხომ – შენია და შენი...

მოკლედ, ჩამოცალა ეს თასი ფირუზმა. დედის რძესავით შეერგო და ისევ შეავსო.

– ალავერდი შენთან! – თქვა და მე არ გადმომაწოდა?! ვაი შენს ვახოს (ზუსტად ორი ლიტრი ჩადის).




აკანკალებული ხელებით ჩამოვართვი გაპიპინებული თასი. რა ვქნა ახლა?

– შენ თუ ამას დალევ, შენ თუ ამას დალევ, მერე მე ვიცი, – გადმომხედა ღიმილით.

– შენ თუ ამას დალევ! – ჩამესმა ისევ და... მოვიყუდე.

პირველი ორი ყლუპი გამიჭირდა, მაგრამ, მერე წავიდაა... თუმცა, ერთ ლიტრს ვერ გავცდი. ვგრძნობ, რომ ცუდად ვხდები, სასწრაფოდ შევწყვიტე პროცედურა და ამღვრეული თვალებით ავხედე ფირუზას ქვევიდან. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფირუზამ თანადგომა მხოლოდ მოედანზე არ იცის. მიხვდა, რა კატასტროფის წინაშეც ვიდექი და ამჯერადაც არ უღალატა რაინდობას: გამომართვა (უკვე მოსწყურდა კიდევაც, ალბათ) და ის ჩემი წილიც უცერემონიოდ ჩაიცალა... დიახ... ფირუზასთან ერთად არც ერთ სუფრაზე დალევის არ მეშინია – „დახმარება“ მუდამ გარანტირებული მაქვს.

***P. S. ძალიან მწყდება გული, რომ დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის გუნდებს ხშირად ველარ ვხვდებით. ისე კი, მახსენდება ერთი ამბავი. თასი რომ ავიღეთ, ერთ გასვლით მატჩში პატარა უსიამოვნება მოგვივიდა. დაგვიჭირა იქაურმა მილიციამ და, რომ გაიგეს, დინამოელები ვიყავით („დინამო“ ხომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი იყო) – პირიქით, ბოდიში მოგვიხადეს და „პირზე კოცნით“ დაგვშორდნენ – ჩვენ თქვენზე მეტად გაგვიხარდა, თასი რომ ავიღეთო. არა, ეს სიმართლეა და მეხსიერებიდან ველარ წაშლი. პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ, მშვიდობასა და ერების ერთმანეთთან კეთილ დამოკიდებულებას ხელს ვერაფერი შეუშლის. გავა დრო და ვიტყვით: „ყველაფერი სისულელეა... მშვიდობას არაფერი ჯობია“. კაცმა რომ თქვას, გურული ვარ და მშვიდობის სადღეგრძელო გურიაში პირველი სადღეგრძელოა. გაუმარჯოს მშვიდობას!***

***თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელის, ვახტანგ ქორიძის ნაამბობის მიხედვით*** მოამზადა
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133“ 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11




გვ. 19

**რა ხდება ქეთათო ჩარკვიანის პირად ცხოვრებაში, როგორ ექსპერიმენტებს ატარებს ის საკუთარ თავზე და ვისთან რომანს აბრალებენ მას**